ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ტომი ოთხეული

თბილისი
2007

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

თხზულებანი

ტომი XII

პუბლიცისტური წერილები

1891-1893

"ილიას ფონდი"
2007

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ILIA CHAVCHAVADZE
COLLECTED WORKS

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
აკადემიური გამოცემის
სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი
ირმა რატიანი

გიორგი აბაშიძე
ანდრო ბედუკაძე
როსტომ ჩხეიძე
ზურაბ ჭუმბურიძე

F 118.829
3

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს თიოსებ ლორთქიფანიძემ და ლამარა შავგულიძემ

ტომის რედაქტორი რუსუდან კუსრაშვილი

„ილიას ფონდი“ (თავმჯდომარე ანდრო ბედუკაძე)
2007

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1891 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>

ტფილისი, 30 იანვარი

გათავდა არჩევანები ქალაქის ხმოსანთა, გამგეობა ქალაქის თვითმმართველობისა შესდგა და ყოველ ამით გამოწვეული ფიცხი და ზოგჯერ წრეს გარედ ატაცებული ლაპარაკიც მისწყდა, განელდა და ადგილი დაუთმო ჭკუადამჯდარს მჯელობას იმ კაცებისას, რომელთაც არჩევანების გათავებით არ გაიგრილეს გული საქალაქო საქმეების მიმართ და რომელნიც არჩევანებს უყურებენ და სამართლიანადაც, როგორც ერთადერთს ღონეს ქალაქის საქმეთა განწყობისას, მიმართვისას, ასე თუ ისე კეთებისას და წარმოებისას. მაშასადამე, საკვირველი არ არის, რომ პირველი და უპირატესი საგანი დღევანდელის მსჯელობისა საზოგადოებაში ის არის, რომ კარგად გამორკვეულ იქმნას, — რა მოხდა და რის მომასწავებელია ყოველივე, რაც მოხდა და მოგვიტანა ამ არჩევანებმა.

სალის და მიუგომელის თვალით რომ შევხედოთ მას, რაც მოხდა, და მომხდარი რის მომასწავებელია, დავინახავთ, რომ ქალაქის მცხოვრებთა საჭიროდ დაინახეს და თვისდა სასარგებლოდ იცნეს გაეახლებინათ ქალაქის საბჭო, სხვა ახალის ნაკადულისათვის საბჭოში გზა მიეცათ და მით აქამდე ყოფილი და ყოველ საქმის ერთნაირად წამწყმედი ერთსახეობა, ერთგვარობა საბჭოსი მოესპოთ. სხვა აზრი ამ არჩევანებს არ უნდა ჰქონდეს, თუ სახეში ვიქონიებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არჩევანებს სხვა მნიშვნელობა არა აქვს რა, თუ არ ამომრჩეველთა სურვილის გამოთქმისა.

მართალია, ამ კეთილს და სამართლიანს სურვილს მოქალაქეებისას ზოგიერთებმა თავისებური კვამლი შეუბოლეს, რომ ცხადი და მართალი სურვილი ამომრჩევლებისა კაცს არ დაანახვონ, სახე და მიმზიდველობა შეუშალონ და მოქალაქეთა შორის აბრუ გაუტეხონ. ამისათვის ამ ზოგიერთებმა ხელი ჩაჰკიდეს იმისთანა საგანს, როგორც, მაგალითებრ, ეროვანებაა, რომელსაც დიდი გზა და ავალა აქვს ყოველგვარ ქსელის გასაბმელად, და ეს არაფერს შუაში მყოფი ეროვანება ხიდად გაიდეს, რომ სხვადასხვა თესლის მცხოვრებნი ერთმანეთს დააჯახონ სამტროდ, ერთმანეთის წეწვა-გლეჯად და მით მათი თვალი საერთო საქმეს ქალაქისას მოაშორონ. ამ ვაჟბატონებს მით უფრო მოუხერხდათ ამ სამარცხვინო ხიდის გადება, რომ ამ არჩევანებმა დიდი მონაწილეობა მისცა ქართველებს საბჭოში, რიგიანმა სომეხმა ამ ქართველების საბჭოში შესვლა, რასაკვირველია, საამურად მიიღო და არამც თუ იხამუშა, არამედ ჰკვირობდა კიდეც, რატომ აქამდისაც არ იყო ესეო, სოლო ტერაცუები შესდგნენ ყალხზედ, ვაჰ, ქალაქი ჩვენია და ქართველებს ქალაქში რა ხელი აქვთო. ამათ ისე შეჰხედეს ამ არჩევანებს, რომ ჩვეული ბატონობა ქალაქში გვერთმევა და ქართველები იჩემებენო.

შეჰხტა და შემოტრიალდა ტერაცუობა, რომელთანაც ჭკუადამჯდარს და რიგიანს სომხობას არავითარი ურთიერთობა არა აქვს, — და სხვა რო ვერა იხერხა რა, ბოლოს ისა თქვა, რომ აბა ქალაქის საქმეში რა შესატანია ეროვნება, ეროვნებაზე აქ კრინტიც არ უნდა დაიძრასო. ეს, რასაკვირველია, იმ ანგარიშით უნდა იყოს თქმული, რომ აქამომდე ტფილისში გაბატონებულ ეროვნებას არავინ იერიშის მიტანა არ გაუბედოს და ტერაცუებსაც ხომ სხვა არა უნდათ რა. ამ სახით, ამისი მთქმელი თუმცა სოროში ჰძვრება, მაგრამ კუდი კი გარედა ჰრჩება და საქმეც ეს კუდია. ოლონდ კი ხალისი იყოს, თორემ როცა გნებავთ ხელს წაავლებს კაცი და სოროში შემძვრალს ჩხავილით გარედ გამოათრევს.

სირცხვილია, რომ კაცი ამისთანა ფეხის ხმას აჰყვეს. აქ არავითარი მიხვევ-მოხვევა საჭირო არ არის. მოქალაქეების სურვილი ცხადად მეტყველებს ამ არჩევანებში. აქ სომხობა ცალკე და ქართველობა ცალკე კი არ ირჩევდა კაცებს საბჭოსათვის, არამედ შემძლებელობა და შეუძლებლობა მოქალაქეთა. დღესაქამომდე ქალაქის საბჭოს მოედანი ხელთ ეჭირათ მარტო შემძლებელთ მოქალაქეთა, ხოლო შეუძლებელთ საბჭოში წარმომადგენელნი ან სულ არა ჰყავდათ, ან თუ ჰყავდათ, თითო ოროლა, რომელთა ხმა იკარგებოდა მრავალთა შორის. ეს შეუძლებელთა რიცხვი უფრო მომეტებული ნაწილია როგორც ყველგან, ისეც ტფილისშიც, და ვის რად უკვირს, რომ ამ მომეტებულმა ნაწილმა თავის ქალაქში ხმის ამოღება მოიწადინა და საბჭოში ფეხის შედგმა.

ამ შეუძლებელობამ და შემძლებელობამ, ქონებითმა ღონემ და უღონობამ წელს ორად გაჰყო ამომრჩეველთა რიცხვი და წლევანდელი არჩევანები ამ ორ ბანაკის ბრძოლის შედეგია. ერთისა და მეორის ბანაკის კაცნი აქ მოქმედებდნენ განურჩეველად იმისა თუ, ვინ სომეხია და ვინ ქართველი. აქ ერთის მხრით მოიყარეს თავი შეძლებულთ მომხრეთა და მეორის მხრით შეუძლებელთა. არჩევანების კენჭმა დაგვანახა ყველას, რამოდენა ადგილი დაიჭირა განახლებულ საბჭოში შეუძლებელთ წარმომადგენელ ხმოსნობამ, და აი სად უნდა ეძიოს კაცმა მიზეზი იმ სიამოვნებისა, რომლითაც ყოველი გონიერი ქართველი თუ სომეხი მიეგება არჩევანებს, როცა მისი შედეგი გამოცხადდა.

დღეს, ჩვენდა სასიქადულოდ, ვხედავთ, რომ შეუძლებელთა მცხოვრებთა, ესე იგი, ტფილისის უმრავლესთა მკვიდრთა იმედად იგი ხმოსნები შეიქმნენ, რომელთა შორის ქართველობა დიდს უმრავლესობას შეადგენს. დღეის ამას იქით ტფილისის საბჭოს თავისი კუთვნილი ღირსება და თვისება მიენიჭა. დღეის ამას იქით ორი დიდი დენა აზრთა იწყებს აქ ერთმანეთთან გამკლავებას. ერთის მხრით ინტერესები შეძლებულთა და მეორის მხრით შეუძლებელთა არ მისცემს არავისნებას ყური მოუყრუოს ქალაქის საბჭოს საქმეთა და

ყოველს განაჩენს გამგეობისას, თუ ვისმეს განუსჯელად და განურჩევლად „ბალი, აღა“, უძახოს.

ამ ინტერესების ერთმანეთთან შეწონება, შეფერება და მოთავსება, ერთმანეთთან სამართლიანი მორიგება მწვადისა და შამფურის — საცა შესაძლოა — დაუწველად, შეადგენს ერთადერთს სიბრძნეს ქალაქის თვითმართველობის მოხელეობისას და გამგებელობისას. აწ განახლებულს საბჭოს ამ სიბრძნემდე მისაღწევად დღეს გზა გახსნილი აქვს, რადგანაც ისეა შემდგარი, რომ ყოველმა საქმემ ჯერ ბევრი დამი უნდა იხადოს ორ ცეცხლ შუა ტარებითა, ვიდრე თავს გაიტანს ბოლომდე ქალაქის საერთო სასარგებლოდ.

აი, რამ მოახდინა აწინდელთა ხმოსანთა არჩევანებმა და მომხდარი რის მომასწავებელია. აი, ჩვენის ფიქრით, რა მნიშვნელობა აქვს წლევანდელს არჩევანებს, აი, რა მოიგო თვით საბჭომ, რომელიც, ვითარცა წარმომადგენელობა ქალაქისა, დღეს უფრო სავსეს და სრულს სახეს, გულს და ვითარებას მთელის ქალაქისას წარმოადგენს, ვიდრე აქამომდე, და მით, რასაკვირველია, მეტი სიცოცხლე, მეტი ხალისი მიეცემა თვით საბჭოს და მეტი სიმართლე, მეტი წინდახედულობა, მეტი სიბრძნე მის განაჩენთა და მის საქმეთა. ქალაქისათვისაც საერთო სანატრელი ეს არის. და რად უკვირთ რომ ყველა გონიერ მოქალაქეს უხარიან, რომ ქალაქმა, განაახლა რა უწინდელი საბჭო, კარგა მოზდილი ბიჯი გადასდგა თავის სამართლიან სანატრელის მისაღწევად და სამაგისოდ ახალნი კაცნი, ახალნი მოღვაწენიც მოიპოვა და შეიყვანა საბჭოში.

[1891 წ.]

<დასაწყისი „სამთა კავშირის“ დასასრულისა>

ტფილისი, 12 თებერვალი

ჩვენ არასდროს არა გვჯერებია, რომ ეგრედწოდებული „სამთა კავშირი“ გერმანიისა, ავსტრი-ვენგრიისა და იტალიისა კლდეზედ დადგენილი შენობა ყოფილიყოს. თ. ბისმარკმა ეგ კავშირი შეჰქმნა და თითონვე, როგორც ეხლა ეტყობა, ჰშინებია, რომ ეგ ციხესიმაგრე შიგნიდანვე არ გატყდესო და ამიტომაც საფრანგეთისაგან სამუდამოდ იმედმოცემული რუსეთს თურმე ჩუმ-ჩუმად შეჰღიმებდა. ეხლაც თ. ბისმარკი იმას ჰყვედრის გერმანიის ახალ პოლიტიკოსებს, რომ რუსეთს საკმაოდ ტკბილად არ ეკიდებით და არ ექცევითო. თ. ბისმარკის მომხრე გაზეთები სულ ამას იძახიან ეხლა, რომ ყოფილი სახელოვანი კანცლერი გერმანიისა სულ მუდამ ჰცდილობდაო, რომ რუსეთი არ გაეჯავრებინა და დაეახლოვებინაო.

ეს ასე არ იქნებოდა, თუ თითონ თ. ბისმარკს სჯერებოდა სიმტკიცე და სიმაგრე მის მიერვე შექმნილ „სამთა კავშირისა“, სჩანს, ამ „რკინის კანცლერს“, როგორც შორსმხედველს კაცს, წინადვე უგვრძნია რა მანძილი აქვს „სამთა კავშირს“ და რა ჭია უზის გულში გამოსალრნავად და დასაფუშავად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ამ შავდღისთვის სწყურებია თ. ბისმარკს რუსეთთან კეთილი განწყობილება ჰქონებოდა.

დღეს სწორედ ნიშნებია, რომ მოვიდა დასაწყისი „სამთა კავშირის“ დასასრულისა. იტალიაში გულითადი და მხნე მომხრე „სამთა კავშირისა“ კრისპი ჩამოაბ-

ძანეს მთავარ მინისტრის ტახტიდამ და მის მაგიერ დასვეს მარკიზი დი რუდინი, რომელმაც, აუწყა რა თავისი ცირკულიარი ევროპის სახელმწიფოებს, არც ერთგან არ ახსენა თურმე „სამთა კავშირი". ამ არხსენებას ყველა გაზეთმა და, როგორც ისმის, ყველა სახელმწიფომ ყურადღება მიაქცია იმიტომ, თავი და ბოლო იტალიის საგარეო პოლიტიკისა, 'მისი უმთავრესი და უპირველესი საგანი ეგ „სამთა კავშირია" და მისი არხსენება იმის მომასწავებელია, რომ იტალიის ეხლანდელ სამინისტროსთვის ეგ „სამთა კავშირი" ვითომდა სახსენებლადაც არ არის მისაჩნევი. რა თქმა უნდა, ჯერ კრისპის გადაყენება და მერე ასეთი უყურადღებობა ახალის მინისტრისა არაფრად სასიამოვნოა გერმანიისათვის და, პირიქით, ბევრად სასიხარულოა საფრანგეთისათვის, რომლის სამუქაროდაც უფრო იყო შემდგარი ეს „სამთა კავშირი" და რომელსაც ძველი მინისტრი კრისპი მეტად უდიერად ეპყრობოდა, საცა კი და როცა კი შემთხვევა ეძლეოდა.

ეხლანდელი მთავარ-მინისტრი ისე მტრად გადაკიდებული არ არის საფრანგეთზე, როგორც კრისპი იყო. თუნდაც ეგეც არ იყოს, იცის საკმარისია მერმისის ცოტაოდენად წინადვე დანახვისათვის, რომ ახლანდელი სამხედრო მინისტრი იტალიისა ცნობილია როგორც მოყვარე საფრანგეთისა. გაზეთებმა გაიხსენეს, რომ ამ მინისტრს ერთხელ როდესაც საქვეყნოდ და გულახდილად უთქვამს, რომ ომი საფრანგეთთან იტალიისათვის ძმათა ხოცვის ომი იქნებაო. გარდა ამისა სახეში უნდა მივიღოთ, რომ ახალმა იტალიის მინისტრმა თავისი მოქმედების პროგრამად სახელმწიფოს გასავლის მოჭრა და შემოკლება გამოაცხადა. გასავლის შემოკლება იტალიაში დღეს ამაო სიტყვა იქნება, თუ ეგ შემოკლება არ შეეხო სამხედრო ხარჯსა. სამხედრო ხარჯის შემოკლება საომარ ღონის მოკლებას მოასწავებს და აი „სამთა კავშირისათვის" ფონი, რომელიც სწორედ ამ ადგილას არჩობს.

საომარ ღონეს მოკლებული იტალია არაფერი სახარბიელოა გერმანიისათვის, რომელსაც კრისპიმ ნალოსავით გამოაბა იტალია და ყელთამდე ვალში ამოაყოფინა თავი. დღეს, როგორც ეტყობა, იტალია

აპირობს თვალი აახილოს თავის მდგომარეობაზე და თავის ქერქში ჩასდგეს, რადგანაც დალოცვილი „სამთა კავშირი" მეტისმეტად ძვირად უჯდება და რისთვის? მარტო იმისთვის რომ გერმანიამ იბატონოს ევროპაში და იტალიის მიმხრობით თავისის საკუთარი მტერი აფრთხოს და აშინოს.

ავსტრი-ვენგრიაც ჰხედავს, რომ სხვის სათამაშო ბურთად გაიხადა თავი, ჰგრძნობს, რომ გერმანია ორპირი და ორგული ყოფილა, რადგანაც ერთსა და იმავე დროს ამასაც უყვავებდა, თანხებს აძლევდა და მის მტერსაც თვალს უშვრებოდა. ეს გამომხილდა ამ მოკლე ხანში თ. ბისმარკის გაზეთების წყალობით, რომელნიც ვერაფრად სანდოდ და საიმედოდ იხსენებდნენ ავსტრი-ვენგრიას და რუსეთთან არ დაახლოვებას ცოდვად უთვლიდნენ და უთვლიან კიდეც ეხლანდელს კანცლერს გერმანიისას, რა თქმა უნდა, რომ ამისთანა ამბების ზემოქმედების ქვეშ გაზეთები ეხლანდელს ყოფნას ავსტრიის მემკვიდრისას რუსეთში და მის დიდ ყოფით იქ მიღებას საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ და ამბობენ, რომ ავსტრი-ვენგრიას ცალკე უნდა რუსეთთან საქმე დაიჭიროსო.

სწორე, რასაკვირველია, არვინ იცის, მაგრამ თუ ეს მოხდა, მაშინ ჰნახეთ, რომ გერმანია პირსა და გულს საფრანგეთისაკენ მიიბრუნებს და ეცდება როგორმე, იქნება ელზას-ლორენის ასე თუ ისე დათმობითაც საფრანგეთი მიიმხროს და დაიმეგობროს. ახალგაზდა იმპერატორმა გერმანიისამ არაერთხელ ამ აზრით გაუგორა კამათელი საფრანგეთს. ჯერ ხმა გააგდო, თუ თითონ არა, მისმა გაზეთებმა მაინც, რომ ვითომ საფრანგეთში მისვლა უნდა, ვნახოთ ერთი ამაზე რას იტყვიანო. საფრანგეთს ვერაფრად ეჭაშნიკა ასეთი სტუმრობა და ამის გამო ამაზედ ხმა მისწყდა. ვინ არ იცის, რა ტკბილად მოექცა მუშათა საქმისათვის გამოგზავნილ საფრანგეთის ჯელეგატებს იმპერატორი ვილჰელმი. ეხლახან სადილად ეწვია საფრანგეთის ელჩს ბერლინში და დიდხანს ტკბილად ელაპარაკა ელჩს, თუმცა პოლიტიკის გამო სიტყვაც არ წამოსცდენია. ეხლახანვე საფრანგეთის აკადემიას იმპერატორმა თავისი მწუხარება გამოუცხადა სახელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა
F11829
3
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრის გარდაცვალების გამო და საფრანგეთის ელჩსაც აუწყა, რომ ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ საფრანგეთის მხატვარნი მონაწილეობას მიიღებენ ბერლინის სამხატვრო გამოფენაშიო. ყოველივე ეს ძალიან სასიამოვნოდ დარჩენიათ საფრანგეთში და გარეშე მაყურებლისათვისაც უმნიშვნელო არ არის, თუ ნამეტნავად გავიხსენებთ იმას, რომ პირველ ხანებში იგივ იმპერატორი ვილჰელმი საფრანგეთის ხსენებასაც გულმშვიდად ვერ იტანდა ხოლმე.

თითონ საფრანგეთშიაც ცოტად თუ ბევრად გზა გაეხსნა იმედს გერმანიასთან ასე თუ ისე დაახლოებისა. ფერრი, რომელსაც ერთს დროს შესწამეს და საბუთიანაც, სურვილი გერმანიასთან მორიგებისა და ამის გამო აღარსად არ ამოირჩიეს და ყველგან შავი კენჭი მისცეს, დღეს ისევ საპოლიტიკო ასპარეზზე გამოვიდა, რადგანაც სენატში იქნა არჩეული. ჩვენის ფიქრით, საფრანგეთს დღეს ამისთანა საქმის კაცი ბევრი არა ჰყავს და ამისი ხელახლად გამოსვლა სახელმწიფო საქმეთა მოედანზე გერმანიის მომხრეობისათვის შესანიშნავი ნიშანია.

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>

ტფილისი, 6 მარტი

ჩვენის ქალაქის თვითმართველობისათვის ორი ძალიან მოულოდნელი და ძალიან საყურადღებო ამბავი მოჰხდა ამ უკანასკნელს დროს. ქალაქის თავმა ბ-ნმა მატინოვმა თავი დაანება თავის თანამდებობას, თუმცა ხელახლად ამორჩეული იყო, ბ-ნი იზმაილოვი კი, რომელსაც ჰსურდა ქალაქის თავობა, არ იქმნა ამორჩეული. მთელი საზოგადოება ქალაქისა, და ნამეტნავად ისინი, ვისაც გული ასე თუ ისე სტკივა ქალაქის საქმეებისათვის, სცდილობენ თავი და ბოლო გაუგონ ამ ორს მართლადა მოულოდნელს ამბავსა. საითაც კი მიიხედავთ მარტო ეს ისმის: ან ბ-ნმა მატიონოვმა რად დაანება თავი თავობას და ან ბ-ნი იზმაილოვი რად იქმნა უარყოფილი. ყველას უნდა მიზეზის შეტყობა, გამორკვევა და ამ საგანზედ იმდენი აზრია, რამდენიც თითქმის მსჯელი და მოლაპარაკე.

რაკი ესეა, ჩვენ მიერ არ იქმნება მეტი, რომ ამ ორს ამბავს გულღვიძლი გავუსინჯოთ და მრავალთა შორის ჩვენი აზრიც წარმოვსთქვათ მასზედ თუ, რას უნდა მოეხდინა, ან ერთი ამბავი, ან მეორე. პირველ ყოვლისა ვიკითხოთ: რას უნდა აეძულებინა ბ-ნი მატინოვი, რომ ჯერ მოიწადინა ამორჩევა, და რაკი შეისრულა წადილი, სამსახურიდამ გადასდგა? რა მოხდა იმისთანა იმ მოკლე ხანში, რომელიც არჩევანიდამ გადადგომამდე გავიდა, რომ ბ-ნმა მატინოვმა ველარ

იტვირთა მის მიერვე მოწადინებული და უკვე მიღწეული თანამდებობა?

აქ ორში ერთი მიზეზია: ან ისა, რომ შინაურმა გარემოებამ ნება ალარ მისცა ქალაქის თავობა დანიშნულ ვადამდე ეკისრნა, ან გარეშე ვითარებას რასმეს გაუფრთხა და გაეცალა. პირველს მიზეზს, ჩვენის ფიქრით, აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. იმიტომ რომ, თუ შინაურმა გარემოებამ ორის თთვის წინად არ დაუშალა კენჭისყრის სათუო განსაცდელს მისცემოდა, თუ ორის თთვის წინად კენჭისყრის ბეწვის ხიდზედ გასვლას არ შეუშინდა, — და რომ საშიში იყო ეგ ყველამ იცის, — ძნელად საფიქრებელია ამ მოკლე ხანში, სულ ორის თთვის მანძილზე, მის შინაურ ცხოვრებაში ისეთი ძირეული რამ ცვლილება მომხდარიყო, რომ დიდის ვაითა და ვაგლახით მოგებულს საქმეს გასცლოდა. რასაკვირველია, ყველაფერი შესაძლებელია, ხოლო ისეთი უეცარი და მოულოდნელი ცვლილება ადამიანის შინაურ ცხოვრებაში ორის თთვის განმავლობაში მეტისმეტად იშვიათია, იმოდენად იშვიათი, რომ თუ თვალით არა ჰნახავთ, დაუჯერებელია. მაინცდამაინც არავითარი ხელმოსაკიდებელი გამომჟღავნებული საბუთი არა გვაქვს, რომ ბ-ნ მატინოვის სამსახურიდამ გადადგომა მის შინაურს გარემოებას მივაწეროთ.

მაშასადამე, მიზეზი ბ-ნ მატინოვის გადადგომისა გარეშე ვითარებაში უნდა ვეძიოთ. რა მოხდა აქ ისეთი? რაშია ეს „გარეშე ვითარება“? გარეშე ვითარება, ჩვენის ფიქრით, ამ შემთხვევაში ახლად შემდგარი საბჭოა ქალაქისა და სხვა არა რა. რა შეამჩნია ამ ახლად შემდგარს საბჭოს იმისთანა, რომ ბ-ნ მატინოვს მიზეზი მისცემოდა გაცლისა და სამსახურიდამ გადადგომისა? თუ აქამომდე ბ-ნი მატინოვი უძლებდა საბჭოს, ეხლა რა მოხდა იმისთანა ახალი, რა შეიტანა ქალაქის თვითმართველობაში ახალმა საბჭომ იმისთანა, რომ ბ-ნმა მატინოვმა გაცლა ამჯობინა დარჩენასა?

ყოველს ამას რომ სამართლიანი პასუხი გავცეთ, საჭიროა უწინდელი და ეხლანდელი საბჭო ერთმანეთს შევადაროთ. რა იყო უწინდელი საბჭო? ყურმოჭრილი ყმა გამგეობისა. უწინდელი საბჭო ქვევრსა ჰგვანდა: რასაც გამგეობა ჩასძახებდა, იმას ამოიძახებდა. ყვე-

ლაფერზედ „ბალი აღა“ მზად იყო, გამგეობა სჭრიდა და ჰკერავდა კიდეც და საბჭო ჭრაზედაც და კერვაზედაც ჰოს ნიშნად თავს აკანტურებდა. ახალმა საბჭომ კი სულ სხვა უნარი გამოიჩინა, სულ სხვა გზაკვალი აირჩია და პირდაპირ გამოაცხადა: არც ერთს სარჩიელს გამგეობისას, თუ ცალკე ხმოსნისას, არც ერთს განაჩენს, აქ ჩვენში ვერავინ გაიყვანს უიმისოდ, რომ კრიტიკის ქარცეცხლში არ გავატაროთ, ყოველმხრივ არ ავწონ-დავწონოთ და ქალაქის მკვიდრთა სარგებლობის და სახეირო თვალით არ გავსინჯოთ და არ განვიკითხოთო. ჩვენ აქ ამისთვის ვართ გამოგზავნილი ქალაქის მკვიდრთაგანა და არა იმისათვის, რომ თავები ვაკანტუროთ ყოველს იმაზე, რასაც თქვენ მოიწადინებთო.

ეგრედწოდებულს ოპოზიციას ჯერხანად სხვა არა დაუწერია რა თავის დროშაზე, და ნუთუ ვისმე იმოდენა კადნიერება ექმნება, რომ ეს დაუწუნოს? დღევანდელ „გარეშე ვითარებაში“ სხვა ახალი არა მომხდარა რა ამის მეტი, და რადგანაც ბ-ნ მატინოვის სამსახურიდამ გასვლა მარტო „გარეშე ვითარებაში“ უნდა მოიძებნოს, სჩანს, რომ იგი გაეცალა საბჭოს თვითმოქმედებას, საბჭოს კრიტიკას, საბჭოს განკითხვას, ამ ერთადერთს სახსარს, ერთადერთს გზას ყოველის საქმის კეთილად, ფრთხილად, წინდახედულად და გონიერად წარმართვისას.

ტყუილად ჰნუგეშობენ, ტყუილ.ად ჰცდილობენ ოპოზიციის მოპირდაპირენი, რომ ოპოზიციას სახელი და აბრუ გაუტეხონ, ვითომ საბჭოში ავყიაობის მეტს არას აკეთებდეს. ჩვენის ფიქრით, ისიც დიდი სამსახური იქმნება ქალაქის წინაშე ოპოზიციის მხრით, თუ იგი, თავის სასახელოდ, საბჭოში კუთვნილს ადგილს დააჭერინებს კრიტიკასა და განკითხვას აწ და სამარადისოდ. თორემ ოპოზიციას წინ კიდევ ბევრი სხვა საქმე უდევს და, ჩვენის ფიქრით, დიდად გონივრულად იქცევა, რომ მოუწადინებია ჯერ ყოველი გარემოება და ვითარება ქალაქის თვითმმართველობისა, ყოველი საქმე ქალაქისა ზედმიწევნით შეისწავლოს და მერე თავის მთელის და ვრცელის პროგრამით გამოვიდეს სამოქმედოდ. იმ დრომდე კი ერთს ბიჯსაც კი

არავის გადაადგმევინებს უიმისოდ, რომ არ განიკითხოს, არ განსაჯოს, არ აიღოს და დაიღოს კრიტიკის სასწორითა. ეს ახალი ბევრს ეხამუშება, მაგრამ დრო მოვა და გაიგებენ, რომ ხსნა სწორედ ამ გზით სვლაშია ყველგან, და ნამეტნავად იმისთანა და რთულ საზოგადო საქმეში, როგორიც ქალაქის მოვლა და პატრონობაა.

ეხლა ვიკითხოთ: რას უნდა მიეწეროს, რომ ერთადერთი კანდიდატი ბ-ნი იზმაილოვი არ ინდომა საბჭომ ქალაქის თავად ამოერჩია და ეს არამორჩევა რას ჰნიშნავს? არამცთუ ეს არ ამორჩევა, თვით ბ-ნ მატინოვის და ბ-ნ ხოსროევის ამორჩევაც რომ ავიღოთ, აშკარად დავინახავთ, რომ ქალაქი ყოფილის გამგეობის მომდურავია. ჩვენ ვამბობთ ქალაქი, იმიტომ რომ დღეს ქალაქი საბჭოს პირით ჰლაპარაკობს, რადგანაც საბჭოში, ვინც არიან, ქალაქის წარმომადგენელნი არიან. სად უწინდელი არჩევანები, სად ეხლანდელი. წინანდელ არჩევანებში თეთრს კენჭებს მუჭითა ჰხვეტდნენ ამორჩეულნი და შავს კი ძლივს ჰპოულობდნენ საარჩევნო ყუთში, და ეხლა კი არც ბ-ნ მატინოვს და არც ბ-ნ ხოსროევს იმოდენა თეთრი არ მოსვლიათ, რომ იმავ მუჭით თითქმის იმოდენავე შავი კენჭი არ ეხვეტნათ. აქ ეჭვი არ არის, რომ დედაბუდე შავ კენჭების ესე ძლიერ ბლარტობისა უკმაყოფილობა და სამდურავია.

არ ვიცით, ეს სამდურავი და უკმაყოფილება რამდენად საბუთიანია. მინამდე თავისას არ იტყვიან ის მრავალგვარი კომისიები, რომელიც ახალმა საბჭომ მიუსია ქალაქის ყოფილთა საქმეთა, საბუთიანობაზე ლაპარაკი ძნელია. ხოლო ეს კი ყველასათვის აშკარაა, რომ ყოფილს გამგეობას დიდი და პატარა ემდურება და უკმაყოფილო თვალით უყურებს. ეს თითქმის საერთო სამდურავი და უკმაყოფილება ახალმა ხმოსნებმა თან შეიტანეს საბჭოში, და პირველ არჩევანებში თუმცა გამარჯვებით არა, კარგა ღონივრად იჩინეს თავი, ასე რომ საბჭო ორ ერთიმეორეზედ ორიოდე კენჭით მეტნაკლებ ბანაკად გაჰყვეს. მას აქეთ თითქმის ორი თვე გავიდა და, როგორც სჩანს, ამ ორ თვეში ამ სამდურავმა და უკმაყოფილებამ საბჭოში ფეხი გაიდგა და ხმოსანთა შორის უფრო მეტი მომხრეობა მოიპოვა. ამ

მატულობამ ბ-ნ იზმაილოვის არჩევანზე იმოდენად თავი იჩინა, რომ მომდურავთა ხმოსანთა კენჭმა, თუმცა ერთით, მაგრამ მაინც გადააჭარბა სხვებს.

ამბობენ, რომ ამ სამდურავს და უკმაყოფილებას არ უნდა აჰყოლოდნენ ხმოსნებიო, რადგანაც ჯერ გამორკვეული და გამოძიებული არ არის სამდურავის და უკმაყოფილების საბუთიო და, რაკი აჰყვნენ, უსამართლოდ მოიქცნენო. ხმოსანთა გასამართლებლად ამ შემთხვევაში ჩვენ ამას ვიტყვით, რომ აქ ისე მოიქცნენ, როგორც რიგი იყო და გარემოება ითხოვდა. თითოეროლა ხმოსანმა აკი სარჩიელი წარმოსთქვა საბჭოში, არჩევანები ქალაქის თავისა ერთი ორის თვით გადავდოთო. ამ ხანის განმავლობაში კომისიები თავისას იტყოდნენ გამგეობის ყოფილ საქმეთა შესახებ და ყოველს ხმოსანს ღონისძიება ექნებოდა ამ სამდურავს და უკმაყოფილებას საბუთი თუ უსაბუთობა რამ აღმოუჩინოს, და რატომ ყური არ ათხოვეს ხსენებულს სარჩიელს? ჰაიჰარად დანიშნეს ქალაქის თავის არჩევანი და კეთილსინდისიერი ხმოსანი ამ ჰაიჰარაობაში ერის ხმას უნდა აჰყოლოდა და ყოველ მხრიდამ მღალადებელს სამდურავს და უკმაყოფილებას ყურს ვერ მოუყრუებდა. აქ ბრალი იმისია, ვინც ამისთანა არასაჩქარო საქმეში ასჩქარდა, და არა იმისი, ვინც ერის ხმას აჰყვა და, მაშასადამე, თავის მოვალეობას არ ულალატა.

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<მიხეილ ყიფიანი>

ტფილისი, 9 მარტი

ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. უფულობა და უქონლობა კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა ულონოდაო, — ამბობს ვოლტერი, — და აი, ერთი ამისთანა საქვეყნოდ გამრჯელი და მხნე კაცი ჩვენ წინ გულხელდაკრეფილი ასვენია კუბოში და, ჩვენდა საუბედუროდ, ანდერძს ვუგებთ, რომ სამუდამოდ მივაბაროთ შავ მიწასა. მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთ მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოვლთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოუთვლიან ხოლმე, როგორიც მიხეილ ყიფიანი იყო. აი, ვინ დავკარგეთ დღეს, აი დღეს ვისა ვმარხავთ, აი, ვინ დაკლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს. ამისთანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა ერისა და ქვეყნისათვის.

ბევრმა არ იცის, რა კაცი იყო განსვენებული, რა ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე. არც ჩვენ ჩამოვთვლით ყოველს მას, რაც სიცოცხლეში მას ასულდგმულებდა, რაც ამოქმედებდა და რაც უსაქმია და უკეთებია. მან იგი სიკეთე ჰქმნა, რის შემძლებელიც იყო და „ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებელიც არის, ქვეყნიერობაზე უბედურნი აღარ იქნებიან“.

იგი საქმობდა, ირჯებოდა, მხნეობდა თავის პატარა ქვეყნისთვის და არა ჰყვიროდა კი ამას დაფითა და ნაღარით. იგი არ ეძებდა სხვის ქებასა და დიდებას. იგი ნიაღვარს კი არა ჰგვანდა „მღელვარეს, კლდესა მცე-

მელსა“, იგი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელი“ იყო და სწორედ ამისთანა კაცია მართლა ღირსი ქებისა და დიდებისა. იმიტომ რომ „მარტო ცუდ-მედიდობა ეძებს სხვის ქებას და ჭეშმარიტი საქმიანობა კი — ჩუმს მოწმობას სინიდისისას“. აი სად არის მიზეზი, რომ ბევრ კარგ საქმეთა მომქმედი მიხეილ ყიფიანი ისე ცნობილი არ არის ყველასათვის, როგორიც სასურველია.

„რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, — ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავსო“, — და აი, ჩვენდა საუბედუროდ, წუთის სოფელმა კუბოთი მოგვაყენა კარწინ ის პატიოსანი კაცი, რომლის პატიოსან გულშიაც ჩვენს პატარა სამშობლოს არამც თუ დიდი, მთელი ადგილი ეჭირა. სიყვარული ჩვენი ქვეყნისა, ჩვენის ერისა, მისთვის ცარიელი სიტყვა კი არ იყო, როგორც დღეს ბევრისათვის არის, არამედ იგი იყო დაულალავი ღონე გარჯისა და მხნეობისა. იგი აღამებდა დღეს და ათენებდა ღამეს იმ უანგარო ზრუნვით, იმ სიყვარულიან გულისტკივილით, რომ რითიმე გვარგოს, რაიმე შეგვძინოს. ამისი მოწამე მის მრავალგვარი ღვაწლია სხვადასხვა ასპარეზზედ, საცა კი მისი პატიოსანი გული მიაწვდენდა ხოლმე მის პატიოსანს ხელსა.

სულ ორი დღის წინათ, მინამ სიკვდილი სამუდამოდ დაადუმებდა ამ დაუდუმებელს, ქვეყნისათვის პატიოსანს კაცს, იგი იწერებოდა ტფილისში: „სტეფანწმინდაშიაც ვახერხებთ სკოლის გამართვასაო, იქაურ ყმაწვილებისათვის თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“. „ დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო!“ — სიტყვა აქ იმაში კი არ არის, რომ პატარა მოხევენი გაახარა, იმაშია, რომ თვით გაჰხარებია ბაშვების სიხარული, იმიტომ რომ ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამცნევს, ვერც აღიბეჭდავს. ნუ გგონიათ, რომ იგი წმინდა მადლი სხვის სიხარულით გახარებისა და, მაშასადამე, სხვის მწუხარებით მწუხარებისაც, ცოტა რამ იყოს. იგი პირველი ნიშანია დიდბუნებოვანობისა, დიდკაცობისა და მარტო რჩეულთა ამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნისათა მაგ მადლს ღმერთი კურთხევით უწყალობებს ხოლმე.

იგი იყო იმისთანა კაცი, რომელსაც, ინდოელებისა არ იყოს, დაბადების დღესვე ბედი ასე აკურთხებს და დალოცავს ხოლმე: „პაწია ყრმავ, ეხლა, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარეშემო კი ყველას სიხარულის ღიმილი მოსდის; იყავ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტირიროდნენ და მარტო შენ კი ღიმილი მოგდიოდეს“.

მშვიდობით! ვინც იცის შენი საქმენი, ყველანი სტირიან დღეს და მარტო შენ კი, როცა ეთხოვებოდი ქვეყანას, ღიმილი უნდა მოგსვლოდა, რადგანაც მამულს მამულისშვილობა გაუწიე და შენი ვალი შეასრულე.

[1891 წ.]



<რამდენი უნდა მიეცეს მუშაკაცს ცეცხლის გასაქრობად>

ტფილისი, 3 მაისს

ყოველს წელიწადს რუსეთში და ჩვენს ქვეყანაშიაც ცეცხლი ანადგურებს ხშირად ათასობით ტყეებს და ამით დიდს ზარალს აძლევს მკვიდრთა. მომეტებულის ზარალის ასაცილებლად და ტყეების შესანახად მთავრობამ დააკანონა, რომ ცეცხლმოკიდებული ტყეების გასაქრობად მახლობელი გლეხობა გამოიყვანოს პოლიციამ. ეს მოვალეობა მძიმე ტვირთად აწევს გლეხობას, რადგან მომეტებულ ნაწილად ტყეებს ცეცხლი ეკიდება ზაფხულში, სწორედ იმ დროს, როცა სოფელში გაცხარებული მუშაობაა და ყოველი წუთი მუშა ხალხისთვის ძვირადა ღირს. მუშაკაცის გაყვანა ამ დროს ცეცხლის- გასაქრობად ხშირად ძალიან შორეულს ადგილს იმის ბინადრობისაგან, ორის კვირით და ერთის თვით დიდად აზარალებს გლეხის მეურნეობას და შეიძლება მოსავალი მინდორში დარჩეს. ამისთვის მთავრობამ განიზრახა დააჯილდოვოს ტყის პატრონის ხარჯით ის ცეცხლის მქრობელნი, რომელნიც შორის სოფლებიდგან არიან დაძახილნი. ფასის რაოდენობის აღრიცხვა მთავრობამ დაავალა სათემო დაწესებულებას და იმ ადგილებში, სადაც ერობა შემოღებული არ არის, საგლეხო პრისუტსტვიებს და სხვა ამგვარს დაწესებულებათ. ბრძანება სენატისა ამ საგნის შესახებ გამოიცა 1872 წელს, მაგრამ შარშანდლამდე ეს ბრძანება საქართველოს არ შეეხებოდა. შარშან ტფილისის საგუბერნიო საგლეხო პრისუტსტვიესაც მოუვიდა ბრძანება, შეიმუშავეს ნიხრი, თუ რამდენი უნდა მიეცეს მუშაკაცს, გამოწვეულს ცეცხ-

ლის გასაქრობადაო. ამის გამო საგლეხო პრისუტსტვიემ შარშან, 31 დეკემბერს, თავისს კრებაზედ დაადგინა, რომ თითო კაცს მიეცეს დღეში ექვსი შაური. ფული უნდა გადაიხადოს ტყის პატრონმა. ეს ფასი მიეცემა მხოლოდ იმ მუშებს, რომელნიც იქმნებიან გამოწვეული თხუთმეტის ვერსის მანძილზედ იმ ალაგიდგან, სადაც ცეცხლია გაჩენილი. ეს გადაწყვეტილება საგლეხო პრისუტსტვიისა, დამტკიცებული ტფილისის გუბერნატორისაგან, იქმნება ამ დღეებში გამოცხადებული გაზეთ „კავკაზის" ოფიციალურს ნაწილში და ადგილობრივი მოხელენი მოვალენი იქნებიან იხელმძღვანელონ ასეთის განკარგულებით.

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<რედაქტორის შენიშვნა>

რაც შეეხება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ანგარიშის შეცდომათა შესწორებას, თავ. მაჩაბელს სრული ნება აქვს შეასწოროს და ჩვენც დავბეჭდავთ შეუცვლელად, ხოლო თუ ჰსურს „საზოგადოდ ბანკის მთელის დავიდარაბის გამორკვევა“ ეგ სულ სხვა საგანია და ამაზე ცალკე წერილი გვიბოძოს და ჩვენც დავბეჭდავთ შეუცვლელადვე იმ პირობით კი, რომ ჩვენც თუ საჭიროდ დავინახავთ, პასუხს გავცემთ და ამ საგანზე ბაასი ამით გათავდება. თორემ უკანასკნელი სიტყვა მე მომეცითო, თუ ვინიცობაა საბაასო „საგანს სრულიად გამორკვეულად არ ჩავთვლიო“ — ეგ მეტისმეტი და ყოვლად შეუწყნარებელი პირობაა.

გაზეთში მოქცეული საბაასო საგანი გამორკვეულია თუ არა, ეგ რედაქტორის საქმეა. ამაზე „ჰოსა და არას“ თქმა რედაქტორის ხელშეუხებელი უფლებაა და ნურას უკაცრაოდ, რომ ამ უფლებას მე, ვითარცა რედაქტორი, არ ჩამოვირთმევ არავის თხოვნითა. ვერა რედაქტორი ვერ მისცემს ნებას გარეშე კაცს, მაშინ შესწყვიტე ბაასი, როცა შენ დაინახავ საგანს გამორკვეულადაო. ეგ რომ ასე იყოს, მაშინ ბაასის ამტეხის ხელთ იქნება თუნდ მთელი წელიწადი, მთელი გაზეთი თავის ბაასს მოანდომოს. აქაო და ჯერ „საგანს გარკვეულად არა ვთვლიო“, განა ეს შესაწყნარებელია?

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი

დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის დაკარგვით ქართველობამ დაჰკარგა დიდად ღვაწლმოსილი კაცი, ჩვენმა ქვეყანამ — თავისი ჭეშმარიტი შვილი, საქართველოს მწიგნობრობამ, ჩვენმა ნორჩმა საისტორიო და სალექსიკოგრაფიო მეცნიერებამ — იშვიათი მოყვარე, დიდი მოკეთე და მოტრფიალე. არ გვეგულება თითქმის ისეთი მცირეოდნად ნასწავლი და გაგებული ქართველი, რომ დავით იესეს ძის სახელი არ გაეგონოს, იმისი ზოგიერთი ნაშრომ-ნაღვაწი მაინც თავის თვალით არ ენახოს და ასე თუ ისე არ გამოეყენებინოს.

თავის ხანგრძლივს პროფესორობაში განსვენებულმა ბევრს ჩაუნერგა გულში სიყვარული სამშობლო ქვეყნისა, დედა ენისა, ქართულის მწიგნობრობისა, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა. იმისი მხნეობა და სიყვარული შრომისა ხომ უკეთესი მაგალითი იყო მის ხელში გამოვლილ ახალგაზდათა გაწურთვნისა და კაცად გადაქცევისათვის.

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით დაწვრილებით რა გააკეთა თავის ქვეყნისათვის აწ განსვენებულმა, დამსახურებულმა პროფესორმა, რადგან ასეთი ვრცელი აღწერა მისის ღვაწლისა და ცხოვრებისა უკვე იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი შარშან მაისში, როცა დავითის მეგობართა და თაყვანისმცემელთ მის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეი იდღესასწაულეს. ვიტყვით მხოლოდ, რომ დავით იესეს ძე ღირსეული განმგრძობი იყო იმ სახელოვანის ღვაწლისა, რომელიც დაიწყო მეთვრამეტე საუკუნეში მთელმა გუნდმა დიდად ნიჭიერის მამულისშვილებისამ: გვირგვინოსანმა ვახტანგ სჯულმდებელმა და ბატონიშვილებმა: ვახუშტიმ, თეიმურაზმა, ანტონ კათალიკოზმა და სხვ.

დავით იესეს ძე ისეთს დროს დაიბადა, ისეთს ვითარებასა და გარემოებაში აღიზარდა, ისეთს ოჯახში განატარა თავისი ყმაწვილობა და ისეთს ჰაერში ტრიალობდა ჭაბუკობაში, რომ თითქმის სიყრმიდამვე დედის ძუძუსთან ერთად, შეითვისა და შეიტკბო სიყვარული თავის სამშობლოსი, თავისი დედაენისა, მწერლობისა და ისტორიისა. არა გვგონია, რომ ამათზე მეტად სხვა რამ ჰყვარებოდა განსვენებულს თავის ხანგრძლივს სიცოცხლეში და ის სწორედ ეს ხანგრძლივი სიცოცხლე განსვენებულმა იმას შეალია, რომ დიდის თავგამოდებითა და მხნეობით შეიმუშავა დედაენის გრამატიკა, შეაგროვა კოლექცია ძვირფასის ძველის ხელნაწერებისა, იშრომა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისთვის.

იმისი სალექსიკოგრაფიო ნაშრომ-ნაღვაწი ხომ, დაწყებული სიყრმიდგანვე და არ შემწყდარი მის უკანასკნელს სულისდგმამდე, — ეს ნამდვილი სალარო და საგანძე ქართულის ენისა, მისი დაუჭკნობელი გვირგვინია, მისი საუკუნო ძეგლია, მისი შარავანდედია.

დიალ, დავით იესეს ძეს სრული ნება ჰქონდა ეთქვა ანტონ კათალიკოზისამებრ: მოვისვენე სხვათა ყოველთა ზრუნვათაგან, ხოლო ვერა მოვისვენე საქართველოს ზრუნვისაგანაო. მთელი მისი ცხოვრება და სიცოცხლე ერთი გამუდმებული, ფრიად ნაყოფიერი ჯაფა და ზრუნვა იყო საქართველოს სასახელოდ და სადიდებელად.

სახელი და დიდება იმისთანა შვილს, რომელიც მისებრვე თავდადებით, მისებრვე დაუღალავობით იშრომებს და იზრუნებს თავის ქვეყნისათვის.

მარტო ამისთანა მამულისშვილის ხსენება და კურთხევა იქნება საუკუნო, მარად დაუვიწყარი შვილთა და შვილიშვილთაგან. სწორედ ამისთანა შვილი იყო მამულისა აწ განსვენებული დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი.

საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი!

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „ნოვოე ობოზრენიის“ დღევანდელს ნომერში საყურადღებო ფელეტონია დაბეჭდილი „მეთვალყურესი“. წერილი შეეხება ისევ იმ ბარაზდინს, რომლის შესახებ ჩვენს გაზეთშიაც არაერთხელ გვქონია ლაპარაკი და რომელიც ისევ თავისას გაიძახის, ამიერკავკასიაში ყაზახი რუსები უნდა დავასახლოთო. აი ეს ლუსმნად აქვს ჩამჯდარი ბარაზდინს ტვინში და არც დღე აძლევს მოსვენებას და არც ღამე. მწერლობს და ისე კალამს არ აიღებს ხელში, რომ ამას არა ჰქადაგებდეს, ამას არა სწერდეს, ამას არ გაიძახოდეს ვაქირულის დაჟინებით. ყოველ ახალ წერილთან ამ საგნის შესახებ სცდილობს ახალი საბუთი გამოუძებნოს თავის აზრს. აი ეხლა კიდევ ჟურნალ „Русский Вестник“-ის VII №-ში დიდად ვრცელი და გახიახებული წერილი დაუბეჭდია ამ კატკოვის მიმართულების დევგმირს შემდეგის სათაურით: „Переселенцы в Закавказьи“. ტფილისის გაზეთიც ამ წერილს შეეხება: ბ-ს ბარაზდინს ეხლა კიდევ ახალი საბუთი გამოუძებნია თავისის აზრის დასამტკიცებლად, და მერე, რომ იცოდეთ, რა უცნაური, რა ახირებული და განსაცვიფრებელი საბუთი!

„მანგლისი და დედოფლის წყარო, ერევნისა და გრუზინსკის პოლკების სადგომად, ერმოლოვის დროს პოლკის უფროსმა ნ. ნ. მურავიოვმა ააშენაო“ — მოგვითხრობს ბ-ნი ბარაზდინი: „როცა იგივე კავკასიის მთავარმართებლად იქმნა დანიშნული 1855 წ., ინახულა მანგლისი და ჯარის სადგომებს დაუწყო სინჯვა. აქ

დახვდნენ მოხუცებულნი, რომელთაც მასთან ერთად ემსახურნათ და რომელნიც თითქმის სათითაოდ ახსოვდა. დიდად გულისამაჩვილებელი იყო ეს სურათი. მურავიოვი იმათთან სახლშიაც შევიდა, იმათი ოჯახი დაათვალიერა, ჰნახა იმათი ყმაწვილებიც, რომელნიც პოლკის სასწავლებელში სწავლობდნენ წერა-კითხვას, გამოსცადა; ყმაწვილებთან ლაპარაკში შუადღემდე გაატარა. სალამოზედ ერევნის ჯარში ნამსახურებმა თავისი „ბიძია“ აბანოზედ დაჰპატიჟეს და აქაც კაი ამბავი ელოდდა: მის საბანებლად აქაც ის ჯარის მედოლე მოვიდა, რომელსაც ვინ იცის, რამდენჯერ უბანებია. „ეფრემოვ, შენა ხარო?... დაიძახა გულამომჯდარმა მოხუცმა ნ. ნ., თვალზედ ცრემლმორეული, გადაეხვია უწინდელს ჯარის მედოლეს“.

განა რომ კარგი და გულისმოსალბობი ამბავია! მერე რაო? ისაო, რომ აქედგან ბ-ნს ბარაზდინს თავისის ფილოსოფიით სულ სხვა დასკვნა გამოჰყავს: ამ უბრალო ამბავსაც იმად ჰხმარობს, რომ აქედგან საბუთი უნდა გამოაკვესოს რუს ყაზახების კავკასიაში დასახლებისა. საკვირველია განა? საკვირველიც არის და საოცარიც. აბა მოუსმინეთ: „რუსს კავკასიელისათვისაო, — ღრმად ჰფილოსოფოსობს ბ-ნი ბარაზდინი, — ამ ამბავს დიდი, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე, ამიერკავკასიაშიც ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც დაცულ და ფესვმაგრად შენახულ იყო რუსული ტრადიციები (?), სადაცა ათიოდ-ოციოდე წლის შემდეგ მახლობელთა (?) ნახვა შეიძლებოდა. აბა, როგორ არ უნდა სცდილიყვნენ და არ გაეძლიერებინათ ასეთი ადგილები? ჩვენი მეცნიერები კი სულ სხვასა ჰფიქრობდნენ და ერთის კალმის მოსმით გააუქმეს ეს ადგილები“.

წარმოიდგინეთ, ამ რუსთა მიერ დაჭერილს ადგილებს პატრონი ჰყავდა თურმე და ის პატრონები თხოულობდნენ, რომ ჩვენი ადგილები ან ისევ დაგვიბრუნეთ ან ღირებული ფასი მოგვეცითო. სამხედრო სამინისტროც ადგა და ისევ ჩააბარა თავისი მამულები. აი, ამ სამხედრო სამინისტროს უკიჟინებს ბ-ნი ბარაზდინი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს სახელით. მაშ რა უნდა ექმნათ, ხალხისათვის საკუთრება უნდა წაერთვათ რაღა

და შეუწყნარებელი უკანონობა და უსამართლობა ჩაედინათ? ბ-ნს ბარაზდინს კანონიცა და სამართალიც ბუზის აფრენად არ მიაჩნია, ოლონდ კი რუსული ორთქლის აბანოები ჰნახოს ამიერკავკასიაში. იმისი იდეალი სამხედრო ხალხის დასახლებაა კავკასიაში, რუსეთიდგან აქ ყაზახების გადმოსახლებაა, და თუ ეს საქმე აქამდე ვერ ხერხდება ეს, სულ ადმინისტრაციის ბრალია, იმას რომ ჰკითხოთ. ბ-ნი ბარაზდინი არც ისტორიას უგდებს ყურს, რომელმაც ასე უმსგავსად გადასახლებას ხალხისას დიდი ხანია თავისი მსჯავრი დასდო, არც მეცნიერებასა და არც წარსულს გამოცდილებას. სამართლიანად ამბობს ბ-ნი მეთვალყურე:

მართლაც, განა სათქმელია ის, რომ დიდძალი დაუსახლებელი ადგილებია ამიერკავკასიაში, სადაც „კავკასიის კალენდარის“ ოფიციალურის ცნობებით ყოველ ოთხკუთხ საჟენზედ 22 კაცი მოსახლე მოდის. ამავე დროს შიდა რუსეთში, საიდგანაც მოდიან გადმოსახლებულნი 18 კაციც არ ასახლია. ესეც არ იყოს, იმავე ოფიციალურის ცნობებით სჩანს, რომ ორის დღიურის მიწის ფასი, მაგალითებრ, ქუთაისის გუბერნიაში 2000 მან. უწევს.

მართალია, შავის ზღვის ნაპირები და ყარსის ოლქი შედარებით არ არის დასახლებული და იქ მართლაც შეიძლება რუსეთის შიდა გუბერნიებითგან გადმოსახლებულთა დასახლება, თუნდა ადგილობრივ მკვიდრის საჭიროებაც რომ არ ვიქონიოთ მხედველობაში. კარგი, მაგრამ განა ერთხელ და ორჯელ დარწმუნდნენ გამოცდილებით ყველანი ბ-ნ ბარაზდინისთანა ფანტაზიორების გარდა, რომ სწორედ ეს ადგილებია უფრო ნაკლებ გამოსადეგი რუს გადმოსახლებულებისათვის? თვით ამ ადგილებში დასახლებულნი გარბიან აქეთგან და იმედგაქსუებულნი ბრუნდებიან თავის წინანდელ ბინაზედვე.

დარწმუნდნენ, ჰნახეს, შეიგნეს, მაგრამ... ბ-ნი ბარაზდინი და შეგნება განა მოთავსდებიან ერთად. იმას ერთი და ერთი თავისი დაუხვევია თითზედ და იმას გაიძახის შეგნებასთან, გამოცდილებასთან, წარსულ მაგალითთან რა ხელი და საქმე აქვს აბა?! სადაც კაცი იმას ჰქადაგებს, რომ ადგილობრივ მკვიდრისთვის უნდა

წაგერთმიათ მამულები და ჯარში ნამსახურ რუსებისათვის დაგერიგებინათო, იმასთან განა გონიერებასა და შეგნებაზედ ლპარაკილა შეიძლება და განა იმას სამართლიანად სჯალა მოეთხოვება?!

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<პროფესორ დ. ი. ჩუბინაშვილის მემკვიდრეების კეთილი თაოსნობა>

ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო ერთი საყურადღებო და თან დიდად სასიამოვნო ამბავი. პეტერბურგიდამ გვაცნობეს, რომ დ. ი. ჩუბინაშვილის მემკვიდრეებს შემოუწირავთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის. გამავრცელებელი საზოგადოებისათვის" ძვირფასი ბიბლიოთეკა განსვენებულის პროფესორისა.

ამ ბიბლიოთეკაში დაცულია მრავალი ძველი ქართული ხელნაწერი, მრავალი ძნელად მოსაპოვებელი წიგნი, შესახები ჩვენის წარსულის ცხოვრებისა და დაბეჭდილი სხვადასხვა ევროპულს ენაზედ.

განსვენებული დავით იესეს ძე დიდი მოყვარული იყო ასეთის ხელნაწერებისა და წიგნებისა და თავისს ხანგრძლივს სიცოცხლეში დიდის გულდადებითაც აგროვებდა ისეთს წიგნებსა და ხელნაწერებს, რომელიც ჩვენის ქვეყნის წარსულს, მის ისტორიასა და მისს ლიტერატურას შეეხებოდა.

დავით იესეს ძე ყმაწვილობიდამვე შეუდგა ამ საქმეს და ღრმა მოხუცებამდე ნელ-ნელა აგროვებდა, ოცისა და ორმოცის წლის განმავლობაში, ჩვენის ენისა, მწიგნობრობისა და ლიტერატურის საუნჯესა.

აგროვებდა და ინახავდა დიდის მზრუნველობით, დიდის სიფრთხილითა და ფარეზობით და აი ამ სახით შესდგა ძვირფასი წიგნთსაცავი, მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი სალარო, რომელშიაც დაცულია აუარებელი მასალა ჩვენთა მამა-პაპათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახები.

სასიამოვნოა ის ამბავი, რომ ასეთი ძვირფასი განძი, ასეთი საუნჯე საქართველოს გამოსწირეს განსვენებუ-

ლის პროფესორის მემკვიდრეებმა და საქართველოს ღვიძლის შვილის მონალვაწევი და ნაჭირნახულევი ბიბლიოთეკა იმასვე დაუბრუნეს, ვისთვისაც ისე თავგამოდებული ზრუნავდა და იღვწიდა თავისს ხანგრძლივს სიცოცხლეში ბიბლიოთეკის ღრმად მოხუცებული პატრონი.

ასეთი უხვი შეწირულობა დიდსა და მძიმე ვალსა სდებს როგორც „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას", ისე მთლიანად ქართველობასაც. „წერა-კითხვის საზოგადოების" ბიბლიოთეკა ისედაც მდიდარი და ძვირფასი ბიბლიოთეკა იყო, გულდადებით შეგროვილი მთელის ათისა და თორმეტის წლის განმავლობაში და ამ ახალისა და უხვის შემოწირულობით ხომ უფრო გამდიდრდება და გაიმატებს. ცხადია, ამის გამო უნდა იმატოს ერთიორადა და სამად ჩვენმა ზრუნვამაც, როგორც მის შესაფერად დაცვისა, ისე გამოყენებისათვისაც.

დღემდე ბიბლიოთეკისათვის არა გვაქვს ნაზრუნი განსაკუთრებული, ცეცხლისაგან უზრუნველი შენობა. აქამდინაც დრო იყო და ახლა ხომ უფრო დროა ამ საგნისათვის იზრუნოს რამე „წერა-კითხვის საზოგადოებამაცა" და საზოგადოდ მთელმა ჩვენმა ქვეყანამაც. ბიბლიოთეკის დაცვა, მისი რიგიანად მოვლა და შენახვა დიდი საქმეა და ამ დიდს საქმეს დიდი გაძღოლაც უნდა.

ვრცელის, სამეცნიერო კატალოგის შედგენის გარდა, საჭიროა ბეჭდვა და გამოქვეყნება იმ საისტორიო და სალიტერატურო მასალისა, რომელიც დაცულია ხელნაწერებად ამ ბიბლიოთეკაში.

ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, რომ ამ საქმისთვის ცალკე განყოფილება შესდგებოდეს „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა" და ის განყოფილება იტვირთებდეს ბიბლიოთეკის მოვლას, მის განგებასა და წარმართვას.

როგორც შევიტყვეთ, „საზოგადოებას" აზრად აქვს ხელის მოწერა გაჰმართოს ბიბლიოთეკისათვის საკუთარის, ცეცხლისაგან მიუკარებელის შენობის ასაგებად. შენობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მსურველს შეეძლოს შიგ მუშაობა, კვლევა და ძიება ძველის ხელ-

ნაწერებისა, საქართველოს შესახების წიგნებისა და გამოკვლევებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგებება ამ ამბავს და არც დაიშურებს იმ წვლილის შეწირვას, რომელიც ასე საჭიროა, რომ ახალის შეწირულობით უფრო გამ-დიდრებულისა და გამატებულის ბიბლიოთეკის — ამ საეროვნობო განძისა და საუნჯის საქმე კარგად მოეწყოს, მკვიდრსა და საფუძვლიანს ნიადაგზე დამყარდეს ერთხელვე და სამუდამოდ. და აი, როცა ასე გაიმართება ბიბლიოთეკა, როცა ასე მოეწყობა მისი საქმე, სწორედ მაშინ შეგვძენს დიდს სარგებლობას ეს ერთად ოავმოყრილი, აუარებელი საბიბლიოგრაფიო მა-სალა, ერთს უზრუნველყოფილს ალაგას დაცული და შესაბამად მოვლილ-განგებული სალარო. მხოლოდ მა-შინ შეგვეძლება ჩვენცა ვსთქვათ, რომ ხელში გვაქვს დიდი და თავმოსაწონებელი სიმდიდრე, რომელსაც გულხელდაკრეფილი კი არ შევსცქერით, რომელიც უქმად კი არ გვიწყვია, უქმად კი არა გვაქვს შკაფებსა და განჯინებში ჩაკეტილი, არამედ ლამპარივით არის ანთებული და გვინათებს იმ წარსულს ცხოვრებას, იმ თავგადასავალს ჩვენის მამა-პაპისას, რომელიც დღემდე სიბნელით იყო მოცული და რომლისაც დღევანდელმა საქართველოს შვილებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არაფერი არა ვიცოდით-რაო.

სწორედ ამ ლამპარის ანთებას უნდა ვეცადნეთ ყველანი საერთო ძალითა და ღონით, და არ დავიშუ-როთ ამისათვის არც თითო შაური და აბაზი და არც თითო და ორ-ორი საათი გარჯისა და მუშაობისა. თითო შაური და აბაზი, არა კიდევ თითო საათი გარჯა-შრომისა, საერთო საქმისათვის შეწირული, არ-ვის არ დაგვლუპავს და არ დაგვანელებს, ხოლო თვი-თონ საქმეს კი, საერთო, საყოველთავო საქმეს, დიდად წინ წასწევს და ფრთებს შეასხამს.

[1891 წ.]

<ქალაქის გამგეობის მტკივნეული საკითხები>

ტფილისი, 31 ოქტომბერი

ჩვენის ქალაქის საბჭოს ყოფაცხოვრებას რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ იგი პირისპირობა, იგი აზრთა აღებ-მიცემობა, იგი სხვადასხვა შეხედულობათა ერთმანეთთან გაკამათება, რომელიც აუცილებელია და, მაშასადამე, ბუნებური ყოველი ამგვარ კრებისათვის, როგორიც საბჭოა, დღეს სწორედ ომად არის გადაქცეული, იმგვარ ომად, საცა ყოველი უკადრისი ლონისძიებაცკი საკადრისად არის გამხდარი, ოღონ კი გამარჯვება დაინარჩუნონ.

ეს საბჭოს ორ დასად დაყოფვა და ამ ორ დასთა ერთმანეთთან დატაკება ბოლონდელ არჩევანების პირველს ხანებშიაც გამომჟღავნდა, მაგრამ დღეს ეს დატაკება გადამტერებად შეიქმნა და ომი უფრო გაცხარებულია, უფრო გამწვავებულია და იმოდენად გაძლიერებული, რომ მშვიდობიანი, ჭკვადამჯდარი და საქმიანი პირისპირობა და აზრთა კამათი ლამის შეუძლებელიღა გახდეს. ეს ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდს ვნებას მოუტანს ქალაქსა, რომლის უსაჭიროესნი საქმენი, შესაძლოა, ინაცვალოს ამ მდგომარეობამ და მთელი ეს ოთხი წელიწადი ახალ არჩევანამდე უქმად შეელიოს ტყუილუბრალო წეწვა-გლეჯასა.

ვინ, ან, უკედ ვსთქვათ, რომელმა დასმა მიიყვანა საქმე ამ გამწვავებამდე, ამ გადამტერებამდე, სასურველია კაცმა ბეჯითად გამოარკვიოს, რომ თუ დღეს არა, მაშინ მაინც, როცა განკითხვის დღე მოვა, დამნაშავემ თავისი ბრალი სხვას არ მოახვიოს თავზე და თავისი ჯეროვანი სასჯელი მიიღოს.

რა თქმა უნდა, ვისაც ჩვეულებად აქვს მიღებული წყლის მღვრევა და მღვრიე წყალში თევზის ჭერა, იგი ადვილად იპოვის დამნაშავეს, თუმცა თვითონვე გულში დარწმუნებული იქნება, რომ სტყუის და ატყუებს სხვას, რომელსაც საკუთარის თვალით სინჯვა არ შეუძლიან.

ამგვარს განგებ მტყუანა მკვლევარს საქმის გარემოებამ ხელთ მისცა იმისთანა საბუთი, რომელიც თვალად მართალსა ჰგავს, გულით კი სულ სხვის მომასწავებელია. საბუთი იმაშია, რომ, მინამ ქართველობა და რუსობა შევიდოდა საბჭოში, საბჭოს საქმენი მდოვრად, მშვიდობიანად მიმდინარეობდნენ, წინ არა ეფეთებოდათ რა, გამგეობა იტყოდა რასმე, საბჭო ნიშნად თანხმობისა თავს აკანტურებდა და „ბალი აღაო" იძახდა. ახალნი ხმოსნები შევიდნენ თუ არა, აირია მონასტერი, ასტყდა კამათობა, ჩხრეკა, სინჯვა, განკითხვა და აწონ-დაწონვა, აღარც უგემური კანტურია თავისა, აღარც მთქნარებით ამოძახილი ბალი აღაობა. აი მტყუანა მკვლევარი ამ გარემოებას ჩაჰკიდებს ხელს და იტყვის, მინამ ესენი არ იყვნენ, მშვიდობიანობა იყო საბჭოში, შემოვიდნენ და ერთი ვაივაგლახი და ალიაქოთი ასტყდაო. მაშ ვინ არიან დამნაშავენი, თუ არ ესენი, ეს ბატონები, ახალი ხმოსნებიო?

ესე დაყენება საქმისა, რა თქმა უნდა, მტყუანს მკვლევარს ლარს გაატაინებს უმეცარის თვალში და ტყუილს მართლად გაასაღებინებს. ზოგიერთი აქაური მეგაზეთე დღე ყოველ ამის მეტს სხვას არას ამბობს, როცა კი ეხლანდელი შედგენილობა საბჭოსი თვალწინ წარმოუდგება ხოლმე მისდა გულსაკლავად და სავალალოდ.

ჩვენის ფიქრით კი, მძიმე ცოდვა გადამტერებისა, ომის გამწვავებისა უნდა იკისროს ქალაქის წინაშე ეგრედწოდებულმა „ძველ გამგეობის" დასმა. ამ დასში იმოდენად გონებაგახსნილნი წევრნი არიან, რომ არ შეიძლება არ სცოდნოდათ, არ გაეგოთ — რა შეიტანა ახალს საბჭოში ახალთა ხმოსანთა დასმა. ისინი აჰყვნენ გონებადახშულ წვრილფეხობის ხმას, ვითომც ახალთა ხმოსანთა შესვლა საბჭოში მოასწავებს ქართ-

ველობის და რუსობის გაძლიერებას ქალაქში და ქალაქის საქმეთა წარმატებაში და სომხობას ამით ფრთა შეეკვეცება.

ამ ხმამ დააფეთა ტყუილუბრალოდ შეშინებული გონება ძველის გამგეობისა, რომლის მომხრეთა ვალად დაიდვეს ქალაქის საქმეთა რიგიანად მსვლელობა კი არა, არამედ დაცვა თავის ვინაობისა და ლამის ამ აზრს ანაცვალონ მთელი ქალაქი მთელის მისის ინტერესებით. რაკი იმათ მოქმედებას სარჩულად ეს ვნებათა ამშლელი აზრი დაედვა, რაღა საკვირველია, რომ თავდაუჭერელი გულთავნება, შიშისაგან გაძლიერებული, თავისას იქმოდა, რადგანაც გულთავნება ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ საკმაოა გულში დაიბუდოს, მცირეოდენი ადგილი დაიჭიროს და მერე მთელს აგებულებას მოედება, როგორც ცეცხლი ჩალასა, თუ ნამეტნავად დამშლელი არავინა ჰყავს. რაღა საკვირველია, რომ გულთავნებით გაფიცხებულებმა, საერთო საქმე დაივიწყეს და პირად მტრობაზე გადაცვალეს.

საქმე კი ცხადი იყო, რომ ფაფისაგან შეშინებულებს დოსთვის ბერვა არ დაეწყოთ. რა ითხოვეს, რითი წარსდგნენ ქალაქის წინაშე ახალი ხმოსნები, რა მოინდომეს ისეთი, რომ ბრალი დაედოთ ან თავიანთ ვინაობის გაძლიერებისა ან სხვისის დაუძლურებისა, თუ განდევნისა? აბა ერთი მაგალითი გვიჩვენონ. ნუთუ ძველმა გამგეობამ, ანუ მისმა დასმა ვისიმე ვინაობის დამხობად მიიღო ისა, რომ ახალთა ხმოსანთა ითხოვეს, — ნურას საქმეს ნუ გადავწყვეტთ განურჩევლად, გამოუკითხავად, აუწონ-დაუწონებლად, ყოველს საქმეს გონება, ცოდნა, გამოცდილება წავუმძღვაროთ და, რაც ამათგან შემოწმებულმა სინიდისმა გვაგონოს, ისე გადავწყვიტოთო. ეს, მართალია, გაძლიერებაა, გაღონიერებაა, ხოლო განა მარტო ქართველობისა, ან რუსობისა და არა მთელის საბჭოსი?

ნუთუ ამ გზაზე დაყენება ქალაქის საქმეთა ქართველობის, რუსობის, გაძლიერებას ჰნიშნავს? თუ ესეა, მაშ შაბაშ ქართველებს, რუსებს და ყოველთ იმათ, ვინც ამ გზაზე მოარულს მხარს მისცემენ და ვაი იმათ, ვინც ამ გზისაგან ჰშიშობენ, ამ გზას უფრთხიან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ვაი იმათ, ვინც ამ გზიდამ გადახვევას თავის ვინაობის ნიშნად ჰხადიან.

ჩვენ, რასაკვირველია, ვერავითარს რჩევას ვერ მივცემთ გულთავნებით თავბრუდასხმულებს: ისინი ამ საუბედურო სენის წერისანი არიან და დღესა თუ ხვალ გადიჩეხებიან სადმე. იმათგან საქმის გასწორება შეუძლებელია, რადგანაც უკურნებელი სენი სჭირთ. მერე კეთილისმყოფელნი მეგაზეთებიც უფრო უძლიერებენ სნეულებას. ეს, რა თქმა უნდა, ვერაფერი ნუგეშია ქალაქის საქმეებისათვის, რომელნიც არ შეიძლება ამ სამწუხარო გარემოებამ არ დააბრკოლოს. რომ ეს არ მოხდეს, ერთადერთი ღონე, ეგრედწოდებული, ოპოზიციაა. ამან უნდა თავს იდვას მძიმე ტვირთი ქალაქის საქმეთა მსვლელობისა, ეს უნდა გაუძღვეს ყოველს კარზე მოდგომილს საჭიროებას ქალაქისას დაუხანებლივ, დაუყოვნებლივ და ქარის წისქვილებთან ბრძოლა და ომი კი მიანებოს „ძველ გამგეობის“ მომხრეთა.

ხოლო არც ოპოზიციაა ისე განწყობილი, ისე დარაზმული, როგორც თვით ბუნება მისდა წარმომადგენლობის მინდობილობისა ითხოვს ერთის მხრით და მეორეს მხრით გარემოება დღევანდელის საბჭოსი. ამის თაობაზე „Новое Обозрение“-ს №2701-ში მშვენიერი წერილი იყო ფელეტონად დაბეჭდილი. იგი წერილი სამართლიანად უსაყვედურებს ოპოზიციას, რომ შეერთებული შრომა არა გაქვთ, ერთი ალთას იწევს, მეორე ბალთასო და ხშირად სწყვეტავთ საბჭოში საქმეს, რომელიც წინად შესწავლილი არა გაქვთო. „ისინი, ვისაც ერთი და იგივე აზრი და წადილი აქვთო, — ამბობს იგი წერილი, „ღონისა და შრომის გამოზოგვისათვის ისე იქცევიან, რომ თვითეულს ცალკე არ მოუნდეს ყოველის საქმის შესწავლა და ჩხრეკა, რადგანაც ერთს კაცს არც ღონე გაუწვდება, არც დროო. ამის გამო ირჩევენ ხოლმე ერთს მეთაურსა და ზოგჯერ კამიტეტსაც მიუჩენენო და მიანდობენ უწინამძღვროს ისე, რომ არავითარი საქმე, არავითარი ამბავი, არავითარი საგანი, არავითარი წვლილი უეცრად არ გამოუტყვრეს დასსაო და ყოველი წინად დანახული და განსჯილი იყოსო. იგი მეთაური გაანაწილებს საშ-

რომელსა დასის წევრთა შორის იმისდა მიხედვით, ვინ
რა ცოდნისა და ნიჭის პატრონიაო". — „ამ გზით დასი
გამოარკვევს შესახებ ყოველის საქმისა, საგანისა და
საკითხავისა თავისს საკუთარს აზრს, საკუთარს
შეხედულობას, რომელიც შესაფერი იქმნება მისდა
პატიოსნებისა და მოთხოვნილებისაო. დასი მაშინ
უფრო მედგრად და ცნობიერად იდგება თავისს აზრსა
და მოთხოვნილებაზეო, ტრადიცია გაჩნდებაო.
მკვიდრნიც გაიგებენ არამც თუ იმას, რას ჰნდომობს
დასი, არამედ იმასაც, რად ჰნდომობს, რა საბუთით
ჰნდომობს, რა სიმართლე მიუძღვის და მკვიდრთა რო-
მელს ნაწილს ხელს უმართავს და რომელს ხელს
უცრისო. მარტო ამ გზით თვითმართველობა ფესვს
გაიკეთებს ერის ცნობიერებისა გულში, და მინამ ეს არ
არის, თქვენი ლაპარაკი, რაც გინდა ბრწყინვალეც
იყოს, ერის გულამდე ვერ მიაღწევს და დარჩება ვი-
თარცა ხმა მღაღადებელი უდაბნოშიო".

აი ჭეშმარიტი გზა, რომელიც ერთად შეჰკრებს და
შეჰკრავს მთელს ოპოზიციას, გააძლიერებს და
გააღონიერებს ურთიერთობით, საქმესაც გააკეთებინებს
ცნობიერად, ჭკვა დასმით და თვით ქალაქის მკვიდრ-
თაც დაანახვებს უტყუარად, სად და რომელს დასში
უნდა ეძიოს თავისი კეთილისმყოფელნი.

ჩვენ ვურჩევთ, ყოველმა წევრმა ეგრედწოდებულ
ოპოზიციისამ გუნებიანად წაიკითხოს იგი წერილი,
რომლის მცირეოდენი ნაწილი ჩვენ აქ მოგვყავს.

[1891 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

<ქალაქის ძველი გამგეობის მუშაობის შესახებ>

ტფილისი, 2 ნოემბერი

გარედამ მაყურებელი ჩვენის ქალაქის ძველ გამგეობის ამბებისა ვერაფერს ყოფაშია, იმიტომ, რომ სამდურავი გამგეობისა ხშირად ისმის, იმასაც ვხედავთ, რომ ეგრედწოდებული ოპოზიცია სწუნობს ძველს გამგეობას, იმისს რეჟიმს, იმისს წესს საქმეთა წარმოებისას, აბრალებს კიდეც, რომ ქალაქის უსაჭიროესს ინტერესებზე ყურმოყრუებული იყოვო, ბევრში აზარალა ქალაქიო, მაგრამ დღესაქამომდე ოპოზიციას არც საბჭოში, არც აქაურს ჟურნალ-გაზეთებში იმისთანა საბუთი არ უჩვენებია, რომ პირუთვნელმა კაცმა გულში ეჭვჩაურჩენელად სთქვას, აი სად და რაშია დამნაშავე ძველი გამგეობა, სად და რაშია მართალი.

ქალაქში ათასნაირი ხმები დადის ქალაქის ძველ გამგეობის შესახებ. იმისდა მიხედვით, ვის შეხვდებით — ძველ გამგეობის თუ ოპოზიციის მომხრეს, ერთსა და იმავე საგანზე სხვადასხვა ამბავი ისმის. რომელს ერთს დაუჯეროს კაცმა, არ იცის. ამისთანა საქმეში, საცა ბრალდება იმისთანა კრებულისა, როგორიც გამგეობაა, რომელიც ნარჩევთ კაცთაგან შემდგარია, და, მაშასადამე, პატივსაცემელია, ძნელია გამკითხავი კაცი მარტო მითქმა-მოთქმის ანაბარას დასტოვოს ბრალდებამა. აქ უნდა მტკიცე, უეჭველი საბუთი ჰლაპარაკობდეს საჯაროდ, საქვეყნოდ და არა ჭორსავით აქ-იქ დაიარებოდეს ჩურჩულითა და მალვით.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღესაქამომდე არც საბჭოში და არც აქაურს ჟურნალ-გაზეთობაში არც საკმაოდ გამორკვეული ბრალი გამგეობისა გამომჟღავნებულა,

არც უეჭველი და განკითხული საბუთი. მიზეზად ის უნდა ჩავთვალოთ, რომ ეგრედწოდებული ოპოზიცია საქმეებს გულდადებით არა სჩხრეკს, გასამართლებელსა და გამამტყუნებელს საბუთებს არ ეძიებს თვითონ საქმეებში და ამის გამო ვერც საზოგადოებას აძლევს საბუთს პირუთვნელის განაჩენის დადგენისას. ეგრედ საქმის დაყენება ძნელია და არც საკადრისია ოპოზიციისათვის, რომელსაც საზოგადოება სასოებით შეჰყურებს. ეს არჩხრეკა საქმეებისა, საქმეების შეუსწავლელობა და ამის გამო არცოდნა, „Новое Обозрение"-ს იმ წერილშიაც არის შენიშნული, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ ჩვენს მეთაურში ამას წინად ოპოზიციის საყურადღებოდ.

გარდა ამისა, ესეც შესანიშნავია, რომ ოპოზიცია მედგრად იწყებს საქმეს, მხნედ ეკიდება სათავეში და მერე, თითქო იღალებაო, ბოლომდე იმ მხნეობითვე აღარ მიჰყვება ხოლმე, თითქო მარტო დაწყებას სჯერდება და ბოლო კი ღმერთმა იცოდესო. ამ სახით ხშირად პირველში ძალღონიერად მიტანილი იერიში ბოლოსდაბოლოს ჰნელდება და თითქმის არაფრით თავდება. ჩვენის ფიქრით კი, რაკი საქმე ასტყდა, თავის კუთვნილ დასასრულამდე უმდა მივიდეს, ჰო და არა საქმისა უნდა გამოჩნდეს და გადაწყვეტილი განაჩენი ითქვას. ეხლა კი ხშირად საქმე ისე თავდება, თითქო სიტყვა ბანზე ააგდესო. ეგრე სიტყვის ბანზე აგდებით საქმის გათავება იქნება ხელს უმართავდეს ვისმე, ოპოზიციისათვის კი მეტისმეტად მავნებელია.

ოპოზიციამ ამ ნაკლს უსათუოდ უნდა უშველოს რამე, როგორმე წამალი დასდოს და, თუ მართლა რაიმე მოქმედება ძველის გამგეობისა სამდურავის და საყვედურის ღირსია, ამისი ყოველმხრით გამორკვეული მტკიცე საბუთი ითქვას, რომ სიტყვა საქმედ იქცეს და არ დარჩეს უბრალო მითქმა-მოთქმად. ამ მხრით დიდს შემწეობას აძლევს ოპოზიციას ეგრედწოდებული „ვეტერანი", რომელიც თავისს წერილებს ჰბეჭდავს „Новое Обозрение"-ში. დღეს იმის წერილში (№2704) ორი იმისთანა ამბავია გამომჟღავნებული და საბუთებიც ნაჩვენები, რომ კაცი, თუ არ განგებ, გზას ვერ აუქცევს და უსათუოდ მთელის თავისის გონებით დააკ-

ვირდება გაოცებული. სასურველია, ეს ორი ამბავი უფრო ვრცელად გამოირკვეს, რომ ყველას, მცოდნეს და უცოდინარს უტყუარი საწყაო მიეცეს ხელში ჰონა თუ არას სათქმელად. ამბობენ, არ იქნება მეტიო, რომ ქალაქის სახელოსნო სკოლის ვითარებაც გამორკვეული იქმნასო. იქაც თურმე ბევრი ჭკუის მასწავლებელი მაგალითებიაო. არც თურმე ქალაქის განათების იჯარის საქმეა უიმისო, რომ ურემი გადაბრუნებული არ იყოს გზის დასანახავადაო.

მართალია ეს ყოველი, თუ ტყუილი, ამის გამორკვევა ოპოზიციის ვალია და იმ უეჭველს სარგებლობას მაინც მოიტანს, რომ მითქმა-მოთქმას, დღეს ეგრე გაძლიერებულს, ქალაქში ასე თუ ისე ბოლოს მოულებს. ოპოზიცია ქალაქის მკვიდრთა წინაშე იმით იქნება სასახელო და საქებური, რომ არც მოპირდაპირეთა გასამართლებელს საბუთს შეუშინდეს, არც გასამტყუნებელს, რადგან მართალი და ჭეშმარიტება იმის უსათუო დროშაა. ამ დროშის ძირს არ დაშვება არის მარტო იგი ციხესიმაგრე, საცა ეგრედწოდებული ოპოზიცია თავს შეინახავს მისდა მოსავთა მკვიდრთა სასიხარულოდ და სასახელოდ.

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<სიმინდის საქმე იმერეთში>

ტფილისი, 9 ნოემბერი

სიმინდი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ და იმერეთში საკუთრივ ერთი იმისთანა სარჩოა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ერთი თავის საკვებად ჰხმარობს, ჰყიდის კიდეც და ამით თავის ყოველდღიურს საჭიროებას უძღვება. მოუსავლობამ ევროპაში და ნამეტნავად სიმშილმა რუსეთში საკმაოდ ასწია ფასები სიმინდისა აგვისტოს და სექტემბრის თვეში. ამ თვეებში ფუთი სიმინდი იყიდებოდა სამ აბაზად, სამ აბაზ უზალთუნად და ზოგან ოთხი აბაზამდენაც ავიდა, ნამეტნავად ჩვენის რკინისგზების ახლომახლო ადგლებში. გატყვრა უეცრად განკარგულება, რომლის ძალითაც აკრძალულ იქმნა, პურის ხორბლის გარდა, ყოველ სხვაგვარ ხორბლეულობის საზღვარგარეთ გატანა.

რა თქმა უნდა, ამგვარი განკარგულება გამოიწვია შიდა-რუსეთის გუბერნიების სიმშილმა და ამ მხრივ ხსენებულს განკარგულებას საკმაოდ პატივსადები მიზეზი აღმოუჩნდა. ხოლო ჩვენებური მიწისმოქმედი ამ განკარგულებამ დიდს განწირულებაში ჩააგდო. სიმინდის ფასი ამ განკარგულების უმალვე დაეცა და ეხლა ამბობენ იმერეთში ექვსს და ხუთ შაურად ძლივსა ჰშოულობს მუშტარსაო.

თუ სახეში მივიღებთ, რომ წელს მოსავალი სიმინდისა არ იყო ურიგო, რომ ძირს დაწეულ ფასადაც ბაზარს ველარ ჰშოობს ჩვენებური სიმინდი, ადვილად წარმოვიდგენთ, რამოდენს ზარალში არიან ჩაცვივნულნი აქაური სიმინდის პატრონები. საოცარი ეს არის: რუსეთში სიმშილია, ხალხი საჭმელად თითქმის ბალახსა ჰხმარობს, აიკრძალა გარეთ გატანა სიმინდისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო იმ მიზეზით, რომ შინაც საჭიროა, და აქ ამოდენა სიმინდი თითქმის ჩალის ფასადაც არავის მიაქვს, მიაწოდონ დამშეულს ხალხსა.

რით უნდა აიხსნას ამისთანა საოცარი ამბავი? ვის უნდა დაჰბრალდეს ესეთი ყოფა საქმისა, რომ ერთს ადგილას სიმშილი მუსრს ავლებდეს ხალხს და იქვე, თითქმის გვერდით, თითქმის ,მეზობლად, სარჩო იმოდენა იყოს, რომ არ იციან სად და როგორ გაასაღონ? ჩვენში მოსავალი პურისაც კარგი იყო, კარგა ბლომა პური ჰდევს ჩვენში უქმად, ეძებენ მუშტარს და ვერა ჰშოულობენ, და აქავ გვერდით კი, ვიმეორებთ თვალთუწვდენს მანძილზე სიმშილია!.. ესეთი საოცარი ვითარება საქმისა დაუჯერებელია, თუმცა მართალზე მართალია. სად არის მიზეზი ამისთანა უთაურობისა, ამისთანა უთავბოლოობისა? სანატრელია დაუკვირდეს ვინმე ამ საკითხს და ჭეშმარიტი პასუხი მისცეს. ვის მოუვა ფიქრად წარმოიდგინოს, რომ ერთგან სარჩო იყოს და მუშტარს ვერა ჰშოობდნენ და იქავ გვერდით სიმშილი იყოს და სარჩოს ვერა ჰპოულობდნენ. გამოდის, რომ სიმინდის გარეთ გატანის აკრძალვამ ვერც დამშეულთ მიაწოდა სარჩო და სარჩოს პატრონებიც თითქმის ცარიელზედ დასხა.

ესე არ იქცევიან სხვაგან. მაგალითებრ გერმანიამ თითქმის არც კი იცის, რა არის სიმინდი, მაგრამ წლევანდელმა გაჭირებულმა წელიწადმა იძულებულ ჰყო ამ სახის სარჩოსათვის ყურადღება მიექცია. საქმე იმაშია, რომ რაკი რუსეთმა აკრძალა ჭვავის პურის გატანა საზღვარგარეთ, გერმანია, რომელიც თითქმის ამ სახის პურით იკვებება და რომელსაც წელს მოსავალმა ხელი არ მისცა, დიდს გაჭირებაში ჩავარდა. რომ როგორმე გამოიხსნას თავი ამ გაჭირებიდამ და ხალხს სახსარი მისცეს თავი გამოიკვებოს, შეუდგა იმის ცდას, რომ ხალხი როგორმე სიმინდს შეაჩვიოს. მით უფრო საიმედო იყო ამ გზაზე დადგომა, რომ ჩრდილო ამერიკაში, საცა სიმინდი ყოველთვის მოჰყავთ, წელს საკმაო მოსავალი იყო სიმინდისა და იქიდამ ზიდვა სიმინდისა ჭვავზე და სხვა ხორბალზე იეფად ჯდება. არც თვითონ ამერიკელებმა მოუყრუეს ყური ამისთანა ამბავსა. ან როგორ მოუყრუებდნენ, რომ ყოველს წელიწადს რამ-

დენიმე ასი მილიონი ფუთი სიმინდი მოჰყავთ და გასაღება ამოდენა სარჩოსი ხუმრობა ინტერესს არ შეადგენს ჩრდილო ამერიკისათვის. მაშინვე აფრინეს აქედან გერმანიაში კაცი და დაავალეს, ხალხში სახელი გაუთქვას სიმინდს იმ აზრით, რომ ჭვავის პურის მაგიერ ხალხმა საჭმელად სიმინდი იხმაროს და ამ სახით ამერიკის დიდძალს სიმინდს ბაზარი გაუხსნას.

გაიმართა სიმინდის საჭმელად ვარგისობის თაობაზედ დიდი ლაპარაკი და ჰო-არაობა გერმანიის ჟურნალ-გაზეთობაში. მთავრობამაც მიიღო მონაწილეობა საქმის ვითარების გამოსარკვევად. სამიწათმოქმედო სამინისტრომ მიანდო ერთ თავის წევრს, გამოჩენილს პროფესორს ტილლს, გამოძიება ამ საქმისა. ამ მოკლე ხანში პროფესორმა ტილლმა ბერლინის სახელოსნოს საზოგადოებაში თავისი ნაკვლევი წარადგინა ამ საგანზე. პატივცემულმა პროფესორმა ჯერ ის აღნიშნა, რომ დღესაც სიმინდი მეტად გახშირებული პურის მაგიერი საჭმელია ბევრგანაო. ჩრდილო და სამხრეთი ამერიკა, ვენგრია რუმინია, იტალია, და ჩვენ დავუმატებთ საქართველოსაც, სიმინდის პურს ჩვეულს არიან. ქიმიურად გამოძიებამ დაუმტკიცა პროფესორსა, რომ სიმინდში ასში ოთხმოცდათერთმეტი ნაწილი (91%) ადვილად მოსანელებელია და თითქმის იმოდენადვე ნოყიერია, რამოდენად ჭვავი და პური, მაშინ, როდესაც ერთიორად ამაებზე იეფიაო. კარტოფილს კი რომ შევადაროთ, სიმინდი ერთიოთხად უფრო ნოყიერიაო. ერთმა შეჰნიშნა, რომ სიმინდმა ერთნაირი სნეულება იცისო, რომელსაც იტალიაში „პელაგრას“ ეძახიან, და ამაზე პროფესორმა უპასუხა, რომ თუ უწმინდურად და დაუდევნელად მზადდება სიმინდი, მაშინ ეგ სენი მოსდევსო, მაგრამ თუ კარგად დაფქვილია და კარგად გამომცხვარი, არავითარი წყენა არ იცისო. თუ რამ აბრკოლებს სიმინდის საჭმელად ხმარებას ჩვენშიო, — სთქვა ბოლოს პროფესორმა, — ეგ ისა, რომ ჩვენ ჩვეულნი არა ვართ და როგორც ახალი საჭმელი გვეხამუშებაო.

გერმანიისათვის, რასაკვირველია, მეტად სასარგებლოა, თუ მოახერხა როგორმე ხალხი შეაჩვიოს სიმინდსა. მაშინ იგი ისე დამოკიდებული არ იქმნება

რუსეთზე პურისა და სხვა ხორბლეულობის გამო, როგორც დღეს არის. ეს დამოკიდებულობა გერმანიას ძვირად ულირს და ამიტომ ეჭვი არ არის, მთავრობა გერმანიისა ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ სიმინდმა ჭვავისა და სხვა პურის მაგივრობა გაუწიოს. პირველი და უმთავრესი ამაში ის არის, რომ სიმინდი ერთიორად იეფად დაუჯდება, და მეორე ისა, რომ ამერიკიდამ დაიწყებს ზიდვას და რუსეთის პურის შემაცქირალი აღარ იქნება.

ეს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა სიმინდისა გერანიისა და ამერიკისათვის ჩვენთვის არაფერი ხელმოსაჭიდებელია. ჩვენ ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ აღგვენიშნა, რამოდენად შეუძლიან სიმინდს პურის მაგიერობა გაუწიოს ადამიანს. ხსენებულ პროფესორის გამოკვლევა ამტკიცებს, რომ სიმინდი, თუ კარგად მომზადებულია, ჭვავსა და სხვა პურზე ნაკლებ ნოყიერი არ არის. მაშასადამე, უფრო საკვირველი უნდა იყოს ის ამბავი, რომ აქაურს სიმინდს მუშტარი არ უჩნდება რუსეთში, საცა სიმშილმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ზოგიერთი რუსეთის გაზეთები სწუხან, ჩვენს ტყეებში დიდიძალი კრკო იღუპება უქმადაო, მაშინ, როდესაც შესაძლოა ხალხს საჭმელად გამოადგესო. ტყეში კრკოს ძებნას, აქავ რომ სიმინდი მზად არის, ამას რა სჯობია.

არ ზიდვა რუსეთში ჩვენის სიმინდისა, თუ პურისა, სხვა არაფრით აიხსნება, რომ საზიდავი ღონე არ არის, რკინისგზები და გემები საერთოდ, და ჩვენში საკუთრივ, ისე ვერ არის განკარგული, რომ ზიდვა ახერხოს საკმაო სავსებით. რა თქმა უნდა, რაც ხანი გაივლის, სიმშილი რუსეთში ახალ მოსავლამდე გაძლიერდება და მაშინ, გინდათ თუ არა მოიხედვენ ჩვენსკენაც და, ვისიც ჯერ არს, იმის ყურადღებას მიიქცევს ამ უგზოუკვლობის წამალის დასადებად.

დღეს ზამთარი კარზე მომდგარია და ამისთანა დროს ერთობ რუსეთის რკინის და ზღვის გზები უიმისოდაც ბევრგან შეიკვრის და ბრკოლდება ხოლმე და, მაშასადამე, ისეც ულონონი აქამდის, ეხლა უფრო ულონონი არიან. გაზაფხულმა რომ სხვა არა მოიტანოსრა, იმას მაინც იზამს, რომ რუსეთში ზღვის და

წყლის გზები გაიხსნება და რკინისგზებსაც დაბრკოლება არ ექმნება თოვლისაგან. გარდა ამისა თვით პურის უქონლობა რუსეთში უფრო გალიერდება, რადგანაც ჯერ კიდევ ხალხს ცოტაოდნად შერჩენილი აქვს წლევანდელი მოსავლის პური და რამდენი ხანიც გავა, იმოდენად დაელევა. ეს გარემოება უსათუოდ იძულებულ ჰყოფს რუსეთის მუშტარს აქ ჩვენში სიმინდი და პური იყიდოს. ამიტომ იმედია, რომ გაზაფხულზე სიმინდი და პური საკმაოდ აიწევს ფასში. ჩვენ ვურჩევთ, ვისაც შეუძლიან, ნუ ჰყიდის ჯერ ჭირნახულსა, იმიტომ რომ ამით დამშეულებს ვერ უშველიან, რადგანაც ეხლა მარტო წურბელა-ვაჭრები ჰყიდულობენ, რომ იეფად ნაყიდი, მერე მამასისხლად მიჰყიდონ გაჭირვებულებს. აქ ერთიორად ზარალია: ჰზარალობს ჭირნახულის პატრონი, რადგანაც ეხლა იეფად იძულებულია ჰყიდოს, ჰზარალობს გაჭირებულიც, რომელიც შემდეგში იძულებული იქნება უფრო მამასისხლად იყიდოს პური ვაჭართაგან, ვიდრე პირდაპირ ჭირნახულის პატრონთაგან. ისევ ის სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამში ჩავარდეს, ვიდრე სიხარბით პირდაღებულ ვაჭარს პირი გაუვსოს.

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ვინ ვისთვის ლესავს ხმალს ევროპაში>

ტფილისი, 12 ნოემბერი

მას აქედ, რაც საფრანგეთის ესკადრა კრონშტატში ისეთის პატივით მიღებულ იქმნა რუსეთისაგან, საფრანგეთმა თავისი დასუსტებული აბრუ ისევ გაიძლიერა. კვლავ მოიპოვა ევროპაში ის ხმა და ის ადგილი, რომელიც ბისმარკის და ერთობ გერმანიის პოლიტიკამ ხელიდამ გამოაცალა. გერმანიას, რომელიც წინად თითქმის ჰბატონობდა ევროპაში, ცოტა არ იყოს საძუე შემოაწყდა და დღეს იმოდენა შიში და კრძალვა აღარა აქვთ იმისი, რამოდენიც აქამდე ჰქონდათ.

ჯერ ბისმარკის დროს და მერე მის შემდეგაც გერმანია იმის ცდაში იყო, რომ ან რუსეთი განემარტოებინა, ან საფრანგეთი. პირველი უიმისოდ არ მოხდებოდა თუ საფრანგეთს არ მიიმხრობდა და საფრანგეთის მომხრობა კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლო, როცა გერმანია ელზას-ლოტარინგიაზედ ხელს აიღებდა ასე თუ ისე. უწინაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ გერმანია, როცა იქნება, ელზას-ლოტარინგიას დასთმობს და მით დაიხსნის თავს იმ საშინელ მდგომარეობისაგან, რომელიც ასე ძირს უთხრის გერმანიის ერის კეთილდღეობას, რადგანაც იარაღქვეშ დგომა და საომრად მზადება დიდს ხარჯსა ჰთხოულობს და შედარებით ღარიბი გერმანია ძნელად თუ შესძლებს ხანგრძლივ ამ ხარჯის ატანას და გაძღოლას.

გერმანია არც უიმისო იყო, რომ მაინც არ შეცდილიყო საფრანგეთთან როგორმე მორიგებას, ეხლანდელმა იმპერატორმა ვილჰელმა ამ მხრით ცხადი მაგალითიც გვიჩვენა და შორიდამ გადაუგდო ამაზე

სიტყვა საფრანგეთსა. ის პატივი, რომელიც ისე გულგაშლით მიაგება საფრანგეთის წარმომადგენელს ეგრედწოდებულ მუშათა კონგრესის დროს ბერლინში, ის სურვილი, რომელიც საფრანგეთს ყურთ ასმინა, რომ მოხარული იქნება, თუ საფრანგეთის მხატვარნი მონაწილეობას მიიღებენ ბერლინში გამართულ სამხატვრო გამოფენაში და ყოველ ამასთან ის ამბავიც, რომ ვილჰელმა თავისი გვირგვინოსანი დედა გაისტუმრა საფრანგეთს, უტყუარი ნიშნებია იმისი, რომ იმპერატორს ვილჰელმს საფრანგეთთან დაახლოვება სწყუროდა, მაგრამ საფრანგეთმა ყოველს ამაზე ყური მოიყრუა, ყოველს ამაზე შუბლიც არ გაიხსნა, რომ მით მაინც წაექეზებინა მისდა სამეგობროდ დაძრული ხალისი გერმანიის მპყრობელისა.

ამ სახით საფრანგეთმა არ ინდომა გამოწვდილის ხელის ჩამორთმევა და ეს, გერმანიამ თუ არა, მისთა გამგებელთა ხომ კარგად იგრძნეს და თითზე იკბინეს. რაკი აქ ალჩუდ არ დაუჯდათ კოჭი, მეტი რა გზა იყო, არ დაენახათ, რომ რუსეთთან დაახლოება და გამეგობრება ერთადერთი სახსარიღაა, რომ დღესა თუ ხვალ ორპირად ომი არ აუტყდეს გერმანიას ორის ძლიერის სახელმწიფოს მხრით. მაგრამ აქაც დიდს მანძილს ვერ გაივლიდა იმპერატორი ვილჰელმი. რუსეთთან დაახლოება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა გერმანია ბალკანეთის ნახევარკუნძულს ბალკანეთისვე ბედისწერის ანაბრად დასტოვებს. გერმანია ამას ვერა იქს უიმისოდ, რომ ავსტრია არ შემოიწყრომოს და ავსტრიასთან შემოწყრომა მოასწავებს ავსტრიისა და საფრანგეთის დაახლოებას და ეს დაახლოება გერმანიისათვის იქნება უფრო საშიში, ვიდრე რუსეთთან განშორება.

როგორც ეტყობა, გერმანია ამ უკანასკნელ აზრზეღაა დღეს ჩამომხდარი და რუსეთი, რომელიც აქნობამდე იმედოვნებდა, რომ გერმანია ავსტრიას დასთმობს რუსეთის მოსაპოებლად, დარწმუნდა, რომ ეგ იმედი შეუსრულებელია. რაკი ესეაო, რუსეთმაც აიღო და საფრანგეთს ჩამოართო სამეგობროდ გამოწვდილი ხელი და ამის შემდეგ ხომ კრონშტატის ამბები იყო.

ეხლა აშკარაა, რომ ევროპა ორად გაიყო. ერთის მხრით რუსეთი და საფრანგეთია, მეორეს მხრით ეგრედწოდებული სამთა კავშირი. პირველი ნაწილი უფრო ძლიერად მისაჩნევი უნდა იყოს, იმიტომ რომ სიმრავლე და განწყობილება ჯარისა, თუ რუსეთისა და საფრანგეთისა მეტი არ არის, არც ნაკლებია და ამასთან ამ ორთა შუა კავშირი, ჯერხანად მაინც, უფრო მტკიცეა და მკვიდრი, ვიდრე სამთა კავშირი, საცა გაიძვერა ავსტრია, რომელსაც ჯერ აქამომდე არ დავიწყებია, რომ პრუსიამ ცხვირიდამ ძმარი ადინა, სახიფათო მეგობრად საგულებელია და საცა ცბიერი იტალია სანდო არ არის. არა გვგონია, თუ გერმანიას გაუჭირდა, ამ ორმა მისმა ეხლანდელმა მეგობარმა თავი შეიტკიოს იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა გერმანიისათვის. გერმანიამ ეს დიდი ხანია იცის და თუმცა სამთა კავშირი ამასწინად ხელახლად განაახლეს და კვლავ ტრაქტატით შეიკვრნენ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ტრაქტატი ერთი ფარატინა ქაღალდია და იმოდენად სანდო, რამოდენადაც ყინულზე დაწერილი გაკუტრებულ სომეხის თამასუქი.

ვისაც თვალყური უდევნებია კრონშტატის მერმედ ევროპის საქმეებისათვის, ის შეჰნიშნავდა, რომ მაგ სამთა კავშირს, ტრაქტატით შეკრულს და შებოჭილს, ისეთის რიხით აღარ იხსენიებენ თვით მოკავშირენი, როგორც აქამომდე და არც ისე ფხიანადღა ჰლაპარაკობენ. პირიქით, საფრანგეთის გულის მოსაფხანად ლამაზ-ლამაზს სიტყვებს არა ჰზოგვენ და სამთა კავშირს როგორღაც აფუჩეჩებენ. ყველამ ყურადღება მიაქცია, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა ამ ბოლოს ხანებში სიტყვა სთქვა და სამთა კავშირის შესახებ ერთი იოტის ოდენა სიტყვაც არ დახარჯა, ყველამ გაიგონა, რომ მარკიზ დერუდინიმ, იტალიის მთავარმინისტრმა, მოუდუნა სიტყვით მაინც ის თოკები, რომლითაც შეკრულ-შებოჭილი უნდა იყოს სამთა კავშირი.

ეს ყველაფერი ჩვენზე უკედ გაგებული აქვთ გერმანიაში და ამიტომაც არად საკვირველია, რომ იქ სახელმწიფო ქარხანებში, საცა თოფი, ზარბაზანი და სხვა საომარი იარაღი მზადდება, რაც ძალი და ღონე აქვთ მუშაობას მოუმატეს. საცა, თურმე, მაგალითად, ასი

კაცი მუშაობდა აქამომდე, ეხლა თითქმის ორასი ჩაუყენებიათ და დღეში ათის საათის მაგიერ თოთხმეტს საათს თურმე ამუშავებენ. რა თქმა უნდა, ამისთანა გაცხარებული და გაფიცხებული მუშაობა საომარ იარაღის ქარხანებში კეთილს არას მოასწავებს და ბევრს უფრთხობს ძილსა და მოსვენებას. იქნება ეს ცარიელი ფართიფურთობაც იყოს, მაგრამ დღეს კი ყველა ჰკითხულობს, რისთვის და ვისთვისაო.

ამ საკითხს უფრო მეტი საფუძველი დაედვა მას აქედ, რაც ავსტრიის იმპერატორმა დელეგაციას ეხ-ლანდელ მდგომარეობაზე სიტყვა ჩამოუგდო და, სხვათა შორის, აგრძნობინა, თუმცა კი დიდის სიფრთხილით, რომ დღეს ამ მშვენიერ ცასქვეშეთში ყველაფერი მშვენიერი არ არისო. იქ საფრანგეთში ალერსიანი სიტყვა წარმოითქვა იტალიის შესახებ, იტალიის მთა-ვარმინისტრმაც მისდა სამაგიეროდ სიტყვის ფიანდაზი გაუშალა საფრანგეთს და ამ სახით დღეს ისე აირია მონასტერი, რომ ველარავის გაუგია, ვინ ვისგან ჰშიშობს და ვინ ვისთვის ჰლესავს ხმალსა და ხმალი კი რომ ილესება, უეჭველია.

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>

ტფილისი, 16 ნოემბერი

ბ-ნი იზმაილოვის ამორჩევა კანონიერად ცნობილ იქმნა „Губернское по городским делам Присутствие"-საგან. მართალია, ამ ამორჩევის გამო ეგრედწოდებულმა ოპოზიციამ საჩივარი შეიტანა, მაგრამ ეს საჩივარი არ იქმნა შეწყნარებულ და ოპოზიციას ჯერ ხანად სხვა არა დარჩენია რა, რომ განაჩენს ხსენებულ Присутствие-სას უნდა დაჰმორჩილდეს და ბ-ნი იზ-მაილოვი იწამოს ქალაქის მოურავის მოადგილედ.

ჩვენ ყოველს ამაში დასაძრახისს და საწყენს არა ვხედავთ ოპოზიციისაგან. იგი ამ საქმეში ისე მოიქცა, როგორც ჭკვა, გონება და ნამუსი აგონებდა, და თუ ნაგონები არ აუსრულდა, ეგ ჯერ კიდევ იმასა არა ჰნიშნავს, რომ მართალნი არიან გამარჯვებულნი. მარ-თალია, ბევრმა სიხარულის ბუკი და ნაღარა დაჰკრა, რომ ბ-ნ იზმაილოვის ამორჩევა დამტკიცებულ იქმნა, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ სიხარულში იმას კი არ უჭირავს ადგილი, რომ ამით ქალაქის საქმეებს ხელი შეეწყოო, არამედ იმას, რომ გამარჯვება ჩვენია და არა თქვენიო, ესე იგი, მე და არა შენაო. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეში საერთოდ პატივსაცემელი „ჩვენ" უნდა ჰლაპარაკობდეს და არა მე, თუ შენ. ეს განპირადებული სიხარული არ ითაკილა საქვეყნოდ გამოეცხადებინა ერთმა აქაურმა გაზეთმაც კი და ვაი იმ საზოგადოებას, საცა ქვეყნის დამრიგებელს მწერალსაც კი ამისთანები არამცთუ

ცოდვად მიაჩნია, არამედ სასიხარულოდაც. ამისთანა ამბავი იმოდენად სამარცხვინო არ არის თვითონ მწერლისათვის, რამოდენადაც გასაბიაბრულებელია თვითონ საზოგადოებისათვის, იმიტომ რომ იქ, საცა მწერალი სახეზე სირცხვილის ალიმულ მოუკიდებლად ამისთანა გულნადების გამოაშკარავებას არ ერიდება, საზოგადოება მეტად დაბალს ხარისხზე მდგომად უნდა ჩაეთვალა.

ოპოზიციას იმით არა დაუშავდება რა, რომ ბ-ნი იზმაილოვი დარჩა ქალაქის მოურავის მოადგილედ. იმიტომ, რომ იგი ბ-ნ იზმაილოვს ებრძოდა ისე კი არა, როგორც კერძო, ცალკე კაცს, არამედ როგორც წარმომადგენელს და ნიჭიერ წარმომადგენელსაც იმისთანა სისტემისას, რომელიც ასე თუ ისე არ მოსწონს ოპოზიციას ქალაქის საზოგადო ინტერესების მიხედვითა. რაკი ქალაქის საჭიროების თვალით იყურება ოპოზიცია, რაკი სახეში საზოგადო საქმეთა ავკარგიანობის სასწორი და საწყაო აულია ხელში, — ეს, ჩვენის ფიქრით, ჯერხანად მაინც უეჭველია, — და რაკი ბ-ნი იზმაილოვი მიიჩნია ოპოზიციამ წარმომადგენელად დაწუნებულ სისტემისა, ოპოზიციის ზნეობური და საზოგადოებური მოვალეობა და ღირსება ითხოვდა ცდილიყო ეს ნიჭიერი წარმომადგენელი ძველის გამგეობისა, ძველის სისტემისა, არ ამორჩეულ ყოფილიყო იმისთანა გავლენიან თანამდებობის დასაჭერად, როგორიც ქალაქის მოურავის მოადგილეობაა. ეგ არაფერი, რომ ცდამ უქმად ჩაუარა, ხოლო იგი, რამაც ამის საცდელად იძულებულ ჰყო ოპოზიცია და ხელი გამოაღებინა საქებურია და არა ნიშნმოსაგებელი.

ჩვენ ჯერ ხელთ არა გვაქვს საკმაოდ სავსე საბუთები, რომ ეხლავ ვსთქვათ, ვინ არის მართალი, ძველი გამგეობა, თუ ოპოზიცია, იმ ჭიდილში, რომელიც ეხლა გამართულია ქალაქის საბჭოში. ჯერ ბევრი ხანი არ გასულა, რაც ახალმა სიომ დაიწყო დენა, და რაც ხანი იყო, ისიც თითქმის მარტო არჩევანების ჰოარაობას მოუნდა. ოპოზიციას დრო არა ჰქონდა მძლავრი საბუთები ხელთ მიეცა საზოგადოებისათვის ამ საგანზე უტყუარ განაჩენის დასადგენად. ჩვენ მხოლოდ ის შევნიშნეთ, რომ ოპოზიციას ყოველი

თვისი მოქმედება, ყოველი თვისი ქცევა ქალაქის საზოგადო ინტერესებისაგან გამოჰყავს. მისს მოწინააღმდეგეებს ვსთხოვთ, ერთი მაგალითი მაინც გვაჩვენონ ამისი უარმყოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც ესეა, ბ-ნი იზმაილოვის ამორჩევა ნუ უხარიანთ იმათ, ვინც „მე"-ს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე „ჩვენ"-ს, ნურც ნიშნს უგებენ იმათ, ვისაც იმისთანა საქმეში, როგორც ქალაქის საქმეებია „ჩვენ"-ს უფრო წინ აყენებენ „მე"-ზე. საქმე ის კი არ არის, ვინ არის დღეს ქალაქის მოურავის მოადგილედ, საქმე ის არის, როგორ გადაურჩება ძველი გამგეობა ოპოზიციისაგან მიტანილ იერიშსა და როგორ გაიმართლებს თავს ეგრედწოდებული ოპოზიცია ამ იერიშის მიტანაში. ამას დრო და შემდეგი მოქმედება ერთისა და მეორის მხრისა დაგვანახვებს.

ჩვენ არა გვგონია ოპოზიციამ გული გაიტეხოს და ამის გამო გაუგრილდეს თავისს წმინდა მოვალეობას. იგი ეხლა უფრო მედგრად და ბეჯითად უნდა მოეკიდოს კისრად აღებულს საქმესა და აჩვენოს ქალაქს და ქალაქის საზოგადოებას ცხადის და თვალსაჩინო მაგალითებით, რომ მას სახეში არა აქვს რა, გარდა საზოგადო სიკეთისა, საზოგადო საჭიროებისა. წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ მარტო ამაზე არის დამოკიდებული მიზეზი ოპოზიციის არსებობისა, მისი სახელი და დიდება.

[1891 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

<კომენტარი ბისმარკის პოზიციის გამო>

ტფილისი, 25 ნოემბერი

დაბრუნდება თუ არა ბისმარკი თავის უწინდელ თანამდებობაზე — აი საკითხი, რომელზედაც ყურადღებაა მიქცეული მთელის ევროპისა საერთოდ და გერმანიისა საკუთრივ. რაც შეეხება გერმანიას, უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლოს ხანებში თ. ბისმარკის სახელი უფრო ხშირად და ხშირად იხსენიება და ამ ხსენებაში არც უიმისობაა, რომ ბევრი არა ჰნანობდეს მის არყოფნას ეხლანდელ მთავრობის სათავეში. ცოტად თუ ბევრად ცხადი ნიშნებია იმისი, რომ ეს ნანვა უფრო და უფრო დიდს ადგილს იჭერს მთელის გერმანიის სივრცეზედ და იქამდე მიდის, რომ აშკარად იძახიან კიდეც, კაპრივიმ, ეხლანდელმა ¯კანცლერმა, თავი უნდა დაანებოს თავის თანამდეობასო და სხვას, უფრო გამჭრიახს და მხნე კაცს უნდა გადაულოცოსო.

ხმა გამოვიდა ვითომც თვით იმპერატორს ვილჰელმსაც საჭიროდ დაუნახავს კვლავ მოიახლოვოს აწ საქმეებისაგან მის მიერვე გადაყენებული „რკინის კანცლერი", მაგრამ თავმოყვარეობა თურმე აბრკოლებს, გაწყრომილს თვითონვე როგორ გაუწოდოს ხელიო. გაზეთების სიტყვით, იმპერატორს სდომებია, რომ პირველი თვითონ გაჰხმაურებოდა თ. ბისმარკს და ამისთვის სახეში ჰქონია აერჩია რაღაც დღეობა თ. ბისმარკისა, რომ ეს გახმაურება დღეობის მილოცვით დაწყებულიყო, ხოლო მახლობელთ არ ურჩევიათ ვილჰელმისათვის ესე აშკარად თავისი სურვილის გამჟღავნება იმის შიშით, ვაი თუ თ. ბისმარკმა ეს ამბავი ხვეწნად მიიჩნიოსო და გაჭირვებისაგან გამოწვეულად.

თუმცა, იმედი აქვთ, თ. ბისმარკი ცხვირზეით არ აიცილებს კვლავ უწინდელი თანამდებობა ხელთ იგდოს, მაგრამ ამრიგად მოწვევა უფრო გააზვიადებს უიმისოდაც მეტად ზვიადს „რკინის კაცსაო" და მაშინ მის სიტყვაშემოუბრუნებელს ბატონობას და მბრძანებლობას საზღვარი არ ექნებაო.

მართალია, თ. ბისმარკს იმპერატორის მახლობელთა შორის ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ ვინ იცის, რომ თვითონ თ. ბისმარკმა რომ ქედი მოიხაროს, იქნება იგი ისევ ვნახოთ თავის წინანდელ თანამდებობაზედ. რადგანაც თ. ბისმარკს თავის უეჭველ გენიოსობასთან უეჭველი სულმოკლეობაცა სჭირს, რის მაგალითები არა ერთს და ორ ქვეყანას დაანახვა გადაყენების შემდეგ, ბევრსა ჰგონია, რომ იგი, როცა იქნება, თვით მოიხრის ქედსა და პირველი მოიკატუნებს თავს ვილჰელმის წინაშე, ოღონდ კი ხელთ იგდოს ხელახლად კანცლეროობაო.

ამისი შიში აქვთ მის მტრებსა, რომელთაც არასგზით მისი დაბრუნება არა ჰსურთ და, რასაკვირველია, ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობენ, რომ იმპერატორი ავგუნებით ამყოფონ თ. ბისმარკზედ. თითქმის თვით თ. ბისმარკიც ჰშველის თავის მტრებსა ამაში. დღე არ გავა ისე, რომ ერთი ორიოდე მკვახე სიტყვა არ ესროლოს თავის იმპერატორს საგარეო თუ საშინაო საქმეთა გამო. რასაკვირველია, აქ თ. ბისმარკს, შესაძლოა, თავის ანგარიშებიცა ჰქონდეს და რადგანაც იგი მეტად ჭკვიანი კაცია ტყუილუბრალოდ ტყვია-წამალს არ დაჰხარჯავს. უეჭველია, იმას ჰსურს ამ აზრით აბრუ გაუტეხოს გერმანიაში ეხლანდელ საქმეთა მდინარეობას, ეხლანდელს იქაურს მთავრობას, საზოგადოებას თავის სასარგებლოდ თვალი აუხილოს, რომ ყოველ ამის ძალმომრეობით, იმპერატორი იძულებულ ჰყოს კანცლერი შეირიგოს და მასვე ჩააბაროს ბურთი და მოედანი გერმანიის საქმეებისა.

რომ თ. ბისმარკმა ამ გზით თავისი საქმე წინ წასწია, აშკარაა. ამას ამტკიცებს ის დიდი ყოფა და ამბავი, რომელიც ბერლინის მკვიდრთა მოახდინეს ამ მოკლე ხანში, როცა თ. ბისმარკსა დახვდნენ რკინისგზის სადგურზე ბერლინში. ეხლა ამბობენ,

ძველის კანცლერის მომხრეებს განუზრახავთ ერთი თუ ორი დიდი გაზეთი იქონიონ ბერლინში და მის შემწეობით იმოქმედონ, რომ გერმანიის ერს საჭიროდ დაანახონ თ. ბისმარკის დაბრუნება უწინდელ თანამდებობაზე. თვითონ თ. ბისმარკსაც უთქვამს, რომ როცა პარლამენტში შეტანილ იქმნება გასასინჯავად სავაჭრო მორიგება ავსტრი-ვენგრიასთან, მაშინ თუ მე ჩემთავად ვერ შევძლებ მისვლასო, საკეცეთი შევატანინებ ჩემს თავს, რომ ამ მორიგების თაობაზე ჩემი გულთნადები ვსთქვაო.

ჩვენ არ ვიცით, რით გათავდება ეს ჰოარაობა თ. ბისმარკის დაბრუნების თაობაზე, ხოლო ჩვენის მკითხველებისათვის საჭირო იქნება იცოდნენ, რას მოასწავებს შემდეგისათვის თ. ბისმარკის კანცლერობა, თუ ეს ამბავი ასე თუ ისე მოხდა. ამის წინად დანახვა ძნელი არ არის, თუ გავიხსენებთ, რას ჰქადაგობდა გადაყენების შემდეგ თ. ბისმარკი თავის მომხრე გაზეთების პირითა. მას არ მოსწონდა იმპერატორის საქციელი სოციალ-დემოკრატების მიმართ. იგი შეცდომად სთვლიდა, რომ იმპერატორი ვილჰელმი სოციალ-დემოკრატობას უშიშრად უყურებს და მუშათა საქმეში სასწორს მეტად მუშებისაკენ ჰხრის ფულის პატრონთა სავნოდ. ეს შინაურ საქმეში. საგარეო საქმეებში მეტად ჰკილავდა ეხლანდელ პოლიტიკას გერმანიისას, რომ რუსეთი შემოიწყრომაო და ფიანდაზად გაეშალა ავსტრიასაო, რომელსაც შესწირა თვით უაღრესნი ინტერესნი გერმანიისაო. ნამეტნავად ჰცხარობს თ. ბისმარკი იმ ხელშეკრულობის გამო, რომელიც დაიდვა ალებმიცემობის თაობაზე ავსტრიასთანა. ამ ხელშეკრულობამ გერმანიას კარი დაუკეტა რუსეთის პურისაო და ფართო გზა გაუხსნა ავსტრიისასაო. აქ მოგებას ჰრჩება მარტო ავსტრია და საცოდავმა ერმა გერმანიისამ კი ძვირად უნდა დაისვას გამოსაკვები პურიო მარტო იმისთვის, რომ ავსტრიას აამონო.

ყოველ აქედამ, რაც ჩვენ მოკლედ მოვიხსენიეთ, ცხადია თ. ბისმარკი საით უზავს თავს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, თუ ხელთ იგდო გერმანიის კანცლერობა და ყოველივე ის, რასაც ეხლა ჰქადაგობს, მისი გულითადი აზრია და არა დროსა და გარემოებას

შეფერებული დიპლომატობა., ანუ მდაბიურად ვსთქვათ, ეშმაკობა, რომ დღეს ამით გაიტანოს მოედნიდამ ბურთი და ხვალემ კი ხვალისა იცოდესო.

[1891 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ>

ტფილისი, 21 დეკემბერი

ამ უკანასკნელ ხანებში ამბავი მოვიდა, რომ უმაღლესს მთავრობას საზრუნველად გახდომია ეხლანდელი ყოფა-მდგომარეობა რუსეთის თავადაზნაურობისა და ამისათვის კამისიაც დაუნიშნავს, რომ გამოიძიოს მიზეზი ყოფა-მდგომარეობისა და წამალი რამ დასდოს.

ცნობილია, რომ ყველაზე უმძიმესი სატკივარი ამ ყოფა-მდგომარეობისა ის არის, რომ მამულები ხელთ არა ჰრჩება თავადაზნაურობას და ამის გამო მიწადმფლობელობა, რომლითაც ასეთი ძლიერი იყო ეს წოდება, ირღვევა და ხელიდამ ეცლება. სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომელიც იმ საძირკველზეა ამოყვანილი, რომ თავადაზნაურობას შეურჩინოს მამულები და გაჭირებულთ რაც შეიძლება იეფი კრედიტი მიაშველოს, ისე ვერ გამოიყენეს თავადაზნაურთ, როგორც მოლოდინი ჰქონდა მთავრობასა. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია აღვნიშნოთ მარტო ის ამბავი, რომ ხსენებულ ბანკისაგან გამოცხადებულია დღეს ათას ხუთას მამულზე მეტი გასასყიდად, რადგანაც ნასესხების მოსაშორებლად შესახვედრი ფული მსესხებელთ არ შეუტანიათ. აშკარაა რომ სახელმწიფო ბანკის იეფი კრედიტიც თავადაზნაურობამ ვერ გამოიყენა და მაინც თავისი საქმე იქამდე მიიყვანა, რომ იძულებული გახადა ბანკი, მამულები დაუყიდოს, ესე იგი, შერჩენის მაგიერად, ჩამორთმევა მოახდინოს.

ამ სახით ეს დიდი მადლიანი სახსარიც ვერ გამოადგა თავადაზნაურობას და საკვირველი არ არის,

რომ ამის მნახველს მთავრობას თავადაზნაურთა ყოფამდგომარეობა ხელახლად საზრუნველად გაუხდა. რა თქმა უნდა, მთავრობას, გულითა და სულით მოწადინებულს, რომ ამ უმაღლეს წოდებას ხელი როგორმე გაუმართოს და ცხოვრებაში ფეხი მოამაგრებინოს, ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი კი არა. საქმე ის არის, რომ უმთავრესი მიზეზი თავადაზნაურთა დაქვევითებისა თვით თავადაზნაურნი არიან და სატკივარს თუ აქავ არ დაედო თავისი წამალი, ძნელია სხვიდამ რაიმე ეშველოს.

ვერავინ ვერ შესცვლის იმ ბუნების კანონისამებრ გადაუვალს ეკონომიურს კანონს, რომ ყოველი ქონება — ფულია, ავეჯია, თუ მამული უქმის კაცის ხელში არა დგება და ყოველთვის იქით იწევს, საცა მხნე და მარჯვე მუშახელია. ეს ბუნებური თვისებაა ყოველ ეკონომიურ ნივთიერებისა. ამას წინ ვერავინ ვერ დაუდგება, ვერავინ ვერ აელობება. შესაძლოა, ცოტახნობით დააყოვნონ, შეაფერხონ და სამუდამოდ კი რომ ფეხი მოსჭრან ამ ბუნებურს მიზიდულობას ყოველ ეკონომიურ საგნისას, ეს შეუძლებელია. ვიმეორებთ, ამ კანონის ძალით, უქმს ხელს ქონება გაურბის და მიდის იქ, საცა კაცი მომქმედია და მუშა. ერთის სიტყვით, სარჩო-საბადებელი ბინას ვერ მოიკიდებს ცუდა კაცის ხელში და იქა გროვდება, საცა გამრჯელობაა, მხნეობა და სიმარჯვე. ამ სიმდიდრის გასვლა-გამოსვლაში აუცილებელია, რომ ერთი მხარე უქმი არ იყოს და მეორე გამრჯელი.

ამ სახით თუ თავადაზნაურობას ხელიდამ ეცლება ადგილ-მამული, აქ სხვა მიზეზი არა არის რა გარდა იმისა, რომ ეს წოდება უქმია, არაგამრჯელი და, მაშასადამე, სატკივარი შიგ გულში აქვს და წამლობაც იქ უნდა. თუ თავადაზნაურობამ ამ სატკივრისაგან თავი არ მოირჩინა, თუ რაც ხელთა აქვს ჯერ კიდევ, იქიდამ არ ისწავლა რაც შეიძლება ბევრს გამორჩეს, თუ გამონარჩენს არ გაუფთხილდა და ეკონომიურად არ მოექცა, მის მიწადმფლობელობას ვერაფერი ვერ დაიხსნის: მიწა, დღეს იქნება თუ ხვალ, იმასთან მივა, იმას ჩაუვარდება ხელში, ვინც შემძლებელი იქნება მიწა მეტის

მხნეობით, ცოდნით, სიმარჯვით და გამრჯელობით მოიხმაროს.

არ ვიცით ამ სატკივარს რით ეშველება გარედამ, თუ თვითონ თავადაზნაურობა არ გასძრავს ხელსა და თუ თვითონ თავის გულის ძალმომრეობით არ მოირჩენს თავს და არ გამოკეთდება, რა თქმა უნდა, მთავრობასაც აქ ზოგიერთი რამ შეუძლიან, მაგალითებრ, შეუძლიან მისცეს სახსარი შეიძინონ სწავლა და ცოდნა; იმისი, თუ რა გზით და როგორ გამოიყენონ ის მკვიდრი და შეუწყვეტელი სიმდიდრე, რომელიც ბუნებამ მიწას მიაბარა, მაგრამ თუ აქ თვითონ თავადაზნაურობამაც არ იგრძნო საჭიროება სწავლისა და ცოდნისა, თუ თვითონ არ გამოეკიდა ამ სწავლა-ცოდნას და გულის ფიცარზე არ დაიწერა, რომ ქონება მარტო ცნობიერს შრომასა და გარჯას მოაქვს, სულ ამაო იქნება. ყოველ უამისოდ, ქონება ხელიდამ გამოეცლება და მხნესა და გამრჯე კაცს ჩაუვარდება.

მართალია, ეხლანდელი ეკონომიური ურთიერთობა და წესწყობილება არა ერთსა და ორს მაგალითს გვიჩვენებს იმისას, რომ სიმდიდრე ჰგროვდება იმის ხელში, ვინც, ეკონომიურის თვალით, მუშაკი არ არის, ესე იგი, არ არის სიმდიდრის გამჩენი და სიმდიდრის მოქმედი, ვინც მარტო მხვეჭავია, იმისი, რაც ცუდად ჰდევს, რასაც უთადარიგო და უქმი პატრონი ჰყავს. ეს უსამართლო ყოფა-მდგომარეობა, საცა მარტოკა ხარბობა ჰმოქმედობს მხნეობითა და სიმარჯვითა, საცა მარტო წყურვილი სხვის წოვისა, სხვისით რჩენისა დიდის ოსტატობით ახერხებს სიმდიდრის შეძენასა, მეტისმეტი საშიში და საზარელი იარაა ეხლანდელ ცხოვრებისა. ამ ყოფას დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, დიდი ავალა აქვს და დიდი გზა ყოველგვარის ქონების შეძენისა და მაშასადამე ადგილ-მამულისაც. ქვეყნისათვის საშიში ის კი არ არის, რომ ქონება მართლა გამრჯელ და მხნე კაცის ხელში გადვიდეს უქმის კაცის ხელიდამ. აქ ქვეყანა მოგებაშია და არა წაგებაში, იმიტომ რომ მარტო გამრჯელი და მხნე კაცია ქვეყნის შემნახველი, ქვეყნის გამომკვებელი, ქვეყნის სიმდიდრის დამადგინებელი. უბედურობა იმაშია, როცა

მხნენი და გამრჯენი არიან ხარბნი და სხვის ოფლის მწოვარნი.

როცა უწესოება ეკონომიურ ურთიერთობისა ამ ჯურის ხალხს გზას აძლევს სხვის სიმდიდრის შეძენისას, აქ უნდა შველა, რომ ეს ასე ალარ იყოს. აქ მთავრობას ბევრი რამ შეუძლიან და ვისურვოთ, რომ ახლანდელმა ზრუნვამ მთავრობისამ ეს ყოვლად დასაღუპავი ვითარება გამოარკვიოს და წამალი რამ დასდოს.

ტფილისი, 23 დეკემბერი

ჩვენ ამას წინად ვსთქვით, რომ შევიწროებული მდგომარეობა თავადაზნაურობისა ბევრით თვით თავადაზნაურობის ბრალია. მიზეზად ამ შევიწროებისა ჩვენ დავასახელეთ ის გარემოება, რომ თავადაზნაურობა, დიდის ხნიდამვე ჩვეული უქმობას და გაურჯელობას, ეხლაც უქმი და გაურჯელია. ამიტომ არც ისა ჰრჩებალა ხელში, რაც მამა-პაპით ნაშოვნია, არც ისა, რაც ალალბედობაზე ჯერ კიდევ აქედამ თუ იქიდამ, ასე თუ ისე ხელთ ეძლევა. არ არის არც ერთი ნაწილი ერისა, რომელსაც ისე ეხამუშებოდეს, ისე გულიდამ ამოლებული ჰქონდეს გარჯა და შრომა, როგორც თავადაზნაურობასა.

ამ მხრით თავადაზნაურობა იქამდე მისულია, რომ თვით გარჯა და შრომა, — ეგ ყოვლად პატიოსანი და დიდსაქებარი სახსარი ცხოვრებისა — სათაკილოდ მიაჩნია და ცუდაობას და მუქთამჭამელობას ჰრჩეობს, ვიდრე პატიოსანის ოფლით სვეს გატანასა ცხოვრებაში. მართალია, ამ წოდებაშიც არიან იმისთანანი, რომელთაც ხელი გამოლებული აქვთ შრომისა და გარჯისათვის და რომელნიც ცუდაობას და მუქთამჭამელობას არამც თუ თავადაზნაურთა კუთვნილ ღირსებად სთვლიან, არამედ უკადრისობად, მაგრამ ამისთანანი წვეთნი არიან ზღვაში და როგორც ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისეც თითოოროლა ამისთანა კაცნი ვერ გაუმწვანებენ მოგოლვილს დედამიწას სხვა დანარჩენს თავადაზნაურობასა.

ეხლა დრო იმისთანა მოვიდა, რომ ყოველმა კაცმა „ოფლითა თვისითა“ უნდა სჭამოს პური. სხვა სახსარი

არ არის ეხლანდელს გაძლიერებულ და შეუბრალებელ ჭიდილში ცხოვრებისათვის. ყოველის კაცის შემნახავი და გამკითხავი ეხლა ბაზარია, საცა კაცი კაცს ებრძვის ლუკმა-პურისათვის, საცა მარტო ამას ჰკითხულობენ, — რა მოგაქვს და რა მიგაქვსო და საცა ამ საკითხს გარედ კაცი ფეხსაც ვერ გადასდგამს და, მაშასადამე, ცალიერზე უნდა დაჰჯდეს. ეხლა ადამიანს საომარ ადგილად ბაზარი გაუჩნდა, საცა ნაცვლად ტყვია-წამლისა და თოფ-იარაღისა მოქმედობს ადამიანის ნაშრომი და მონაგარი და საცა გამარჯვება ჰრჩება მარტო ბევრის მომტან-გამტანსა.

რაკი საქმე ამ დონეზე მიდგა, აშკარაა უქმი და ცუდა კაცი ვეღარ დაირჩენს თავსა, რაც გინდ ბევრი ულოლოოთ, ბევრი უპატრონოთ, ბევრი წამლები და მალამოები ახმაროთ. არც ტირილი, ვაი და ვიშია ამისთანა კაცის უებარი წამალი. ვერც ამისთანაებით იხსნის ცუდაკაცი თავსა წახდენისაგან. ამისთანა კაცისათვის შეუბრალებელი, მაგრამ პირუთვნელი განაჩენი ცხოვრებისა უკვე დადგენილია: იგი დღესა თუ ხვალ უნდა აიგავოს დედამიწის ზურგიდამ. ესეა: ცხოვრება შეუბრალებლად ასრულებს ხოლმე თავის უცვალებელს განაჩენსა.

უქმობა და ცუდაობა თუმცა თავადაზნაურობას თითქო გვამში აქვს ჩამდგარი, მაგრამ ბევრი იმისთანა გარეშე მიზეზიც არის, რომ ეგ სატკივარი გვამიდამ არ გამოჰყავს, ბევრი იმისთანა გარემოებაა, რომელიც აძნელებს მორჩენასა და ამ სატკივარისაგან განთავისუფლებასა. ეს იმისთანა მიზეზებია და გარემოებანი, რომელთაც ვერც ცალკე კაცი, ვერც ცალკე რომელიმე წოდება ერისა ვერ შეეჭიდება, იმიტომ, რომ აქ მთელის სახელმწიფოს ღონე უნდა და არა კაცისა, თუ წოდებისა.

ვინ არ იცის, რომ ყოველს ეკონომიურს მოძრაობაში პირველი ადგილი უჭირავს გამორჩენას, მოგებას. ეგ გამორჩენა და მოგება არის ერთადერთი ძალ-ღონე, რომელიც არამც თუ გამრჯელის ხელს ამოქმედებს წარმოებისათვის, არამედ ჰბადავს თვით სურვილს გარჯისას და რაკი სურვილი გარჯისა დაძრულია და ფეხზე წამომდგარი, უქმობა და ცუდაობა უნდა გარედ

გამობრძანდეს, რადგანაც არც ერთს და არც მეორეს იქ აღარ ედგომილება, საცა სურვილმა გარჯისამ ფეხი მოიკიდა.

გამორჩენა, მოგება ბევრს რასმეზეა დამოკიდებული, თუნდ ჯერ იმაზე, რომ საჭირნახულო წარმოებას კაცმა რაც შეიძლება ბევრი და კარგი ჭირნახული გამოატაინოს. ამას ხერხი უნდა, ამას სიმარჯვე უნდა გარდა მხნედ გამრჯელობისა. ეს ხერხი და სიმარჯვე კაცს ეძლევა სწავლა-ცოდნისაგან, რომელიც ნამეტნავად მიწათმოქმედებაში თითქმის სასწაულსა ჰშვრება ეხლანდელ დროში. ამ სწავლა-ცოდნის გავრცელება დიდს ავალას ჰთხოულობს და აქ ცალკე კაცის, თუ წოდების მეცადინეობა ვერას გააწყობს იმდენს, რომ ქვეყნისათვის საგრძნობელი იყოს, იმიტომ, რომ ეს დიდი საქმეა და ამ დიდს საქმეს დიდი ცომიც უნდა. აქ მარტო სახელმწიფოს შეუძლიან შველა, თუმცა ცალკე კაცის, თუ წოდების მეცადინეობაც ამ შემთხვევაში არამც თუ მეტი არ იქნება, საჭიროც არის.

მოჭირნახულე, გამრჯელი კაცი რომ თავის ჭირნახულს და ნამუშევარს გამორჩეს რასმე, საჭიროა ბაზარი ჰქონდეს და ამ ბაზარს ადვილი, გაუჭირებელი მისასვლელ-მოსასვლელი, რომ მიზიდ-მოზიდვის ხარჯს ნაჭირნახულევმა უზარალოდ გაუძლოს. აქ გზებია საჭირო. არც აქ შეუძლიან ცალკე კაცს, თუ ცალკე წოდებას რაიმე საგრძნობელი მოახდინოს, თუ ისევ სახელმწიფო არ მოეშველება. უამისოდ გარჯის ყოვლად შემძლებელი სურვილიც მკვდარია, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში იგი იმოდენად მოქმედობს, რამოდენადაც ნამუშავარს გასავალი აქვს და არა იმოდენად, რამოდენადაც შესაძლოა ნამუშავარი ამრავლოს. აი თუნდ ეხლა. ამოდენა პური და სიმინდი. ამოდენა ძალი ღვინო, ღვთისა და ამინდის წყალობით, მოგვივიდა, და ყოველივე ეს უქმად ჰდევს, ბაზარი არა აქვს, მუშტარი არა ჰყავს. რა ჰქმნას მოჭირნახულემ და გამრჯელმა?

განა საკვირველი და მოულოდნელი იქნება, რომ აქ გამრჯელმა ყოველივე ხალისი დაჰკარგოს, დასწყევლოს თავის თავიც და სხვისაც! ნათქვამია, თუ მთა შენთან არ მოვიდა, შენ მიდი მთასთანაო. ძალიან კარგი: მუშტარი რომ არ მოდის გამრჯელთან,

გამრჯელი წავა მუშტართან. მაგრამ გზა რომ არ არის, რომ გადატანა საქონლისა საქონლის ფასადვე უჯდება, ვისი მუშაღა იყოს გამრჯელი! შიდა რუსეთი ეხლა დიდი მუშტარია პურისა, სიმინდისა და ყოველგვარ ხორბლეულობისა და, აბა ერთი, თქვენის ბინიდამ დასძარით ან თქვენი პური, ან თქვენი სიმინდი და ჰნახავთ ჯერ რკინის სადგურამდე მიტანა რა დაგიჯდებათ ფულად და ამასთან რამდენს ვაი-ვაგლახს გამოივლით, ახლა რამდენი დღე უნდა დაგილამდეთ, ვიდრე რკინისგზას ჩააბარებთ თქვენს ნამუშავარს და ვიდრე თქვენს საქონელს რკინისგზის სადგურიდამ დასძრამთ, გაისტუმრებთ. განა ახალი ამბავია, რომ, მაგალითებრ, ცხინვალის ხეობიდამ ხილის ჩამოტანას ურმებით უფრო ჰრჩეობენ, ვიდრე რკინისგზითა. რად უნდა ამჯობინონ ურმით სვლა რკინისგზით სვლას, თუ აქ ერთი სახათაბალო რამ არ იყოს!

როცა სურვილს გარჯისას ხელს არ უწყობს იმედი ნამუშავრის გასაღებისა, მაშინ კაცი, რა თქმა უნდა, ძალაუნებურად გულზე ხელებს იკრებს და თუ ირჯება, მარტო იმოდენად, რამოდენადაც თვითონ შინ ან გარედ ახლომახლო უჭირთ მისი ნამუშავარი. ბევრის ნამუშავრის ქონვა კი, რაკი არ უსაღდება, მისთვის მეტი ბარგია. განა ერთი და ორი ეძახის ეხლა: არ მოგვივა ვაია და მოგვივა ვაგლახიაო. მართალიც არის: რა ხელსაყრელია ჭირნახული, თუკი ან ჩალისფასად უნდა დაინარჩუნონ ჩარჩებმა, ან პატრონს უქმად შინ უნდა ეყაროს.

ყოველი ეს და სხვა ამისთანა მიზეზები, არამც თუ აღვიძებს სამოქმედოდ და არჩენს სატკივარისაგან უქმსა და ცუდა კაცსა, არამედ თვით გამრჯელ კაცსაც კი ხალისს უფუჭებს, გუნებას უხდენს, ხელს უმოკლებს. ამ სახით ორგვარი მიზეზია თავადაზნაურობის დაქვეითებისა და გაჭირებულ მდგომარეობისა, ერთი შინაგანი, რომელსაც უქმობა და ცუდაობა ჰქვიან და რომლის სახსნელი მარტო ერთი რჩევაა: გაისარჯენით, და მეორე გარეთი მიზეზებია, რომელნიც ჰხუთავენ ერთს უდიდეს კანონს გარჯის ძალ-ღონისას: გამრჯელს გზა მიეცი თავისი ნამუშავარი გაჰყიდოს, გაასაღოს და მით თავისი გასამრჯელო აიღოს.

პირველგვარი მიზეზი თვით თავადაზნაურთა ხელშია და მეორეგვარი მიზეზი მთავრობისაში. სასურველია, რომ მთავრობამ ამ მხრით მიაქციოს ყურადღება საქმეს და თავადაზნაურობამაც თავის მხრით გულში ჩაიბეჭდოს, რომ უქმობა და ცუდაობა დედაა ყოველის უბედურებისა.

ტფილისი, 24 დეკემბერი

წარსულ კვირა დღის მეთაურში,* სხვათა შორის, ითქვა, რომ „როცა უწესოება ეკონომურ ურთიერთობისა სხვის ოფლის სწოვართ გზას აძლევს სიმდიდრის შეძენისას, აქ უნდა შველა, რომ ეს ასე აღარ იყოს". რაკი მოჭირნახულე და გამრჯელი ისეა გარემოებით შეხუთვილი, რომ მეტი გზა არა აქვს, ჩარჩებს უნდა ჩაუვარდეს ხელში, იქ რაც გინდ ეცადოთ გამრჯელი გააღონიეროთ, სულ ამაო იქნება, თუ თვით შემხუთავი გარემოება ძირიანად არ ამოაგდეთ, თუ სატკივარს სათავეშივე ბოლო არ მოუღეთ. ჩარჩობა, რომელსაც სხვა ტიბიკონი არა აქვს, თუ არა ისა, რომ გამრჯელს რაც შეიძლება იაფად დასტყუოს საქონელი და რაც შეიძლება ძვირად მიჰყიდოს მომხმარებელსა, ისე ხალვათად და დაუბრკოლებლად არსად მუშაობს, როგორც მიწის ნამუშავრის აღებმიცემობაში. იმიტომ, რომ მიწადმომქმედი კაცი, ვითარცა სოფლელი, უფრო უმეცარია, უფრო შორს არის ბაზარზე, უფრო გაჭირებულია ფულისათვის და, მაშასადამე, უფრო ადვილად ხელში ჩასაგდებია ჩარჩისათვის, რომელიც იმით არის ძლიერი, რომ მეტისმეტი ოსტატია, მეტისმეტი ეშმაკი და ამასთან მეტისმეტი ხარბი და შეუბრალებელი.

ამისთანა საქმეში, საცა ერთი მხარე თითქმის კარდაკეტილია და მომწყვდეული და მეორეს კი გზა გახსნილი აქვს, შველა მარტო მთავრობას შეუძლიან, მაგრამ მინამ მთავრობას მოვიწვევდეთ საშველად, საჭიროა, ვაჩვენოთ უნუგეშობა ერთისა და თავისუფლად ფარფაშობა მეორესი.

---

* იხ. „ივერია", № 273.

ერთი მემამულე შიდა რუსეთისა, ევგენი ლვოვი, ერთ გაზეთში მოგვითხრობს დაუჯერებელს ამბებს, ჩადენილს სხვის ოფლის მწოვართაგან, რომელთაც რუსები „Кулак"-ს ეძახიან. ეს ამბები მით უფრო საგულისხმოა, რომ აშკარად, მთელის ქვეყნის თვალწინ გამოდიან მზეზე, ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს და არამც თუ არავინ არ ერჩის საბრძოლველად, არამედ საპატიო კაცადაც მიაჩნიათ ამ ამბების ჩამდენი.

ერთი ვიღაც მაზილოვია თურმე იმ არემარეში, რომლის ამბებსაც გვაუწყებს ბ-ნი ლვოვი. ამ მაზილოვს რამდენიმე ვაჟკაცი შვილი ჰყავს. ზოგნი ამათგანი თავის მამის ხელმძღვანელობით დღედაღამ დაწრწიან სოფელ-სოფელ და ჰტყობულობენ სად ვის რა უჭირს და რამდენად უჭირს, რომ მერე გაჭირებისდაკვალად გამოსტყუონ გასასყიდი ნამუშავარი, თუ რამ სხვა საქონელი. ერთი შვილი კიდევ სოფლის სასამართლოში უზის თურმე მწერლად, რომ თავის ძარცვა-გლეჯას კანონიერი ძალა მისცეს წერილით ხელშეკრულობისა, რომელსაც სასამართლოში ამტკიცებინებს თავისის შვილის შემწეობით. ამ მაზილოვს სამკალი დღე უფრო მაშინ დაუდგება ხოლმე, როცა სახელმწიფო ხარჯის აკრების დრო მოვა და გაჭირებული გლეხკაცობა დარბის ფულის საშოვნელად თავგადაგლეჯილი. არანაკლებ ჰმკის ხოლმე მაშინ, როცა გაზაფხულის პირას გლეხკაცს საქონლის საჭმელი ელევა და უჭირდება. სწორედ ამისთანა გაჭირებაში მამა თავის შვილებითურთ ჩამოუვლის თურმე გლეხებს და წვრილს, თუ სხვილს საქონელს დასტყუებს ხოლმე უარარაოდ, მაგალითებრ, ცხვარს, სამ-ოთხ მანეთად ღირებულს, ექვს თუ შვიდ აბაზად ართმევს. გარდა ამისა, ფულს წინ ურიგებს და ახალ მოსავლის პურს ფუთს ხუთ-ექვს შაურად იკვეთავს. ამასთანავე ჯარიმის ქაღალდს ართმევს, რომ თუ ვინიცობაა გაუმტყუვნდა, ფული ერთიორად უზღოს დაპირებულ პურ გარდა, ამასთან ხელწერილს ამტკიცებინებს სოფლის სასამართლოს და, რა თქმა უნდა, თავის დროზე ასრულებინებს კიდევ პირობასა. ამრიგად ნაყიდი პური მიაქვს თურმე საფქვავად იმავ მაზილოვს თავის წისქვილში, და აქედან ზოგს

გლეხკაცებზევე ჰყიდის ნისიად, ფუთს 70-80 კაპეიკამდე და ზოგს ნარდად აძლევს უფრო სხვილს ჩარჩსა, როგორც მაგალითებრ მილიონერი სტახეევიაო.

ამ სტახეევს თურმე მთელი ბადე და ქსელი აქვს მთელს იმ არემარეში, სად დუქნები აქვს გამართული, სად ამბრები, სად რა და სად რა. გარდა ამისა, აუარებელი ქარგლები ჰყავს თურმე ყოველგან გაფანტული და ყოველ ამის შემწეობით ჰხვეტს და ჰხვეჭს ხალხის წვითა და დაგვით მონაგარსა. ამ გზით სტახეევმა თურმე რამდენსამე თთვეს ნახევარი მილლიონი ფული მოიგო მარტო იმით, რომ იეფად ჰყიდულობდა პურს გაჭირებულ გლეხთაგან და იმათვე ძვირადვე აძლევდა. ეს სტახეევი აქ ყველას კეთილმყოფელად და მადლიან კაცად მიაჩნიათო, ამბობს ბ-ნი ლვოვი, მაშინ, როდესაც 30-35 კაპეიკად ნაყიდს პურს იმავე გლეხებს აძლევს 90 კაპეიკადო.

რომ ამისთანა კეთილმყოფელი, როგორც სტახეევი ყოფილა, უმეცარ და უვიცს გლეხკაცობას მადლიან კაცად მიაჩნია, ეგ საკვირველი არ არის, ერთმა აქაურმა ბრძენმა მწერალმაც დიდ სამადლობელ საქმედ ჩასთვალა, რომ აქაური ჩარჩები სოფლელ გლეხკაცს ქალაქის პირას უხვდებიან, გასასყიდლად ჩამოტანილს შეშას ეშმაკურად უფოლავენ, იეფად სტყუებენ, რომ ეგრეთის ტყუებით შეძენილი შეშა მერე ჩვენვე ძვირად მოგვყიდონ და ამ სახით გლეხკაცსაც პირიდამ კუთვნილს ლუკმას ჰგლეჯენ და შეშის მხარჯავსაც მაინც შეშა ძვირად უჯდება. ნუთუ ამ მტრედივით უმანკო მწერალს ჰგონია, რომ ამის მომქმედნი ამას იმიტომ სჩადიან, რომ ქალაქში შეშა გააიაფონ. ნეტარ არიან მორწმუნენი, და ამ ნეტართ შორის იგიც იყოს. თუკი მწერალი, რომელიც ასე თუ ისე თავმდებარეა სხვას ჭკუა ასწავლოს, აგრე თვალახვეული დადის დედამიწის ზურგზე, თუკი სხვის მაზიარებელი, თვითონ უზიარებელი რჩება, უმეცარ გლეხკაცს რად ეკიჟინება სტახეევი თავის კეთილმყოფელად მიიჩნიოს.

ესეა თუ ისე, ბევრს ამისთანა წეწვა-გლეჯის ამბავს კიდევ გიამბობდით, ამბობს ბოლოს ბ-ნი ლვოვი, მაგრამ ესეც საკმარისია მიწათმოქმედების ხალხის ავკარგიანობის დასასურათებლადაო.

ამისთანა ამბებს არც ჩვენა ვართ მოკლებული. თუმცა ჩვენში მილიონერი წურბელა იშვიათია, მაგრამ რასაც შიდა რუსეთში ერთი მოქმედობს, აქ ათასნი არიან, მით უფრო მოსარიდებელნი, რომ წვრილფეხობაა და, ესენი უფრო უჩინარნი, ხარბნი და გაუტანელნი არიან. რაც წვნიკი კოღო კაცს შეაწუხებს, იმას მგელი ვერ იზამს, იმიტომ, რომ მგელს როგორმე მოიშორებ, ან მოჰშორდები და კოღო კი არც კი იცი სად ეძებო. ეს ასეთი კოღოები გარს ახვევია მიწათმოქმედობას და შეძლებისამებრ სწოვს. თითქო გარემოებაც როგორღაცა სწყალობს ხოლმე, როგორღაც ხელს უმართავს.

აი ეხლაც, მაგალითად, მას აქედ, რაც აკრძალულ იქმნა ხორბლეულების გატანა საზღვარგარედ, მთელი მიწათმოქმედი ხალხი — თავადაზნაურობა თუ გლეხკაცობა — საღტად დარჩა პირდაღებული. მართალია, როცა შინ შვილები გიტირიან, გარედ ტაბლას რა უნდა: როცა შინ შიმშილია, პური რად უნდა გავიდეს გარედ, მაგრამ აქ კი საქმე ისე გამოდის, რომ ჩვენი ჭირნახული, რომელიც, ღვთის მადლით, დღეს ჩვენში ბევრია, არც დამშეულთათვის მიაქვთ და ველარც გარედ გაგვაქვს, რომ ჩვენც ხელი მოვინაცვლოთ და ჩვენს საყოველდღეო საჭიროებას გავუძღვეთ. არც ჩვენაო, ნურც თქვენაო. მაშ ვისა. მარტო ჩარჩებსა. სხვა გზა არ არის, ქვეყანა მარტო ჩარჩებს უნდა ჩაუვარდეს ხელში. უმუშტრობამ ცალკე, გაჭირებამ ცალკე ლამის ჩალის ფასად გადააყრევინოს ხალხს მისი ნაწვავ-ნადაგი და ჩარჩებს ჩაუგდოს ხელში. ჩარჩები, რა თქმა უნდა, სიხარულით ტაშსა სცემენ. ამ გაჭირებაში ჩალის ფასად დასტყუებენ ხალხს მის ჭირნახულსა და მერე იეფად ნასყიდს მამასისხლად გაჰყიდიან.

ახლა იფიქრეთ, ამ სახით რამოდენა ძალი ქონება დაეკარგება გამრჯელსა, რომელიც ეხლა ისე შეფუთვილია, რომ იეფად უნდა ჰყიდოს და რამოდენა ქონება დარჩება ჩარჩსა, რომელიც იეფად ნასყიდს ამ ორ-სამი თთვის უკან, მამასისხლად გაჰყიდის და სხვის ოფლის მონაწურისაგან ჯიბეს გაივსებს. ყოველ ამაში ჰზარალობს გამრჯელი, ჰზარალობს მხმარებელი და მოგებაშია მარტო ის, ვისაც ხელიც კი არ გაუნძრევია საჭირნახულოდ.

აბა ერთი იფიქრეთ: რა უნდა ჰქმნას გამრჯელმა ხალხმა, როცა გარემოება ხელს უწყობს სტახეევის-თანა მარჯვე კაცს რამდენისამე თთვის განმავლობაში ხელიდამ ნახევარ მილლიონის ქონება ჰგლიჯოს მოჭირნახულეს და თვითონ იდოს ჯიბეში. რა უნდა ჰქმნას გამრჯელმა ხალხმა, როცა ეუბნებიან, არც მე მოგივალ შინ და ვიყიდი შენს ჭირნახულსა და ნურც გარედ გაიტან გასასყიდათაო. ან გამრჯელი რად უნდა იყოს ჩავარდნილი იმ მდგომარეობაში, რომ უილაჯობის გამო იძულებულია ჩალის ფასად ჰყიდოს თავისი ნაწ-ვავ-ნადაგი, ან ხარბს ჩარჩსა რად უნდა ჰქონდეს გზა გახსნილი, რომ საცა არ უთესნია, იქ უხვადა მკოს.

ნუთუ აშკარად დასანახი არ არის, სად და რაში უნდა ეწამლოს ასეთს უნუგეშოდ ყოფნას მიწათმომ-ქმედის ხალხისას.

[1891 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1892 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>

ტფილისი, 8 იანვარი

იმისთანა უმაგალითო და შემაძრწუნებელი უბედურება, რომელმაც სასიხარულო დღესასწაული ნათლისღებისა გლოვისა და ვაების დღედ გადაუქცია ჩვენის ქალაქის მკვიდრთა, ძალაუნებურად მილურსმავს ხოლმე ადამიანის გონებას ერთს საგანზე: ვინ და რა იყო მიზეზი ასეთის საშინელის ამბისაო. გლოვა და ტირილი ხომ ერთია და ამისი კითხვა და გამოკითხვა ათასი. ზარდაცემული და შეძრწუნებული გონება ამ კითხვას ვერა ჰშორდება, თითქო ნუგეშს ამ გამოცანისაგან ელოდდეს.

მართალია, მინამ საქმე გამოძიებული არ იქნება, ძნელია კაცმა იკისროს ბრალი ვისმე დასდოს. პასუხისგება ღვთისა და კაცთა წინაშე ამ შემთხვევაში მეტად დიდია და ეს სიმძიმე და სიდიდე ბრალისა ყოველს გაბედულობას ართმევს კაცს ვისმეზე თითი მიიშვიროს დამნაშავის საჩვენებლად. ეს ხომ ასეა და ჩვენც, რასაკვირველია, იმოდენად არ გავკადნიერდებით, რომ კანონიერს გამოძიებას ჩვენ ჩვენი სიტყვა დავასწროთ. მართალია, ყველა შეწუხებულია, ყველა დაღონებულია და გულჩათუთქული, რომ ეს საშინელი ამბავი მოხდა, მაგრამ მოქალაქობრივი მოვალეობა ითხოვს მშვიდობიანად და მოთმინებით ვუცადოთ, რას გამოიძიებს, რას გამოარკვევს მთავრობის მიერ დანიშნული გამოძიება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამართალი ამ შემთხვევაში თავისს უტყუარს განაჩენს

დასდებს, როცა საამისოდ საკმაო საბუთი ხელთ მოუგროვდება.

ხოლო ერთი რამ გვაკვირვებს და გვაოცებს. დღევანდელს აქაურს გაზეთებში დაბეჭდილია ტფილისის ქალაქის გამგეობის სახელით შემდეგი:

„იმის გამო, რომ ქალაქში ხმა გავარდა, და თვით ჟურნალ-გაზეთებშიაც, ვითომ მადათოვის კუნძულის და ვანქის შუა ჩაქცეულ ხიდის აშენებაში ქალაქის შენობათა განყოფილებაც (городское строительное отделение) რეულა, ქალაქის გამგეობა ვალად ჰრაცხს გამოაცხადოს, რომ მას (გამგეობას) ამ ხიდის აშენების ნება არ მიუცია; რომ პირიქით, 16 დეკემბერს მოითხოვა პროექტი ხიდისა და პროექტიც კი არ წარმოუდგინეს; რომ არც ქალაქის ინჟენერს, არც ერთს ქალაქის ტეხნიკოსს ხიდის შენებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და, როცა ხიდი გაკეთდა, არავინ მათგანი არ მოუწვევიათ შესამოწმებლად, გამგეობის ნებადაურთველად უკვე აშენებულის ხიდის და არც იმის გამოსარკვევად, თუ რამოდენად შემძლეა ხიდი, ხალხი შეიმაგროს“.

ვკითხულობთ ამისთანა განცხადებას და გვიკვირს: რა უნდა ეთქვა ამით გამგეობას? ნუთუ ისა, რომ ამ საქმეში მე კი ხელი დამიბანიაო და დანარჩენი თქვენ იცითო.

ჩვენ შორსა ვართ იმაზე, რომ ქალაქის გამგეობას პირდაპირი ბრალი დავსდვათ. ჩვენა გვსურს, რომ კანონიერმა სამართალმა აღმოაჩინოს ბრალეული და შესაფერისი სასჯელი მიუწყას. ხოლო არ შეგვიძლიან გავუჩუმდეთ ამ ახირებულს საბუთებს, რომელიც გამგეობამ თვითვე გამოაცხადა გაზეთებში თავის გასამართლებლად. გამგეობა ამბობს, ჩვენ ნება არ მიგვიცია ხიდის გადებისაო. ჩვენა გვგონია, რომ ძალიან დაუშავებია, რომ ნება არ მიუცია, რადგანაც ყველამ, დიდმა და პატარამ, ქალაქში იცოდა, რომ სომხობისათვის წყალის კურთხევა ისევე საჭიროა, როგორც მართლმადიდებელთათვის, და ხსენებულ ხიდის ნებადაურთველობა ამ შემთხვევაში მოასწავებს გაუქმებას იმისთანა საღვთო წესისას, რომელიც ყველა მორწმუნეთათვის მეტად ძვირფასია.

ჩვენ არ ვიცით, იმიტომ არ მისცა გამგეობამ ნება, რომ ამისთანა საშინელის ფათერაკის შიში ჰქონდა, თუ

სხვა რამ მიზეზი იყო. პირველს შემთხვევაში ნებადაურთველობას კიდევ რაიმე შესაწყნარებელი და პატივსაცემი საბუთი ექმნებოდა. ხოლო ყოველ შემთხვევაში გამგეობას სხვა გზა და სხვა შესაფერი ადგილი უნდა ეჩვენებინა, რომ სომხობას თავისი ჩვეულებრივი სამლვთო წესი აესრულებინა ღირსეულის პატივით და დიდებითა. ჩვენ ნება არ მივეცითო, განა ეს გასამართლებელი საბუთია? ქალაქში ხიდს აკეთებენ, იციან, რომ ათასი და ორი ათასი კაცი გაივლის იმ ხიდზე თითქმის ერთს დროს და ქალაქის მკვიდრთათვის მზრუნველმა გამგეობამ აქ ხელი უნდა დაიბანოს მარტო იმ ნუგეშით, რომ ჩვენ ნება არ მიგვიციაო.

დავანებოთ ყველას ამას თავი: ვსთქვათ, გამგეობას ნება არ მიუცია ხიდის გადებისა. მითამ რაო? მთელი ერთი თთვე გამგეობის დაუკითხავათ იმისთანა თვალსაჩინო ადგილას ხიდს აშენებენ, საცა თითქმის ორი თუ მეტი ათასი კაცი ერთს დროს მოგროვდება, და გამგეობას თითიც არ გაუნძრევია, ან კეთება შეაყენოს ან გაკეთებული შეამოწმოს, რომ უბედურება რამ არ მოხდეს. ნუთუ მთელი ერთი თთვე ვერავინ ვერ დაინახა, რომ ხიდი კეთდება! თუ ესეა, ძალიან თვალახილებული მზრუნველნი ჰყოლია ჩვენს ქალაქსა.

არავინ არ მოგვმართა, რომ ხიდი შეგვემოწმებინაო. როგორ? ამისთანა შემთხვევაში განა ლოდინი უნდა, აცა, მოვლენ და გვთხოვენ ხიდის სიმკვიდრის შემოწმებასაო? თვით გამგეობას განა ყური უნდა მოეყრუებინა იქ, საცა ასისა და ათასის კაცის სიცოცხლეა სახეში მისალები და განსაცდელში ჩავარდნილი? განა აქ ლოდინი უნდოდა მომწვევის კაცისა და თვით გამგეობას კი ყოველივე ღონისძიება არ უნდა მიეღო, რომ შეემოწმებინა და ეს საშინელი უბედურება არ მომხდარიყო?

აკი ვამბობთ, რომ ჩვენ შორსა ვართ ბრალი ვისმე დავსდოთ, მაგრამ როცა ამბობენ, ჩვენ უნდა ნება დაგვერთვა, ჩვენ უნდა შეგვემოწმებინაო, მაშინ ჩვენც ნება გვაქვს ვუპასუხოთ: თუ თქვენ ნება არ დართეთ, რალად გააკეთებინეთ, რატომ არ დააყენეთ ხიდის მუშაობა, და თუ გააკეთებინეთ, რატომ არ შეამოწმეთ. უბრალო

კედლის ამოყვანა რომ გაბედოს ვინმემ თავის სახლებში, გამგეობის ნებადაურთველად, ათასი მოხელე თავზე დაესხმის ხოლმე, ნუ აკეთებო, და აქ ორი თუ სამი ათასის კაცის გასასვლელს ხიდსა სდებენ, ამოდენა ხალხი განსაცდელში ცვივა და გამგეობა ტფილისის ქალაქისა ყურსაც არ იბერტყავს.

საკვირველ არიან, გამგეობავ, საქმენი შენნი!

ტფილისი, 16 იანვარი

ნათლისღების დღეს მომხდარმა უბედურობამ ყოველივე საქმე უკან დააყენა, სხვა ყველაფერზე ადამიანს აზრი მოუჭრა და ენა დაუდუნა. ამ უბედურობისაგან ამღვრეული და შემაძრწუნებელი გული დღესაქამდე არ დაწყნარებულა და ტკივილი საშინელ ყოფილისა არ დაამებულა. რასაკვირველია, ეხლა ჩვენის დაგვიანებულის ვაითა და ვიშითა უბედურად დაღუპულნი აღარ დაუბრუნდებიან თავიანთ დაობლებულ ოჯახებს, მაგრამ ესეც ცოტაოდნად სანუგეშოა, რომ ჩვენში დიდმა თუ პატარამ სხვის ურარაოდ წახდენა და დაღუპვა საკუთარ უბედურებად მიიჩნია და დიდი გულისტკივილი გამოიჩინა. ამ ამბავმა ყველა მისძრამოსძრა და ჩვენს ჩვეულებრივად თვლემით მიმავალს ცხოვრებას სამერმისოდ თვალი აახილებინა იმ მხრით, რომ ცხადად დაგვანახვა, — თქვენს თავს თუ თქვენვე არ უპატრონეთ, სხვაზედ იმედს ამისთანა ბოლო მოსდევსო, ჭკვა ისწავლეთ და გაფრთხილდითო.

მართალია, ქალაქის მკვიდრთა საპატრონებლად, მათდა მშვიდობიანად და უშიშრად საყოფნელად, მათდა საერთო ცხოვრების საკეთილოდ და სასიამოვნოდ მოსაწყობად ბევრი სხვადასხვა დაწესებულებანი არიან მთავრობისანი, მაგრამ ამათ გარე ქალაქის თვითმმართველობაც არის მოწვეული ამავე სამსახურისათვის. ეგ თვითმმართველობა თვით ქალაქის მკვიდრთა ხელშია და მაშასადამე მისი ავკარგიანობა საკუთრად ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ, წინადაცა ვსთქვით და ეხლაც ვიტყვით, პირდაპირს ბრალს არავისა ვსდებთ, რომ ნათლისღების დღეს ამოდენა ხალხს საფლავი გაეთხარა და ამოდენა ოჯახებს დიდის დღეობის სიხარული გლოვად გადაექცა, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ თუ

წევრნი ქალაქის გამგეობისანი ცოტაოდნად გულმოდგინენი ყოფილიყვნენ, ყველა ეს უბედურება აგვცდებოდა, ჩვენ იმას ვჩივით, რომ გამგეობას შეეძლო უბედურება აეცილებინა და შესაძლებელი არა ჰქმნა. ამაზე ეჭვი არ არის.

ამ შემთხვევაში იმით გამართლება თავისა, რომ ჩემი მოვალეობა არ იყო საქმეში ჩავრეულიყავიო, გამტყუვნებაზე უარესია. ვინ არ არის მოვალე, რომ ხალხის განსაცდელში ჩასავარდნელი რამ კეთდებოდეს, საქვეყნოდ გამოფენილი, — და არ იხმაროს ყოველივე ღონისძიება ეს განსაცდელიანი საქმე ან შეაყენოს, ან განსაცდელგარედ დააყენებინოს. განა აქ რომელიმე მუხლი კანონთ კრებულისა არის საჭირო? რომელი კანონია ქვეყნიერობაზე იმისთანა, რომ მის ნებადაურთველად ასი და ორასი კაცი ვერ გადავარჩინო სიკვდილისაგან? რომელი კანონია ისეთი, რომ ვისმეს შეჰრისხოს, რად შეჰკარ და გააუქმე ისეთი ხიდი, რომელიც ჩატყდება და ას და ორას კაცს თან ჩაიტანს წყალში დასაღუპავადო?

ყოველის კანონის თავი და ბოლო მოქალაქეთა და მკვიდრთა მშვიდობით და მოსვენებით ყოფნაა. ამის გარე კანონს არავითარი მიზეზი არსებობისა არა აქვს და ყოველივე ღონე, ამ მშვიდობით და მოსვენებით ყოფნისთვის გამოსადეგი, წმინდა მოვალეობაა თვითეულისა ცალკე და ყველასი ერთად, და ამიტომაც აქ ხელის დაბანა, მე არ ვერიე ხიდის კეთებაშიო, გამოცხადებული ქალაქის გამგეობისაგან, უფრო საბუთია დანაშაულობისა, ვიდრე გამართლებისა. არის იმისთანა შემთხვევა ხოლმე კაცთა ცხოვრებაში, რომ თვით არგარევა საქმეში თავისთავად დიდი დანაშაულია და იმ ხიდის ალალბედად დაგდება, რომლის უხეირობამ ასი და ორასი კაცი შეიწირა, ერთი იმისთანა შემთხვევაა. ამიტომაც დიდად მართალია ხმოსანი თ. მიქელაძე, რომელმაც წარსულ ორშაბათს საბჭოში წარმოსთქვა ეს მწვავე სიტყვები: „იქნება ფორმალურმა სამართალმა ქალაქის გამგეობა არ მიიწვიოს პასუხის საგებლადაო, მაგრამ სამართლიანად გულგამწყრალ საზოგადოების სინიდისის წინაშე კი ქალაქის გამგეობა დიდხანს კიდევ იჯდება დამნაშავეთა სკამზედაო“.

ჩვენ ეს ყოველივე იმისთვისა ვსთქვით, რომ იქნება ამ საშინელმა მაგალითმა ნათლისღების უბედურებისამ ჩააფიქროს ქალაქის მკვიდრნი; — თუ რა სიფრთხილით, რა წინდახედვით, რა შიშით და კრძალვით უნდა აირჩიონ ხოლმე ქალაქის თვითმმართველობის კაცები. ეს ერთი მაგალითი საკმარისია იმის საცოდნელად, — თუ რა დიდი საქმე აბარიათ იმათ, ვისაც ჩვენი კენჭი ჰგზავნის ან ხმოსნად საბჭოში, ან წევრად ქალაქის გამგეობაში. ნათლისღების უბედურება პირდაპირ გვეუბნება, რომ ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლეც კი იმათ ხელშია, სხვა რომ არა ვსთქვათ რა, იმათ ხელშია იმიტომ, რომ შესაძლო იყო სიკვდილისაგან დახსნა აწ დახოცვილებისა და არ იქმნენ დახსნილ, რადგანაც ის, რაც გულსა და სულში უნდა ეწეროს ადამიანს, იმას ჩვენი გამგეობა კანონების წიგნში ეძებს.

ამისთანა დასაბუთებულს უგულობას და უსულობას ჰყვირის და სჩივის ეგრედწოდებული ოპოზიცია, სახელოსნო სკოლის საქმე გნებავთ, თუ ცხენის რკინისგზისა, ყველგან ხელის გულსავით ნათლად გვიხატავს უთავბოლო და ალალბედა მოქმედებას გამგეობისას და მაინც არიან მომხრენი გამგეობისა, რომელნიც სცდილობენ თვალი აუხვიონ ხალხს და ოპოზიციას მოამდურონ.

იმედია, რომ ეს ოთხი წელიწადი ამაოდ არ ჩაუვლის ქალაქის მკვიდრთა. ხმოსანმა თ. მიქელაძემ მართალი სთქვა, რომ იმედიაო, ამ ხნის განმავლობაში ქალაქელნი დაინახვენ, ვინ არიან მათი გულმოდგინე კეთილისმყოფელნი და ვინ არა. რასაკვირველია, დანახვა ამისა კარგია, მაგრამ მარტო დანახვა საკმაო არ არის. საქმე ის არის დანახულისამებრ მოვიქცეთ ჩვენცა, როცა ხელში კენჭს ავიღებთ და იმისთანა კაცების არჩევანს შევუდგებით, რომელნიც ღირს იქმნებიან ჩვენი მშვიდობით და მოსვენებით ყოფნა მივანდოთ, ჩავაბაროთ, და ჩვენს კეთილდღეობას ვამსახუროთ გულითა და სულით. საქმე ის არის, რომ როცა კენჭით ხელში მივალთ არჩევანის ყუთთან, ერთმანეთს ვაფრთხილებდეთ: გახსოვდეთ ნათლისღების უბედურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნათლისღების უბედურობის ვაი-ვაგლახში როგორღაც ჩუმად ჩაიარა, თუმცა დიდის ხნის მოსალოდნელმა, მაგრამ საოცარმა ამბავმა, რომელიც გამომჟღავნდა მთელის თავისის სიგრძე-სიგანით 30-ს დეკემბერს ქალაქის საბჭოში.

ამ დღეს საბჭოს განსაკითხად დანიშნული იყო სარჩიელი ნ. დ. ზუბალაშვილისა იმის შესახებ, რატომ არა ჰსრულდება ქალაქისა ცხენის რკინისგზის უსახელო საზოგადოების ხელშეკრულობის მე-21 მუხლიო. ამის გამო ნ. დ. ზუბალაშვილმა წარმოსთქვა გულდადებული, წინდახედული, დიდად დასაბუთებული, ყოვლისფრით სრული სიტყვა, და ის, რაც მან გამოამჟღავნა საბუთების ჩვენებითა, მართლა რომ საოცარია.

საქმე იმაშია, რომ 1881 წ. 11-ს აპრილს ქალაქი და ცხენის რკინისგზის უსახელო საზოგადოება ხელწერილით შეკრულან და მე-21 მუხლს ამ ხელწერილისას ვალად დაუდვია ცხენის რკინისგზის უსახელო საზოგადოებისათვის რკინისგზის გადაგვა და ნაგავის გატანა. პირველ დღიდამვე 1888 წ. 12-ს ივლისამდე უსახელო საზოგადოებას აინუნშიაც არ მოსვლია შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ცხადად მოხსენებული ხელშეკრულების მე-21 მუხლში. ქალაქის ფულის გულმოდგინე შემნახველს ქალაქის გამგეობას აუღია და, რაკი შენ არა ჰგვი და შენ არ ასუფთავებ, მოვალეობისამებრ, შენს გზასა, მე დავგვი და ნაგავსაც მე გავიტანო ქალაქის ფულით, რომელიც, ჩვენში კი ითქვას, მას მიბარებული აქვს, რომ ტყუილუბრალოდ არა ჰფანტოს. რა თქმა უნდა, უსახელო საზოგადოება, დიდად მადლიერი ამისთანა გულუხვობისათვის, გაუჩუმდა ქალაქის ფულზე გულუხვს გამგეობას. ამ სახით 1881 წლიდამ 1888 წლამდე გამგეობას უგვია და უზიდნია ნაგავი ცხენის რკინისგზისა ქალაქის ხარჯითა და „ქალაქის ღარიბ დახლიდამ მილიონების პატრონს საზოგადოებას რვაასი თუმანი შეაწიაო“, ამბობს ბ-ნი ზუბალაშვილი.

ამ საჩუქარს მოუყრია ყური, რასაკვირველია, უსახელო საზოგადოებამ. ან რად იტყოდა რასმე? პირველი, რომ ნაჩუქარს ცხენს კბილებს არვინ უსინ-

ჯავს, მეორე, რომ მეტი ლუკმა ყელში არავის დასდგომია. მართალია, არც გამგეობას უტკენია თავი იმის გამოძიებაში თუ, კაცო, ამ ქალაქისაგან მობარებულს ფულს რაზედ ვაჭმევთ სხვასაო. სწორედ შვიდი წელიწადი მოუნდა, ვიდრე გამგეობა ამისთანა წინდაუხედაობაზე თვალს აახელდა, ისიც როგორ? გაეხმაურა ზრდილობიანად უსახელო საზოგადოებას და არანაკლებ ზრდილობიანად მოაგონა, რომ ცხენის რკინისგზის დაგვა და ნაგავის გადაყრა შენი ვალიაო. კაცსა ჰგონია, ამის შემდეგ მაინც ხელს აიღებდა გამგეობა რკინისგზის დაგვისა და ნაგავის გადაყრისაგან ქალაქის ხარჯითაო. თქვენც არ მომიკვდეთ: ხომ შეატყობინა, დაგვა-დაწმენდა თქვენი ვალიაო, მაგრამ მაინც თვით გამგეობა ისევ ქალაქის ფულით სწმენდდა და ნაგავი გაჰქონდა, თითქო ეძნელებაო, ამ სასიამოვნო შექცევას თავი როგორ დავანებოო.

ამისთანა ტკბილი ურთიერთობა ერთის მხრით უსახელო საზოგადოებისა და მეორეს მხრით ტფილისის ქალაქის გამგეობისა არა ნაკლების სიტკბოებით იმალავდა თავს ამ ორთა შორის 1890 წლამდე. გამგეობას ფიქრად არ მოსვლია საბჭოს შეატყობინოს უსახელო საზოგადოება არ ასრულებს თავის მოვალებას, და აი შვიდი წელიწადია, რაც ხელშეკრულობის პირობას არღვევს. ეს ამბავი შეიტყო თურმე საბჭომ როგორღაც ფათერაკად 1890 წ. 21 მაისს, როცა ხმოსანმა თ. მიქელაძემ აცნობა საბჭოს, რომ ვაგზალის გზაზე თავის დროზე აღარ დადის ცხენის რკინისგზის ვაგონებიო.

რა ჰქმნა მაშინდელმა საბჭომ, როცა ეს უეცარი ამბავი შეიტყო? მაშინ, ხომ მოგეხსენებათ, ტკბილად ცხოვრების დრო იყო. მაშინ ყველანი იმის ფიქრში იყვნენ, რომ ოღონდ მე კარგად ვიყო და თუნდ ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეხლაა, რომ ეს რალაც „ოპოზიცია“ გაჩნდა, რომელიც იძახის, ოღონდ კი ქვა ქვაზე დარჩეს და შენ კი, თუნდ იყავ, თუნდ არაო.

ტკბილმა მაშინდელმა საბჭომ დაადგინა თურმე: ვაგონების სიარულის აღკვეთის გამო უსახელო საზოგადოებას გადახდეს ჯარიმა 12, 800 მან., გამგეობას მიენდოს ამ ჯარიმის გადახდევინება, თუ უსახელო სა-

ზოგადოება არ მოურიგდა გამგეობას ცხენის რკინისგზის დაგვისა და ნაგავის გადაყრის შესახებო. ამ სახით საბჭომ ნასკვიც ხელთ მისცა უსახელო საზოგადოებას და გამოსახსნელი ძაფის წვერიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უქმნია ამ დანადგენის აღსასრულებლად გამგეობას? როგორც ეტყობა, მოჰრიგებია ასე, რომ უსახელო საზოგადოებას უკისრნია წელიწადში სამოცის თუმნის ძლევა და გამგეობას გვა და ზიდვა ნაგავისა. ხოლო საკვირველი ის არის, რომ ამ გვასა და ნაგავის ზიდვაზე თვით ქალაქს ეხარჯება, ქალაქის ინჟენერის სიტყვით, წელიწადში 2140 მანეთი და გამგეობა კი დასჯერებია სამოცს თუმანს. ამ მხრით ქალაქის ჯიბიდამ გამგეობას უთავაზნია უსახელო საზოგადოებისათვის ყოველწლივ ას ორმოცდათოთხმეტი თუმანი ფეშქაშად. ვინ იტყვის, კარგი არ არის თავაზა და ფეშქაშიო, მაგრამ სხვისის ჯიბიდამ ნათავაზევისა და ნაფეშქაშიხა კი რა მოგახსენოთ.

სასაცილო ჯერ აქ მაგდენი არაფერია. საქმე ის არის, რომ მინამ ნ. დ. ზუბალაშვილი ამ საქმეს გამოარკვევდა, ატეხილიყო ერთი ახირებული სიტყვა-პასუხობა, მორიგებული ვართ თუ არა უსახელო საზოგადოებასთან იმაზე, რომ ქალაქმა უნდა ჰგავოს და ზიდოს ნაგავი წელიწადში სამოც თუმნადაო. კაცი რომ დაუკვირდეს ამის გამო ლაპარაკსა, სწორედ ვოდევილია. სამს გამგეობის წევრს სამი სხვადასხვა აზრი ჰქონია თურმე ამ საგანზე. ერთი იძახის არა ვართ მორიგებულნიო, მეორე ამბობს: სტყუი, მორიგებულნი ვართ, მხოლოდ ვადამდეო, და მესამე ჰყვირის: ერთიც სტყუის და მეორეც, მორიგებული ვართ და გათავდაო.

ნ. დ. ზუბალაშვილმა კი დაამტკიცა, რომ გამგეობის მორიგება, თუნდა იყოს კიდეც, მორიგებად არ ჩაითვლება, ვიდრე საბჭოსაგან დამტკიცებული არ იქნებაო, და რადგანაც არც გამგეობას შეურაცხავს თვის კანონიერ ვალად წარმოედგინა საბჭოსათვის მორიგება დასამტკიცებლად და არც საბჭოს დაუმტკიცებია, არავითარს მორიგებაზე ლაპარაკი არ უნდა იყოსო. ბ-ნმა ზუბალაშვილმა ამის შესახებ კანონით დაასაბუთა თავისი სიტყვა.

ნუთუ ბ-ნ ზუბალაშვილის მშვენიერ და დასაბუთებულ სიტყვის შემდეგ ნება არა გვაქვს მწუხარებითა ვსთქვათ: ღმერთო, ეს ვის ხელში ჩაგვიგდია ქალაქის საქმეო.

ნუთუ ეხლაც იტყვიან, რომ ეგრედწოდებული ოპოზიცია ცარიელ აყალმაყალის მეტს არას აკეთებსო. ნ. დ. ზუბალაშვილმა პირში ბურთი ჩაუდო ყოველს ამის მთქმელს და იმედია, თუ ოპოზიცია ამ რიგიანსა და საბუთების გამორკვევის გზას არ გადაუხვევს, კიდევ ბევრს ამისთანა სასახელო გამარჯვებას დაინარჩუნებს.

[1892 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ქუთაისის არჩევნების გამო>

ტფილისი, 22 იანვარი

ქუთაისის საზოგადო საქმეთა მიმდინარეობამ კიდევ ერთი ურიგობა შეიტანა თავის მატიანეში. მესამე რიგობის არჩევანები არ მოხდა კრების თავმჯდომარის განკარგულებით. დეპეშები ქუთაისიდამ გვაუწყებდნენ, რომ კრების თავმჯდომარეს ამის მიზეზად გამოუცხადებია, რომ ზოგიერთი უკანონობა, რომელიც ჩამოერთვა ამ არჩევანსა, იძულებულს მხდისო შევაყენო არჩევანები, ვიდრე მთავრობა მოახდენდეს ამ საგანზე ჯეროვანს განკარგულებასაო.

რით და რომელი კანონი დარღვეული იქმნა ამ კრებისაგან, დღეს აქამომდე არ ვიცოდით. ეხლა კორესპონდენტები სხვადასხვა აქაურ გაზეთებისა თითქმის ეთხმად და ერთნაირად გვაუწყებენ, რომ ორს დასს შორის, რომელნიც ამ არჩევანებში ერთმანეთს ებრძვიან ერთი მეტად უმართებულოდ მოქცეულა თავის მეთაურთა წყალობით. საქმე ის არის, რომ არჩევანების ყუთებთან, რომელნიც რიცხვით ათია თურმე, დაუყენებიათ გამგებელნი და ამათ შორის ბ-ნი კალ. ჩიკვაიძე ყოფილა. ამ ბ-ნს ჩიკვაიძეს აბრალებენ, რომ ამომრჩეველებს ასწავლიდა თურმე, ვის მისცენ თეთრი კენჭი და ვის შავი, მითამ იმისდა მიხედვით, თუ — ვინ სდომებია გაეთეთრებინა და ვინ გაეშავებინა.

ეს ასეთი ქცევა შეუნიშნავს ერთს სხვა გამგებელს, ბ-ნს ნაზაროვს, რომელსაც გამოუცხადებია ყოველივე ეს საჯაროდ თავმჯდომარისათვის. თავმჯდომარეს, რასაკვირველია, ყურადღება მიუქცევია და რომ ამისთანა უწესობას შემდეგში ადგილი აღარ ჰქონოდა,

უთქვამს, — ვინც არ იცის, რომელი მხარეა ყუთისა ამომრჩეველი და რომელი არა, მე დამეკითხენით და მე აღგიხსნითო. როგორც ეტყობა ბ-ნს ჩიკვაიძეს ამის შემდეგაც არ დაუშლია თავისი მოქმედება, რადგანაც ბ-ნ ნაზაროვს ხელმეორედ მოუხსენებია ეს ამბავი კრებისათვის და არჩევანის გამგებელობისათვის თავი დაუნებებია და გადამდგარა. აშკარაა, მიზეზი მეტად მძიმე ყოფილა, რომ ბ-ნი ნაზაროვი ერთხელ ნაკისრ თანამდებობისაგან იძულებულ შექმნილა გადამდგარიყო.

ეს ერთი ურიგობა და უწესობა, რომელიც არ შეიძლება არ დავიჯეროთ, ჯერ იმიტომ, რომ ყველა კორესპონდენტები ამას ჰმოწმობენ, მეორე იმიტომ, რომ ერთი გამგებელთაგანი ესეთის დაჟინებით ორჯერ თუ სამჯერ ერთსა და იმავე ამბავს არ განიმეორებდა ამოდენა ხალხში, თუ მართლა საბუთი არა ჰქონოდა.

როგორც მოხსენებული იყო, ათი ყუთი დაედგათ ათის კაცის ამოსარჩევად. თქმა არ უნდა, რომ რაკი ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე რიცხვი ამომრჩეველთა კენჭს იძლევა, კენჭთა საერთო რიცხვი — თეთრი და შავი ერთადერთი და იგივე უნდა იყოს თვითოეულის ყუთში. ბოლოს კი, როცა დაუთვლიათ კენჭი, გამოსულა, რომ ზოგში კენჭი მეტია, ზოგში ნაკლები და მეტნაკლებობა ზოგში თითქმის ოცამდე ასულა. ამისთანა მეტნაკლებობა, რასაკვირველია, სხვას არას მიეწერება ამ შემთვევაში, თუ არა იმას, რომ ერთსა და იმავე კენჭოსანს ერთის მაგიერ რამდენიმე კენჭი ერთს ყუთში უყრია. როგორ უნდა მომხდარიყო ამისთანა უჯერობა? ორი მიზეზი აღმოჩნდა თურმე ამისი — ერთი ის, რომ ზოგს აბრალებენ, მომეტებული კენჭი შინიდამვე მოუტანიათო და ზოგს კიდევ იმას, რომ თავმჯდომარეს ათის არჩევანისათვის ათივე კენჭი ერთად უძლევია ამომრჩევლისათვის იმ აზრით, რომ თითო კენჭს თითო ყუთისათვის მოიხმარებსო.

პირველს მიზეზს დასაბუთება უნდა და აქ მარტო ცალიერის გუმანის მიტანა საკმაო არ არის, თუმცა მაგისთანა უკადრისს საქციელს შესაძლებლად ვხადით იმათთვის, ვინც მართებულობაზე ხელაღებულია. ძნელია კაცმა კაცს უკადრისობა შესწამოს და ამისათვის ხელშეუვალი საბუთი ხელთ არა ჰქონდეს. მეორე

მიზეზი კი ადვილად დასაჯერებელია, მით უფრო, რომ აქ შეცდომა უცოდინარობისაგანაც ადვილად მოხდება ხოლმე. ამიტომაც ყველგან წესად მიღებულია, რომ ერთს ამომრჩეველს ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კენჭი არ აძლიონ. ყოველს ორსა თუ სამს ყუთთან თითო განმგებელი უნდა იყოს მიჩემებული, რომელმაც თითო ყუთთან თითო კენჭი უნდა აძლიოს და ვიდრე ერთს არ მორჩება, მეორის კენჭის გამორთმევა აკრძალული უნდა ჰქონდეს. ყველგან ესეა და, ჩვენა გვგონია, რომ ბრალი ამ მხრით უწესოებისა უნდა დაედვას არჩევანების რიგის დამწყობს: ერთსა და იმავე დროს ერთის კაცისათვის ათი კენჭი არ უნდა ეძლია. ამ შემთხვევაში, რომ კენჭოსანს ფიქრადაც არ ჰქონდეს განზრახ მოახდინოს რამე უწესოება, შესაძლოა, უცოდინარობის გამოც ერთს ყუთში ორი და სამი კენჭი ჩაჰყაროს და ამის გამო ბოლოს კენჭთა საერთო რიცხვის შეუწყნარებელი მეტ-ნაკლებობა გამოჩნდეს.

ეს ყოველივე ხომ ესეა და ესე. ჩვენ მარტო ეს გვიკვირს: ქუთათელებს რად ემართებათ ხოლმე საზოგადო საქმეებში იმისთანა ამბები, რომელთ გამოც ყოველს ჭეშმარიტს ქართველს, ყოველს ჩვენს გულშემატკივარს გული ნაღვლით ევსება. აქ მიზეზი ნაღვლისა ის კი არ არის, რომ ორი დასი ერთმანეთს ებრძვის. მაგისთანა ამბავი სად არ არის? უნდა იყოს კიდეც, თუ საზოგადოება სცხოვრობს და მოქმედებს. ხოლო სანატრელი ის არის, რომ ყოველს ამაში აზრი აზრს დაუპირისპიროს კაცმა, იდეამ იდეას გაუწიოს ანგარიში და არა ღობემძვრალა შურმა და მტრობამ დააჯახოს წევრნი ერთისა და იმავე საზოგადოებისა ერთმანეთს მარტო იმისთვის, რომ მე ასე მნებავსო და თვალი უნდა მოგთხაროვო. შურისა და მტრობისაგან გამოწვეულს ბრძოლაში სანაღვლელი ის არის, რომ არავითარს ზნეობურს კანონს, არავითარს საზნეო მოვალეობას ადგილი არა აქვს ხოლმე, პირიქით, ყოველივე ნაძირალა ინსტიქტს ხელსა ჰკიდებენ და იმით ჰსურთ ბურთი მოედანიდამ გაიტანონ. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლოს ხანებში ამისთანა უკადრისს ტყვია-წამალს ჰხმარობენ ხოლმე ჩვენში და, არა გვგონია, ამან ჩვენ რაიმე სხვა სამსახური გაგვიწიოს, თუ

არა ის, რომ უამისოდ სუსტი საზოგადოებური ზნეობა ჩვენი უფრო არ გაიხრწნას, უფრო არ გაგვიფუჭოს.

თუ ბ-ნ ჩიკვაიძისა და მისის დასის მოქმედება მართლა ისეთია, როგორც კორესპონდენტი იწერება, ჩვენ ჩვენი წმინდა მოვალეობა გვაიძულებს იგი მოქმედება განუკიცხველად არ დავტოვოთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქებური მხნეობა, რომელიც ამ არჩევანებში გამოიჩინა ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ. ასათიანმა. თუ ბოლოს არ მოუღებს ამ ზნეობურს უმართებულობას, ისე მაინც არ ჩაატარებს, რომ სამემრისოდ მაინც ჭკუა არ ასწავლოს და კრიჭა არ შეუკრას იმათ, ვისაც უკადრისობით მოგებული ომი გამარჯვება ჰგონია.

[1892 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<საზოგადო საქმეთა გამო>

ტფილისი, 25 იანვარი

წლევანდელს „ივერიაში“ /№№ 18, 19/ დაბეჭდილი იყო ივრის ხეობიდამ მოწერილი ამბავი. საგანი, რომელსაც იხსენიებს კორესპონდენცია, მეტად დიდის ყურადღების ღირსია, მეტად რთული და ამასთანავე მეტად ბეჯითად და ჭკუადასმით გამოსარკვევი. საქმე იმაშია, რომ მაზრის უფროსი თ. ჯანდიერი მისულა ს. საგარეჯოში და აუხსნია შეკრებილ ხალხისათვის, რომ დღეს თქვენს საერთო ბელელში 7,000 ფუთი პური გაქვთო; რომ ყოველწლივ ასე აგროვოთ, კარგი პატრონობა და ზედამხედვაობა გაუწიოთ და ისე არა ჰფანტოთ და ჰფლანგოთ, როგორც აქამდისაო, ეგრე მოგროვილის პურის გასყიდვით შეგიძლიანთ კაი მოზდილი თანხა იქონიოთ ბანკში რამდენისამე წლის შემდეგ და მაგ ფულით თქვენს საზოგადოებურს საჭიროებას გაუძღვეთ, თუნდ მამულებიც იყიდოთო. რაც მაღაზიები დაარსდა ჩვენში, მას აქეთ რომ ეგრევე მოქცეულიყავით, ეხლა იმოდენა ფული გექნებოდათ, რომ მარტო იმის სარგებელიც საკმარისი იქნებოდა თქვენი საზოგადო საჭიროება გაესტუმრებინა და სხვა საკეთილო საქმეებისათვისაც გადაგრჩებოდათო.

რაც აქამდე უწესოება იყო ამ პურის მაღაზიების საქმეში, იმან კინალამ ამ საქმეს ბოლო არ მოუღო, ხოლო ეხლა ბ-ნი გუბერნატორი, როგორც ნამდვილად ვიცით, შესდგომია ეს საქმე იმისთანა წესსა და რიგში ჩააყენოს, მისცეს იმისთანა აგებულება და განწყობილება, რომ წესით და რიგით მოგროვილს პურს და

ყოველგვარ ხორბალს წესით და რიგითვე პატრონობა და ზედამხედაობა ჰქონდეს თვით ხალხისაგან და მიმართული იყოს ისე, რომ ამ გზით ყოველს სოფლის საზოგადოებას გუბერნიაში ცალკე საზოგადოდ კუთვნილი თანხა — ფული გაუჩინოს საზოგადოებისვე საკეთილოდ მოსახმარებლად. თუ ეს კეთილშობილური განზრახვა ბ-ნ გუბერნატორისა შესრულდა, არ გავა ათი და ოცი წელიწადი, რომ ჩვენის გუბერნიის გლეხკაცობა ფერს იცვლის, თავისს საკუთარს ფეხზე დაჰდგება და, წელში გამართული ქონებით და შეძლებით, გაწურთნული საზოგადო საქმის აღჩენით, პატრონობით და ზედამხედველობით, სულ სხვა კაცად დაენახვება ქვეყანას, სულს სხვა გაბედულობით, სხვა აზრით და ფიქრით, სხვა სითამამით, სხვა ადამიანურის ღირსების გრძნობით გამოვა არსებობისათვის საჭიროდ.

ჩვენმა თავადაზნაურობამაც რომ ამ გზით როგორმე აიჩინოს წყარო საზოგადოებურ ქონებისა თავის საზოგადოებურ საჭიროების გასაძღოლად, მაშინ აღარ ექმნება მიზეზი ამდენის წუწუნისა, რომ ღარიბნი ვართ და გვიშველეთ რამეო. ის ისეთი ძნელი საქმე არ არის, როგორც პირველის შეხედვით ეგონა ზოგიერთს. აქ საჭიროა მარტო მხნე მეთაური კაცი, რომელმაც უნდა იკისროს ეგრე გაცალკევებული და დაქსაქსული ცალკე ინტერესებით თავადაზნაურობა ერთის საზოგადო აზრით და სურვილით შეჰკრას, შეათანხმოს, განმსჭვალოს და გამარჯვება საქმისა უეჭველია.

ეს მარტო სიტყვამ მოიტანა და, სხვათა შორის, იმიტომ ვსთქვით როგორც ამაზე, ისე გლეხკაცობის მაღაზიების საქმეზე, იქნება არა ერთხელ შეგვხდეს შემდეგშიაც ლაპარაკი და მაშინ, ჩვენის შეძლებისამებრ, ვრცლად მოვილაპარაკებთ, ეხლა კი საგნადა გვაქვს აღვნიშნოთ მეორე ახალი საგანი, რომლის გამოც სოფ. საგარეჯოში სჯა და რჩევა ჰქონიათ ბ-ნს მაზრის უფროსს თ. ჯანდიერს და ხალხსა.

ბ-ნს ჯანდიერს უთქვამს, რომ მარტო პურის მაღაზიები არა კმარაო აქაური გლეხკაცობა ფეხზე წამოაყენოს, წელში გამართოსო. მაგ წყაროს სხვაც რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მივაშველოთ, რომ ქონებაც გავიძლიეროთ და ჭკუაც ვისწავლოთო. ჩვენი ქვეყანაო საერთოდ და კახეთი საკუთრივ იმ თავით ამ თავამდე დედაადგილია ვაზისაო, მაგრამ, საუბედუროდ, არც ვაზის მოვლა და ფარეზობა ვიცით და არც ღვინის კეთება და დაყენებაო. ამის გამო ჩვენებურს ღვინოს დიდი ბაზარი არა აქვს, მარტო შინ თუ იყიდება, ისიც იეფად და გარედ გატანისათვის არც ღირსება აქვს და არც გამძლეობაო. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ღვინოებს დიდი ბაზარი ჰქონდეს უზარმაზარ რუსეთის სახელმწიფოში და იქა ვყიდდეთ ჩვენს ღვინოებსა, რუსეთი ღვინოს სხვა ქვეყნებიდამ ეზიდებაო და ჩვენ ჩვენებურს სირაჯების ხელში ვრჩებითო, მაშინ როდესაც ჩვენებური ღვინო ძლივს გასწვდებოდა მარტო რუსეთის ბაზარსაო და, მაშასადამე, მუშტარი დიდი ეყოლებოდაო. ეს ხომ ყველამ იცის, საცა დიდი მუშტარია, ფასიც კარგია. მაშ რა უნდა ვქნათო, უკითხავს ბოლოს თ. ჯანდიერს, რომ ჩვენს ღვინოს ბაზარი გავუჩინოთო? უნდა ვიცოდეთ ვაზს თავის ბუნებისამებრ როგორ მოვუაროთ და ვუფარეზოთ, ღვინო როგორ ვაკეთოთ და დავაყენოთ, რომ არც ბუნებური ღირსება დავუკარგოთ და გამძლეობაც შევძინოთ.

ამისათვის ერთი ღონეაო, უთქვამს ბ-ნს მაზრის უფროსს: ერთი ორმოცის დღის საზოგადო მამული გაიღოთ, განაჩენი მოგვცეთ იმისა, რომ თვითვეულმა თვენგანმა წელიწადში ამ მიწაზე იმუშაოს 5-10 დღემდე გამოცდილ და ნასწავლ კაცთა ჩვენებით, მოგვცეთ თვითვეულმა კომლმა დღიურზე ნახევარ ფუთი ყურძენი, ვიდრე ახალშენი გაშენდებოდეს სანიმუშო საცდელ ღვინოების მოსამზადებლადაო. თუ ამაებს შეასრულებთო, დაუსკვნია თ. ჯანდიერს, ოთხის წლის შემდეგ ორმოცის დღის საზოგადო საერთო ვენახი გექნებათ ახალს წესზედ გაშენებულიო. გარდა ამისა, ყველა თქვენგანი, როცა იმუშავებს ამ ზვარში ამ საქმეში გამოცდილ და ნასწავლ კაცთა ჩვენებით, ისწავლის, როგორ უნდა მოევლოს ვაზსა, ეფარეზოს, ღვინო როგორ დააყენოს, გააკეთოსო.

შინაგანი აზრი, ანუ უკედ ვსთქვათ, ქვაკუთხედი მთელის ამ სარჩიელისა, რაც ზემოდ ვსთქვით, ის

არის, რომ ჩვენს გლეხკაცობას გაულვიძოს თვითმ-
ქმედების სურვილი მისდა საერთო საკეთილდღეოდ.
გონიერი და კეთილმყოფელი კაცი არ შეიძლება
მთელის თავისის თანაგრძნობით არ მიემხროს ამისთანა
აზრს, იმიტომ, რომ მარტო თვითმოქმედებაა თითქმის
ერთადერთი სახსარი ამ ჭირ-ბოროტიანს ქვეყანას
გაუძღვეს კაცი სახელითა და გამარჯვებითა. ეს ერთი.
მეორე ისა, რომ ჩვენი ამ ყოფაში ჩამგდები, რაშიაც
დღესა ვართ — თავადაზნაურნი თუ გლეხკაცობა, —
ჩვენი სიღარიბე და უქონლობა, ჩვენი გონებით
დაუძლურება, გულით დამდაბლება მარტო იმას უნდა
მიეწეროს, რომ ყველანი ცალ-ცალკე გავედით, ერთ-
მანეთს დავშორდით, ცალკე ღობეები შემოვივლეთ და
ცალკე შევიკეტენით. ის აღარ გვახსოვს, რომ ადამიანი
ერთი იმისთანა სულიერია, რომელიც ერთის მხრით
თავისს თავს ეკუთვნის და მეორის მხრით საზოგადოე-
ბას. აი ეს მეორე მხარე, უფრო შემძლები კაცი
კაცურად აცხოვროს, ქონებით თუ გონებით
გააღონიეროს, აი ეს მეორე მხარე, ვამბობთ ჩვენ,
ჩამოგვეთალა, თითქო მეტ ხორციაო და დავრჩით ქვეყ-
ანაზედ მარტო მეორის ნახევრის ანაბარად, ესე იგი,
ცალფეხად, ცალხელად და ცალთვალად.

დღეს საზოგადო საქმისათვის ხელიც გაგვიშეშდა,
ფეხიც და თვალიც დაგვეხუჭა, რადგანაც თუ საქმე არ
არის, არც წვრთნაა, არც ვარჯიშობა და თუმცა მეორე
ხელი, ფეხი თუ თვალიღა მოქმედობს, მაგრამ ეს ის
ხელია, ის ფეხია, ის თვალია, რომელიც ადამიანის
ცალკე ყოფნას ველარ გასცდენია და რომლის ტიბიკ-
ონია ოღონდ მე ვიყო და თუნდ ქვაქვაზედაც ნუ იქნე-
ბაო. ნურსად ნუ ეძებთ მიზეზს ჩვენის სილატაკე-
სიუძლურისას, იგი ამ „მეობაშია", იგი ამ გან-
ცალკევებაშია. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, ეს ხომ
ყველამ ვიცით, რა არის წვიმა? თითო წვეთი ცალკე
რას გააძღობს დამშეულს მიწას, ხოლო ერთად
მოდენილი მკვდარს მიწას ნაყოფიერად ჰხდის და
აცოცხლებს ხოლმე.

საერთო ზვარი საგარეჯოსათვის საერთო, სა-
ზოგადო საქმე იქნება. გარდა იმისა, რომ ამ საქმეს
საზოგადო ქონების გაძლიერება მოსდევს, იმ დახუ-

ჭულს თვალსაც აახილებინებს ხალხს, იმ დაბუჟ-ბულს, თუ გაშეშებულს ხელ-ფეხსაც სამოძრაოდ გარ-ჯის, რომელიც ღმერთს დაუნიშნავს საზოგადო საქმისათვის და რომელთ უქმობამ ამოდენა ზიანი და ვნება მოგვიტანა ჩვენ საერთოდ და თითოეული ცალკე თითქმის მიწასთან გაგვასწორა. ყოველი მაგისთანა საქმე, როგორც, ვთქვათ, საერთო პურის მალაზიაა, ან საერთო ზვარის მოვლა და პატრონობა, სკოლა იქნება არა მარტო იმისი, რაც პირდაპირ ეკუთვნის ამ ერთს, ან მეორეს მათგანს, არამედ გონებისაც, გულისაც, ზნი-საც, იმიტომ რომ არაფერი არ აძლიერებს გონებას, არაფერი არ აღონიერებს და სწმენდს გულსა, არაფერი არა სწურთნის ზნეობას ისე, როგორც საზოგადო საქმე, მისთვის გარჯა და მზნეობა, მისთვის ზრუნვა და ფიქრი.

ჩვენს მდგომარეობაში საზოგადო საქმე, თვითმო-ქმედებაზე აგებული, თითქმის ერთადერთი გზაა ჩვენის გაჭირებიდამ ხსნის ზნეობითად, თუ ქონებითად. სა-ზოგადო საქმე ტალია და თვითმოქმედება კვესი: როცა ერთმანეთს მოხვდებიან, მარტო მაშინ არის ნაპერ-წკალი.

ტფილისი, 1 თებერვალი

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ ჯანდიერის სარჩიელმა საზოგადო, სასოფლო ზვრის გაშენების თაობაზე ზოგიერთი იმისთანა აზრი გა-მოიწვია თურმე საგარეჯოში ხალხის კრებაზე, რო-მელსაც არ შეიძლება კაცმა წუნი არ დასდოს, თუ კაცი ღრმად განსჭვალავს შინაგანს აზრს სარჩიელისას, ღრმად ჩაჰხედავს გულში და ისე გამოარკვევს იმ სარ-ჩიელის გულნადებსა. აქ აზრი იმაშია, რომ სოფლის გლეხკაცობას იმისთანა საერთო, სასოფლო, საზოგადო საქმე აუჩნდეს, რომელსაც ხელითაც მისწვდება და გონებითაც თვითომ გლეხკაცობა. ეს პირველი და უპირველესი ღირსებაა იმისთანა საქმისა, რომლის გა-მარჯვებაც სასურველია და რომელსაც შესაძლოა კაცმა საზოგადო საქმე უწოდოს. შესაძლოა კაცმა ბევრი სხვა უფრო უკეთესი საზოგადო საქმე ურჩიოს ხალხსა თუ საზოგადოებას, მაგრამ ამისთანა საქმეს

დიდი მანძილი არ ექნება და დაბადებისავე უმალ გაქარწყლდება, თუ ხალხის ან საზოგადოების ხელი და გონება მთელს მის სიგრძე-სიგანეს ვერ გადასწვდება.

სასოფლო საზოგადო ზვარის გაშენება, საზოგადო შრომით და გარჯით მოვლა და პატრონობა ჩვენის გლეხკაცობისათვის ადვილად მისახვედრია, ადვილად გასაგები. ამ სიადვილეშია პირველი ღირსება ამისთანა სარჩიელისა და პირველი თავდებობა იმისა, რომ საზოგადო საქმე მაგრად მოიკიდებს ფეხს და თავის ჯეროვანს სვეს გამარჯვებით გაიტანს. რომ მართლა ადვილად მისახვედრი იყო სარჩიელი ბ-ნ ჯანდიერისა საგარეჯოელთათვის, ეგ ცხადად სჩანს იქიდამ, რომ არც ერთს ფიქრადაც არ მოსვლია ამ მხრით ტოკვა და ყოყმანობა რამ დაეწყო. ხოლო თუ რამ ითქვა, იმის თაობაზე ითქვა, რომ ამ საქმეს ვერ მოვუვლითო. ჩვენდა სამწუხაროდ, ერთს წამოსცდენია კიდეც ამისთანა სიტყვა, ერთი შეგვატყობინეთო:

> „ამ საქმეს მარტო ჩვენნი გლეხკაცნი უნდა განაგებდნენ მთავრობის დაუხმარებლად, თუ როგორ? უკეთუ სულ ჩვენის ხალხის ანაბარად დარჩა საქმე, ის ბევრს არ იბოგინებსო... მგონი ეს საქმე ჯერ ჩვენში ადრეა, ბინას არ დაიჭერს, ვერ მოვუვლითო“.

საკვირველია, ღმერთმანი, ეს ჩვენი ამბავი. ქვეყანა სულ ამას სჩივის და ჰყვირის, ჩემი საქმე მევე უნდა მებაროს, რადგანაც მისი ავლადიდება, მისი ავი და კარგი მე უფრო მეცოდინება ვიდრე საიდამ სად მოსულსაო, და აჰა, მოდიან და გვეუბნებიან: აი საქმე, რომელიც თქვენც ჭკვაში მოგდით და რომელიც მართლა საკუთარი საქმეა ჩაიბარეთ და უპატრონეთო. ჩვენ რა პასუხს ვაძლევთ? საქმე კარგია, ჩვენი საკუთარია, მაგრამ ჩვენ კი შორს მისგან, ვერ მოვუვლით, შევჭამთ, შევსვამთ და თუ მაინც არ იშლით, ჩვენ გამოგვაბარეთ და სხვას ჩააბარეთო. ზემო მოყვანილ თქმულიდამ, რომელიც ამოვწერეთ, თითქმის ეს გამოდის და აი სწორედ ეს არის ის ფონი, რომელიც ერთს ადგილას არჩობს.

ის მაგალითები შეჭმისა და შესმისა, რომელიც ამის მთქმელს მოჰყავს, ჩვენა გვგონია, აქ საბუთად უარის თქმისათვის სახმარისი არ არის. თუ ამისთანა შესაწუხებელს ამბავს სადმე ალაგი ჰქონია, სადმე თავი უჩენია, ეგ ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც გადაბრუნებული ურემი, რომელიც გზას გამოაჩენს ხოლმე. მაგისთანა მაგალითები მარტო ჭკუაა შემდეგისათვის და არა ხარიხა და არა ბორკილი. მაგ მაგალითებით რომ ეხლა ხელ-ფეხი შევიკრათ, მაგ მგლის შიშით რომ ცხვარი არ გავიჩინოთ, მაშ სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ ყოველს საზოგადო საქმეზე.

ადამიანი იმ სვეზეა დაბადებული, რომ ყოველიფერში ჯერ წრთვნა უნდა. ადამიანი არც ერთს კეთილს ისე არ მისწვდომია, რომ ჯერ ბევრჯელ ფეხი არ წამოეკრას, არ წაქცეულიყოს, არ შემცდარიყოს, მისდა საბედნიეროდ, ამ წაქცევ-ადგომით სვლას კი არ შეუყენებიათ იგი, არამედ ჭკუა უსწავლებია და, რაც ავი და კარგი გარდახდენია, ყოველივე ის გამოუყენებია შემდეგისათვის და უფრო ძლიერ წინ წასულა. განა ცოტა დამრჩვალა წყალში, ვიდრე კაცს ცურვა უსწავლია? ამით მითომ რაო? წყალში შესვლა ავუკრძალოთ კაცს მაშინ, როდესაც საჭიროა კაცმა ცურვა ისწავლოს? საზოგადო საქმეც, თუნდა იმისთანა, როგორიც სასოფლო საერთო ზვარის აშენება და მოვლაა, იგივეა ჩვენის გაწურთვნისათვის საზოგადო საქმის მოსავლელად, რაც წყალია ცურვისათვის. დაჰკეტეთ ამისი კარი და საზოგადო საქმის მოვლისა და პატრონობის ცოდნასაც კარს დაუხშობთ და სულსა და გულს, ამისათვის გასალვიძებელს, კარჩაკეტილში ამაარჩობთ. ჩვენის ფიქრით, ვისაც ერის მოკვლა უნდა, სწორედ ეს უნდა ჩააწვეთოს და დააჯეროს: „ხელი აიღეთ თქვენს საკუთარს საერთო საქმეზე, უკეთუ სულ თქვენს ანაბარად დარჩა საქმე, ბევრს არ იბოგინებს, ბინას არ დაიჭერს, ვერ მოუვლითო".

აბა მიიხედ-მოიხედეთ თუ ამისთანაებით არ უკვლენ ხალხს გულსა და, რაკი გული მკვდარია, მთელი კაციც ულონოა, უძლურია, ყურმოჭრილია, ერთის სიტყვით, მკვდარია თავის თავისთვისაც და სხვისთვისაც. თავის თავზე ხელაღებული, ცალკე ადამიანია,

თუ კრებული, სახელმობრ, სოფელი, საზოგადოება, თავისს თავზე იმედგადაწყვეტილი, იმედგაუქმებული რიღას მაქნისია? ამისთანა ცოცხლადვე დასამარხია და ნუთუ ჩვენ უნდა დაგვაჯერონ, რომ დღეს ამ ყოფაში ვართ ჩაცვივნულნი?

ჩვენ გვებარება ჩვენის ზვრის საქმე, თუ სხვასაო? ეს რომ იმისათვის იყოს კითხული, — თუ სხვას ებარება ჩვენი საქმე, თავს არ დაიჭერსო, — ამ საფუძვლიანს სიტყვას წინ რა დაუდგებოდა, ამის მთქმელს სულ სხვა აზრით უკითხავს, როგორც მის სიტყვისაგანა სჩანს: თუ ჩვენ გვებარება, წავხდებით, ვერ მოვუვლითო. აი ეს არის ყურისათვის ეკალი ეხლანდელს დროში და დახე იქ დამსწრე გლეხიც კი მიმხვდარა ამას.

გლეხი ბურცანაძე, როგორც იმის დამჯდარ სიტყვისაგან სჩანს, იმას კი არ უფრთხის, რომ ეს საქმე ჩვენ გვებარება და ვერ გავუძღებითო, პირიქით, იმას ჰშიშობს, რომ ჩვენ ხელიდამ არ გამოგვეცალოს ბოლოს ეგ ჩვენი ნაჭირნახულევი საქმეო.

> „იქნებაო, უთქვამს იმას: როცა ვენახი გავაშენოთ და ვაზით ავავსოთ, წაგვართვათ და სახელმწიფოდ დარჩესო“.

ამის საღს ჭკუას უფრო პირდაპირ შეუხედნია საქმისათვის და ჰსურვებია საქმის რიგიანად შემოზღუდვა იმ მხრით, რომ სხვა არავინ ჩამოგვერიოს, ჩვენ ვიცოდეთ ჩვენი საქმეო და ჩვენ გვეკუთვნოდესო. ამ მხრით, რა თქმა უნდა, შესაძლოა საქმის ისე დაჭერა, რომ სხვას არავის ხელი არ ჰქონდეს იმ ზვართან, რომელსაც საგარეჯოელები საერთოდ გააშენებენ.

არც იქ დამსწრეს ბ-ნს ბაქრაძეს მოსწონებია გაძნელება ამ ადგილად შესასრულებელის საზოგადო საქმისა და უთქვამს: „საცა სურვილია, იქ ყველაფერი ადვილია. რაც შეეხება იმას, ვერ მოვუვლითო, ამას უნდა ბოლო მოვულოთო... გვეყო ბავშვობაო“.

მართალია, გვეყო ბავშვობა. ეგ როგორ უნდა ვსთქვათ, რომ სხვამ თუ არ მიიბარა ჩვენი საქმე, ჩვენ ვერ მოვუვლითო, სულ ამაოაო. არ გვეყო ამდენი სხვის მაყურებლობა? რა მოგვცა სხვის პირში ცქერამ,

გარდა იმისა, რომ ჩვენს თავზე იმედი გაგვიუქმა და
დღეს პირი დაგვიღია და ვიძახით: თუ სხვა არ მოვა
და პირში ლუკმას არ ჩამიდებს, დავიქეც, დავიღუპეო.
ისტორია მარტო ამას ულაღადებს ყოველს ერს, რომ
თუ გინდა ქვეყანაში ყოფნა, სხვის კალთას ნუ
ეჭიდები, შენ თვითონ იმოქმედე, შენ თვითონ დაიჭირე
შენი საბელი ყელისა, შენ თვითონ უპატრონე და
მოუარე შენს თავსა და შენს საქმესაო.

[1892 წ.]

<ფიქრები გლეხკაცის გაღონიერებაზე>

ტფილისი, 28 მარტი

ჩვენ კარგა ხანია მას აქედ, რაც ჩვენს მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ბ-მა ტფილისის გუბერნატორმა თ. შარვაშიძემ განკარგებისათვის მისდამი რწმუნებულ გუბერნიის გლეხკაცთა ცხოვრებისა ერთი ფრიად ნაყოფიერი და დიდმნიშვნელობიანი საქმე დაიწყო და მთელის დაუძინებელის მხნეობით მიეცა ამ საქმის განხორციელებას.

ამ საქმის შესახებ მიწერ-მოწერისაგან ვიცით, რომ ბ-ნს გუბერნატორს ჩვენებური გლეხკაცობის უნუგეშყოფა დაუნახავს, დაჰკვირვებია ამ სამწუხარო ამბავს და მისი მიზეზი სამართლიანად უცვნია იმაში, რომ ჩვენებურს გლეხკაცობას, თუმცა ჭკუაც უჭრის და გულიც ერჩის, მაგრამ ცალ-ცალკე გარჯით ვერა უქმნიარა და ქონებრივ შეუძლებლობისაგან ვერ გამოსულა. ეს ქონებრივი შეუძლებლობა არ არის თავიდათავი მიზეზი მისის უნუგეშყოფისა და ამიტომაც თუ რამ ეწამლება, სწორედ აქ უნდა ეწამლოსო.

ხოლო რა გზით და როგორ? ყოველი ადამიანი და ნამეტნავად გლეხკაცი როგორც ყველგან, ისეც ჩვენში, ცალ-ცალკე ულონოა ამ დიდს ტკივილს თვითვეულად ცალკე უწამლოს და უნუგეშყოფისაგან თავი დაიხწიოს, ხოლო რამოდენად უძლურია ცალ-ცალკე, ბევრისბევრად ლონიერია და ძლიერი, როცა განცალკევებულ ძალ-ლონეს ერთად შეკრებს. მაშასადამე, საჭიროა მთელის გლეხკაცობის ერთიანი მოძრაობა, ერთიანი გარჯა, ერთი შეერთებული საზოგადოებური ლონეო. თუ ზღვა კოვზით დაილევა, კოვზითვე რატომ არ უნდა

აივსოს? აქ ხომ მარტო კოვზის სიმრავლეზეა დამოკიდებული ყოველისფერი და ამ შემთხვევაში იმდენს კოვზით წვდას ვერავინ შესძლებს, რამოდენადაც გლეხკაცობა, იმიტომ რომ გლეხკაცობა ბევრია და თვითვეულისაგან თითო-ოროლა მარცვალი, თუ პირველშივე არა, თავის დროზე მაინც მთელს ხვავს შეადგენს.

ამ სახით გზა ნაპოვნი იყო. გამოირკვა, რომ ვისაც ჰსურს გლეხკაცობა დაიხსნას დღევანდელ გაჭირვებისაგან და ღონე მისცეს ყოფა-ცხოვრების განკარგებისათვის, სახსარი უნდა აუჩინოს საერთო ქონების შეძენისა, რომ ამგვარ ერთიანის ქონების ძალ-ღონით იგი შეეჭიდოს თავის უნუგეშყოფას, დაიხსნას მისგან თავისი თავი და განკარგების გზას გავიდეს წელგამაგრებული. საერთო, საზოგადო ქონების გამგებლობა, მისი საერთო სიკეთისათვის ასე თუ ისე მოხმარება ჭკუითა და გულითაც გასწურთნის გლეხკაცობასა, შეაჩვევს საზოგადო საქმეების ჩხრეკას და განკითხვას და ამ გზით საზოგადო საქმეთაგან ნაცადი და ნასწავლი ჭკუა და გულგათამამებული, თვალახილებული თვითონვე გაიგნებს დანარჩენს გზას თავის ყოფა-ცხოვრების განკარგებისასაო და აღარავის აღარ გაუწვდის ხელს: მიშველეო. თავისი მშველელი თვითონ იქნება, სრულიად თავისუფალი სხვის მუნათისაგან და მადლობელი მარტო თავის თვითმოქმედებისა და მხნეობისაო.

ამგვარად, მთელი თავისი კაცთმოყვარული აზრი ბ-მა გუბერნატორმა ააშენა გლეხკაცობის თვითმოქმედებაზე, რომელიც ბუნებითად ასე შემძლებელია, ასე გამძლე, ასე მოხერხებული და ასე ნაყოფიერი ყველგან, საცა ამ მადლს ფეხი აუდგამს და ფრთა გაუშლია. შემდეგ ნახავთ, რომ ამ მადლმა ბ-ნ გუბერნატორის მხნეობით ჩვენს გლეხკაცობაში გაღვიძებულმა თითქმის სასწაული მოახდინა ამ მოკლე ხანში.

როგორ უნდა შემდგარიყო ეს საერთო საზოგადოებური ქონება გლეხკაცობისა? რა თქმა უნდა, თვითონ გლეხკაცობას უნდა ენაწილნა ამ საქმისათვის თავისი წვლილი, ერთის სიტყვით, ყოველწლივ ეხადნა ამისათვის დაწესებული გადასახადი. ბევრმა იუარა ეს ამბავი იმ დასაბუთებით, რომ აქაური გლეხკაცობა ვითომ

უვიცია, გაუგებარი, ვერ მისწვდება საზოგადოებრივს აზრს ამ დაწყობილებისას და ქონებითაც მეტად ულონოა, რომ გამოიმეტოს რამეო. საცა სახელმწიფო ხარჯის გაღება, რომელიც შედარებით მეტად მცირეა, ეძნელებათ, იქ რა საფიქრებელია, რომ მაგნაირმა ახალმა გადასახადმა გზა გაიკვალოს და ადგილი დაიჭიროსო.

ამ უარისმყოფელთა პასუხად ის ითქვა, რომ თქვენ აქაურ ხალხს არ იცნობთო, იგი არც ისე უვიცია და გაუგებარი, როგორც თქვენა გგონიათო. აბა საზოგადოებური საგანი გარკვევით გააგებინეთ, აბა დაარწმუნეთ, რომ რასაც გამოიღებს, მისი ხელშეუხებელი საკუთრება იქნება, მის განსაკუთრებულ გამგეობის ქვეშ იქნება, მისდა დაუკითხავად გროშის ადგილიდამ დაძვრაც არავის შეეძლება, რომ იგი მარტო მის საჭიროებას მოხმარდება იქ და ისე, როგორც თვითონ ისურვებენ, და მაშინ ჰნახეთ გამოიმეტებს თუ არა რასმეს საზოგადო ქონების შედგენისათვისაო. ეს გადასახადი და სხვა რამე ხარჯი აქ ერთმანეთთან შესადარებელი არ არისო. ეს ახალი გადასახადი გლეხკაცს ეცოდინება რისთვის არის, სად მიდის. ისიც ეცოდინება, რომ მის დაუკითხავად ერთი გროშიც არ დაიხარჯება, რომ მარტო მის საჭიროებას, მისგანვე დასახელებულს, მოჰხმარდება და სხვა ყოველი ხარჯი კი, რასაც გლეხკაცი დღეს იხდის, სხვის კუთვნილებად მიაჩნია, სხვის სახარჯოდ, იმისი მას არ ეკითხება რა და აქ, რასაკვირველია, რომ ერთის გადახდა ეადვილოს და მეორესი გაუძნელდეს. არამც თუ იმისთანა ულონოს, როგორც გლეხკაცია, შეძლებულსაც კი გაუძნელდება გაიღოს რამე, როცა არ იცის ვის უნდა მოხმარდეს და როგორ მოხმარდეს გამოღებულიო. თუნდ ეგრეც არ იყოს, ამ საქმეს საფუძვლად დაედება ნებაყოფილება თვით გლეხკაცობისა, ყოველივე ძალდატანება სასტიკად აკრძალულ იქმნება და, მაშასადამე, ამ ახალს გადასახადს უსიამოვნო და მწვავი თვისება არ ექმნება, რაც ბძანებით დადებულ ხარჯს მოსდევს. ამისათვის თვითვეული სასოფლო საზოგადოება, რომელიც მოისურვებს ამ საქმის კისრად

ალებას, თავის ნებაყოფილებას, თავის კანონიერ განაჩენით გამოაცხადებსო.

ამ სახით უარმყოფელთა საბუთები არ შეიწყნარა ბ-მა გუბერნატორმა და ჩვენს გლეხკაცობაზედ იმედდაყრდომილი შეუდგა მის მიერ აღმოჩენილ საქმის განხორციელებას. ჩვენდა სანუგეშოდ, ჩვენმა გლეხკაცობამ არ გაუმტყუნა იმედი და ქვეყანას დაანახვა მაგალითი, რომ მართლა ისე უვიცი, ისე გაუგებარი არა ყოფილა, როგორც დღესაც ბევრსა ჰგონია; რომ მარტო საზოგადო შეერთებულ ღონით შესაძლებელია ერთიანად გაძლიერება, ერთნაირად წინ წაწევა, ერთნაირად გაღონიერება და ყოველ ამისი დაულალავი გამწე ულლისა თვითმოქმედებაა, თვით შველა და თვით გარჯა. სული და გული ამ საქმისა აქ არის, ამ თვითმოქმედებაში.

რომ ეს ლიტონ სიტყვად არავინ ჩამოგვართვას, ჩვენ ხელთა გვაქვს ოფიციალური უწყებანი, რომელნიც ცხადად გვიჩვენებენ, რომ ამ საქმისათვის დაულალავმა მეცადინეობამ ბ-ნ გუბერნატორისამ რა ნაყოფი გამოიღო. ჩვენ ამ ცნობებს აქ მოვიყვანთ და იგინი მით უფრო სანუგეშონი არიან და სასიხარულონი, რომ ბ-ნი გუბერნატორი მაგ საქმის განხორციელებას შეუდგა თითქმის შარშანწინ და აი მას აქედ ამ ორ წელიწადში რამოდენა ძალი ქონება შეიკრიბა ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობამა.

1891 წლის 1-ს იანვრამდე გლეხკაცობამ მოაგროვა ფულად 110,692 მანეთი და 57 კაპიკი, ძველთესლი ხორბალი 256,830 ფუთი და ახალთესლი 67,321 7/12 ფუთი. ხოლო 1892 წლის 1-ს იანვრამდე ფულად გადაიხადა 220,910 მან. 44 კაპ., ძველთესლი 327,373 ფუთი, ახალთესლი 103,566 და 2/5 ფუთი. ამ სახით თითქმის ნახევარ მილლიონზე მეტი საზოგადოებური ქონება გაუჩნდა ჩვენს გლეხკაცობასა ისე, რომ ჩვენს გლეხკაცობას წარბი არ შეუხრია. გარდა ამისა ხორბლეულობის შესანახად, მინამ გაიყიდებოდეს და ფულად იქცეოდეს, 1891 წლის 1-ს იანვრამდე ჰქონიათ აშენებული ამბარები 1,169 სოფელს, 1892 წლის 1-ს იანვრამდე ამ რიცხვს უმატნია და გამხდარა 1,251 –დ. ამ ოფიციალურ უწყებაში ბევრი სხვა ღირსშესანიშნავი

ცნობებია და ამიტომაც მსურველთათვის მთელს უწყებას ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

ხოლო აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ მკითხველისა მასზე, რომ თუ ყოველ წელს ასე იმატა ამ საზოგადოებურმა ქონებამ და დაწესებულება ისეა, რომ არამც თუ ამოდენად უნდა იმატოს, არამედ ბევრად მეტი, ერთ ათ-ხუთმეტს წელიწადს შემდეგ რა სანატრელიღა ექნება ჩვენს გლეხკაცობას, რომ გაუჭირებლივ არ აისრულოს? ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მთელის სავსებით და მრავალგვარობით ის მართლადა დღეს გონებამიუწვდომელი შედეგი, რომელიც ამისთანა დაწყობილებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს, ის გაფართოებული ცხოვრების მოედანი, საცა ამ გზით გალონიერებული ხელი გლეხკაცობისა მთელის თავის უზრუნველობით და მხნეობით მისწვდება. ჩვენ მარტო ისღა დაგვშთენია ვინატროთ, რომ შევესწრათ, როცა იმ დღევანდელ დიდს ნათესსა მომკის ჩვენი მერმისი.

ჩვენო თავადაზნაურობავ, შენ რალას ჰფიქრობ? ნუთუ ეს საოცარი მაგალითი საკმაო არ არის, შენც რამე ამისთანა აღმოგაჩენინოს შენის უღონობის და უძლურობისაგან თავის დასახწევად? თვითვეული ცალკე სჩივით თქვენს უნუგეშყოფას და გზაც ხსნისა: თვითმოქმედება და შეერთებულის ღონით საზოგადოებურ ქონების შედგენა თქვენდა საყოველთაო და საერთო საჭიროების გასაძღოლად.

[1892 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ქოლერის ეპიდემია ტფილისში>

ტფილისი, 4 ივლისი

ეს ოცი დღეა, რაც ბაქოდამ გვეწვია ხოლერა, ეს საშინელი და შეუბრალებელი ჭირი. დღევანდლამდე ხოლერა მარტო ქალაქში ტრიალებს და, ღვთის მადლით, ისე არ გაძლიერებულა, როგორადაც მოსალოდნელი იყო. დღეს აქამომდე, ხოლერით სნეული დღეში თითო-ოროლა თუ არის. სულ ბევრი რომ ვსთქვათ, ამ ოცს დღეში ოთხმოცდათერთმეტი გამხდარა ავად. ამათში ზოგი იმისთანანიც არის ჩასათვლელი, რომლთ სენიც საეჭვოდ მიჩნეულია, მარტო უბედურება ის არის, რომ მეტად ავის ზნის ხოლერაა, ათში ოთხიხუთი კაცი ძლივსა რჩება.

ექიმებმა გამოიძიეს, გამოიკვლიეს და ეს ჩვენზე მოსული სენი აზიის ხოლერად იცნეს. ეს აზიის ხოლერა მეტისმეტად საზარალოა ხალხისათვის, მაგრამ მაიცნდამაინც გული არ უნდა გავიტეხოთ და ყოველის ღონისძიებით უნდა გავუმკლავდეთ ამ საშინელს უბედურებას.

ეს მით უფრო სასურველია და სანუგეშო, რომ ეხლა ხოლერა ცოტად თუ ბევრად ადვილად მოსაგერებელია, ადვილად ასაცილებელი, ვიდრე ამ ოცისა და ოცდაათის წლის წინად იყო. ეხლა მეცნიერებამ ხელთ ბევრი ღონისძიება მოგვცა, რომ შევუსუსტოთ ამ საშინელს სენს ძალ-ღონე, მოარულობა, თუ სულ არ მოვუსპოთ, ძალიან შევუფერხოთ მაინცა და იმ ადგილას, საცა გაჩნდა, თუ სულ არ მოვარჩინოთ, შევაყენოთ მაინც, რომ აქეთ-იქით გასვლა-გამოსვლის ილაჯი შეეხუთოს, შეეკრას.

ჩვენმა ქალაქმა, მისდა მკვიდრთა სასახელოდ, დიდად საქებური სიფრთხილე და მხნეობა გამოიჩინა ჯერ იმაში, რომ ამ უბედურების ხელის შემწყობს, ფეხის მოსაკიდებელს უწმინდურებას ბოლო მოული ქალაქში, ქალაქი გასუფთავდა და, რაც ძალი და ღონე აქვს კიდევაც იწმინდება დღედადღე, აქ დიდი ღვაწლი და სამსახური გაუწია ქალაქს და ქალაქის მკვიდრთა დაუძინებელმა გარჯამ და მხნეობამ ქალაქის მოურავისამ, პოლიციისამ და თვითონ მკვიდრნიც ქალაქისა არაფერს არ ჰზოგავენ, რომ ხელი შეუწყონ მისდამი მზრუნველთ ამ ავის სენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ბ-ნი ქალაქის მოურავი, ქალაქის პოლიცმეისტერი, სანიტარების მოთავენი, ექიმნი და ხმოსნები ქალაქის გამგეობისანი სრულის ჩვენის გულითადის მადლობის ღირსნი არიან, რომ ასე თავგამოდებით, უშიშრად, თავგამომეტებით ირჯებიან ხალხის დასახსნელად.

ამათს გარჯას, ამათს მართლა დაუძინებელს მზრუნველობას უნდა მივაწეროთ, რომ დღეს აქამომდე ჩვენს ქალაქში ხოლერა არ გაძლიერდა და ჯერხანად ვერც ძლიერდება. ოცს დღეში თუნდ ოთხმოცდათერთმეტის კაცის ავად გახდომა ამ დიდისა და პატარის, მალალისა და დაბალის დამამხობელ და მმუსრავ ჭირისაგან სულ არაფრად უნდა ჩაითვალოს. ესეც დიდი ნუგეშია, რომ ჯერ ხოლერა ქალაქსგარედ არ გაუშვიათ და სცდილობენ, რამოდენადაც კაცთაგან შესაძლებელია, არც გაუშვან.

მარტო არ ძალგვიძს ჩვენი ყურადღება არ მივაქციოთ ერთს ჩვენდა საუბედურო გარემოებას. ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქის მკვიდრთა შორის ათასმა ჭორმა გააბა თავისი ქსელი. ხმა დაუყრიათ, ვითომც ვინც სნეული სამკურნალოში მოჰყავთ, ცოცხალი აღარ გამოდისო, ვითომც საღსალამათი კაცები განგებ მიჰყავთ სამკურნალოში და იქ იმისთანა წამლებს აძლევენო, რომ იქავ იხოცებიანო და სხვა ამისთანა.

ჩვენ გვიკვირს, რომ ჩვენი ხალხი, რომელიც ჩვეულია განკითხვას, ჭკუადასმით ჩხრეკას და სჯას, როგორ იჯერებს ამისთანა ამბებს. აბა, რომელ ჭკვათამყოფელ კაცისათვის დასაჯერებელია ეს უშვერი ამბები. მარტო ადამიანის მტერს, ქალაქის მკვიდრთა და-

ღუპვის მსურველთ თუ მოუვათ ფიქრად ეს ამისთანა ყოვლად ტყუილი, ყოვლად დაუჯერებელი, უშვერი ჭორები, თორემ ცოტაოდნად მიხვედრილი მაშინვე გაიგებს, რომ აქ მარტო ბოროტი და ადამიანის მშვიდობიანობის მტერი ენა მოქმედობს და არა გონებიანი და საქმიანი სიტყვა.

ვისაც ჩვენის ხალხის ამ ჭირისაგან დახსნისათვის გული უცემს, ვისაც ჰსურს, რომ ამ წყეულმა ხოლერამ ძლიერი ხელი არ გამოიღოს ჩვენზედ და მუსრი არ გაავლოს ხალხსა, მთელის თავის ძალ-ღონით უნდა წინა აღუდგეს ამ ჭორებს, რომელიც უამისოდაც შეშინებულს ხალხს გულს უტეხს და ყოველს მეცადინეობას ხალხის დახსნისათვის თავგამოდებულ მკურნალებისას, მოხელეებისას ასე აქარწყლებს და წინ ელობება.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ დღეს ვინც ამ საქმისათვის იღვწის, ქალაქის მოხელეა, პოლიციელია, თუ მკურნალი — ვინც ირჯება ხალხის დახსნისათვის სამკურნალოში თუ გარედ, ყოველი იგი თვითონ განსაცდელში სცვივა, თავს იმეტებს, თავსა სდებს ხალხის დახსნისათვის და ცოდვა არ არის, რომ მადლობის მაგიერ უმადურობა გამოვუცხადოთ და გული გავუტეხოთ რაღაცა ჭორებითა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხალხი თვითონ წინ აღუდგება ამ ჭორებს და მისთვის თავდადებულ მოხელეებს გამოესარჩლება, დაიხსნის ამათ სახელს სამარცხვინო ჭორებისა და ცილის გაქელვისაგან და მით უფრო გაუკეთებს გულს მედგრად გარჯისა და ბრძოლისათვის. ამას ითხოვს სამართალი, ამას ითხოვს ჩვენი დღეგრძელობა, ქვეყნისა და ჩვენი საკუთარის თავის დახსნა სიკვდილისაგან. აკი მოგახსენებთ, რომ ბევრ ავ-ჭირთა შორის იქნება ისე ადვილად ასაცილებელი, ადვილად მოსარიგებელი სხვა არა იყოს რა, როგორც ხოლერაა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ზრუნვა, მეცადინეობა, გარჯა, ცალკე ხალხისა და ცალკე მოხელეებისა და მკურნალებისა.

რომ მოხელეები და მკურნალები ამ შემთხვევაში, ჩვენდა საბედნიეროდ, საქებურად იქცევიან და ირჯებიან, ამაში ეჭვი არ არის. მაგალითი თვალწინა გვაქვს.

ვისაც საქმე ესმის, იმისათვის ცხადია, რომ რაკი ამ ოცს დღეში, რაც ქალაქში ხოლერა გაჩნდა, ოთხმოცდათერთმეტს კაცზედ მეტი არ გახდა ავად, თავგამომეტებულს ღვაწლს მოხელეებისას და მკურნალებისას უქმად არ ჩაუვლია. ეხლა საქმე ჩვენზეა დამოკიდებული: ჭორებს თავი დავანებოთ, სრული იმედით მივენდნეთ ჩვენს მზრუნველებს, მადლობით და სიხარულით მივეგებნეთ და დავხვდეთ ხოლმე თვითეულს მოხელეს და მკურნალს, რადგანაც საცა ისინი კი გამოჩნდებიან, ყველგან თავის მძიმესა და არა უშიშარს მოვალეობას ასრულებენ ჩვენდა დახსნისათვის და თვით კი ჩვენის გულისათვის სიკვდილის განსაცდელში ჰცვივიან. ნუ დავივიწყებთ, რომ ისინიც ჩვენისთანა ადამიანები არიან და ხოლერა, რომელსაც იგინი ჩვენის დახსნისათვის უშიშრად ებრძვიან, არც იმათ ინდობს მუსვრისა და ხოცვისაგან.

ყოველივე ეს საჭიროა ჩვენ მიერ, მაგრამ საკმარისი არ არის. ჩვენც, ჩვენის მხრით, საცა კი ხელი მიგვიწვდება, მხარი უნდა მივცეთ და შემწეობა აღმოვუჩინოთ მოხელეებსა და მკურნალებს, არაფერში დავაბრკოლოთ, იმათი დარიგება გულწმინდათ მივიღოთ და მით გავუადვილოთ საქმე, ჩვენდა საბედნიეროდ მათდამი მინდობილი და ასე თავგამეტებით და საქებურად მათ მიერ წარმატებული.

დღეს თუ ჩვენში ხალხი არ იმუსრება და დღეში ასობით არ იხოცება ხოლერისაგან, ამ მოხელეების და მკურნალების მადლობელნი უნდა ვიყვნეთ. საცა იმათ ესეთი მხნეობა არ გამოიჩინეს, აკი იჟლიტება ხალხი, ამისი მაგალითი ბაქოა.

[1892 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ჩვენი დაქვეითება სწავლა-განათლების საქმეში>

ტფილისი, 25 სექტემბერი

ხოლერა განელდა, მხოლოდ ალაგ-ალაგ კიდევ იფეთქამს ხოლმე, ორს-სამს კაცს იმსხვერპლებს და ამით თავდება ამ მისუსტებულის სენის უნარი. კორესპონდენტებიც აგრე რიგად აღარ აქცევენ ყურადღებას მის მოგზაურობას ერთი სოფლიდგან მეორემდე, მარტო ანგარიშს უწევენ მის ნამოქმედარს და უფრო სხვა საჭირბოროტო საგნებს მოგვითხრობენ თავიანთ წერილებში. აქამდე ოფიციალური ცნობარი შესახებ ხოლერისა გაზეთის ერთნახევარ სვეტს იჭერდა, დღეს კი ასეთი ცნობარი გაზეთის სვეტის მეხუთედსაც ველარ ავსებს. ღმერთმა ინებოს, რომ სრულიად მოსპობილიყოს ეს ხალხის კეთილდღეობის დამღუპველი სენი და აღარ სწვეოდეს ჩვენს ქვეყანას მერმისისათვის.

ამჟამად, მართალია, ხოლერა დღის ვარამი აღარ არის, მაგრამ მეორე სამწუხარო ამბავმა შეიპყრო ჩვენი გონება. ეს ამბავია ჩვენი დაქვეითება სწავლა-განათლების საქმეში. ადამიანს გული ნაღვლით ევსება, როდესაც მოიგონებს, რა მცირე რიცხვი ქართველ ყმაწვილებისა იქმნა მიღებული ამ შემოდგომაზედ საშუალო სასწავლებლებში. ჯერჯერობით ტფილისის ყველა სასწავლებლებს არ გამოუცხადებია, რამდენი იყო მსურველი სკოლებში შესვლისა, რამდენმა დაიჭირა ეგზამენი და სულ რამდენი იქმნა მიღებული. არ არის აგრეთვე გამოქვეყნებული რიცხვი მიღებულთა გვარტომობის მიხედვით, მაგრამ უამისოდაც თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ძალიან ცოტა იქნება ქართ-

ველების რიცხვი. ჩვენ კერძოდ ვიცით, რომ ერთ საშუალო სასწავლებელში ასამდე ყმაწვილი მიიღეს; ამათში ქართველი მარტო ხუთი-ექვსი იყო, ამ ხუთ-ექვსში, უეჭველია, ან ერთი დაამთავრებს სწავლას, ან ორი, დანარჩენი ვერ მიაღწევენ მერვე კლასს, მაშასადამე, იმ წელიწადს კურსდამთავრებულებში ქართველი მხოლოდ ან ერთი იქნება, ან ისიც არა, როდესაც სხვა ტომის ყმაწვილნი ოცობით და ორმოცობით დაამთავრებენ სწავლას.

ამ სამწუხარო გარემოებას, რაც შეიძლება, მალე უნდა მოეღოს ბოლო. თუ შემდეგშიაც ასე ზოზინით იარა ჩვენმა სწავლა-განათლების საქმემ, ისე ჩამოვრჩებით უკან განათლებით ჩვენს მეზობლებს, რომ იმათ მოჯამაგირეებად და ყურმოჭრილ ყმებადღა თუ გამოვდგებით, თორემ სხვის აღარაფრის ხეირი აღარ გვექნება. იმის მიზეზებიც, თუ ასე რად ჩამოვრჩით უკან, დიდი ხანია ანუსხა ჩვენმა მწერლობამ. უმთავრესი, რასაკვირველია, კონკურსის „ეგზამენი“ და ჩვენი სიღარიბეა, თორემ სურვილი სწავლა-განათლების მიღებისა, ვგონებთ, ჩვენსავით არავისა აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებისათვის ბავშვმა, სხვას არას ვიტყვით, უნდა იცოდეს მკაფიოდ ლაპარაკი რუსულად. უცხო ენა რვა წლის ბავშვმა როგორ უნდა შეითვისოს ისე კარგად, რომ გაიმარჯვოს ეგზამენზედ, და აკი ვერც იმარჯვებს მომეტებული ნაწილი ჩვენის ყმაწვილებისა. რვა-ცხრა წლის ბავშვის მომზადებას პირველი კლასისათვის ამასთანავე იმოდენა ხარჯი უნდება, რომ მარტო შეძლებულ დედ-მამას მოეხერხება გასწიოს დიდი ხარჯი და თავისი ბავშვი რიგიანად მოამზადოს. ჩვენში კი შეძლებული და მდიდარი დედ-მამანი, ყველამ იცის, ძალიან ცოტანი არიან.

შემოდგომის პირველი თთვე ქართველს მშობლებისათვის სწორედ მწუხარებისა და გლოვის თთვეა. უნდა ადამიანმა თავის თვალით ჰნახოს დაღონებულ-დაძმარებული დედ-მამანი, რომელთა შვილებმა ვერ დაიჭირეს კონკურსის ეგზამენები, რომ მიხვდეს და ადვილად გაითვალისწინოს, რა სასოწარკვეთილებას

ეძლევიან საცოდავნი. ზემოდაც მოვიხსენიეთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ მალე უნდა მოეღოს ამ სამწუხარო ამბავს ბოლო, თუ არ გვინდა, რომ სრულიად დავიჩაგრნეთ და დავიჭყლიტნეთ ცხოვრებისთვის ბრძოლაში.

ჩვენ ჩვენის მხრით უსარგებლოდ არ მიგვაჩნია, რომ ეხლავე ვიშუამდგომლოთ, ვისთანაც ჯერ არს, მოსამზადებელ კლასთან გაიმართოს მესამე განყოფილებაც, სადაც ბავშვები უნდა მიიღებოდნენ რუსულის უცოდნელად და თვით გიმნაზიის მთავრობამ გაწვრთნას ბავშვები რუსულში. ამას არც დიდი ხარჯი მოუნდება მთავრობის მხრით. წელიწადში თითო ბავშვი სწავლის ფასს იხდის ხუთ თუმანს, კლასში რომ ორმოცდაათი ბავშვი ვიანგარიშოთ, იმათგან აღებული ფული შეადგენს 2500 მანათს. ამ ფულით გიმნაზიის მთავრობა ორს კარგს და პედაგოგიაში დახელოვნებულს მასწავლებელს იშოვნის.

ეს ღონისძიება დიდს შეღავათს მისცემს მშობლებს და ხარჯსაც საგრძნობელად შეუმცირებს, რადგან ბავშვის მომზადება პანსიონებში ორ-სამს წელიწადს ასი, ასოც თუმანზედ მეტი არა ჯდება.

ურიგო არ იქნება აგრეთვე, რომ სოფლად, სადაც მრავალი თავადაზნაურია, დააარსონ თავიანთის ხარჯით მოსამზადებელი კლასები. მაგალითებრ, რა გაუჭირდება იმისთანა სოფელს როგორიც საჩხერეა, ქარელი, ან კულაში, საცა ასობითა ცხოვრობენ კეთილშობილნი, რომ დააარსონ მოსამზადებელი კლასები და ორი მასწავლებელი იყოლიონ? ხარჯი მცირე იქნება და სარგებლობა კი დიდი. მხოლოდ, რასაკვირველია, საჭიროა მხნეობა, გარჯა და სიყვარული საქმისა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით დაწვრილებით გამოკვლევას, თუ რა გზით განხორციელდეს ეს აზრი. ჩვენის ფიქრით, მისი განხილვა პირდაპირი მოვალეობაა საგუბერნიო და სამაზრო თავადაზნაურთა კრებისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მალე უნდა ეშველოს. მმართებელს და იქაურს მცხოვრებთ განზრახვა აქვს სთხოვონ, ერთი ან საპროფესიონალო, ან რეალური სასწავლებელი დაგვიარსეთო.

[1892 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ჩვენი ღვინოების საბაზრო ძცევის საკითხი>

ტფილისი, 11 ნოემბერი

ჩვენში მეტად გაძლიერდა ის აზრი, რომ ცალკე მეცადინეობით, თვითოეულად, ცალკე ულლის წევით კაცი ვერაფერს გასწვდება. საქმე თავს ვერ მოდის და დაწყებისავე უმალ ულონობა მარტოობისა, ცალკე გამრჯელობისა, პირველ შემთხვევაშივე აუწყებს ხოლმე საქმის დამწყებსა, რომ მის განზრახულს საგანს დიდი მანძილი ცხოვრებისა არა აქვს.

დიდი საქმეა, რომ ამ მართალმა აზრმა ფეხი აიდგა ჩვენში, და თუმცა ჯერ-აქამომდე ამ ფეხად ადგომილს აზრს ბევრი არ უმოქმედნია, მაგრამ საცა კი საქმეს ბურჯად მისცემია საფუძვლად დასდებია, ყველგან გამარჯვებულა და იმედი გაუმართლებია. აიღეთ, მაგალითად, თუნდაც ჩვენი ბანკები, საცა მარტო შეერთებულმა ღონემ გაატანინა ქართველობას მოედნიდამ მძიმე ბურთი საქმისა და დღეს უფულო ქართველობა ამოქმედებს ჩვენში მათის მეოხებით ცამეტს-თოთხმეტს მილიონს ფულსა. მეორე მაგალითია ჩვენი „ქართველთა წიგნების გამომცემი ამხანაგობა". აქ გროშებით დაწყებულმა საქმემ იმდენი ღონე გამოიჩინა, იმდენი ბარაქიანი მალიათი, რომ დღეს ათას თუმნობით ატრიალებს ფულს თავის საქმეში. ამისთანავე ბედნიერი დღე მოელის „ამხანაგობას სახლების აშენებისას". არ გავა ორი-სამი წელიწადი, რომ ამ ამხანაგობის მართლადა ყველასათვის საყვარელი და სასარგებლო აზრი განხორციელდება და მისნი წევრნი საკუთარის თვალით დაინახავენ — რის შემძლებელია ძალ-ღონე ერთობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია და კარგა დიდი ხანიც მას აქეთ, რაც ჩვენში გაიღვიძა ნაყოფიერმა სურვილმა, რომ ეგ შეერთებული შეძლება და ძალ-ღონე საფუძვლად დაედოს, სხვათა შორის, ღვინის საქმესაც ჩვენში, კისრად იდვას იგი საზოგადოებამ და საზოგადოებურის ძალით დადგეს ჯეროვანს ფეხად და გაიმართოს სამოქმედოდ. ამ აზრმა იარა, იარა და დღეს ისე მომწიფდა, რომ ჰლამის განხორციელებას. მაგრამ როგორ და რა გზით? აი ამის გამო ჩვენ გვწადიან ორიოდე ჩვენი აზრი ვაუწყოთ ამ ნაყოფიერის სურვილის მეთაურებს და მომხრეებს.

ღვინის საქმეს ჩვენში ერთი დიდი საჭიროება აქვს, სახელდობრ ისა, რომ საბაზრო საქონლის თვისება (свойство рыночного товара) მიეცეს, რომ საქართველოს გარედაც მუშტარი აიჩინოს, ბაზარი გაიმართოს. ვიდრე ამ საჭიროებას არ მოევლება, კეთილი სურვილი ღვინის საქმის მეთაურებისა და მომხრეებისა ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს. მაშასადამე, ჯერ ყოვლთ უწინარეს უნდა ვიღონოთ, როგორ და რა გზით მოვაწყოთ, რომ ღვინოს თვისება მივცეთ საბაზრო საქონლისა. სხვა ყოველი, ჩვენის ფიქრით, ადვილია, ოღონდ ამ მხრით შესაძლებელი გახდეს საქმის მოწყობა.

ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენებური ღვინო საბაზრო საქონელი არ არის. ის საბაზრო საქონელი არ არის, რომლისაც არ ვიცით, ბაზრამდე, მუშტრამდე იმ სახითვე მივა, რა სახითაც პატრონს გაუსტუმრებია ბინიდამ, თუ არა. ჩვენს ღვინოზედ სწორედ ამისთანა არვიცობა ითქმის. მინამ დარწმუნებული არ ვიქნებით, რომ ჩვენი ღვინო ჩვენის მარნიდამ ბაზრამდე თავის გემოთი, ფერით და სუნით მივა და თავს დაიჭერს, იმ დრომდე ნურავის ჰგონია, რომ ღვინის აღებმიცემობამ ჩვენში ჩვენი სასურველი გზა გაიკაფოს. დღეს-აქამომდე ჩვენებური ღვინო ასე თუ ისე შინვე საღდებოდა, აქავ ჩვენში ჰშოულობდა მუშტარსა და მსმელსა, და რაც მოდიოდა ერთს წელიწადს აქავ ისმოდა ერთისავე წლის განმავლობაში. ამ მოკლე მანძილზედ და მოკლე ხანში ჩვენებური ღვინო თავს იჭერდა, თუმცა ესეც ვაითა და ვაგლახითა. ამიტომაც ჩვენში არავინა

ჰფიქრობდა ღვინისათვის გამძლეობა მიეცა, რომ შორი გზა და ხანგრძლიობა აეტანა.

ეხლა ჩვენებური შინაური ბაზარი ველარ იტევს მთელს ჩვენის ქვეყნის ღვინის მოსავალს და ეს ორის მიზეზის გამო მოხდა. ერთი მიზეზი ის არის, რომ მსმელი მოაკლდა, მეორე ისა, რომ ვენახების მოედანი გადიდდა და მოსავალმაც ამ ორ-სამ წელიწადში იმატა. მუშტრის დაკლება გამოიწვია იმან, რომ ამ ხუთმეტს-ოცს წელიწადში, მოუსავლობის გამო, ღვინო ჩვენს უმთავრეს ბაზარში, ესე იგი ტფილისში, გაძვირდა იმოდენად, რომ დაბალი ხალხი, რომელსაც ღვინის სმა პირველ საჭიროებად მიაჩნდა და რომელიც შეძლებისაგვარად ჰხარჯავდა, გაუფრთხა ღვინოს და მიეტანა უფრო იეფს პივას და იმას შეეჩვია. უნდა ესეც ვიქონიოთ სახეში, რომ ორთა შუა და დაბალი ღვინოები თითქმის სულ ამ ჯურა ხალხში საღდებოდა სირაჯებისაგან, იმას აღარ ვამბობთ, რომ ღვინის სიძვირემ ყველგა შეამოკლა ღვინის ხარჯვა და სმა.

ამ სახით, ერთის მხრით მუშტრის დაკლებამ, და მეორეს მხრით ვენახების გამრავლებამ და ამ ორ-სამ წელიწადში მოსავლის მატებამ, ისა ჰქმნა, რომ დღეს ღვინო ბევრია და მყიდველი კი ცოტა. აქედამ ცხადია საჭიროება იმისი, რომ ჩვენმა ღვინომ ბაზარი იშოვოს რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ხოლო თუ ჩვენ ღვინოს გამძლეობა გემოსი, ფერისა და სუნისა არ მიეცა, თუ რაც სიკეთე ბუნებური აქვს, ის არ მიჰყვა ბაზრამდე, მსმელამდე, მხარჯავამდე, ბაზარი რუსეთისა და სხვა ქვეყნებისა ჩვენში უქმი ნატვრა იქმნება, რადგანაც უამისოდ ღვინის აღებმიცემობის წარმართვა იმოდენად, რომ ღვინის თავდაპირველმა პატრონმა რაიმე ხეირი ჰნახოს, შეუძლებელია.

აკი ვამბობთ, ჯერ მთელი ჩვენი ზრუნვა, ჩვენი მეცადინეობა იმას უნდა მიემართოს, რომ ეს გამძლეობა მიეცეს ჩვენს ღვინოსა და სხვა ყოველი ადვილია. ამბობენ, ყველაზედ უწინარეს ფული არის საჭიროო საქმის დაწყებისათვის. ჩვენ ეს აზრი შეცდომად მიგვჩნია. ფული, როგორც ყოველივე ეკონომიური ძალონე, ისეთი თვისებისაა, რომ თითონ ეძებს საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგანაც უქმად დება

ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველ ეკონომიურის საგნისას და, მაშასადამე, ფულისაც.

ოღონდ ეს არის, რომ ფული ფრთხილია, წინდახედული და მარტო კარგად და საიმედოდ აგებულს საქმეს ენდობა. კარგად და საიმედოდ ააგეთ ეს საქმე ღვინის გამძლეობისა, საბუთი მიეცით ქვეყანას, რომ, თუ ფული გექნებათ, ღვინოს საბაზრო საქონლად გაჰხდით, რომ ყველასაგან ცნობილი სიკეთე აქაურის ღვინოს ხანგრძლივად შერჩება, შორს გზას აიტანს, და მაშინ ფული თითონ დაგიწყებს ძებნას, თითონ შემოგეხვეწებათ, საქმეში წილი დამიდეთო. იმიტომ რომ მაშინ ბაზარიც დიდი ექნება ღვინოს და მოგებას აღებმიცემობისას წინ ბევრი არა დაუდგება რა. საცა მოგებაა, ფული დაკეტილ ზანდუკიდამაც თავისთავად ამოძვრება და თქვენ დაგიწყებთ ხვეწნას. ესეთია ბუნება ფულისა, როგორც ყოველ საეკონომიო ნივთისა, — იქით მიიზიდება, საცა გამორჩენა და ხეირია.

ამის მაგალითიც იგივე ბანკებია. ბანკების გამართვის დროსაც იძახდნენ, მაგ ორიოდ გროშით, რაცა გაქვთ, ვის რას გაუძღვებითო, სულ ორის-სამის დღის საგზალიაო, და მერე ხომ გულხელი უნდა დაიკრიბოთო, ვინ მოგცემთ საჭირო ფულსაო. ოღონდ საქმე კარგად აეგოსო და ფული თითონ მოგვნახავსო, და აი დღეს, ოცდაოთხი ათასის თუმნით დაწყებულმა საქმემ ცამეტი, თოთხმეტი მილიონი ფული მოიპოვა სამოქმედოდ.

კიდევ ვიტყვით: ფულზედ ნუ ჰფიქრობთ, ოღონდ თითონ საქმეს საიმედო საფუძველი დაუდეთ და ფული თითონ მოგნახავთ.

[1892 წ.]

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>

ტფილისი, 12 ნოემბერი

წარსულს ორშაბათს ჩვენს ქალაქის საბჭოს მოუხდა გასინჯვა ქალაქის გამგეობის მოხსენებისა იმის თაობაზე, რომ საჭიროაო ჩვენგან ექვსის სარგებლით აღებული ორი სესხი ხუთს სარგებლიან სესხად გადავაქციოთო და ამით შელავათი მივსცეთ ქალაქის ჯიბესაო, ანუ, როგორც ეხლა იტყვიან, კასსასა. ამ სახით ქალაქის გამგეობას სარჩიელი შეუტანია, რომ ეგრედწოდებული კონვერსია მოახდინოს ორის თვის სესხისა.

გამგეობის მოხსენებაში საფინანსო გარემოება ამ საქმისა ასე თუ ისე ნახსენებია, ხოლო კონვერსიას თანას სდევს ერთი სხვა გარემოებაც, რომლის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის დახარჯული, და ჩვენ კი გვგონია, რომ მოხსენება გამგეობისა თავდაპირველად ამას უნდა შესდგომოდა, რადგანაც ამ გარემოების გამოურკვევლად ყოველივე ლაპარაკი კონვერსიაზედ, ყოველი დავიდარაბა, უქმად დროს გატარება არის.

კონვერსიას შესაძლოდა ჰხდის არსებობა ერთის იურიდიულის გარემოებისა, რომელიცა მდგომარეობს იმაში, რომ სესხის ამღებს, უფლება უნდა ჰქონდეს შერჩენილი და სესხის აღების პირობაშივე წინადვე მოხსენებული, რომ ყოველთვის და ყოველ დროს ნება აქვს სესხის ამღებმა ნასესხი ფული ჩააბაროს ფულის პატრონსა. თუ ეს პირობა დადებული არ არის წინადვე, კონვერსია შეუძლებელია და აი რა მიზეზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონვერსია სხვა არა არის რა ამ შემთხვევაში გარდა იმისა, რომ მეტ სარგებლიანი სესხი ნაკლებ სარგებლიან სესხზედ ჩამოხდეს. რა თქმა უნდა, რომ კანონი თავის დღეში არ შეიწყნარებს, რომ ეს მეტიდამ ნაკლებ სარგებელზედ ჩამოხდომა სესხის ამღების სურვილზე იყოს მიგდებული. თქვენგან მე ფული ავიღე, ვთქვათ, ექვს პროცენტად, და ვინ მომცემს მე ნებას, რომ როცა მოვინდომო, ხუთ პროცენტად გაგიხადოთ ეგ ექვსი პროცენტი. ეს რომ ასე იყოს, კანონმა რომ ამისთანა უკანონობა შეიწყნაროს როდისმე და ვისთვისმე, მაშინ ეგრედწოდებულს საზოგადო და კერძო კრედიტსაც ძვირიანად ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ კრედიტი უნდა გაუქმნდეს სახელმწიფოში, იმიტომ რომ ვინ გაიმეტებს გასაცემად ფულს, როცა სესხის ამღებს ნება ექმნება თავის სურვილისამებრ სესხის პირობა დაარღვიოს, თუნდა მთავრობის ნებართვითაც, და დაპირებული სარგებელი ბევრიდგან ცოტაზედ ჩამოახდომოს.

რა თქმა უნდა, რომ სარგებლის დაკლება, სრულადაც გაუქმება, ყოველთვის სასურველი იქნება სესხის ამღებისათვის და ეჭვი არ არის, რომ ეს სურვილი უკლებელი იქნება. ხოლო საკითხი ეს არის: ვინ უყაბულებს ამასა? მაშ როგორ და რა საბუთით შესაძლოა კონვერსიის მოხდენა? მარტო ერთის საბუთით. ეს ის საბუთია, რომ სესხის აღებმიცემობის პირობაში გამოთქმული იყოს, რომ სესხის ამღებს ნება აქვს, რა დროსაც ჰსურს, თავნი თავის განვლილის სარგებლით დაუბრუნოს ფულის პატრონსა. მაშინ და მხოლოდ მაშინ შესაძლოა სესხის ამღებმა იზრუნოს კონვერსიისათვის. უამისოდ ერთს ბიჯსაც წინ ვერ წარსდგამს სესხის ამღები ამ საქმეში.

როცა სესხის ამღებს ეს ნება ექმნება, მაშინ შეუძლიან ფულის პატრონს უთხრას: ან ექვსის პროცენტის მაგიერ ხუთ პროცენტს დამჯერდი ამას იქით და შენი ფული ჩემთან დარჩეს, ან არა და პირობისამებრ შენი თავნი თავის განვლილ სარგებლით მიიღე. ფულის პატრონი მაშინ იძულებულია უსათუოდ ან ერთს დასჯერდეს, ან მეორეს, და ამას გადასწყვეტს იმისდა მიხედვით თუ, — ფულის ბაზრის (денежный рынок) მეტნაკლებობა რას ამბობს იმ წუთს. თუ რწმუ-

ნება არ ექმნება, რომ თავის ფულს ხუთ პროცენტზედ მეტად დააბინავებს სადმე საიმედოდ, რასაკვირველია, დასჯერდება სესხი ხუთ პროცენტზედ ჩამოახდომოს, და თუ ექნება იმედი მეტად დაბინავებისა, თავის თავნს აიღებს განვლილის სარგებლითა და იქ დააბინავებს, საცა სარგებელი მეტია. ამ სახით, ეს გარემოება, რომ სესხის ამღებს წინათგამორკვეული ნება აქვს ყოველთვის და ყოველს დროს თავნი დაუბრუნოს ფულის პატრონს, — და მარტო ეს გარემოება, — შესაძლებლად ჰხდის კონვერსიას სესხისას.

გამგეობის მოხსენებისაგან კი, როგორცა ვსთქვით, სრულებით არა სჩანს, რომ როცა ქალაქს ან პირველი, ან მეორე სესხი აუღია, ეს პირობა, თავნის დაბრუნებისა ყოველს დროს, დაუდგენია, თუ არა. ჩვენის ფიქრით, ამისათვის საჭირო იყო ორიოდე სიტყვა გამოემეტნა გამგეობას, იმიტომ რომ უამისოდ ყოველი ლაპარაკი კონვერსიაზედ უქმია, და გარეშე კაცსაც, რომელიც უწყებული არ არის საკონვერსიოდ განზრახული ორი სესხი ქალაქისა რა პირობით არის აღებული, ეგ ლაპარაკი კონვერსიაზედ უბრალო მასლაათად მიაჩნია, რადგანაც არ ხსენება აღნიშნულ გარემოებისა არყოფილად ჩასათვლელია. აკი ვამბობთ, თუ სესხის პირობაში გარკვევით არა სწერია, რომ სესხის ამღებს ნება აქვს ვადაზედ ადრე ფული დაუბრუნოს, ვერა მთავრობა, ვერა კანონი, ვერა სამართალი იძულებული ვერა ჰყოფს ფულის პატრონს ხელიდამ გაუშვას ვადამდე თამასუქი ქალაქისა, ესე იგი ობლიგაცია, და მის მაგიერ ან ძალად თავნი ფული მიიჩეჩოს, ან სარგებელი დაიკლოს. ამის გამო, არა მთავრობა არ შეიწყნარებს არავითარს შუამდგომელობას კონვერსიის ნებადართვისათვის. ამ შემთხვევაში, ქალაქის სურვილისათვის მარტო ერთი გზაა: ექვს სარგებლიანი ობლიგაცია იყიდოს ქალაქმა და მის მაგიერ ახლად გამოსცეს ხუთპროცენტიანი გასასყიდად. ასეთი გარემოება ასწევს, რასაკვირველია, ფასს ექვს პრტოცენტიან ობლიგაციისას და დასწევს ხუთ პროცენტიანისას, და ეს მოქმედება ისე ძვირად დაუჯდება ქალაქს, რომ ამ გზით სურვილის ასრულება უგუნურება იქნება.

[1892 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1893 წელი

<ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ>

ტფილისი, 1 იანვარი

შემოვდგი ფეხიო, გწყალობდეს ღმერთიო, იძახის დღეს დაბადებული ახალი წელიწადი. გწყალობდეთ ღმერთი ვიძახით ჩვენც და ზედ ვუმატებთ, ღვთის წყალობასთან ერთად წყალობა მოიღოს ჩვენზე ჩვენმა მხნეობამაც, ჩვენმა გამრჯელობამაც და ფრთაასხმულმა სიყვარულმა ქვეყნისამ, დღესაქამომდე უქმი ქართველი საქმიან კაცად გარდაჰქმნას მისის ქვეყნის სასიხარულოდ და სასიქადულოდ.

ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალ-ღონე საქმის ქმნისა, და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარს ბედნიერებად ჰხადის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან ხადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამა ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად.

ეს ნატვრა, ეს ვედრება მით უფრო საჭიროა დღეს, რომ ეს ახალი წელიწადი დიდის იმედებით დაგვებადა და ბრწყინვალე იმედებითაც. დიდს იმედებს დიდი მხნეობაც უნდა, დიდი ჭკუისა და გულის დადება, დიდი წინდახედული გარჯა და საქმიანობა.

წარსულმა წელმა, რომელიც ჩვენგან დიდის მადლობით მოსაგონია, ბევრი რამ უანდერძა ამ ახალს

წელიწადს. ეგ წარსული წელი კარგა მსხმოიარე წელიწადი იყო ჩვენის ჭკუა-გონების და გულის სამოქმედოდ დაძვრისათვის და თუმცა თვითონ ვერა მოიმკორა, მაგრამ იმითაც სადიდებელია, რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა და ახალ წელიწადს დაულოცა: აი მოვხან-მოვთესე, შენ მომკე და შეირგეო, ეხლა შენიცი და შენმა გამრჯელობამაო, მე კი გეთხოვები სამუდამოდ და დასასრულ გეუბნები: რაც შევიძელ, იგი ვქმენო!

მართალიც არის: რაც შეიძლო იგი ჰქმნა, და ამასაც ვიტყვით, — ამისთანა საქმიანი წელიწადი ბევრი არ ჩამოითვლება ჩვენში ამ ოთხმოცდაათის წლის მანძილზე. რა ჰქმნა ასეთი ამ განვლილმა წელიწადმაო, იკითხავს მკითხველი. ისა ჰქმნა, რომ ორი დიდი ძალა წამოაყენა ფეხზე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება ერისა, მისი წინსვლა, მისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ღონიერობა — შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძახიან ძალას თვითმოქმედებისას და მეორეს — თავის თავის იმედისას.

დიაღ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ხელთაპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თვითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის. მე თუ თვითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის, ჩემის თავისათვისაო, სხვა უფრო არ იქნებაო, — ამ აზრმა თავი იჩინა საყოველთაო დასანახავად უფრო წარსულ წელს, ვიდრედ სხვა დროს როდისმე.

ამ თვითმოქმედებით და თავის თავის იმედით დაწყებულ საქმეთა ზოგიერთი მაგალითები წინა წლების მეოხებითაც თვალწინა გვაქვს. ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი: წერა-კითხვის გამავრცელებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, — ყოველივე ესენი ერთად და თვითოეულად ცალკე ჩვენის თვითმოქმედების, თავის თავის იმედის შვილები არიან და, როგორც ვხედავთ, თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. ყოველივე ეს მომხდარია ამ ოცს წელიწადში თითოობით, ხანდაზმობით, დროგამოშვებით, კანტიკუნტად, ხოლო წარსულმა წელიწადმა ერთბამად მოგვიხნა და მოგვითესა უშველებელი ნაყოფიერი და ნოყიერი დიდი მინდორი საეკონომიო მოქმედებისა, აქამდე უქმად დებული, და უძრავი და ჩვენ მიერ თითქმის ხელუხლებელი. მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარდამხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი ულლადი, ყოვლთშემძლებელი ძალონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად.

ეს ვიგრძენით, ეს ვიცანით. ამას მივხვდით ჩვენ, და წარსულმა წელიწადმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ამასთან გამჭრელი თვალიცა გვქონია საქმის დასანახავად, გონებაც გამოსარჩევად, ხელიც მისაწვდენად და მარჯვენაც საკეთებლად. დავიწყოთ იქიდამ, რომ ამ გრძნობით, ცნობით და მიხვედრით ფრთაასხმულებმა შარშან შეადგინეს ერთი პატარა ჯერხანად ჩუმი ხმაამოულებელი, მშვიდობიანი „სახლების ამშენებელი ამხანაგობა“, რომელსაც საგნად დაუდვია ერთიერთმანეთის მიშველებით, ერთიერთმანეთის შემწეობით თავის წევრთ სახლები უშენოს ქალაქში. ეს ამხანაგობა არ შობილა ბუკითა და ნაღარითა, არა ჰყვირის ჩხავანა კატასავითა ქვეყნის მხსნელი მე ვარო, მაგრამ ჰსაქმობს კი ჩუმად, დაულალავად, და თავდებობაც მისის გაძლიერებისა, განდიდებისა, ამ თითქმის კლდემითმოსილს მოქმედებაშია. ვიმედოვნებთ, რომ იგი,

ეხლა თვალად პატარა, თავის დროზედ დიდ საქმედ გადიქცევა და ჯეროვანს ყურადღებას დაიმსახურებს ჩვენში.

შარშანვე დაიძრა მედგრად და ჰლამის განხორციელებას ღვინის საქმე ჩვენში. ვენახების პატრონებმა კახეთში დაინახეს, რომ ჩვენებურ ღვინოს ღირსეული მერმისი მოელის; რომ თუ თითონვე არ მოჰკიდებს ამ დიდს საქმეს ხელს, ეს ძვირფასი სავაჭრო საქონელი ჯერ ჰფოლდება ღირსებით და აბრუ უტყდება, რადგანაც ვაჭარნი აფუჭებენ და მერე აკლდება ფასი, რადგანაც ბაზარი არა აქვს, და საცა აქვს — იქაც გამორჩომა ვაჭარსა რჩება და არა ვენახის პატრონს, რომელსაც დიდის ლუკმისაგან არგუნებენ ხოლმე ნასუფრალს ვაჭრობისას, ძლივძლივ სახმარს ვენახისავე სახარჯოდ. დაინახეს, რომ ამ გზით თვისის ოფლის ნაამაგარით სხვას ამდიდრებენ და თვითონ კი ჰღარიბდებიან. დაიძრა აზრი ამ უნუგეშო ყოფისაგან გამოსახსნელად. ჰფიქრობენ, მოქმედობენ, ირჯებიან, რომ ამ სატკივარს ჯეროვანი წამალი მოუპოვონ და იმედია, რომ მეცადინეობა ამ შემთხვევაში უქმად არ ჩაუვლით. საქმე ის არის, რომ გაჭირვება ნაგრძნობია საერთოდ და საყოველთაოდ, და ქართველს ოღონდ გაჭირვება უჩვენე და გაქცევას თვითონ მოახერხებს, ღვთისა და ქვეყნის წყალობითა.

წარსულ წელსვე უნდა მადლობა ვუთხრათ, რომ ჩვენი თავადაზნაურობა სხვა მხრითაც გამოაფხიზლა და მიახვედრა იმ აზრს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელშიო; თუ რა გაკეთდეს, ჩემის ხელით გაკეთდესო, და თუ გამორჩომაა რამე, მე გამოვრჩე, სხვის გამორჩომასაო. აქამომდე ამგვარ საქმეებისათვის ჩვენ მიძინებულნი ვიყავით, ჩვენის ქვეყნის სიკეთით სხვანი ხეირობდნენ, ჩვენის ქვეყნის საქმეებისაგან სხვანი მდიდრდებოდნენ და, თუ ლუკმა გავარდეს, ისევ ჩვენს ჯამში ჩავარდეს, ის არა სჯობიაო? კახეთის რკინისგზა ერთი ამისთანა ლუკმაა. თავადაზნაურობა ამით გაიჩენს ერთს მდიდარს წყაროს, ერთს უეჭველს ღონეს გამოკეთებისას, მოჯობინებისას თავის თავისა და ქვეყნის წარმატების გზაზე. ეს ისეთი საქმეა, რომ ამის ხელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ გაშვება ერთი შეუნდობარი ცოდვა და დანაშაულობა იქმება წინაშე ქვეყნისა საერთოდ და თვითვეულისა ცალკე. თავადაზნაურობამ თავის სასახელოდ სწორედ ამ თვალით შეხედა ამ საქმეს და 20 დეკემბერს საგანგებო კრებამ საგუბერნიო თავადაზნაურობისამ ეს საქმე თვის საკუთარ საქმედ იცნო და დაადგინა, მაგ საქმეში ჩვენ უნდა ჩავებნეთ და არავინ სხვაო.

არც გლეხობა დარჩა შარშან უიმისოდ, რომ არ დაძრულიყო თავის სახსნელად და წარსამატებლად. იგიც დაადგა ამ ყოვლადმხსნელს და ყოვლადშემძლებელს თვითმოქმედ-ბის გზას და ძირსდადებულ შვილდს თავისთავის იმედისას დასწვდა თავის ძლიერის ხელით ასაღებად. გლეხკაცობამაც იგრძნო, რომ სხვის ხელში ყურება არაფერი თამასუქია; რომ თვის სატკივარს თვითონვე უნდა უწამლოს, თავის თავს თვითონვე უნდა უშველოს. ამისათვის გაიწერა თავის ნებაყოფლობით პური, რომელიც ფულად უნდა იქცეს და ფული მოხმარდეს მიწათმოქმედების განკარგებას, გაძლიერებას, იმ გზით, რა გზითაც თვითონ დაინახავს საჭიროდ. დღეს აქამომდე ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობას ნახევარ მილლიონზე მეტი აქვს პური და ფული ამ საქმისათვის მოგროვილი.

აი, სხვათა შორის, რა საქმეები დასთესა წარსულმა წელიწადმა ჩვენში და რა საქმეები უანდერძა ახალსა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ახალი წელიწადი კულავ ისე პირნათლად გამოგვეთხოვოს, როგორც პირნათლად წარსული გამოგვემშვიდობა და ყოველს ამისთანა საქმეს იმისთანა კაცები შეახვედროს, რომ ჩვენ, იმ კაცების ღვაწლის მნახველთა, თავი მოვიწონოთ ქვეყნის წინაშე და ვსთქვათ თამამად: ჩვენც კაცნი ვართ და არარა კაცებური ჩვენ არ გვეუცხოვების.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ასე მოხდეს, და მოხდება კიდეც, თუ არ დავივიწყებთ, რომ თვითვეული ჩვენგანი, — გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი, — სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი. ამიტომაც სიკეთისათვის ბრძოლაში თვითვეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოე-

ბულს სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლუ-ლოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭ-ვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერ-თიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგანაც საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება.

[1892 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება>

ტფილისი, 7 იანვარი

ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე. ჩვენც საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხანის რისამე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორც, მაგალითებრ, ტფილისი და ქუთაისია, წარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები საღდება, ისიც დიდის ვაივაგლახითა და გაჭირებით, და საიდამაც შორიდამ, სხვა ქვეყნიდან მოტანილი საქონელი, გადის ვაჭრობის შემწეობით სოფლად. პატარა ქალაქები ხომ ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელასავით ქვემძრომსა, საცა ბევრნაირი ჭიაღუა ჰფუსფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოლრღნან სოფელი. სხვა არა ემუნათება რა სოფელს ჩვენებურ ქალაქებისაგან.

რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს თუ სამუდამოდ არა, ჯერხანად მაინც.

თუ ეს წინათ თქმული მართალია, და ამ მართალს მივიღებთ სახეში, მაშინ ცხადად დანახული იქნება ის გზაც, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ ჩვენის განკარგებისათვის და ეკონომიურ შემძლეობის გაძლიერებისათვის. ამ გზაზედ დამდგარმა კაცმა, რომ თვალი დააკვირვოს ჩვენს სოფელს, დაინახავს, რომ ეკონომიურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია რა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უტკივნელად თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწივგამოიწიოს წარმატებისა და კეთილ დგომარეობისათვის.

რასაკვირველია, იმისათვის, რომ მადლიანმა ჰავამ და ნოყიერმა მიწამ თავისი ჰქმნას, თავისი სიკეთე საკმაო სავსებით მოგვიტანოს, მარტო ერთი სახსარია: ეგ გაძლიერება იმ წარმოებისა, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი „სოფლური მეურნეობა".

ხოლო ჭირი ეს არის, რომ ეგ სოფლური მეურნეობა საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური. პირველ ორგვარ მიზეზს ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგანაც შორს წაგვიყვანდა მათის ამბების მოთხრობა. ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა მარტო ეკონომიურ მიზეზებს მივმართოთ.

ამ მხრით რომ დავაკვირდეთ ჩვენებურ მიწათმოქმედებას, დავინახავთ, რომ ამას ჩვენში ორი დიდი ღონე აკლია: ერთი ცოდნა და მეორე სამუშაოდ გადადებული ქონება. ერთიცა და მეორეც იგი განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად, ფეხსაც წინ ვერ წასდგამს. ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია (капитал), იგი ძირისფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნოყიერი იყოს, წარმოადგენს ცხრა კლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას.

მიწა გვაქვს, ხოლო ორივ ხსენებული განძი, ურომლისოდაც მიწა უქმია, უნდა ვიშოვოთ, უნდა მოვიხერხოთ. საცა მთელს ერზეა ლაპარაკი, იქ, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკედ, თვითეულად გარჯა და მეცადინეობა ბევრს არაფერს დაამჩნევს მთელის ერის ცხოვრებასა, ბევრს არასფერს მოუმატებს იმ განძს, რომელიც ასე საჭიროა ჩვენთვის საერთოდ, საზოგადოდ. განცალკევებულ გარჯას და მხნეობას იქაც კი, საცა ცოტად თუ ბევრად გახშირებულია, ბევრი არაფერი შეუმატნია ერისათვის საზოგადოდ და ჩვენში ხომ ამისი ჩამიჩუმიც არ ისმის. მაშასადამე, ამ კერძოდ გარჯასა და მხნეობაზედ ჩვენ არავითარი იმედი არ უნდა ვიქონიოთ, თუნდ იმიტომ რომ ამისათვის არც ერთს ჩვენგანს ცალკე ღონე არა აქვს, არც გონებრივი და არც ქონებრივი. აბა მიიხედ-მოიხედეთ, თუ თვითოეული ჩვენგანი მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად არ აღამებდეს დღეს და სადღა აქვს დრო და მოცალეობა, გონება და ქონება, რომ ერის საერთო განკარგებას და გაძლიერებას მოახმაროს, შესწიროს.

ხოლო იქ, საცა თვითეული ულონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა, თვითეულისაგან ერთად მოგროვილი ქონება, თუნდ ცოტცოტაობით, იმოდენა წყაროს შეჰქმნის შეძლებისას, რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვებაღა გაგვიჭირდება, არც იმგვარ სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხრაკლიტურ კარს მიწის სიმდიდრისას გაგვიღებს ჩვენდა წარსამატებლად და საკეთილდღეოდ.

ჩვენ ამას წინად მოკლედ მოვიხსენიეთ, რომ ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობა, ჩვენდა სასიხარულოდ და სხვათა სამაგალითოდ, ამ შეერთების გზას დასდგომია. მას განუზრახავს და ბევრგან განზრახვაც განუხორციელებია, რომ პურის ერთმანერთში გაწერით საზოგადო ქონება გაიჩინონ და ეს ქონება თავის დროზედ მოახმარონ მიწების შესყიდვას, ადგილ-მამულების შეძენას, მიწადმოქმედების განკარგებას, სარწყავ წყლების გამოყვანას, სკოლების დაარსებას, კაი ჯიშის საქონლის მოშენებას და გამრავლებას, სამეურნეო მანქანების შეძენას და სხვა ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც შორიდამ თუ ახლოდამ ხელს უწყობს

სოფლური მეურნეობის წარმატებას. ამ წელიწადნახევარში ამ გზით აქაურმა გლეხკაცობამ ნახევარ მილიონზე მეტი შეძლება მოიგროვა, ისე უტკივარად და შეუწუხებლად, რომ არც კი არავის შეუმცნევია ეს ასეთი დიდმნიშვნელობიანი მოძრაობა გლეხკაცობისა.

რატომ ამ გზაზედვე არ უნდა დადგეს ქუთაისის გუბერნიის გლეხკაცობა? რატომ იქ არავინა ჰფიქრობს, რომ გლეხკაცობა შეაგულიანოს და ამისთანა საქმისათვის ხელი გამოალებინოს. დარწმუნებული ვართ, რომ იქაური გლეხკაცობა სიხარულით მიეგებება ყოველს ამისთანა საქმის დაწყებას და მრჩეველს. რატომ ჩვენებური თავადაზნაურობა არ ახილებს ამისთანა საქმისათვის თვალს? განა იმას კი არ შეუძლიან ამ გზითვე საზოგადო ქონება გაიჩინოს და თავის უნუგეშო ცხოვრებას ამით სახსარი მისცეს, უნუგეშობისაგან გამოვიდეს. განა დიდი რამ არის, რომ თავადაზნაურობა გაიწეროს, თუნდ პურად, რამოდენიმე ნაწილი ყოველ წლით შესატანი საზოგადო ქონების დასაარსებლად და როცა ამ გზით საკმაო ფული მოგროვდება, მოახმაროს თავის გაღონიერებას, გაძლიერებას ქონებით, თუ გონებით?

ეს თავადაზნაურობისაგან მით უფრო ადვილად მოსახდენია, რომ მას თავისი საკუთარი საგუბერნიო მართველობა ჰყავს, რომელსაც შეადგენს გუბერნიის მარშალი და დეპუტატთა კრებული. გლეხკაცობას არავითარი დაწესებულება იურიდიული არა აქვს საგუბერნიო. ამიტომაც საგუბნერნიოდ მოწყობა ამ საყურადღებო საქმისა გლეხკაცობისათვის ამ მხრით გაძნელებულია და უიმისოდ ვერ გადარჩება, თუ კანონმდებლობას არ მოსთხოვა, რომ ამ საგანს საგუბერნიო მართველობა და გამგეობა გაუჩინოს. თავადაზნაურობას კი ამისთანა დაბრკოლება არ დახვდება წინ, თუ მოიწადინა შეერთებული ღონით და ქონებით თავის ბედის გასწორება, თავის თავის გამოკეთება და გაძლიერება.

ვისურვებთ, რომ ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ჩვენმა მარშლებმა და ყოველმა ცალკე კაცმა რომელსაც კი ჩვენის ქვეყნისათვის გული სტკივა. ამასაც დავუმატებთ, რომ ამისთანა საქმის დაწყება და

გაძლოლა ძნელი არ არის. წესი და რიგი, როგორ უნდა დაეწყოს ეს საქმე, უკვე გამოძიებულია და შემუშავებული გლეხკაცობისათვის. ამ შემუშავებულს წესსა და რიგს მხოლოდ მცირეოდენი ცვლილება მოუნდება, თავადაზნაურობის მდგომარეობის შესაფერად და სხვა არაფერი. საჭიროა მხოლოდ კაცი გამოჩნდეს ჩვენში, რომ ეს საქმე ითავოს და განხორციელება ადვილია. დასასრულს, ამასაც დავუმატებთ, რომ ეს იმისთანა საქმეა, რომელიც საუკუნოდ სახსოვრად გახდის იმის სახელს, ვინც ამ საქმეს მესვეურობას და მეთაურობას გაუწევს. ესეც უნდა იცოდეს თავადაზნაურობამ, რომ აქ მცირეოდენის გაწირვა და გაცემა დიდის სიკეთის მომავლინებელია ყველასათვის ერთად და სათითაოდ ცალკე, და ყოველი დაზოგვა და არგაცემა — დაკარგვაა.

სწორედ ამისთანა საქმეზედ არის თქმული, რომ „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“.

[1893 წ.]

გაზეთი „Новое Обозрение“ და კახეთის რკინისგზა

1

„ჩვენის თავადაზნაურობის მხიარულება და კარგს გუნებაზე ყოფნა“, უცნაურ გარემოებათა გამო, გუნებას უფუჭებს და უიმედობა-მწუხარებაში აგდებს გაზ. „Новое Обозрение“-ეს რედაქციას. თავადაზნაურობა მხიარულობს და იმედიანობს, „Новое Обозрение“-ეს კი „ცრემლი სდის შეუშრობელი“ და საყვედურითა და უიმედობით აქნევს თავს. რა ამბავია, რა მოხდა? რა არის მიზეზი, რომ „Новое Обозрение“ სწუხს მაშინ, როცა თავადაზნაურობა მხიარულად არის?

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას განზრახვა აქვს თვით იტვირთოს კახეთის რკინიგზის გაკეთება და მისი მართვა-გამგეობა. „Новое Обозрение“ შიშობს, რომ ყოველი კაპიკი, რომელსაც თავადაზნაურობა მოიგებს და შეიძენს, შეიძენს მკვიდრთა ჯიბიდამ, ან იმიტომ რომ ფასი საქონლის გადატან-გადაზიდვისა იქნება დიდი, ან იმიტომ რომ გზა მკვიდრად არ იქნება გაკეთებულიო. გაზეთის სიტყვიდამ ცხადად სჩანს, რომ ყოველივე მოგება, რომელსაც კი მისცემს ოდესმე გზა თავადაზნაურობას, საზარალო იქნება კახეთის მკვიდრთათვის და მათ შორის თავადაზნაურთათვისაცაო /„Новое Обозрение“ 6 დეკემბერი 1892 წ./.

რაკი ასეთია მთავარი აზრი გაზეთისა, რჩევითაც შემდეგს ურჩევს თავადაზნაურობას მისი მეთაური წერილი: „ჩვენმა თავადაზნაურობამ, რაც უნდა საკეთილო იყოს მისთვის პირობანი და ვითარება გზის გაკეთებისა,

არ უნდა იტვირთოს მისი გაყვანა. ფულიც რომ იშოვოს იაფად და ადვილად მხნე და ნიჭიერნი კაცნიც რომ მოსძებნოს და ხეირი ჰნახოს გზის მეოხებით, მაინც ეგ ხეირი საეჭვო იქნება, იმიტომ რომ მაგ ხეირს მისცემს მკვიდრი ხალხი, მისცემს მისივე ქვეყანა". ჩვენ კი ვგონებთ, რომ საეჭვოა არა ხეირი, არამედ სჯა და საბუთები პატივცემულის გაზეთისა, რასაც ქვემორე მოგახსენებთ. ხოლო მანამდე ვეცადოთ და მიუხვდეთ, რა აზრი აქვს „Новое Обозрение"-ს მეთაურ წერილის რჩევასა და გაფრთხილებას.

რაკი გაზეთმა დაიცვა ამ სახით „მკვიდრთა კაპიკი" თავადაზნაურთ ხვეჭისაგან, მერე ასე განაგრძობს: „მთავრობაცა და კერძო ამხანაგობა და კაცნიც სიამოვნებით ნდომობენ კახეთის გზის გაყვანასა და მართვა-გამგეობას, ნდომობენ და იტვირთონ კიდეც და იმათვე ჰნახონ ხეირი ამ საქმეში, ოღონდ კი იგი ხეირი ძვირად არ დაუჯდეთ კახეთის მკვიდრთა".

უცნაური ამბავი გვრჩება ხელში ყოველ აქედამ. მაშ ასეა საქმე: 1/ კახეთის გზის გაკეთება საჭიროა; 2/ ვერ უარვყოფთ ამ საქმის სარგებლიანობას, რადგან ეგ სარგებლიანობა აღიარეს მთავრობამაცა და კერძო კაცებმაცა, რომელნიც სიამოვნებით ნდომობენ გზის გაყვანას და მის მართვა-გამგეობას, 3/ მაგრამ მოგება გზისა /ანუ, „Новое Обозрение"-ეს სიტყვა-პასუხით, „ხეირი"/ ხალხის ზარალის მომასწავებელი იქნება, გზა ისე ვერ ისარგებლებს, რომ ეს სარგებლობა ქვეყნის ჯიბიდამ არ ამოვიდეს, 4/ ამიტომ თუ თავადაზნაურობას არ უნდა, რომ მდიდრდებოდეს და იგებდეს ფულს თავის ქვეყნისავე ხარჯით, ხალხის გალარიბებით, არც უნდა იტვირთოს კახეთის გზის გაკეთება; 5/ ისევ ისა სჯობიან, რომ მთავარობამ და კერძო კამპანიებმა და კაცებმა ჰნახონ ხეირი, ხოლო თავადაზნაურობამ მოარიდოს მაგ საქმეს თავიო.

ასეთია, თუ არა ვსცდებით, აზრი „Новое Обозрение"-ეს ლაპარაკისა. სწორედ მოგახსენოთ, ძნელი გასაგები კია, ვის სასარგებლოდ მსჯელობს ასე გაზეთი და ვის უნდა აამოს ასე უცნაურად ანუსხულ საბუთებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველში გეგონებათ, რომ გაზეთს მკვიდრთა და მცხოვრებთა ინტერესების დაცვა აქვს სახეშიო. ამიტომ, თუნდა შეცდომითაც მოსდიოდეს ეს გაზეთს, რაშიც ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, არ შეიძლება მაინც თანაგრძნობით არ მოეკიდოთ მის სურვილს. მაგრამ, როცა ჩაუკვირდებით საქმეს, ჰხედავთ, რომ ეგ ინეტერესები მხოლოდ ხელზედ დახვეული სიტყვის მასალაა, ლოლიკის ლამაზი წინადადებაა და არა ჭეშმარიტი საფუძველი მსჯელობისა და საბუთების ანუსხვაგებისათვის.

ჯერ პირველი ესა, რომ თავს არ მოდის, რკინისგზა მიაჩნდეს კაცს ჩვენს დროში ისეთ ლონისძიებად, რომლის შემწეობითაც მკვიდრთა ჯიბიდამ ამოაქვთ „გროშები". თუ რკინისგზით ამოაქვთ კიდეც და, ხომ იმავე გზის წყალობით და იმავე ჯიბეში იგივე „გროშები" ჩადის უფრო მეტის ფასისა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ უნდა ვალიაროთ, ვითომ გაკეთება ახალის, ფრიად საჭირო რკინისგზისა, მაზარალებელია ქვეყნისათვის, რადგან იმის შემწეობით ცალიერდება ჯიბე — უბეები მკვიდრთა. მაგრამ, როგორც ეტყობა, „Новое Обозрение"-ეც არა ჰფიქრობს ამასა, იმიტომ რომ სრულად არ უარჰყოფს კახეთის გზის გაყვანის სარგებლობასა და საჭიროებას. მაშ, რა ამბავია და როგორ არის საქმე? თუ გზა საჭიროა და სასარგებლო, განა ეს იმასა არა ჰნიშნავს, რომ იმ გზის გაკეთებით მკვიდრთ არავითარი ზარალი არ მოუვათ? თუ ესეა, მაშ მოგება გზის პატრონისა და გამყვანისა, ვინც უნდა იყოს პატრონი და გამკეთებელი — თავადაზნაურობა, მთავრობა, თუ კერძო კაცნი, — რალად უნდა იყოს, ვამბობთ, ის მოგება საზარალო მკვიდრთათვის და მათ შორის თავადაზნაურობისათვისაც, როგორც ჰგონებს „Новое Обозрение"? დავიჯეროთ, ერთსა და იმავე ახალს საეკონომიო საქმეს არ შეუძლიან მისცეს ხეირი მკვიდრთაც, ამ ახალ საქმის დამწყებსაცა და მის პატრონსაც? ან სად არის ისეთი, არა თუ საეკონომიო საქმეები საზოგადოდ, არამედ კერძოდ და განსაკუთრებით ისეთნი რკინისგზანი, რომელთაც მხოლოდ მკვიდრთა სახეიროთ აკეთებდნენ და ამასთანავე სახეში არა ჰქონდეთ ხეირი თვით გზის

პატრონისაცა? თუნდ მთავრობა და ხაზინა ავიღოთ. როცა მთავრობა ან ხაზინა აკეთებს გზას, სახეში არა აქვს, რომ სასარგებლო იქნება საკუთრად ჩემთვისაცაო? ხელს კი მოჰკიდებს ვითომ იმისთანა გზის კეთებას, რომელიც სახეირო არ იქნება? თუ მოჰკიდებს კიდევ ხელს, ან შეცდომით მოუვა, ან არა და, მისის სასტრატეგიო მნიშვნელობა ექნება სახეში და არა საქველმოქმედო მოსაზრებანი, და არა დაზოგვა, ან ნაზი სიყვარული და პატივისცემა მკვიდრთა ჯიბეუბისა!

ამერიკელებს თუ მოვიყვანთ აქ მაგალითად. იმათ იციან არაიშვიათად გზების კეთება ისეთს ალაგებში, რომელიც ძალიან ნაკლებად არის დასახლებული და უდაბნოსა ჰგავს. მაგრამ რად იციან? იციან იმიტომ, რომ გზის გაკეთებას მოჰყვებაო ამ უდაბნოს დასახლებაო და, თუ პირველადვე არა, შემდეგ მაინც ვნახავთ მოგებასაო. ამერიკელებს გაჰყავთ ასეთი გზები და მით ჯერ დიდი ფასი ედება თვალგადუწვდენელს მინდვრებს იმ მიდამოში და მერე ისა აქვთ აზრად, რომ ხეირსა ვნახავთო. არც მოსტყუვდებიან ხოლმე. ამ სახით, ამერიკაში გზების კეთების ანგარიში ცოტა სხვანაირ საფუძველზეა დამყარებული, ვიდრე ჩვენში, მაგრამ უგუნურება იქნება, ვიფიქროთ, ვითომ ამერიკელ გზის მკეთებელთ აზრად არა აქვთ ჩაიჩხრიალონ ჯიბეში მკვიდრთა გროშნი, რომელთა ბედიც ასე აწუხებს „Новое Обозрение"-ეს გულმტკივნეულს რედაქციას.

ზოგი ხვალ იყოს.

2

შეიძლება გვიპასუხოს ვინმემ, რომ მკვიდრთა ჯიბე გაწყალდება იმიტომ კი არა, რომ გზას გაიყვანენ საზოგადოდ, არამედ იმიტომ, რომ ან ტარიფი იქნება მეტად ძვირი, ან უხეიროდ გააკეთებენ გზას, იაფადაო, ამაზე ხომ სიტყვაც არის გადაკრული, „Новое Обозрение"-ეს მეთაურში.

ტარიფის სიძვირე, როგორც ვიცით, გზის გამყვანის ნებაყოფილებაზე არ არის დამოკიდებული, ამისათვის ცალკე სატარიფო კომიტეტი არსებობს და ის განაგებს

ამ საქმეს. ამიერკავკასიის რკინისგზა ხაზინის ხელშია, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რა ძვირია ამ გზაზედ ტარიფი, თუმცა წმინდა მოგება კი მეტისმეტად ძვირი აქვს გზას. თავადაზნაურობის მიერ გაკეთებული გზა, თუკი მოიხერხა და გაისტუმრა ყოველწლიური ხარჯი მართვა-გამგეობისა, თავნი და სარგებელი დახარჯულის ფულისა წლითიწლობით, არა თუ სიხარბეს არ მიეცემა და მკვიდრს ტყავის გაძრობას არ დაუწყებს, როგორც ჰგონებს „Новое Обозрение"-ეს პატივცემული რედაქცია, არამედ სრულიადაც არ ექმნება ამისი ღონ-ისძიება, — თვით მთავრობა არ მისცემს ამის ნებას. ძვირის ტარიფის შიში კიდევ მაშინ შეიძლება ჰქონდეს კაცს, რომ გზას აკეთებდეს რომელიმე კერძო კამპანია, რომელსაც არავითარი დარდი არ ექმნებოდა მკვიდრთა მოსახლეობისა. მაგრამ, რაკი გზას თავადაზნაურობა გაიყვანს და ისვე აწარმოებს, ეჭვი არ არის, რომ ამისთანა პატრონი უფრო მიიღებს მხედველობაში მკვიდრთა ინტერესებსა და საჭიროებასა, ვიდრე ვიღაც უცხო ქვეყნიდამ მოსულნი, რომელთა მუცლის ჩხვერა მხოლოდ ის იქმნება რომ რაც შეიძლება მეტი ავკრათ, მეტი ავაგლიჯოთ ხალხსაო. ტარიფი ხომ გაქვავებულ-გაკლდევებული რამ არ არის, ისიც ცვალებადია, ისიც იცვლება გზის საეკონომიო ვითარების ცვლილებასთან ერთად. და აი, როცა ტარიფი ასე ცვალებადობს, მაშინ იგი აღარც სამძიმო იქნება ერისათვის. ვგონებთ, რომ ამ ცვალებადობას, რომ ტარიფი ხან ძვირი იყოს, ხან იაფი, ხან აიწეოდეს და ხან დაიწეოდეს, უფრო თა-ვადაზნაურობა შეიძლებს, ვიდრე სხვა ვინმე. ძნელი საფიქრებელია, რომ, ყველა მათ შორის, ვისაც კი შეუძლიან იტვირთოს გაკეთება გზისა, თავადაზნაურო-ბაზე მეტის მზრუნველობა და გულმტკივნეულობა გა-მოიჩინოს მკვიდრთა საჭიროებათათვის, სხვა არა იყოს რა, თვითონაც ხომ იმ მკვიდრთა შორის ირიცხება და იმავ მკვიდრთა რიცხვს ეკუთვნის. ერთის სიტყვით, ყოველივე საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ, პირიქით, თუ ვიქონიებთ სახეში მკვიდრთა „გროშებს", თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ საჭი-როა გზა შეეფერ-შეეწონოს ქვეყნის ვითარებასა, უნდა

ყოველის ლონისძიებით ვეცადოთ, იგი გზა სწორედ თავადაზნაურობამ გააკეთოს და არა სხვა ვინმემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიცა შეეხება თვით გზის სიმტკიცესა, თვით ნამუშავარის სიკეთეს, ამას, რასაკვირველია, მცირე მნიშვნელობა არ ექმნება გზის ბედ-იღბალში, მაგრამ განა რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავადაზნაურობა გზას ხუხულასავით ააშენებს, აჩქარებით, აშაფათებით, რათა საჩქაროდ გამოსწოვოს ძალონე და მერე გაანებოს თავი. მითუმეტეს ვერ ვიფიქრებთ ამას, რომ თავადაზნაურობას შეუძლიან მტკიცედაც გააკეთოს გზა და იაფადაც დაისვას: თუ ძლიერ იაფად არა, იმაზედ იაფად მაინც, ვიდრე დაუჯდება ხაზინასა და კერძო კამპანიას. დაე, ხაზინამ ანუ კერძო კაცებმა გააკეთონ ეგ გზა და იმათა ჰნახონ ხეირიო, ამბობს გაზეთი.

რათაო მერე? თუ გზას მოგება ექმნება რასაც არ უარჰყოფს „Новое Обозрение"-ე, ეგ მოგება ხომ იმ თეორიით, რომელიც განგვიმარტა თვით „Новое Обозрение"-ემ, ის გროშები იქმნება, რომელსაც ამოაცოცებენ მკვიდრთა ჯიბეებიდამ! ახლა ვიკითხოთ, რად გასწირვენ თავიანთ გროშებს მკვიდრნი უფრო მეტის სიამოვნებით ხაზინისა ან კერძო კაცთა სასარგებლოდ, ვიდრე სასარგებლოდ თავადაზნაურობისა? თუ პატივცემულ გაზეთის თეორია მართალია, ერთნაირად მართალი უნდა იყოს, როგორც თავადაზნაურობისათვის, ისე კერძო კაცთა და ხაზინისათვისაც, ხოლო უკეთუ ეგ თეორია მარტო თავადაზნაურობას შეეხება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან თეორია გაზეთისა მართალი არა არის, ყალბია, თვით თავისი ბუნებითა და არსებითვე, ან არა და იგი მოგონილია მხოლოდ თავადაზნაურობისათვის. ორივე შემთხვევაში, ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია, რა მოსაგონი იყო მაგისთანა თეორია.

იქნება „Новое Обозрение"-ეს ჰგონია, რომ „გროშების ამოღება მკვიდრთა ჯიბიდამ შეეფერება კერძო კამპანიას, ხაზინას და არკი შეეფერება ჩვენს სახელოვანს თავადაზნაურობას? გარნა რაც შესაფერია და მართებული სახელმწიფოსათვის, ის რად უნდა იყოს სამარცხვინო თავადაზნაურობისათვის. თუკი სახ-

ელმწიფო ჰკიდებს ხელს სახეირო საეკონომიო საქმეებს, თავადაზნაურობამ რალადღა უნდა იუაროს. ეს აზრი რომ მართალი იყოს, საწყენი და შეურაცხმყოფელი იქმნებოდა ან თავადაზნაურობისა და ან სახელმწიფოსათვის. რაიცა შეეხება კერძოდ რკინიგზებს, კარგად ვიცით, რომ გზების კეთებას ხელსა ჰკიდებენ მრავალნი ერობანი შიდა რუსეთში და არკი მიაჩნიათ ეს საქმე არც სამარცხვინოდ თავიანთთვის და არც საზარალოდ მკვიდრთათვის. „Новое Обозрение"-ეს კი რომ ყური დაუგდოს კაცმა, გამოვა, რომ ერობათ არ უნდა მოეკიდნათ ხელი ამისთანა საქმეთათვის, ა იგერა კერძო კაცნი და ხაზინა, მიჰყვნენ და იმათ იტვირთონ ეგ საქმეებიო, ასეთი რჩევა ან მეტისმეტი გულუბრყილობაა, ან არა და დიდი ჭკუის ძალდატანება. ამ მხრივ „Новое Обозрение" გვაგონებს იმ ძიძას, რომელსაც უნდა ყმაწვილი ძუძუს გადააჩვიოს და ძუძუს თავზე მწარე რამეს ისვამს. მაგრამ საქმე ის არ არის, ყმაწვილი ადვილად მოსტყუვდება ასეთის ხერხით, ხოლო ქვეყანას კი ვერავინ დააჯერებს, რომ თუ რკინისგზას აწარმოებს თავადაზნაურობა, გზა ზარალს მისცემს მკვიდრთ, ხოლო თუ ხაზინა, ან კერძო კაცნი, მაშინ ეგ ზარალი სადღაც გაჰქრება და მხოლოდ მოგება დარჩება ძირსაო.

ცოტა რამ კიდევ გვაქვს სათქმელი, მაგრამ ეს შემდეგ იყოს.

3

ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა ვსთქვათ იმ აზრის შესახებ, რომელიც მოჰყავს „Новое Обозрение"-ეს საბუთად თავის მჯელობისა.

„Новое Обозрение" შიშობს, „რომ ვაი თუ თავადაზნაურობამ კახეთის გზის გაყვანას მოჰკიდოს ხელი და თითქმის სრულიად მიივიწყოს, ან დიდის ხნით გადასდოს პირველ შეხედვით მცირე, მაგრამ ფრიად საჭირო საქმე — საქმე დაბა-სოფლის მოწყობისა, დაბა-სოფლის ყოფაცხოვრების განკარგებისა" („Новое Обозрение", 10 დეკემბერი 1892 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, კარგად არ გვესმის, რას ჰნიშნავს ეს განურკვეველი სიტყვები პატივცემულის გაზეთისა, კარგად არ გვესმის აგრედვე, რა ღონისძიება აქვს, ან როგორ შეუძლიან თავადაზნაურობას სოფლების „общественное благоустройство" მოახერხოს, მაგრამ, ვსთქვათ, თუნდა რომ ძალიან კარგად გვესმის ეს ვითომდა სრულიად გარკვეული და ცხადი აზრი გაზეთისა. ახლა გასაგები ეს არის: რად უნდა ვიფიქროთ, რომ ვითომ დაბა-სოფლის მოწყობასა და კახეთის გზის გაკეთების შუა•უთუოდ რამ ბრძოლა და ჭიდილია, რად უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორ საქმესა შორის ისეთი განუყრელი კავშირია, რომ ერთმა მეორე, თუ არ უნდა დაჭლუპოს, სადმე ჩრდილში მაინც უნდა მიაყენოს? ისე გამოდის, თითქო „Новое Обозрение"-ს ჰგონია, თუ კახეთის გზის კეთება დაიწყო, ჩვენი სოფლები მაშინვე დაცარიელდება და თავადაზნაურობა გაექცევა სოფლებს. საიდამ მოსდის გაზეთს ეს შიში, რომელიც შევამჩნიეთ ამას წინადაც, როცა „Новое Обозрение"-ემ დაიწყო სჯა ახალ სახლების აშენების ამსანაგობის შესახებ? და ან რა მინდაო, რომ „Новое Обозрение"-ეს რედაქცია ასე სცდილობს სოფლად დაამაგროს, სოფლად დააბას ჩვენი თავადაზნაურობა და ნებას არ აძლევს, რომ იქიდამ ცხვირი გარედ გამოჰყოს? თქმა არ უნდა, რომ თავადაზნაურობის სამყოფელი, მისი ადგილი, სოფლად არის, იქ უნდა იტვირთოს თავადაზნაურობამ სოფლის ცხოვრების ხელმძღვანელობა, სოფლის მეთაურობა. მაგრამ ამასთანავე ერთად თავადაზნაურობას ადგილი აქვს ყველგან, როგორც სოფელში, ისე ქალაქში, როგორც მაზრაში, ისეც გუბერნიაში. ქალაქის ადგილები — ვაჭრებსაო და დაბა-სოფლები — თავადაზნაურებსაო: მაგრამ განა ვინ დაჰყო, ვინ გაანაწილა ასე ქვეყანა და რომლის უფლების ძალით? არა, პატივცემული „Новое Обозрение" დიდად სცდება: არავის ნება არა აქვს ჩვენს დროში ან სოფელი გადაუწყვიტოს ვისმე საცხოვრებლად, ან საფელში დაიჭიროს, იქ დაამაგროს. ამას გარდა, არავითარი, არც საეკონომიო, არც საზოგადო ინტერესები ძალას არ ატანენ ჩვენს თავადაზნაურობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეთანხმოს ასეთის ბუნების საწინააღმდეგო განყოფას საცხოვრებელ ადგილებისას.

რამდენი ხანია აგერ, რაც ჩვენში ბანკები არსებობს, მაგრამ მით კი სოფლები არ დაცარიელებულა, შეიძლება რკინისგზებიც გაკეთდეს, მაგრამ მით მაინც, ეჭვი არ არის, თავადაზნაურობა სოფლებს თავს არ დაანებებს. „Новое Обозрение"-ეს სარედაქციო წერილებს, სხვათა შორის, ერთი ახირებული თვისება სჭირს: დასაწყისი, ანუ თავი ბოლოს არ ეთანხმება, არ ებმის. აი, მაგალითად, მეორე წერილის თავში პატივცემული გაზეთი ამბობს: „თავადაზნაურობის მიერ მონაწილეობის მიღება გზის მართვა-გამგეობაში ყოვლად სასურველი და სასიამოვნო ამბავი იქმნება ყველა იმ საქმეში, რომელიც კი მოსდევს რკინისგზის გაყვანასა და მოხმარებასაო". იმავე წერილის ბოლოში კი ამბობს, ვაითუ კახეთის გზის გაკეთებამ შეაფერხოს საქმე სოფლის ყოფაცხოვრების მოწყობისა და განკეთილებისაო. რომელი ერთი დავიჯეროთ ეხლა? მონაწილეობა თავადაზნაურობისა სასურველია და კარგიო, მაგრამ იგივე მონაწილეობა დააბრკოლებს სხვა უფრო საჭირო საქმესაო. წადით ახლა და გაიგეთ რამე ამ აბდაუბდა ლაპარაკისა!

[1893 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

<საკომლო მამულების ახალი კანონპროექტის გამო>

ტფილისი, 20 იანვარი

ბატონყმობის გაუქმებას, გლეხთა განთავისუფლებას ქვეყნისათვის ერთი ფრიად მარგებელი საფუძველი დაედო: გლეხობა უმამულოდ არ განთავისუფლდა, სხვადასხვა ადგილების და მამულების მეტნაკლებობის შესაფერად, კანონმა ცოტა თუ ბევრი საკომლოები (надел) დაუნიშნა ყმადყოფილთა თუმცა ამას ვადა დასდვა კანონმა, რომ ღალა საკომლო მამულებისა მამულის პატრონისათვის უნდა ეძლიათ გლეხებს და ამით დამოკიდებულება ნაბატონარს და ნაყმევთა შორის კვლავ ჰპოულობდა თავის არსებობის მიზეზს, მაგრამ კანონმა ესეც დაინახა, რომ ბოლო სრულიად განთავისუფლებისა არის ის დრო და გარემოება, როცა გლეხი გახდება საკუთარ პატრონად თავისის საკომლოსი. ამის მისაღწევად სახელმწიფომ აღმოუჩინა გლეხს შემწეობა საკომლო მამულების შესყიდვისათვის.

ამ შემწეობის მეოხებით მრავალმა გლეხმა გამოისყიდა თავისი საკომლო და მის ხელშეუხებელ პატრონად შეიქმნა. დრომ და ცხოვრებამ აქაც ერთი სატკივარი აუჩინა გლეხკაცობას, რომელიც კანონისაგან წინად დანახული არ იყო და რომელმაც დღეს ისე დააუძლურა გლეხკაცობა, რომ მთავრობის შემწეობით და გლეხკაცის ოფლით გამოსყიდული საკომლოები გლეხკაცს ხელთ არა რჩება, სხვის ხელში გადადის სასყიდლით თუ უსასყიდლოდ და ამ სახით გლეხკაცს მამული ეკარგება. უმამულოდ დარჩენილი გლეხკაცი მძიმე ტვირთია როგორც სახელმწიფოსათვის, აგრედვე

საზოგადოებისათვის და თავი და თავი მიზეზია ბოგანად თრევისა და, იქნება, ათასგვარ უწესოებისა და ავკაცობისაცა.

ეს სატკივარი იქამდე გაძლიერდა ამ ბოლოს ხანებში, რომ სახელმწიფო მეტად ჩააფიქრა და იძულებულ გახადა წამალი რამ მოუპოვოს. ეხლა რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ სატკივარის შესახებ კანონპროექტი უკვე გამორკვეულა, წარდგენილა სახელმწიფო საბჭოში და, როგორც ისმის, დამტკიცდა კიდეცაო. ამ კანონის ძალით საკომლო, საკუთრებად შესყიდული ნაბატონარისაგან, ვერ გადავა იმისთანა კაცის ხელში, რომელიც არ ეკუთვნის გლეხთა წოდებას, არც გასყიდვით, არც ჩუქებით, არც სხვა რაიმე გზით უსასყიდლოთი და სასყიდლით; ვერა მოვალე გლეხისა, გლეხთა წოდებისა იქნება, თუ სხვა რომელისამე წოდებისა, გლეხს ვერ აუწერს თავის ვალში საკომლო მამულსა და ეს საკომლოები ვერ გაიყიდება სასამართლოს განაჩენის ძალითაც კი. საკომლო მამული არ უნდა მიღებულ იქმნას ცალკე კაცისაგან, ანუ საკრედიტო დაწესებულებებისაგან გირაოდ სასესხებელ ფულისად და არც ხაზინასთან, ცალკე კაცთან თუ დაწესებულებასთან საქმის დასაჭერად.

თქმა არ უნდა, რომ ისეთი კანონი გლეხკაცის ხელში შეიმაგრებს მამულსა, ხოლო თუ ამას არ დაემატა, რომ გლეხთა საკომლო განაწილებას მემკვიდრეთა შორის რაიმე საზღვარი დაედოს, ამ სატკივარს გლეხკაცობისას ერთ მხრივ კარი ღია დარჩება ხელახლად შემოსვლისა და ფეხის გადადგმისათვის. მეტისმეტად დაკუწმაწება და დანაწილება საკომლოსი მემკვიდრეთა შორის ისევ ის გარიყვაა გლეხკაცობისა, ისევ იმ ბოგანად თრევის მომავლინებელია, რომელიც წინად ვახსენეთ. სამად და ოთხად დაყოფა საკომლოსი, რომელიც უამისოდაც ძლივ-ძლივ საკმარისია და ზოგან არც კი სწვდება გლეხთა საჭიროებას, იქამდე დააკუწმაწებს მთელს საკომლო მამულს, რომ, ერთის მხრივ, ოჯახიც დაიშლება და, მეორეს მხრივ, არც თვითვეულისათვის სახმარი ხელის მოსაჭიდებელიღა იქნება. ამ სახით არა ერთი და ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითი იქნება, რომ მთელი საკომლო, რომელიც გაუყოფლად ერთს ოჯახს ასე თუ ისე ჰკვებავდა და ინახავდა, თვითეულის ცალკედ გასულს მემკვიდრესათვის აღარა გახდეს რა, ამის გამო იძულებულ იქმნას მამულს თავი დაანებოს და სხვა გზა მონახოს სარჩენად და ამ გზით მამულიც უქმად დარჩეს და თითონაც ხეირი არა ჰნახოს. შეიძლება სთქვან, რომ გლეხკაცს განა არ შეეძლება ამ შემთხვევაში ღალა იღოსო, თუნდ პატარა მამულისაგანაო. შესაძლოა, მაგრამ ხვნა-მთესველი გლეხკაცობა, ღალით გამცემი მამულისა, ის მკვიდრი აღარ არის, რომელზედაც დამყარებულია კეთილდღეობა სახელმწიფოსი და საზოგადოებისა, ის გარედ მოარული კაცია, დღე ყოველ დამოკიდებული იმაზე, რომ ლუკაპური იშოვოს იმისგან, ვისაც მისი მარჯვენა უჭირს.

გარდა ამისა, გაყრა, მემკვიდრეთა ცალ-ცალკე გასვლა და ამ გზით დაკუწმაწება საკომლოსი იმ ზომამდე, რომ თვითეული ნაწილი ვერ ინახავდეს ცალკედ გასულს, გააუქმებს, როგორც ვთქვით წინად, მთელს კომლს, მთელს ოჯახს, რომელსაც განუყოფელი საკომლო ღონეს აძლევდა ცხოვრებისას, იმიტომ, რომ ერთიანი იყო და საკმარისი გლეხკაცის შრომისათვის.

აქაც გვეტყვიან, განა არ შეიძლება, რომ მემკვიდრეებმა ერთ-ერთს დაუთმონ თავისი მონაწილეობა და ამით ოჯახობა, კომლეულობა ერთისა მაინც შეარჩინონ სოფელსაო. ესეც შეიძლება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ გაყრა გლეხკაცობაში უთანხმოებისაგან წარმოსდგება და საცა უთანხმოებაა, იქ ადვილად საფიქრებელი არ არის ამისთანა მშვიდობიანი მორიგება გაყრისათვის აშლილთა შორის. აქ ჯავრი, ჯიბრი შური უფრო ფეხადგმულია ხოლმე და აბა საცა ეს ვაჟბატონები ყელს მოიღერებენ ხოლმე, იქ ხეირი აღარ არის, იქ მშვიდობიანი და ჭკუადამჯდარი განსჯა საქმისა ხმაგაკმენდილია და ენადაბმული. ამიტომაც, ჩვენა გვგონია, უფრო საიმედოა კანონმა დაავალოს გლეხკაცობას, რომ ამისთანა შემთხვევაში ყველამ ერთს დაუთმონ მონაწილეობა, ვიდრე ეს საქმე გლეხთა ნებაყოფილებას მიანდოს.

ამისათვის საჭიროა დაინიშნოს, რის ქვეშეთ საკომლო აღარ უნდა იქმნას განაწილებულ მემკვიდრეთა შორის და ერთ-ერთს მათგანს უნდა დაეთმობოდეს ხოლმე. ეს ამისთანა კანონი, რომელსაც, რასაკვირველია, სხვა მხრივაც ბევრი განმარტება უნდა, ცალკე შეიკავებს სურვილს გაყრისას, რომელიც ასე ჰლუპავს ხოლმე გლეხკაცობას, და ცალკე ერთ-ერთს მაინც შეარჩენს საკმარისს მამულს კომლეულად ცხოვრებისათვის უწინდელ ბინაზე.

თუ ხსოვნა არ გვღალატობს, ვგონებთ, აქაურმა საგლეხკაცო გამგეთა დაწესებულებამ ამ მხრივაც შეხედა ზემოხსენებულ საქმეს და თავისი პროექტი, სხვათა შორის, ამ საგნის შესახებიც, წარუდგინა კანონმდებლობას. სასურველია, რომ ხსენებულმა ზემოდ კანონებმა ჩვენს ქვეყანასაც მოხედონ.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში>

ტფილისი, 23 იანვარი

პოლიტიკური მდგომარეობა დღევანდელის ევროპისა ისევ ისეა აწეწილ-აშლილი, როგორც წინად იყო. კაცს ვერ გამოურკვევია, ვინ ვის ეტანება, ვინ ვის წინ გადადის მალაყს, ვინ ვისა ჰმეგობრობს, ვინ ვისსა ჰმტრობს. ამბობენ და ბუკითა და ნალარით ჰყვირიან, რომ ევროპის საპოლიტიკო მოედანზე ორისავ მხრიდამ ფალავნები დამკლავებულნი არიან და მარტო ერთმანეთს უთვალთვალებენ, აბა როდის დაიძახებს საყვირი, ერთმანეთს ვეცნეთო.

ერთ მხრივ არის ეგრედწოდებული სამთა კავშირი და მეორეს მხრივ ვითომ რუსეთი და საფრანგეთი. სამთა კავშირი შეკრული და ბეჭედდასმულია, რადგანაც ამისათვის ხელმოწერილი პირობა აქვთ დადებული. რუსეთისას და საფრანგეთისას კი ამბობენ, რომ ესენი ერთმანეთს ჰმეგობრობენ გულითა და არა ქალალდითაო, ესე იგი, არა იმ ფარატინითა, რომელსაც მოხერხებული დიპლომატია, როცა უნდა, დაჰფხრეწს ხოლმე, „ვითა უსტარსა ბედითსა“, და როცა უნდა, დააწებოებს და ოქროს ვარაყითა ჰრთავს მითამდა მეტის სიმაგრისა და თავდებობისათვის.

დღეს რომ თვალი მოატაროთ და ევროპის სახელმწიფოთა წყურვა-ტოკვას დააკვირდეთ, გგონიათ, რომ ტკივილი თვითვეულის სახელმწიფოსი ცხადია, როგორც ადამიანის ხელისგულიო, ეგრე ზედაპირად გამოძიებული მდგომარეობა დღევანდელის ევროპისა იმას დაგვანახვებს, ვითომც ინგლისი მარტო ამას სცდილობს, რომ ხმელთაშუა ზღვაზე არავინ აუჩნდეს

ძლიერ მეტოქედ და რადგანაც მარტო საფრანგეთია იმისთანა სახელმწიფო, რომელსაც დღეს შეუძლიან დიდი მეტოქეობა გაუწიოს ინგლისსა მაგ ზღვაზე, ამიტომაც საფრანგეთის დღევანდელ პოლიტიკას ინგლისი მხარს არ აძლევსო და თავის თანაგრძნობის სასწორის ულელს უფრო სამთა კავშირისაკენ ჰხრისო. მართალია, ამას არავინ მოელოდა, რადგანაც გლადსტონის პირველმინისტრობა ინგლისში სხვა იმედს იძლეოდა. მაგრამ რაკი ასეა, მიზეზი ამისთანა ამბისა სხვა გარემოებაში უნდა ვეძებოთ და არა იმაში, რომ ლრუბლიან ალბიონს საფრანგეთის მეტოქეობის შიში აქვს მარტო ხმელთაშუა ზღვაზე და სხვა არაფერი. ამავე შიშს იგივე მიზეზი ჰქონდა, როცა „სახელოვანი მოხუცი", როგორც გლადსტონს ეძახიან, პირველ მინისტრად შეიქმნა და ამ ამბავმა მაინც არ დაუშალა ქვეყანას იმ იმედს მისცემოდა, რომ გლადსტონის პირველმინისტრობა საფრანგეთის სასარგებლოდ მოახედებს ინგლისსაო. რაკი ეს იმედი ეხლა თუ სრულად არ გამტყუნდა, იმდენად მაინც განელდა და გათხელდა, რომ თავის დასაჭერად საბუთი ველარ იპოვა დღევანდელს ინგლისის პოლიტიკაში, სჩანს, ინგლისი სხვაგან ჰხედავს მიზეზს შიშისას და ფიქრისას. აი ეს „სხვაგნებური" შიში და ფიქრია სათავე იმ პოლიტიკისა, რომელსაც ეგრე ძლიერ ეჭიდება დღეს ინგლისი და რომელსაც ხელთ შეუკვრელ, ხელთხსნილ პოლიტიკას (политика свободных рук) ეძახიან, ესე იგი, იმ პოლიტიკას, რომელსაც წინადვე არავისთანა არა აქვს საქმე დაჭერილი და ყოველ ხელშეკრულობისაგან თავისუფალია.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ინგლისი დღეს ერთი იმისთანა სახელმწიფოა, რომელზედაც დამოკიდებულია ომიცა ევროპაში და უომრობაცა. დღეს ინგლისი რომ ცხადად მიემხროს ერთ-ერთს მხარეს ორად განხეთქილ ევროპისას, ჩვენის ფიქრით, მეორეს დღესვე ომი ასტყდება. ახლა ევროპა უინგლისოდ ორ თითქმის თანასწორ ბანაკად არის გაყოფილი. მინამ საქმე ასეა, ვერც ერთი ბანაკი ვერ გაჰბედავს ომსა დამარცხების შიშით, იმიტომ რომ ერთის ზომის ღონე და შეძლება ომში საკმაო თამასუქი

არ არის გამარჯვებისა, რადგანაც ომს თუმცა ბევრი წინდასანახავი აქვს, მაგრამ ბევრიც დაუნახავია და შემთხვევისა და ფათერაკის ანაბრობაზეა მიგდებული. ამ შემთხვევას და ფათერაკს უფრო დიდი ადგილი უჭირავს იქ, საცა მეომართა ლონე ერთი მეორეს კარგა საგრძნობლად არა- სჭარბობს. აი სად არის ამის მიზეზი, რომ ცალკე გერმანია და ცალკე საფრანგეთი მომხრეობის ძებნაში აღამებენ დღეს და რაც ძალი და ლონე აქვთ სცდილობენ ჯარების მატებას და შეიარაღებას.

ინგლისი კი რომ მიემხროს ერთ-ერთს მხარეს, მაშინ ერთი მხარე ისე გაძლიერდება, რომ შიში დამარცხებისა აღარ დააბრკოლებს ხმალი იშიშვლოს და დააგრიალოს ზარბაზანი. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ დღეს ევროპაში წყურვილი ომისა დიდია და დაუძინებელი, და მარტო მარჯვე შემთხვევას ელის, რომ იფეთქოს. ევროპის დიპლომატიას საქმე ისე მიჰყავს, რომ ეს მარჯვე შემთხვევანი ღველფ ქვეშ ინახოს და, როცა საჭირო იქნება, ააფეთქოს.

ამისთანა ღველფში შენახული ცეცხლი არის ბოლგარია და ერთობ ეგრედწოდებული ბალკანეთის საქმე. ამისთანავე საფეთქებელი ცეცხლია ეგვიპტის საქმეცა, რომელმაც ამ ბოლოს ხანებში თავი წამოჰყო. ხოლო ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ თვითვეული ეს საქმენი არც ცალკე და არც ერთად თავისთავად ომის მომავლინებელი არ არიან, ჩვენის ფიქრით, ეგენი მხოლოდ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ის იქნებიან. არც ერთი სახელმწიფო მაგ საქმეებისათვის ერთს თავის ჯარისკაცსაც არ გაიმეტებს, ხოლო, როცა სხვაფრივ გაიმართება, ომის ცეცხლს მაინდამ მოუკიდებს ქვეყანას.

ტკივილი დღევანდელის ევროპისა სულ სხვა არის. საქმე ის არის, რომ დღეს გაპირველებული ევროპაში გერმანია და მისი ბატონობა და მძლავრობა სულსა ჰხუთავს მთელს ევროპას, რადგანაც თვითონ გერმანიაც იძულებულია, წარსულ პოლიტიკის წყალობით, დღედალამ სულ ომის მზადებაში იყოს და ამით თვითონაც სული იხუთოს. ომს შეუძლიან ეგ პირველობა გერმანიას ჩამოართოს, ხოლო საკითხი ეს არის: ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭერს გერმანიის ადგილს? ვინ გაუბატონდება ევროპას? აქ თავწამოყრილია შური, თვით მედიდობა, პატივმოყვარეობა თვითვეულის სახელმწიფოსი.

აი აქ არის ის ძირითადი მიზეზი, რომ ინგლისი დღეს განზე სდგას და არც ერთს მტრობით გამწვავებულს მხარეს არ უდგება მხარში. იმისი ანგარიში საბუთიანია: ან ორივე მხარე ომისათვის მეტისმეტ ჭიმვისაგან დაუძლურდება, იმიტომ რომ ამისთანა თავიდამ ფეხებამდე საომარ აბჯარში ჩამჯდარი მშვიდობიანობა, როგორიც დღეს არის, ხეირს არავის დააყრის და იმდენად მიასუსტებს ერთსაც და მეორესაც, რომ ბატონობა კი არა, თავის თავის რჩენაც საფიქრებელი გაუხდეთ, ან თუ ომი ატყდა, როცა მეტი გზა ალარ ექნებათ, მე საცა ჩემთვის სამჯობინაროა ჩავერევი, რომ ულელი თანასწორობისა ევროპაში არავის მხრისკენ არ დაიხაროს იმდენად, რომ ბატონობა გაბედოსო.

ამ ორსავ გზას საქმე ინგლისისათვის სასურველ მიჯნამდე მიჰყავს და ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ ინგლისი უფრო იცდის დღეს, ვიდრე მოქმედებს, უფრო ელის, ვნახოთ რომელი გზა უფრო მალე მოულებს ბოლოს დღევანდელ გაჭირებულ ყოფას ევროპისასაო. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ესეთი პოლიტიკა ინგლისისა უანგარო იყოს და გამოწვეული კაცთმოყვარეობის გრძნობისაგან. სხვათა დაუძლურება მისი გაძლიერება იქნება და ამისათანა თავისაკენ თლა ეჩოსავით ახალი ამბავი არ არის ინგლისისათვის. ინგლისი საქმიან კაცების ქვეყანაა და ცუდუბრალოდ არც დგომა უყვართ და არც სირბილი.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალეობა ჩვენის თავადაზნაურობისა (კიდევ „Новое Обозрение“-სა და კახეთის რკინისგზის გამო)

1

ჩვენის-ფიქრით, მხოლოდ მაშინ ვერას დაამუნათებს უფლება-უპირატესობით მოსილს წოდებას ვერც ისტორია და ვერც ჩამომავლობა, როცა იგი წოდება შეპყრობილია და გამსჭვალული დროის შესაფერ მისწრაფება-სურვილით. როდესაც ერის ყოფაცხოვრება ისეთია, რომ საკუთრად თვითონ არ შეუძლიან ჯერ-ჯერობით ხელი მოჰკიდოს დროთა შესაფერ საქმეების განხორციელებას, თაოსნობა და მეთაურობა, ჩვეულებისამებრ, უნდა იკისროს უფლებითა და უპირატესობით მოსილმა ნაწილმა ერისამ, რაკი ამისთანა ნაწილი არ გაურბის და ტვირთულობს რომელსამე განსაზღვრულს მოვალეობას საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობაში, თაოსნობს და ხელმძღვანელობას უწევს თავის სამშობლო ქვეყნის საქმეებს, მაშინ მისი უპირატესობანი და განსაკუთრებული უფლებანი არავის თვალში არ ეჩხირება, იმიტომ რომ, ყველას ჰგონია, ეგ უფლება-უპირატესობანი, ცოტად თუ ბევრად, კანონიერი ჯილდოა საზოგადო მოღვაწეობისათვისაო. ხოლო, როცა უფლებამოსილი წოდება გაურბის, უარჰყოფს თავის მოვალეობას საქვეყნო საქმის წინაშე და ერთხელა და ერთხელ შეძენილს უფლება-უპირატესობას კი ირჩენს, ხელს არ უშვებს, მაშინ ზემოხსენებული წოდება გადაიქცევის მუქთამჭამელ და უსარგებლო წოდებად, რომელიც არა იშვიათად აფერხებს კიდეც

ქვეყნის წარმატების საქმეს. უფლებამოსილ წოდების საზოგადოებურ შნოსა და მის საპოლიტიკო სიბრძნეზეა დამოკიდებული, რამდენად დიდხანსაც შეირჩენს ქვეყნის ცხოვრებაში როლს მეთაურ-თაოსნისა და ხელმძღვანელისა. ასეთის როლის შერჩენა კიდევ შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა უფლებამოსილი წოდება ფეხდაფეხ მიჰყვება დროსა და ჟამს, ცხოვრების წარმატებას არც თვითონ ჩამორჩება უკან.

ამ მარტივს კანონს უფლებამოსილ წოდებათა საზოგადოებურს წარმატება-განვითარებისას ყურადღება არ მიაქცია, მაგალითად, საფრანგეთის თავადაზნაურობამ და აკი ამიტომაც დაიღუპა. ხოლო ინგლისის თავადაზნაურობა დაიხსნა და გადაარჩინა თავის ფრანგ მოძმეთა ხვედრს სწორედ ამ კანონის შეგნებამა და შეთვისებამა. მაშინ, როცა საფრანგეთის თავადაზნაურთ მიანებეს თავი თავიანთ საგვარეულო მამულებს და თავპირს იმტვრევდნენ კარისკაცობისათვის, საფრანგეთის მეფეთა ყურმოჭრილ ყმობისათვის, ინგლისელი ლორდები სულ სხვაფრივ აწარმოებდნენ თავიანთ საქმეებს. იმათ შეირჩინეს ისევ საზოგადო ხელმძღვანელობა თავიანთ მამულ-დედულისა, რომელიც მისცეს საღალოდ, გინა იჯარით, ფულიან და შეძლებულ ფერმერებს, ხოლო თვითონ არ ითაკილეს მონაწილეობის მიღება თავიანთ ქვეყნის სამრეწველო წარმატებაში. ბურჟუაზია, ეს ხელმძღვანელი და თაოსანი ძალა ეხლანდელის მრეწველობისა, სულ შუაწოდების კაცთა კრებულია საფრანგეთში, ხოლო ინგლისში ამ კრებულში ურევიან არისტოკრატებიცა და შუაწოდების კაცნიცა. აი ასეთის დაკავშირების წყალობით ინგლისის არისტოკრატია უვნებლად გადაურჩა საისტორიო განვითარების დულილს, საფრანგეთისა კი ამ დულილმა სრულიად მოიდნო და მოინარიკლა: საფრანგეთის საზოგადოებაში თავადაზნაურობა ძალა აღარ არის, ჯგუფი და წოდება აღარ გახლავთ.

ამ ჩვენს ახალს დროში, როცა ხელის გადახვევა ბურჟუაზიისა, მასთან კავშირი უკვე აღარ ჰნიშნავს მეთაურ წოდების ხელის გადახვევას, მეთაურ წოდებასთან კავშირს, როცა სარბიელზედ გამოდის დემოკრატია, გამოდის მერე ასეთის ძლევამოსილობით, ინგ-

ლისის არისტოკრატია კვლავ არ ჰღალატობს თავის წოდების ანდერძს, საპოლიტიკო ალღოს და სურვილს იჩენს, მოიპოვოს თანაგრძნობა ამ ახლად დაბადებულის ძალისა, მუშაკაცთა წოდებისა. ამ საქმეს ინგლისის არისტოკრატია სცდილობს მით, რომ არ თაკილობს და არ ერიდება მათთან ერთად ბრძოლას ფულიან კაცების წინააღმდეგ.

ძნელია, რასაკვირველია, წინდაწინვე განსჯვრიტოს კაცმა, რით გათავდება ეს ფერაობა და წითელის კვერცხის გორება არისტოკრატიის მიერ წინაშე მუშადემოკრატიისა, მაგრამ ის კი ყოველსავე ეჭვგარეშეა, რომ ევროპის ყველა არისტოკრატიებში მარტო ინგლისის არისტოკრატია დაადგა უეჭველსა და მართალს გზას თავის მდგომარეობის შესარჩენად. ეს გზა გახლავთ გზა დაულალავის შრომა-გარჯისა საყოველთაო სასარგებლოდ, გზა იმ საქმეთა შეგნებისა კეთილსვინდისიერების მეცადინეობით, რომელიც დროებას მოაქვს, გზა დათმობისა იმაში, რის დათმობაც საჭიროა საზოგადოების ახლად გაჩენილ ვითარებისა და მოთხოვნილების გამო.

ჩვენი ქვეყანა და მისი ცხოვრება ამჟამად ჩავარდნილია დიდსა და მრავალკერძოიანს გაჭირებასა და განსაცდელში. ჩვენ ეხლა საისტორიო საჯვაროს წინა ვდგევართ, იმ საჯვაროს წინ, საცა სამი და ოთხი გზაა გადაჯვარედინებული, რომელი გზა ამოვირჩიოთ, რომელ გზით წავიდეთ წინ? ჩვენს შორსგამჭვრეტლობასა, ჩვენს მოფიქრებულსა, ერთობილსა და უანგარო მოქმედებაზეა დამოკიდებული, რა სახეს მიიღებს, რა ვითარებისა იქმნება ამ ახლო მომავალში ჩვენის სამშობლო ქვეყნის ცხოვრება. განკერძოებული, ზღუდეშემოვლებული ყოფაცხოვრება ჩვენის ერისა განქრა და ჰქრება, ვითარცა კვამლი. ჩვენც ფეხი გამოვყავით და შევდგით სხვა ერთა დიდებულს ცხობრებაში; ჩვენც გვინდა მათის წარმატების თანაზიარნი გავხდეთ. იმ დროინდელი აღარა დარჩარა, როცა ჩვენს ქვეყანაში გამეფებული იყო მარტო ოდენ სამეურნეო, სამიწადმოქმედო წარმოება, ნავარაუდევი ადგილობრივვე მოსახმარებლად, ადგილობრივვე ურთიერთშორის ნაწარმოების გასაცვლელ-გამოსაცვლელად. ჩვენში ძლიერდება

ახლა სამრეწველო წარმოება, დგება ისეთი დრო და ხანა, როცა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი წესრიგი სამიწადმოქმედო წარმოებისაც კი სრულიად იცვლება და ისეთს ახალს საფუძველზედ მყარდება, რომელიც უფრო შეეფერ-შეეწონება ჩვენის ცხოვრების ახალს საეკონომიო ვითარებას. ამავე დროს ჩნდება სრულიად ახალი დარგნი მრეწველობისა, იბადება სრულიად ახალის სახისა და ფერის შრომა და გამრჯელობა. ერთის სიტყვით, წარმოება ქვეყნის ქონებისა და დოვლათისა დიდსა და მეტად საყურადღებო ცვალებადობაშია შესული.

რაკი ასეთი ცვლილება სწარმოებს ჩვენის ერის ქონებრივ ცხოვრების ვითარებაში, მის შესაფერადვე უნდა ცვალებადობდეს საზოგადოებრივი ურთიერთობაცა, საზოგადოებრივი უფლება-დამოკიდებულებაცა. უნდა გაჩნდეს ძალა, რომელსაც შეეძლოს იტვირთოს როლი ხელმძღვანელისა, საქმეთა აგება-მოწყობისა ასე განახლებულ და დღემუდამ განსაახლებლად მიდრეკილ ურთიერთობის სფერაშიაც.

საიდამ და როგორ უნდა გაჩნდეს ასეთი ძალა, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

2

სამადსამი გზაა, ჩვენის ფიქრით, რომ გაჩნდეს ის ძალ-ღონე, რომელიც გასწევს როლს მეთაურობისა და თაოსნობისას ქვეყნის აშენების საქმეში, რამდენადაც კი ნებას გვაძლევს დაკვირვება დღევანდელის ყოფაცხოვრებისა, ჩვენ მხოლოდ ეს სამი გზა მიგვაჩნია შესაძლებლად, რომ ან ერთით გაჩნდეს იგი ძალ-ღონე, ან მეორით და ან მესამით. სამში ერთი უნდა მოხდეს. შეიძლება ეს ძალ-ღონე ჩვენს გარეშე გაჩნდეს და გარედამ მოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, ან ევროპიელ მრეწველთა სახით, ან ხაზინის სახით, ან არადა სხვა ერთა და ტომთა ვაჭარ ხალხის სახით. ეს გარედამ მოსული, ჩვენთვის უცხო ძალა დაეპატრონება წარმოებას და, როგორც მისი ნება იქნება, ისე დაატრიალებს აღებ-მიცემასა, ვაჭრობასა და გასწევს ამასთანავე შუამავლობას, შუაკაცობას მსოფლიო ბაზარსა და ჩვენ შო-

რის. ასეთი გარემოება დაჰბადავს ჩვენში ისეთს ვი-
თარებას, რომელიც საეკონომიო ყმობას ძალიან
დაემგზავსება: ნალები სხვას დარჩება, ხოლო ნალებ-
მოხდილი, წყალ-წყალა რძე — პირდაპირ მწარ-
მოებელთ, რომელნიც უცხოთა ღალის მძლევლებად და
მათ მოხარკეებად გადიქცევიან.

შესაძლოა, აგრედვე, რომ იგი ძალ-ღონე დაიბადოს
თვით ჩვენის ერის სიღრმესა და წიაღში. სტიქიონებრ,
ყრუდ და ცნობიერების გარეშე მოიკრებს თავს და და-
გუბდება ეს ძალ-ღონე, წვეთ-წვეთობით გადიდდება,
გაიმატებს, გაერთიანდება ზღვად გასასკდომად და ერთს
მშვენიერს დღეს დიდის ბატონივით დაიძვრის ჩვენის
ცხოვრების ხელმძღვანელად და მოსაწყობად. მაგრამ
ასეთი ზრდა ძალ-ღონისა მეტად მძიმე, ხანგრძლივი და
ძნელი საქმეა. მართალია, ეს ზრდა სწარმოებს ამჟა-
მადაც; ამჟამადაც ჩნდებიან მდაბიო ერის სიღრმიდამ
თითო-ოროლანი, რომელთაც კარგად აქვთ აღებული
ალღო დღევანდელის ვითარებისა და მრავლად იკრებენ
ხელში ქონებასა და დოვლათს. მაგრამ, ჯერ ერთი,
რომ თითოეული ამისთანათა შორის თვითონვე ნაწილია
იმ ზრდა-დუღილისა, რომელიც მის ცნობიერების გა-
რეშე სწარმოებს და ამიტომ ჰხელმძღვანელობს არა
ქვეყნის საზოგადო ინტერესებით, არამედ მხოლოდ თა-
ვის საკუთარის, კერძო და პირადის ანგარიშით. მეო-
რეც ისა, რომ თითოეულნი ამისთანა კაცნი გან-
ცალკევებით ჰმოქმედობენ, სათითაოდ, ერთიერთმანეთის
მხარმიუცემლად და ამის გამო ბევრს ძალასა და
ღონეს ჰკარგავენ იმ ბრძოლაში, რომელიც იძულე-
ბულნი არიან გაუწიონ ათასგვარ მტერსა და
დაბრკოლებას. შეჯგუფებას, შეამხანაგებას ამისთანები
მოიფიქრებენ მხოლოდ მაშინ, როცა ბრძოლა და
ჭიდილი ცხოვრებისა ცოტაოდნად განავითარებს, გააც-
ნობიერებს, დააბრძენებს და როცა იგივე ბრძოლა და
ჭიდილი იმ გამწვავებამდე მივა, რომ მისი ატანა
შეუძლებელიღა გახდება თითოეულთა საკუთარის ძალ-
ღონისათვის.

ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს მხოლოდ ამ
შემთხვევაში. აი რა: უკეთუ ამ სასურველის ძალ-
ღონის ზრდა თავის ბუნებრივს დუღილზე იქმნა მიგდე-

ბული, უკეთუ სტიქიონებრ იარა, თავისით, სრულიად თავმინებებული, საშიშია, რომ ვაი თუ ეგ დულილი, ეგ პროცესი სრულებით ჩვენის ქვეყნის უძვირფასეს ინტერესების სასარგებლოდ არ გათავდეს.

აი ამიტომ აუცილებლად საჭიროა, მაგ საქმეში ცნობიერება ჩაერიოს, გონიერებამ ჩააშუქოს, რათა აჩქარებულ იქმნას გაერთიანება თითოეულის ძალ-ღონისა, რათა დამკვიდრდეს ის აზრი, რომ ყოვლად და ყოვლად საჭიროა შეერთებული, შეამხანაგებული მოქმედება ქვეყნის სათითაო ძალ-ღონისა ერთის სურვილისა და ერთის საგნისაკენ მისადრეკ-მისამართავად.

ამ საქმის შესრულება მოვალეობაა ჩვენის თავადაზნაურობისა და ჩვენის ინტელიგენციისა და აი სწორედ აქ შეგვიძლიან დავინახოთ და გავითვალისწინოთ ის მესამე გზა ჩვენის განვითარება-წარმატებისა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ და რომელიც ერთადერთი სასურველი, ერთადერთი მხსნელი მაცხოვნებელია ჩვენი.

3

ერთს სიტყვას კიდევ ვიტყვით და გავათავებთ.

ჩვენა ვფიქრობთ, რომ, რაცა ვსთქვით წინა წერილებში, იქიდამ ცხადად სჩანს, ვინ რა აზრი უნდა წაიმძღვაროს წინ ჩვენში და როგორ უნდა სცდილობდეს თავის მოვალეობის შესრულებას სამშობლო ქვეყნის წინაშე. თუ ჩვენს თავადაზნაურობას უნდა კვლავ განაგრძოს თავისი არსებობა და ეჭიროს ხელში პირველობა, მთავარი ადგილი, ცხადია, რომ სამრეწველოდ აღძრულს ახალსა და ნორჩს ძალ-ღონეს მოთავეობა უნდა გაუწიოს, მძიმე სამრეწველო ურმის თავში თითონვე უნდა შეებას.

მხოლოდ ასეთი საქმე, ასეთის ტვირთის კისრადღება შესძენს თავადაზნაურთა წოდებას ახალს ძალასა და ღონეს, გააცხოველებს და გადაახალისებს იმის — აბა რა დასამალია — გატეხილსა და დაუძლურებულს ჯანსა, იმის დაბერებულს წოდებრივს აგებულებას. თავადაზნაურობამ უნდა იფიქროს არა წარსულ დროთა უფლება-უპირატესობათათვის, რომელთაც ველარავითარი ქვეყნიური ძალა ველარ დაუ-

ბრუნებს, არამედ იმ ახალ საზოგადო საქმეთათვის, რომელთა გაძღოლას დღევანდელი ჟამთა ვითარება ავალებს თავადაზნაურობას.

ხოლო ამ ახალ საქმეთა მიხვედრა, გაგება და გათავლისწინება და მერე გონიერი, სასარგებლო მოქმედება თავადაზნაურობას მხოლოდ ინტელიგენციის შემწეობით შეუძლიან, იმ ინტელიგენციის შემწეობით, რომელშიაც წოდებას არავითარი ადგილი არა აქვს. ინტელიგენცია გონებაა ერისა, ამ მხრივ, სწორედ ამ თვისების მხრივ, იგი ინტელიგენცია არასგზით არ უნდა იყოს წოდებრივი, ცალკერძ მიმართული. ინტელიგენციის კრებულს უნდა ემატებოდნენ ყოველის წოდებისა და შეძლების ახალგაზრდა განათლებული ყმაწვილი კაცნი. კარი მისი ყურთამდე ღია უნდა იყოს ნიჭისა, ღირსებისა და ცოდნისათვის, და არა გვარიშვილობისა და ჩამომავლობისათვის. ინტელიგენციის მოწოდებაა გადაიქცეს იმ კავშირად, რომელიც ჯაჭვის რგოლივით აერთებს ყოველს ცალკე ჯგუფს, ცალკე კრებულს, და მათს მოღვაწეობას მიჰმართავს ერთის სასურველი საგნისაკენ, ისეთის საგნისაკენ, რომელიც ერთნაირად ძვირფასია და სასარგებლო ყველასათვის.

აი ამიტომ გვგონია, რომ კახეთის გზის გაყვანა თავადაზნაურთა ძალ-ღონით დიდად სასიამოვნო ამბავი იქნება ამ ჩვენს უფერულს ცხოვრებაში. როცა დიდი, სასარგებლო და ხეირის მომცემი საქმე თვითონ გეტანებათ, როცა ცხოვრება თვით გაძლევთ ხელში სამრეწველო განვითარებისა და წარმატების ღერძს, რომლის შემწეობითაც შეგიძლიანთ, თქვენის სურვილისამებრ, ატრიალოთ ესა თუ ის ჩარხი ცხოვრებისა, — სწორედ დიდი უგუნურება იქნება კაცმა ხელი არ მოჰკიდოს საქმეს, არ გაისარჯოს და უარს ამბობდეს მოსალოდნელ შრომასა და ხეირზედ; უგუნურება იქნება, თუ, რასაკვირველია, ბეჯითი და ზედმიწევნილი გამოკვლევა დაამტკიცებს, რომ წინამდებარე საქმე ყოვლად სახეირო და გამოსარჩომიაო.

ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ ისიცა, რომ სამრეწველო საქმეთა წარმოება შეერთებულის ძალ-ღონით ისეთი აუცილებელი და ყოვლად დიდი საჭიროებაა ამჟამად ჩვენში, რომ უმაგისოდ ხსნა აღარსადა აქვს

ჩვენს ქვეყანას. ამგვარად საქმეთა წარმოება ჩვენთვის სკოლა იქნება. ამ სკოლაში უნდა გამოიჯეკოს, გამოიწვრთოს ჩვენი ძალ-ღონე; ამისთანა სკოლაში უნდა გავვარჯიშდეთ და შევიძინოთ ის უნარი საქმიანობისა, ის შნო საქმეთა წარმოებისა, რომელსაც წარსულში სრულიად მოკლებული ვიყავით და რომელმაც უნდა მტკიცედ დაგვაყენოს ფეხზედ მომავალში. გამარჯვება ბოლოსა და ბოლოს ძლიერს დარჩება და აი ყოველის ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, ჩვენ ხელთ შემოვიკრიბოთ ის ძალა, რომელიც ათასგვარის სახით არსებობს და იჩენს თავს: ძალა გონებრივი, ძალა ზეობრივი და ძალა ქონებრივი, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევდით და ისეთის უგუნურებით უგულებელვყოფდით დღემდე.

[1893 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ

(წერილი რედაქციის მიმართ)

თითქმის დაარსების პირველ დღიდგანვე ჩვენ სათავადაზნაურო სკოლებს მოსდევს ეჭვი მათს სარგებლობის შესახებ ჩვენის საზოგადოებისათვის. თითქმის ყოველ წელს ჩამოგვივარდება ხოლმე ლაპარაკი: არა სჯობია, რომ აწინდელი კლასიკური წესი სათავადაზნაურო სკოლებისა შეიცვალოს სხვა, უკეთესის წესითაო. ეს გახშირებული ლაპარაკი და უკმაყოფილობა აწ არსებულის წესისა, ეს მუდმივი სურვილი კლასიკურის სისტემის შეცვლისა უტყუარი საბუთია, დაურღვეველი თამასუქია იმისი, რომ კლასიკური წესი სწავლებისა ჩვენს ქვეყანას არ შეჰშვენის, ჩვენს ერს არ აკმაყოფილებს, რომ იგი წესი გარეშე თვისის ზოგადის და ყველგან აღიარებულის ნაკლისა, შეიცავს ისეთს კერძო ნაკლთა, რომელნიც ჩვენს ცხოვრებას ვერ შეუთვისებია. როგორც დამცველებმა აღიარებულის სისტემისა, ისე მოწინააღმდეგეებმა უნდა საფუძვლიანად გამოიკვლიონ ის ნაკლნი, რომელთა გამოც კლასიკური სისტემა ასე თუ ისე არ შეეფერშეეწონება ჩვენს ვითარებას, და მხოლოდ შემდეგ ამ კვლევისა და ძიებისა შესაძლოა დავსდოთ სამართლიანი მსჯავრი, ვსთქვათ, საბუთიანი ან „ჰო“, ან „არა“. განგებ ვამბობთ: „ჩვენს ვითარებასაო“, რადგან, თუ საკამათო საგანს ზოგადი ხასიათი მივეცით, თუ ვსთქვით, რომ ჯერ გადავწყვიტოთ: კლასიკური სისტემა სწავლისა საზოგადოდ, განცალკევებით, განყენებულად წარმოდგენილი, სასარგებლოა თუ მავნებელი, მაშინ საკითხავს ადვილად ველარ გადავწყვეტთ,

ვინაიდგან იგი ჯერ ევროპაში და რუსეთში ვერ გადაწყვეტილა. თუმცაკი უნდა ვსთქვათ, რომ კლასიკურ სისტემის მოწინააღმდეგეთა შორის ირიცხებიან ისეთი მსოფლიო და ძლევამოსილნი პედაგოგნი, როგორც ბენი, სპენსერი, კარპენტერი, ალექსი, ბურგერშტეინი[1] და სხვები.

ყოველმა ახალმა მოსარჩლემ ძველის სისტემისამ უნდა ჯერ გაარჩიოს მოკამათის საბუთები, დაარღვიოს და თვითონაც ახალი რამ სთქვას სასარგებლოდ თავისის საყვარელის და სანუკარის სისტემისა.

ჩვენ გვეგონა, რომ სწორედ ასეც მოიქცეოდა პატივცემული რედაქცია ჩვენის ახალის საკვირაო გაზეთისა „კვალი", უკეთუ კეთილინებებდა ამ სამძიმო საკითხავის შეხებას.[2]

სამწუხაროდ, ახალი გაზეთი ნაცვლად კვლევისა და ძიებისა, ნაცვლად საგნის ყოველმხრივ გასინჯვისა და პირუთვნელის მსჯავრის დადებისა, გამოსთქვამს ლირიკულის კილოთი:

> „რაღაც უკულმართი ბედი აქვს ყოველს ჩვენგან დაწყებულს საქმეს. ვივიწყებთ, რასაც კეთილი ნაყოფი მოაქვს (კიდეც ეს მიგვაჩნია საეჭვოდ) და გვაგონდება მხოლოდ ის ხარჯი და შრომა (მაშ ეს მოსაგონი არ არის?), რასაც მას ვანდომებთ. გვავიწყდება, რომ რაკი საქმე რამ დავიწყეთ და ჯეროვან შედეგსაც ვხედავთ (სამწუხაროდ, ყველანი ვერა ვხედავთ!), ამ საქმეს ხელის შეშლა და დაბრკოლება კი არ უნდა, ხელის გამართვა, წაქეზება ეჭირება. ამ საერთო სენმა (ართანაგრძნობა კლასიკურის სისტემისა თურმე სენი ყოფილა!), რომელიც თითქო ძვალრბილში გვაქვს გამჯდარი, უფრო თავი იჩინა სათავადაზნაურო სკოლების შესახებ. მაშინ, როდესაც ამ სკოლებმა ფესვი გაიდგეს და მათგან მოტანილს სარგებლობას აშკარად ვხედავთ (ყველანი არა ჰხედავენ: საქმე სწორედ ამაშია

---

[1] იხ. Вирениус, "Переутомление у учащихся в средних учебных зав. Германии".

[2] იხ. „კვალის" მეორე №-ში წერილი: „სწავლის საქმე ჩვენში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

> და დამტკიცებაც სწორედ ამას ეჭირვება), როცა მათ მეგობრულად ხელის შეყწობა, გულახდილად /!/ ნაკლის ჩვენება უნდათ, ამ დროს წელიწადი არ გავა, რომ თვით სკოლების არსებობაზედ ლაპარაკი არ ჩამოვარდეს და ლაპარაკი არა მარტო შინაობაში, არამედ საჯაროდ (დასამალი აქ რა გვაქვს?!) კომისიებში, საზოგადო კრებებში".

ასეთი სუსტია, რომ არა ვსთქვად მომატებული, „კვალის" არგუმენტაცია იმათ წინაალმდეგ ვინც კლასიკურს სისტემას გუნდრუკს არ უკმევს. საკვირველი და გაუგებარი აქ ისიც არის, რომ პატივცემული ავტორი ზემომოყვანილის სიტყვებისა თავისის აზრის მოწინაალმდეგეთ „გულაუხდელობასა" და მტრობასაც სწამებს. ვინც მომხრეა კლასიკურის სისტემისა, ის მართალიც არის, გულახდილიც და მოკეთეც ჩვენის ერისა, ვინც არა და — იგი მუხანათია, „გულაუხდელია", „მტერიაო"! საკვირველი ლოლიკაა! არა ნაკლებ სუსტობს „კვალი", როდესაც ესარჩლება მიღებულს სისტემას:

> „კლასიკური სისტემა ირჩიეს ჯერ იმიტომაო, რომ კლასიკური გიმნაზიები გზას უხსნიან თავის მოწაფეებს უნივერსიტეტებისაკენ და მეორედ კიდევ იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასიკური გიმნაზიების რიცხვი ბევრად მეტობს სხვაგვარ შუათანა სასწავლებლების რიცხვს და ამიტომ ვაკანსიებიც ამ გიმნაზიებში მეტია, ვიდრე სხვა სასწავლებლებში".

ჩვენ აქ დასკვნასა და საბუთს შორის დიდს წინაალმდეგობას ვხედავთ. რაკი კლასიკური გიმნაზიები ჩვენში ბევრია და ვაკანსიებიც ბლომა... ამიტომ ჩვენც ისეთი სკოლა კი არ გვინდოდა რაგვარიც უკვე ბევრია, არამედ ისეთი, როგორიც სრულიად არ არსებობს. ეს ერთი, მეორე, ყოველის სკოლის არსებობას უნდა ამართლებდეს მოთხოვნილებანი ერისა, სხვა უკეთესი და საპატიო საბუთები, და არა მიხედულობა, წაბაძულობა: ჩვენში გიმნაზიები ბევრია, ჩვენც გიმნაზია დავაარსოთო.

ამითი თავდება სარჩიელიც და წინაალმდეგობაც „კვალისა“ შესახებ საკამათო საგნისა. კარგაც მოიქცა გაზეთი, რომ სიტყვა ასე მოკლედ მოსჭრა, თორემ ყოველი მეტი სიტყვა, ყოველი ახალი საბუთი მისი ახალი შეცდომა იქნებოდა, და ნაცვლად გამორკვევისა, „ნისლითა და ბურუსით“ შეჰმოსავდა საგანს ბაასისას. ეს იმიტომ მოხდებოდა, რომ, ჩვენის აზრით, თვით დედააზრი, რომლის დასაბუთებასაც შეადგენს თვით წერილი: „სწავლის საქმე ჩვენში“ შემცდარია.

აი ეს დედააზრიც „კვალის“ მსჯელობისა:

> „ხალხი ხედავს, რომ არსობითს ბრძოლაში ბურთს ის გაიტანს, ვინც სწავლით შეჭურვილია და თითონაც ცდილობს ამ დაუჩლუნგებელ და გაუტეხელ იარაღით აღიჭურვოს!“

წარმოიდგინეთ ქართველი, ჩინურის ენის ცოდნით აღჭურვილი განა გაიტანს ის ჩვენში „ბურთს არსობითს ბრძოლაში?“

არა, ცოდნა მრავალნაირია და საქმეც სწორედ ამაშია. განსხვავებაც შეხედულობაში ჩვენს სათავადაზნაურო სკოლებზედ აქ ჰპოულობს ალაგს და საბუთს. ბურთს ის კი არ გაიტანს არსობითს ბრძოლაში, ვინც სწავლით არის შეჭურვილი, არამედ ის, ვინც დროისა და ჟამის შესაფერ სწავლა-ცოდნით შეიარაღდება, ვისი სწავლა-ცოდნაც ეშესაბამება თავის ეროვნულს თავისებურობას, სამშობლოს ვითარებას. არსებობისათვის ბრძოლა დღეს ჩვენში ძლიერ გამწვავდება. ათასის ჯურის უცხო ხალხი შემოესია ჩვენს ქვეყანას და ლამის წაგვლეკოს და აღგვგაოს სამშობლო მიწა-წყლითგან. ამიტომ, მართლაც, სწავლით შეიარაღება გვიჭირს. ხოლო როგორის სწავლით?

ქართველობის ძალა ძველისძველ დროიდამ მიწის შემუშავება, მეურნეობაა. ჩვენი ძალა იმთავითვე სოფელი იყო, და დღესაც გარემოება იოტის ტოლადაც არ შეცვლილა. ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უმისოდ ჩვენი თავი ვერც კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა, ამ მიკერებამ მიწაზედ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, შეჰქმნა თვით ჩვენი ისტორიაც. რა არის ჩვენი წარსული თუ არ გაბმული, შეუწყვეტელი ბრძოლა მიწა-წყალის დასაცველად, იმ

იარაღის შესარჩენად, რომლითაც ქართველს შეეძლო არსობითის ბრძოლიდამ ბურთის გატანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს რიღათი აიწონება ჩვენის ქვეყნის ავკარგიანობა, თუ არა მეურნეობით. ვინ შეადგენს ძალას, ღონეს და თავმოწონებას ქართველობისას, თუ არ ჯგუფი, კრებული თავისუფლად მეურნეთა? რა სიგელი უნდა წარუდგინოთ მომავალს, ჩვენის არსებობის დასაცველად, თუ არ მეურნეობა?

აი ეს, დღეს ყველასაგან მივიწყებული, ლათინურსა და ბერძნულ ენებში გაცვლილი მეურნეობა არის ის ჩვენი ეროვნული თავისებურობა, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ. ჩვენი სწავლა და ცოდნა აი აქეთ უნდა მიისწრაფოდეს.

დღეს კი, სამწუხაროდ, წინააღმდეგს ვხედავთ. ჩვენ ზურგი ვუჩვენეთ ჩვენს განძს, გავცვალეთ ჩვენი ეროვნული საქმე კანცელარიებზედ და „ჩინოვნიკობაზედ".

ასეთი უარყოფა ეროვნულის თავისებურობისა არავის ჩაუვლის დაუსჯელად. ვისჯებით ჩვენც. ჩვენი მიწა-წყალი საშინელის სისწრაფით გადადის უცხოთა ხელში. ისჯება რუსეთიც. საშინელი სიმშილი, რომელიც მოედო უფროს ერთს ნაწილს რუსეთისას, სხვა არაფრის შედეგია, გარდა მეურნეობის ინტერესების უარყოფისა და სწავლა-განათლებაში კლასიკურის სისტემის გამეფებისა. რუსეთის ნიადაგს გამოელია ძალა, ფიტი. ძველებური, მამა-პაპური წესი მიწის მუშაობისა აღარ ვარგობს, საჭიროა ახალის, ევროპიულის ხერხით მუშაობა, საჭიროა განოყივრება მიწისა, საჭიროა მაშინები. ერთის სიტყვით, საჭიროა სამეურნეო ცოდნა, და იგი კი არ გახლავთ. არა თუ სამეურნეო, სოფლად არავითარი ცოდნა არ მოიძებნება, სოფელი ინახავს სკოლებს, იხდის ამისთვის ხარჯს და სწავლის ნაყოფით კი ვერა სარგებლობს. ნასწავლი კაცი გაურბის სოფელს, იქ საიმისო საქმე არც იპოვება. ქალაქების სხვადასხვა კანცელარიები სავსებით სავსეა განათლებულის ყმაწვილკაცობით და სოფლად კი ცრუმორწმუნეობა და უვიცობა ერთმანეთს ეჯიბრება.

შედეგი ასეთის გარემოებისა, როგორიც მოგახსენეთ, ასეთია: უძლურდება სოფელი, ეცემა მეურნეობა,

ამას მოსდევს სიმშილი, სიღატაკე. ტაბარუკობა და სხვა ათასი უბედურობა.

ასეთს არასანატრელ გარემოებას ჰქმნის რუსეთშიაც და ჩვენშიაც თითქმის სრული უარყოფა სამეურნეო სასწავლებლებისა /ან რა ანგარიშში მოსატანია ხუთი და ათი ასეთი სასწავლებელი 100 მილლიონიან რუსეთში/ და გამეფება კლასიკურის სისტემისა სკოლებში.

ასეთმა სისტემამ თუ ცალკე სოფელი დააძაბუნა და დაასუსტა, მეორეს მრხივ შეჰქმნა დიდი ჯგუფი უსაქმო ხალხისა, განათლებულთა პროლეტარიატი — ნასწავლი ტაბარუკები — მოვლენა ფრიად და ფრიად სავალალო და სავაგლახო.

ამას შემდეგ ჩვენ გვარწმუნებენ, რომ დიდი სარგებლობა მოაქვს გიმნაზიებსა, და ჩვენც ასეთი სკოლები გვინდა.

არა, საუკეთესო რუსთაც დიდი ხანია პირი უბრუნეს გიმნაზიებს და ეტრფიან რეალურს სწავლას საზოგადოდ და სამეურნეო სამრეწველოს — კერძოდ. კლასიკურის გიმნაზიების ერთადერთი გამართლება მხოლოდ ტრადიციაა. დაარსდა ერთიდაერთი და არსებობს. ისიც შესაძლოა სახეში მივიღოთ, რომ მთავრობას უჭირს ასეთი სკოლები. იქ იმზადებს თავისთვის მოხელეებს, „ჩინოვნიკებს". ჩვენა? ჩვენ კიდევ ვშველით მთავრობას ამ საქმეში, თუ რა გვემართება?

წარმოვიდგინოთ მცირედ ჟამს, რომ ერთს დღეს მთლად ქართველობამ მიიღო კლასიკური სწავლა, დაასრულა გიმნაზია და უნივერსიტეტი. სულ უკანასკნელი მოხისელი გლეხიც კი ათავებს კურსს პეტერბურგის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ. ასეთი წარმოდგენა შეუძლებელია, მაგრამ იდეალი კი უნდა იყოს გიმნაზიების მომხრეთა საზოგადოდ და „კვალისა" კერძოდ. რა საზარელ სურათს დავინახავდით! ორი მილლიონი ქართველობა მიაწყდებოდა კანცელარიებს: წყალობა გვიყავით, ბატონო, მშიერი ვკვდებით, ერთი ხუთმანათიანი ადგილი გვიბოძეთო.

ახლა წარმოვიდგინოთ მეორე შემთხვევა.

არც ერთი გიმნაზია არა გვაქვს. გვაქვს რეალური სასწავლებლები, სამეურნეო, სატეხნიკო და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაწყდა ქართველობა ამ სკოლებს და უსწავლელი არავინ გადარჩა /ჩვენი იდეალი/. სურათი ძირეულად შეიცვლება. დავუბრუნდებით მამულს, შევიმუშავებთ, ავაყვავებთ, გავმართავთ ფაბრიკებს, ზავოდებს, და ვაკეთებთ მაშინებს. ყველას თავისუფალი შრომა გვექნება. იქნება მოხელე კი არც ერთი არა გვყვანდეს. იქნება გვეხვეწებოდნენ კიდეც და ჩვენ არა ვსურვობ-დეთ.

რასაკვირველია, ვინც ერის პროგრესს სტატსკი სოვეტნიკების რიცხვით ჰზომავს, იმას მეორე სურათი არ დააკმაყოფილებს, ის ერთს გიმნაზიას არ დასთმობს ათასის სამეურნეო სკოლისათვის, ასეთებიც არიან ქვეყანაზედ. მოიგონეთ თუნდა „ოტსტავნოი ოფიცერი" ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდამ".

სწავლასა და განათლებას ჩვენ უნდა ვუცქეროდეთ არა როგორც საგანს მისწრაფებისას მხოლოდ, არამედ როგორც საშუალებას, ღონისძიებას, რომლის მეოხებით უნდა იმატოს ჩვენმა კეთილდღეობამ, ჩვენმა ბედნიერე-ბამ. ასე უყურებს სწავლას ყოველი ქართველი. ამ სახით რომ შევხედოთ კლასიკურს განათლებას სა-ზოგადოდ და ჩვენს სათავადაზნაურო სკოლებს კერ-ძოდ, ვერ დავკმაყოფილდებით, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენის ღარიბის ჯიბიდამ მოკლებულს ფულს ამ სკოლების შესანახად მოჰქონდეს სრული სარგებლობა იმ ზომით, რა ზომითაც ჩვენთვის სასურველია.

ამიტომ რად უნდა უკვირდეს ვისმე, რომ ჩვენ ვბჭობთ სათავადაზნაურო სკოლების ბედზედ, რომ ყოველ წელს ჩამოვაგდებთ ხოლმე ლაპარაკს თვით მათს არსებობის შესახებაც კი. მაგალითებრ, პირადად ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერს, ყოველი გროში სათავადაზნაურო სკოლებზედ დახარჯული, დაკარგული და წყალში გადაგდებული გვგონია. ამ აზრს არ შევცვლით, ვიდრე თვით ეს სკოლები არ შეიცვლება, ვიდრე იგი სკოლები არ იქმნება დამაკმაყოფილებელი ჩვენის ერის არსებითის საჭიროებისა. „კვალი" ამას ძუნწობას ეძახის, ჩვენ კი გვგონია, რომ ეს არის მოფიქრებული სიფრთხილე, ძუნწობად არ ჩაითვლება ეს თუნდა მხოლოდ იმიტომ, რომ მოწინააღმდეგენი სათავადაზნაურო სკოლებისა მათს დაკეტვას და გაუ-

ქმებას კი არ ნატრულობენ, არამედ მათის პროგრამის შეცვლას, მათს გადაკეთებას ისეთს სკოლებად, რომ-ლებსაც ხარჯი, იქნება, მეტიც მოუნდეთ, მაშასადამე, აქ რა ხელი აქვს ძუნწობას!

სიძუნწისა კი რა მოგახსენოთ და, რომ დიდი და მიუტევებელი ბედოვლათობაა ფლანგვა იმ ფულისა, რომელსაც დღეს სათავადაზნაურო სკოლებს ვახ-მარებთ, ეს კი ცხადია. მერე განა ცოტას ვხარჯავთ? ან წარმოგიდგენიათ, რა გვიჯდება თითო საგიმნაზიოდ მომზადებული ბავშვი?

ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის ანგარიშებიდ-ამა სჩანს, რომ ექვსის წლის განმავლობაში აქედამ გიმნაზიაში გადასულა სულ 56 მოწაფე. ამავე დროს ორთაშუა რიცხვით სკოლაზე დაგვიხარჯავს, — იცით რამდენი? — 150.000 მანათი. აქ ჩვენ სულ ცოტას ვანგარიშობთ წელიწადში 25.000 მანათს. თუმცა 1891 წელს დახარჯულა 30.106 მან. 42 კაპ. 1890/1 წელს 28.442 მან. 67 კაპეიკი. თითო გიმნაზიელი გვიჯდება, მაშასადამე, უმეტეს 2.678 მანათისა. ის კი არ იფიქროთ, ვითომ ამ ხარჯით ბავშვი ათავებს გიმნა-ზიას; არა, ის მხოლოდ შედის პირველს ან მეორე კლასში. დანარჩენი ყმაწვილები სადღა მიდიან? — საი-თაც ღმერთი გზას უჩვენებს. მათს ბედს ჩვენ რას დავსდევთ, ჩვენთვის ეს საგიმნაზიო მოწაფენი იყვნენ საჭირო. აი, მაგალითად, 1891 წლის ანგარიში გვეუბ-ნება, რომ ამ წელს სასწავლებელს 15 მოწაფემ დაანება თავი. 4 გიმნაზიაში გადავიდა /ამათთვის საან-გარიშო წელს დაგვიხარჯავს 30.106 მანათი და 42 კაპ./, 2 საქალაქო სასწავლებელში, 1 სახელოსნოში, 1 სამეურნეოში, 1 საცხენისის სკოლაში, 1 რკინისგზის სკოლაში, 1 სამრევლოში /?!/. წარმოიდგინეთ, სამ-რევლო სკოლებსაც კი ვუმზადებთ მოწაფეს.

რასაკვირველია, აქ ჩამოთვლილი პირველდასაწყისი სკოლები სახეში მისაღები არ არის. იქ ქართველობა ისეც ბევრია და არც ეგზამენია გაძნელებული. აი ამი-ტომ ჩვენ სათავადაზნაურო სკოლის სარგებლობას ვზომავთ გიმნაზიაში გადასულთა რიცხვით. ასეც უნდა იყოს, რადგან თვით მოსარჩლენიც სწორედ ამ საგანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმნაზიას ესარჩლებიან, იგი უხსნის კარს უმაღლესის სწავლისას და არა სამრევლო სკოლა.

აი, ბატონებო, ამოდენა ფულსა ვხარჯავთ ოთხისა და ხუთის მოწაფის საგიმნაზიოდ მოსამზადებლად. განა ეს წინდახედული ხარჯვაა, განა ეს უთავბოლო ფლანგვა არ არის? მერე გვაქვს გასაფლანგი ფული?

მერე, თვით საგანი რომ ყველას მიერ შეწყნარებული და მოწონებული იყოს, კიდევ სხვა საქმე იქმნებოდა. აკი მოგახსენეთ, რომ თვით საგანი ჯერ საეჭვოა: სასურველია ჩვენთვის კლასიკური სისტემა აღზრდისა და სწავლისა, თუ არა.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<პოლიტიკური ვითარება ევროპაში>

ტფილისი, 9 თებერვალი

ამას წინად მემკვიდრე ცესარევიჩი ეწვია გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს ბერლინში. დიდის ყოფით და დიდის პატივისცემით დახვდა გერმანიის დედაქალაქი და თვითონ გერმანიის იმპერატორიცა თავისის სახლობით მის იმპერატორებითს უმაღლესობას. იმპერატორმა ვილჰელმმა დიდი გულთბილი და გულტკბილი სიტყვა წარმოსთქვა მემკვიდრე ცესარევიჩის წინაშე რუსეთის იმპერატორის და თვით რუსეთის მიმართ. ამ სიტყვას შესაფერი ყურადღება მიაქციეს ევროპაში და დაასკვნეს კიდეც, რომ იგი სიტყვა ნიშანიაო რუსეთთან დაახლოების სურვილისა. თ. ბისმარკმა ძალიან მოუწონა თავის იმპერატორს ასეთი სურვილი და თავის გაზეთის პირით გამოაცხადა, რომ მარტო რუსეთთან მეგობრობა უშველის გერმანიას, ეხლანდელი თავისი მდგომარეობა ევროპის შუაგულში მტკიცედ და უშიშარად კვლავაც ეკავოსო.

იმპერატორის ვილჰელმის სამეგობროდ თქმულს სიტყვას ის ხმებიც ზედ დაერთო, რომ საალებმიცემო ხელშეკრულობა გერმანიასა და რუსეთ შუა თავდება და დღე-დღეზედ ხელმოწერილიც იქნება ორთავე მხარის სასიამოვნოდაო. რა მნიშვნელობა აქვს ამ ხელის მოწერას და საქმის გათავებას, ეს ცოტაოდნად იქიდამაც შეიტყობა, რომ აი რამდენიმე წელიწადია ამ ორთა სახელმწიფოს ერთმანეთთან ამ საგანზე ლაპარაკი აქვთ და ერთმანეთში ვერა ჰრიგდებოდნენ ცალკე იმ მიზეზით, რომ ურთიერთზე გულაყრილნი

იყვნენ შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა. ეხლა რაკი ხმა დადის, რომ მათ შორის ეს საალებმიცემო ხელშეკრულობა სისრულეში მოდისო, აქედამ გამოჰყავთ, ვითომც გულაყრილობამ თავისი ადგილი გამეგობრობას დაუთმოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ უნდა ეჭაშნიკებოდეს საფრანგეთსა, რომელმაც გული მოიცა და თითქმის თავისი კუთვნილი ადგილიც დაიჭირა ევროპაში სხვათა შორის იმითაც, რომ რუსეთმა მისკენ აშკარად და საქვეყნოდ გადაიწია. განა რა, საფრანგეთს მტრები ეხლა ნიშნს უგებენ, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა პაჭიჭს წვერი შემოარღვიაო, რადგანაც მისი რუსეთთან დაახლოვება საფრანგეთისაგან განშორებას მოასწავებსო. ამავე დროს ინგლისმაც, ცოტა არ იყოს, კლანჭი გამოჰკრა საფრანგეთსა და ეგვიპტეში სრული გაბატონება მოინდომა. ეგვიპტე და ერთობ ხმელთაშუა ზღვისპირი საფრანგეთისათვის დიდი რამ არის. აქ მისი მოცილენი — ინგლისი და იტალია — ბევრს სცდილობენ, რომ რიყეზედ დასვან საფრანგეთი და აქაურობაზე ხელი დააბანინონ. ინგლისმა, რაკი დაინახა, რომ საფრანგეთს შინ იმისთანა სატკივარი აუჩნდა, როგორც პანამის საქმე, რომელიც ჭლამის იქაური მთავრობა ძირიდამ თხემამდე შეარყიოს, დრო იხელთა და დიდის ხნის წყურვილს ეგვიპტეში გაბატონებისას გზა გაუხსნა.

ეჭვი არ არის რომ ეგრედწოდებულმა „სამთა კავშირმა“ აქ ინგლისს საიდუმლოდ მხარი მისცა და წააქეზა, თუ ეხლა, თორემ სხვა დროს ვინ იცის საფრანგეთი გზას როგორ გადაგიჭრისო. მართალიც არის. წაქეზებულმა ინგლისმა ეგვიპტეში ეხლა ის მოახდინა, რასაც სხვა დროს საფრანგეთი არ აქმნევინებდა, რომ შინაურ საქმეებში არა ჰქონდეს თავი გაბმული. ეხლა მარტო ულონო სამდურავი შეუთვალა ინგლისს და ამითი ჰნუგეშობს ჯერ ხანად მაინცა.

თუ გერმანიამ მართლა გაიმეგობრა რუსეთი და ამასთან ეგვიპტის გამო ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს გადაჰკიდა, მაშინ არა გვგონია, არ გამტყუნდეს დიპლომატების დღევანდელი ძახილი, რომ ევროპაში შვიდობიანობის სული ჰტრიალებსო. გერმანიას, რო-

მელიც განმარტოებულ საფრანგეთისაგან ბევრს არა ჰშიშობს, სხვა არა დარჩენიარა ან მთელი სახელმწიფო თავისი დიდ კაზარმად გადააქციოს და დიდიდამ პატარამდე მთელი ხალხი თოფქვეშ იყოლიოს, ან საფრანგეთს მთელის ევროპიის ძალდატანებით თოფიარაღი დააყრევინოს, ან არა და ცალკე საფრანგეთს ომი გამოუცხადოს და, რასაც ომის ბედი იტყვის, იმას დასჯერდეს.

ეხლანდელ გერმანიის პოლიტიკას კაცმა რომ თვალი ღრმად გაავლოს, ჰნახავს, რომ ერთსა და იმავე დროს თითქო ამ სამს გზას დასდგომია. მისი ეგრედწოდებული ახალი „სამხედრო კანონპროექტი", რომელმაც აღავღავა მთელი გერმანია და რომელსაც ეგრე ძლიერ ეურჩება პარლამენტი, ჰლამის ჯარისკაცთა გამრავლებას, მისი დიპლომატია სცდილობს რუსეთი და ინგლისი მიიმხროს, რომ ხუთმა დიდმა სახელმწიფომ, თუ მოხერხდა, ძალა დაატანოს საფრანგეთს, ჯარები შეიმცირე, რომ არავისათვის საშიში არ იყოვო, და ჩვენც შევიმცირებთო, და თუ ეს ვერ მოხერხდა, საფრანგეთს ინგლისი და რუსეთი ჩამოაცილოს და ამ სახით გაიცალკევოს საომრად.

დღევანდელის პოლიტიკის ქსელი ამ სახით არის გაბმული და, ვინ როგორ გაძვრება და გამოძვრება ამ ქსელში, დრო გამოაჩენს.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ისევ კახეთის რკინისგზის საკითხი>

ტფილისი, 13 თებერვალი

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ლაპარაკია ჩვენ ქართველთა შორის კახეთის რკინისგზის გამო. ამბობენ, არიან იმისთანანიცა, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ჰხმარობენ, რომ ამ საქმეზე თავადაზნაურობას გული ააყრევინონ და ხელი ააღებინონ. ამისათვის, ვინ იცის, ხან რა საფრთხუნალს იგონებენ თურმე, ხან რას, — აი დაილუპებით, აი მამულები დაგეყიდებათ, აი ეს მოგივათ, ის მოგივათ, თუ ამ საქმეს თქვენ მოჰკიდეთ ხელიო.

ამ ენით მითქმა-მოთქმას ზედ დაერთო კალმით მითქმა-მოთქმაცა. არც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა ყური მოუყრუეს ამ საქმეს და ხშირი საუბარი გამართეს. ზოგი უწონებს თავადაზნაურობას, რომ ძლივს თვალი გამოახილე და შენის ქვეყნისათვის საჭირო საქმეში თაოსნობა გამოიჩინე და გსურს შენი ქვეყნის საქმე შენვე ჩაიგდო ხელშიო. ზოგიც კი სასაცილოდ იგდებს თავადაზნაურობას, არა, ვინ შენ და ვინ ამისთანა საქმეო; შენ ამისათვის არც ჭკუა გაქვს, არც ცოდნა, არც ფული და რას ეჩრები არამკითხე მიამბესავითაო.

ღმერთმა მშვიდობა მისცეთ ყოველ ამათ. ჩვენ ამისთანა მითქმა-მოთქმას არ უნდა ავყვეთ, ჯერ იმიტომ, რომ უნდა ვიგულისხმოთ, რათა ყოველივე ის, მოწონებაა თუ ძაგება, ჭეშმარიტის გულისტკივილისაგან მოსდით მომწონთაც და თავადაზნაურთა სასაცილოდ ამგდებთაც; მერმე იმიტომ, რომ ბევრწილად შესანდობარია გულუბრყვილო არცოდნა საქმისა და

ჟინი ტყუილუბრალოდ ლაპარაკისა, თუ წერისა. ჩვენი დღევანდელი სურვილი მარტო ის არის, რომ, ჩვენის შეძლებისამებრ, მკითველს გავაგებინოთ, რა საგანი ექნება განსახილველად ეხლანდელ საგანგებო კრებას ბანკისას, გუბერნიის თავადაზნაურთა კრებისაგან გამოწვეული.

კარგა მოგეხსენებათ ყველას, რომ დიდი ხანია თავადაზნაურობა ტფილისის გუბერნიისა შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე, რომ კახეთში რკინისგზა გატარებულიყო. გუბერნიის მარშლის მეცადინეობით შარშან ეს შუამდგომლობა მთავრობისაგან პატივცემულ იქმნა და მთავრობამ საჭიროდ დაინახა კახეთში რკინისგზის გაყვანა. მთავრობამ აუწყა გუბერნიის მარშალს, რომ, თუ სხვათა შორის, თავადაზნაურობაც მოისურვებს ეს საქმე თითონ იკისროს, თითონ გაიყვანოს გზა და თითონ ისარგებლოს ამ გზის შემოსავლითა, თავის დროზე გვაცნობეთ თქვენი აზრი ამაზედა და ზედ დაურთეთ თქვენი პირობებიო, რა სახით და როგორ გინდათ ამ საქმის შესრულებაო.

ამ რკინისგზის საქმისათვის გუბერნიის თავადაზნაურობას ცალკე კომისია ჰყვანდა ამორჩეული, როცა ხსენებული უწყება მთავრობისაგან მოვიდა, გუბერნიის მარშალმა მოიწვია კომისია, აცნობა განაჩენი მთავრობისა და მოჰკითხა: აბა ეხლა რა გზას დავადგეთო. კომისიას ამასთანავე მოხსენდა მთელი ვითარება ამ საქმისა, ყოველივე ეუწყა, რაც კი გამოძიებული და გამორკვეული იყო ამ საქმის შესახებ და რამაც დაარწმუნა თითონ მთავრობა, რომ ეს გზა ფრიად საჭიროა და გამოსარჩენიც გამკეთებელისა და პატრონისათვის. კომისიაში გრძელი საუბარი გაიმართა, აქედამ სინჯეს ეს საქმე, იქიდამაც, და ბოლოს იმაზე დადგნენ, რომ თუ სასურველია დასაბუთებული, წინდახედული და მართებული პასუხი მივცეთ მთავრობას, ყოველთ უწინარეს საჭიროა ვიცოდეთ, რა ადგილებს უნდა მოვახვედროთ ეს გზა, რომ თუ სასურველია, რომ უფრო სასარგებლო იყოს ხალხისათვის. სად და როგორ უნდა გაიაროს გზამ, რა მანძილზე, და რა დაგვიჯდება, ვიდრე ეს და სხვა ამის მსგავსი ცნობები კარგად გამორკვეული და გამოძიებული არ გვექნება.

წინათ ვერ ვიტყვით, ვიკისროთ თუ არა ამ გზის საქმე ჩვენაო.

ამიტომაც კომისიამ დაადგინა, მიუხედავად იმისა, ჩვენ გავაკეთებთ ამ გზას თუ სხვა ვინმე, ჯერ ის გადავწყვიტოთ, საჭიროა თუ არა ხსენებული ცნობების შესაკრებად გამოძიება მოვახდინოთო. კომისიამ, შემდეგ დიდი ბაასისა, საჭიროდ დაინახა, ჯერ, მინამ გზის გაკეთების თაობაზე ვიტყოდეთ რასმე, უნდა გამოძიება მოვახდინოთო. ამ გამოძიებას, რასაკვირველია, ხარჯი უნდა. გამოირკვა, რომ ათას ხუთასი თუმანი საკმაო იქნება გამოძიებისათვის. კომისიამ დაადგინა, რომ ეს მისი გადაწყვეტილება საგუბერნიო თავადაზნაურთა საგანგებო კრებას მოხსენდეს, რათა ამ კრებამ იშუამდგომლოს ბანკის კრების წინაშე, რომ ეს ათას ხუთასი თუმანი ბანკმა გაიღოს.

საგუბერნიო კრებამ ეს განაჩენი კომისიისა შეიწყნარა და დაადგინა, ვთხოვოთ ზედამხედველ კომიტეტს მოიწვიოს საგანგებო კრება ბანკისა, რათა მან ნება დართოს ბანკს ეს ათას ხუთასი თუმანი ხსენებულ საქმისათვის გადადებულ იქმნას. ზედამხედველმა კომიტეტმა ამის შესახები ქაღალდი გუბერნიის მარშალისა გადასცა ბანკის გამგეობას, — თქვენ რას იტყვით ამ საგანზე, თქვენი აზრი გვაუწყეთო.

გამგეობას არ უნდა გასჭირებოდა პასუხის მიცემა, რადგანაც გუბერნიის მარშლის ქაღალდში მოკლედ და მკაფიოდ იყო დაყენებული საქმე: იგი აუწყებდა კომიტეტს, რომ გუბერნიის თავადაზნაურობა შუამდგომლობს, ათას ხუთასი თუმანი ბანკმა გაიღოს კახეთის რკინისგზის გამოძიებისათვის, და ამისათვის გთხოვთ მოიწვიოთ საგანგებო კრება ბანკისა, რათა მან ნება დართოს ბანკს ეს ათას ხუთასი თუმანი ხსენებულ საქმისათვის გადადებულ იქმნას. ზედამხედველმა კომიტეტმა ამის შესახები ქაღალდი გუბერნიის მარშალისა გადასცა ბანკის გამგეობას, — თქვენ რას იტყვით ამ საგანზე, თქვენი აზრი გვაუწყეთო.

გამგეობას არ უნდა გასჭირებოდა პასუხის მიცემა, რადგანაც გუბერნიის მარშლის ქაღალდში მოკლედ და მკაფიოდ იყო დაყენებული საქმე: იგი აუწყებდა კომიტეტს, რომ გუბერნიის თავადაზნაურობა შუამდგომლობს, ათას ხუთასი თუმანი ბანკმა გაიღოს კახეთის რკინისგზის გამოძიებისათვის, და ამისათვის გთხოვთ მოიწვიოთ საგანგებო კრება ბანკისა და ეს შუამდგომლობა წარუდგინოთ. აქედამ სჩანს, რომ საგანი ბ-ნ მარშლის ქაღალდისა ბანკის საგანგებო კრების მოწვევაა და ათას ხუთას თუმნის გაღება. რადგანაც ასევე მოკლედ იყო ქაღალდი თვით ზედამხედველ კომიტეტისაც გამგეობის მიმართ და არ იყო დასახელებული საკუთრივ, რა საგანზედ ითხოვდა კომიტეტი აზრს ბანკის გამგეობისას, ამ უკანასკნელმა მისწერა, რომ ჩვენ ამ საქმეში უსათუოდ ეს გვეკითხებაო: კანონი ნებას გვაძლევს ამნაირ საქმისათვის ფულის გაღებას და,

თუ ნებას გვაძლევს, გვაქვს ამისათვის ფული თუ არაო! მარტო ამ ორ საკითხავზე უპასუხა ბანკის გამგეობამ და შეუთვალა, კანონიც ნებას გვაძლევს და ფულიც მოსახერხებელია; სხვა რაც შეეხება თითონ გზის გამოძიებას, ამაზე ბანკის გამგეობა ვერას იტყვისო, რადგანაც არც გუბერნიის მარშალის ქაღალდში, არც ზედამხედველ კამიტეტისაში, ამ საგანზე სიტყვაც არ არის ჩამოგდებულიო.

ზედამხედველმა კამიტეტმა განაჩინა უარი ეთქვას გუბერნიის თავადაზნაურობას ათას ხუთას თუმანზეო და ეს ჩვენი აზრი ბ-ნ მარშლის შუამდგომლობასთან ერთად წარედგინოს საგანგებო კრებას ბანკისასაო, რომელიც კომიტეტმა მოიწვია 14 თებერვლისათვის.

ამ სახით დღეს საგანგებო კრებამ მარტო ეს უნდა განიხილოს: მიეცეს თუ არა ბანკიდამ ათას ხუთასი თუმანი, რათა გუბერნიის თავადაზნაურობამ რკინისგზის გასაყვანად კახეთში საჭირო გამოძიება მოახდინოს ამ ფულით, მიუხედავად იმისა, თითონ იკისრებს ამ გზის კეთებას, თუ სხვას ვისმე დაეთმობა. მაშასადამე, აქ არაფერი მოსატანია და ყოვლად უადგილოა წინასწარი მითქმა-მოთქმა, რომ გზას ვერ გააკეთებთ, არ შეგიძლიანთო და სხვა ამისთანა. ეგ გამოძიება თავისთავად საჭიროა და აუცილებლად საჭიროა მაშინაც კი, თუნდ რკინისგზა სხვას დარჩეს გასაყვანად და არა თავადაზნაურობასა.

საჭიროა, ჯერ იმიტომ, რომ მარტო ეს გამოძიება შეგვატყობინებს, რა გონებრივი და ქონებრივი ძალღონეა საჭირო, რომ თავადაზნაურობამ ეგ კახეთის რკინისგზა თითონ იკისროს გასაყვანად. მარტო ამ გამოძიების შემწეობით დავინახავთ სიმძიმეს საქმისასაც და იმასა თუ რა ღონე უნდა შეეწონოს ამ სიმძიმეს. უამისოდ ყოველი წინასწარი მითქმა-მოთქმამ რკინისგზის გაკეთების და მოგება-წაგების შესახებ სიზმარია უსაქმურ კაცისა, ისე, ენის მოსაფხანად გამოსაყენებელი, და სიბრძნეც თავადაზნაურობისა იმაში გამოჩნდა, რომ ეს საკითხი: იკისროს მაგ რკინისგზის გაყვანა თუ არა, — სამერმისოდ დააგდო და არა ეხლავ, გამოუძიებლად, გამოურკვევლად გადასწყვიტა ასე თუ ისე.

ეს ერთი. მეორე, ეგევე გამოძიება საბუთს მოგვცემს იმისას თუ რამოდენად გამოსაჩენი იქნება თავადაზნაურობისათვის, რომ ეგ რკინისგზა გააკეთოს და ამოქმედოს თავისით. ვინ იცის? იქნება ეგ გზა ერთ იმისთანა ულეველ წყაროდ ქონებისად შეექმნას თავადაზნაურობას, რომ მით თავის საკუთარს და ქვეყნის საზოგადო საჭიროებას ცოტად თუ ბევრად გაუძღვეს და ნუთუ საშვილიშვილოდ სანანური არ გაუხდება, რომ ამისთანა საქმისაგან ხელცარიელი დარჩეს? განა ქალაქელები ეხლა თავში არ იცემენ, ეს კონკა ხელიდამ როგორ გაუშვით და სხვას მიეცით საჭმელადაო. ტფილელებს რომ ჭკუა ეხმარათ და ამ კონკის საქმის გამოსაძიებლად წინათვე დაეხარჯათ რამე, დღეს თავში საცემად საქმე არ გაუხდებოდათ. რად უნდა მოვეკიდნეთ კახეთის რკინისგზის საქმეს ეგრე ბავშვურად, ეგრე უთავბოლოდ, რომ გამოუძიებლად ავიღოთ, გულზე ხელები დავიკრიფოთ და ვიძახოთ, რა ჩვენი საქმეაო. რაკი თითონ საქმემ ჩვენკენ მოიხედა, რაკი შესაძლოა ეგ საქმე ჩვენ ხელთ ვიგდოთ, ნუთუ სასახელო იქნება ათას ხუთას თუმნის გულისათვის კარზე მომდგარი ბედი უკან გავაბრუნოთ და საშვილიშვილოდ საწყევარად გავიხადოთ თავი? აკი მოგახსენებთ, ეგ იმისთანა საქმეა, რომ შესაძლოა მაგ საქმიდამ ჩვენს სილარიბეს წამალი დაედოს, და ნუთუ ეს შესაძლოობა გამოუძიებლად, უსაბუთოდ, უნდა უარვყოთ?

გვეტყვიან: ეგ ძალიან კარგი. თუ გამოძიებამ დაგვანახვა, რომ ღონითაც შევწვდებით მაგ საქმეს და გამორჩენაც გვექნება, მაშინ ეგ ათას ხუთასი თუმანი დაკარგული არ იქნება; ხოლო მაშინ რაღას იტყვით, თუ გამოძიება გამოარკვევს, რომ ვერც გზის კეთებას შევწვდებით და ვერც გამორჩენის იმედს ვიქონიებთ, მაშინ ხომ ეგ ფული წყალში გადაყრილი იქნებაო?

რას იტყვის გამოძიება, რა მხრივ დაგვანახებს საქმეს, — ჩვენ ამაზე წინადვე ვერას ვიტყვით. ვთქვათ, კიდეც რომ რკინისგზა ჩვენვე ვიკისრეთ, — მაშინაც, ჩვენის ფიქრით, ეგ ფული დაკარგული არ არის. რაც გინდა იყოს გამოძიება ხელთ მოგვცემს საკმაოდ სარწმუნო საბუთს ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ გზა მოახვედრონ იმ ადგილებს, რომელნიც ჩვენთ-

ვის სასურველია და ქვეყნისათვის უფრო მომეტებულად სახეირო. იმედია, — სხვას ჩაუვარდება ეგ გზა ხელში თუ ჩვენ შეგვრჩება, — მთავრობა მაგ დასაბუთებულ შუამდგომლობას უყურადღებოდ არ დასტოვებს. სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, განა ეს დიდი საქმე არ იქნება მარტო თავისთავად? მაგ ათას ხუთას თუმნით, რომ თუნდ მარტო ეგ სურვილი ავისრულოდ, გზას ქვეყნისათვის სახეირო მიმართულება მივცეთ, ნუთუ ამისათვის დახარჯული ფული დაკარგვაა ფულისა?

ჯერ მარტო ეს რომ მივიღოთ სახეში, მარტო ამ მხრით რომ შევხედოთ თავადაზნაურობის მეცადინეობას, ეგეც საკმაო ზნეობრივი საბუთია, რომ თავადაზნაურობამ ეგ ფული შესწიროს ქვეყანასა და ხალხსა. განა ამით თავადაზნაურობა თავის პატიოსან დანიშნულებას არ აასრულებს ქვეყნის წინაშე? ნუთუ თავადაზნაურობას ჰგონია, რომ ქვეყნისა და ხალხისათვის გაწირვა რისამე და ამით ხალხის გულის მოგება, ხალხში კეთილად ხსენება, ხალხში აბრუს გაძლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? ყოველივე ეს დიდი ღონეა, რომლის მეოხებითაც თავადაზნაურობა თავის არსებობის მიზეზსაც ნათლად დაანახვებს ხალხს და თავის ბედნიერების შემძლებლობის ბურჯსაც მკვიდრად აააგებს. ეს ისეთი ფასდაუდებელი განძია, რომ მის მოსაპოებლად ათას ხუთასი თუმანი კი არა, არაფერი არ უნდა დაზოგოს თავადაზნაურობამ, რომელმაც სულ ყოველთვის გულში უნდა იქონიოს, რომ მარტო ამ გზით და სხვა არაფრით არ შეუძლიან გაუძლოს ამ წუთისოფლის ბედის ტრიალსა და მრავალგვარ საჭირბოროტოდ ზედმოსევასა.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<სამეურნეო მცენარეთა დაზღვევა>

ტფილისი, 1 მარტი

ამას წინად მოვიხსენიეთ, რომ სამეურნეო მცენარეთა დაზღვევას სეტყვისაგან უმთავრეს აზრად აქვს, უზრუნოს მეურნეს შუათანა შემოსავალი და დაეხმაროს უცბად დაზარალებულსა და დალუპულს. გამოჩენილი გერმანელი ეკონომისტი როშერი ამბობს, რომ „საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობათა“ აზრი, რომელნიც თანასწორად ანაწილებენ თავის წევრთა შორის თითოეულისათვის ძნელად ასატანს ზარალს, ძველისძველი აზრია. დაზარალებულ წევრთა დახმარება აძლევდა დიდს ძალას საშუალო საუკუნეთა თემებსა, კორპორაციებსა და ამქრებს. იმ დროს მიღებული იყო საურთიერთობო დაზღვევა, ესე იგი იმგვარი დახმარება მეზობლისა ანუ თემის წევრისა, რომელის ძალითაც თითოეულს წევრს თემისა და კორპორაციისას ნება ჰქონდა მიეღო სათემო ხაზინიდგან იმდენი, რამდენიც იმას ზარალს აღუდგენდა. ამ ძველებურს დაზღვევას საფუძვლად მხოლოდ ჩვეულება ჰქონდა და არც წესდება იყო სადმე და არც გამგეობა, საკუთრად ამ საქმისათვის განწესებული. მაგრამ თემობა გადავარდა, მათი უფლება საერთო ცხოვრებაში მთავრობამ ჩაიგდო ხელთა. 1609 წელს, ბეკმანის მოწმობით, პირველად ოლდენბურგის მთავრობამ მოინდომა შემოღება სახელმწიფო წესით სხვადასხვაგვარის დაზღვევისა. მაგრამ უფრო ამაზედ ადრე დაზღვევა საზოგადოდ შემოღებულ იქმნა ზღვაზე მოსალოდნელ უბედურებისაგან. პირველად ამგვარი დაზღვევა შემოღებულ იქმნა კერძო ამხანაგობათა მიერ XIV საუკუნეში. საშუალო საუკუნეებ-

შივე გავრცელდა საქონლის დაზღვევა. სამეურნეო მცენარეთა დაზღვევა სულ ყველაზე გვიან იქმნა შემოღებული. შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ მეურნე ფრთხილად მისდევს დროთა ცვლილებას, მის ხელში ნელ-ნელა იკრებს თავს სიმდიდრე, ყაირათისა და თაოსნობის უნარი გვიან ვრცელდება მათ შორის.

სწავლა-განათლება და გონების განვითარება სოფლად უფრო ნელის ნაბიჯით სწარმოებს, უმეცრებას უფრო მაგრად აქვს ფეხი მოკიდებული გლეხთა შორის და სწორედ ამ უმეცრების გამო სოფლის მკვიდრმა საკმაო მსხვერპლი გასწირა სამეურნეო მცენარეთა დაზღვევის საქმეში, ვიდრე ეს საქმე შემდეგ რიგიანად მოეწყობოდა. საშუალო საუკუნეებში ათასნი მატყუარანი არწმუნებდნენ მდაბიო და მიამიტ ხალხს, რომ ჩვენ შევულოცავთ თქვენს ნათესებსა და აღარ დაგესეტყვებათო, როცა შელოცვილ ნათესის მოსავალს ჩაიკალათებდნენ, მაშინ იმის რაოდენსამე ნაწილს ამისთანა მატყუარებს აძლევდნენ ხოლმე. აი ამ სახით იქნა შემოღებული წინა — პირველად სამეურნეო მცენარეთა დაზღვევა.

ხოლო რიგიანად ეს საქმე მოეწყო წარსულ საუკუნის მიწურულებში, ჯერ საფრანგეთსა და შოტლანდიაში და შემდეგ გერმანიაში, სადაც 1797 წელს ახალ ბრაუნშვეიგს იქმნა დაარსებული „მეკლენბურგის საზოგადოება სამეურნეო მცენარეთა დაზღვევისა", რომელიც ახლაც არსებობს. საჭიროა მოვიხსენიოთ ისიც, რომ რამდენიმე ამგვარი საზოგადოება ცოტა ამაზე ადრეც დაარსებულია, მაგრამ იმათ თავი ვერ დაიჭირეს. სამეურნეო მცენარეთა დაზღვევის გავრცელებას ხელს უშლის უფრო ის გარემოება, რომ შეუძლებელია წინადვე მოისაზროს კაცმა, თუ რაოდენს ზარალს მისცემს სეტყვა ახალ მოსავლის დროს. სეტყვის მოსვლას სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს კაცთა საზოგადო ყოფაცხოვრების წესწყობილებასთან. კაცს არ შეუძლიან თავისის ნებით ვერც მოიყვანოს სეტყვა და ვერც შეამციროს მისგან მოტანილი ზარალი. ხოლო რაც შეეხება იმგვარ გარემოებას, რომელიც კაცთა საზოგადოებაში იჩენს თავს, სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ ყოველ ამგვარ გარემოებათა მეტნაკლებობას

თავისი შეურყეველი კანონი აქვს, ყოველ წელიწადს თითქმის ერთიდაიგივე რიცხვი იბადება და იხოცება, ცეცხლის ზარალი ყოველ წლივ თითქმის ერთსა და იმავე რაოდენობისაა, ზღვაზედ გემთა დაღუპვის რიცხვი კი შეურყეველს კანონს ექვემდებარება. როდესაც არსდება ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება, იმან წინადვე იცის დაახლოვებით, თუ რამდენს ზარალს მოიტანს მომავალი წელიწადი და საქმეს იმგვარად იჭერს, რომ ამ ზარალმა არამც თუ მშრალზე არ დასვას საზოგადოება, არამედ დაზარალებულთ ზარალი აღუდგინოს და თავადაც მცირეოდენი ხეირი ჰნახოს. ამ აზრის უფრო ნათლად გამორკვევისათვის მოვიყვანთ ერთს პატარა მაგალითს. ყველგან ნუსხაში იწერება სუყველა შემთხვევა ცეცხლისაგან დაზარალებისა, აგრედვე ამ ზარალის აღსადგენი ფასი. წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე სახელმწიფოში უნდათ დაარსონ ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება. პირველად გაიგებენ, თუ რაოდენი შენობა დამწვარა უკანასკნელ 10-15 წელიწადში. წარმოვიდგინოთ, რომ ათ წელიწადში 100.000 შენობა გადამწვარა, ანუ ორთაშუა როცხვით წელიწადში 100 შენობა. ცხადია, რომ ამ ორთაშუა როცხვების ძალით ყოველ წელიწადს ათიათას შენობაში ასი უნდა დაიწვას, ანუ ას შენობაში ერთი. ესე იგი, ყველა ასმა შენობამ, რომელიც დასაზღვევად არის შეტანილი, ერთი შენობა უნდა ზღოს. ამ ანგარიშის მიხედვით და აგრედვე, დასაზღვევ საზოგადოებისა და ადმინისტრაციის ხარჯის მიხედვითაც გამოიკვლევენ იმ პრემიას, რომელიც უნდა შეიტანოს ყოველ შენობის პატრონმა მოსალოდნელის ზარალის აღსადგენად. სეტყვის ზარალი არ შეიძლება ამგვარად გამოიანგარიშოს კაცმა, რადგანაც შუათანა ზარალის გათვალისწინება ძრიელ ძნელია, თითქმის შეუძლებელი საქმეა. სეტყვისაგან მოსალოდნელი ზარალი იმიტომ არ შეიძლება კაცმა წინადვე განსჭვრიტოს და აღრიცხოს, რომ სეტყვა ბუნების მოვლენაა და არა კაცთა საერთო ცხოვრების ნაყოფი, და არა ფაქტორი საზოგადოების ცხოვრებისა.

სეტყვა ზოგან ხშირად იცის, ზოგან ნაკლებად. წელიწადია — დიდ ზარალს მოუტანს კაცს, წელი-

წადია — ნაკლებს; ხან სრულიად არ მოდის, ასე რომ სეტყვის ზარალი მუდამ ისე ერთის რაოდენობისა არ არის, როგორც ის ზარალი, რომელიც ცეცხლს მოაქვს.

ცეცხლისაგან მოტანილ ზარალის ასეთის თვისების გამო, აუქციონერთა ამხანაგობა ერიდება სეტყვისაგან ნათესების დაზღვევის საქმეს. გინდაც გამოიანგარიშონ მოსალოდნელი ზარალი და გაანაწილონ ყველა დამზღვევთ შორის, შეიძლება, ერთბამად იმისთანა სეტყვამ იგრიალოს, უცბად აუარებელი ზარალი მოიტანოს, ისეთი ზარალი, რომელსაც ვერა საზოგადოება, ვერა სიმდიდრე ვერ აიტანს, ვერ ზღვავს, და ამიტომ გაკოტრდება და დაიღუპება. 13 ივლისს 1788 წელს ისეთი სეტყვა ყოფილა საფრანგეთში, რომელსაც გაუნადგურებია 19.000 ოთხკუთხი ვერსი ნათესობა და ყოველივე სამეურნეო მცენარე. 27 მაისს 1848 წელს რუსეთში მოსულა სეტყვა, რომელსაც მოუსპია ყოველივე ჭირნახული შავისა და ბალტიის ზღვის ნაპირებიდგან ვოლგამდე, ესე იგი, მთელს შიდა რუსეთში. ამგვარს მაგალითებს მრავალს მოვიყვანდით, მაგრამ ესეც საკმაოა დავრწმუნდეთ, რომ თუ თითქმის ყველა მეურნე დაზარალდა, ანუ უმეტესი მათი ნაწილი, მაშინ ვერავინ შეიძლებს უზღას დაზარალებულთ, რაც იზარალეს.

როგორც წინადაც მოგახსენეთ, დაზღვევა ერთმანეთის დახმარებაა და თუ ყველა მეურნე თითონ დიდ გაჭირვებაშია, მაშინ ერთი-ერთმანეთის დახმარებას ვერ შეიძლებენ.

ამგვარი თვისება და ხასიათი სეტყვისაგან გამოწვეულის ზარალისა — მუდამ სახეში უნდა ვიქონიოთ საქმის საუკეთესო მოსაწყობად. ამაზედ შემდეგ იყოს.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟიულ ფერრი

1

1878 წელს კაბინეტის პრეზიდენტმა, დიუფორმა, აწ განსვენებულს ჟიულ ფერრის მინისტრობის პორტ-ფელი უბოძა, მაგრამ ფერრიმ მინისტრობაზე უარი გა-ნაცხადა. ფერრი ჰფიქრობდა, რომ „ახალის თაობის კაცებისათვის ახალი საქმეა საჭირო“, ერთი წლის შემდეგ, როცა გრევიმ სთხოვა დიუფორს კაბინეტის მეთაურად დარჩიო, დიუფორმა უპასუხა: — „ახალ საქმეებისათვის ახალი კაცებია საჭიროო“ და საერო განათლების მინისტრად ფერრი დინიშნა. ფერრის საერო განათლების მინისტრად დანიშვნა ყველას გაუკ-ვირდა. ასე ამბობდნენ: დეე ფერრი შინაგან საქმეთა მინისტრად დაენიშნათ, თუ გნებავთ, იუსტიციისა, ან ვაჭრობის მინისტრად, — საერო განათლების მინის-ტრად კი არაო. მაგრამ ამ საქმეში უფრო სასარგებლო და მხნე მოღვაწედ აღმოჩნდა სწავლა-განათლების მინ-ისტრი ფერრი. ჟიულ ფერრი სწორედ ისეთ მოღვაწედ გამოდგა, როგორსაც საფრანგეთის აწინდელი ვითარება მოითხოვდა. რაც უნდა დიდი ნაკლი აღმოჩნდეს იმ რე-ფორმებში, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკამ ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში შემოიღო, ერთს ღირსებას ვერავინ უარჰყოფს: რესპუბლიკამ დააარსა სკოლები, განაახლა და განაცხოვლა სკოლის საქმე მთელს საფრანგეთში, დაბალ სკოლებიდგან დაწყო-ბილი, ვიდრე უმაღლეს სასწავლებლებამდე. ამ დიდს საქმეში ჟიულ ფერრის დიდი ღვაწლი მიუძღვის და სწორედ ამით დაიმსახურა ფერრიმ თავისი ადგილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი საფრანგეთის ისტორიაში. ამაზედ ვერც ერთი დასი ვერ იტყვის უარს, გარდა უმეცართა და უგნურთა. მაგრამ, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ფერრი ბევრს არ უყვარდა. ფერრი წარმომადგენელი იყო ბურჟუაზიის წესწყობილებისა. მართალია, სკოლის საქმეში ფერრის დიდი ღვაწლი მიუძღვის, მაგრამ ამ საქმის გარდა დიდხანს ვერაფრით იჩინა თავი და მხოლოდ ბოლო დროს, როცა სენატის პრეზიდენტად ამოარჩიეს, გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, საჭიროა ახალი რეფორმები შემოვიღოთო.

ფერრი შესანიშნავი მჭევრმეტყველი კაცი იყო; ამასთან მედგარი მოღვაწე და მუდამ გულწრფელი. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ფერრი ზოგს ძალიან უყვარდა და ზოგს ძლიერ სძულდა. არც ერთი მოღვაწე არ ყოფილა საფრანგეთში, რომლითაც ისე ძლიერ ეამაყნათ ფრანგებს და რომელიც იმავე დროს ისე გაეკიცხათ. ეს კი აშკარაა, რომ ფერრის სიკვდილით საფრანგეთს დააკლდა ნამდვილი პატრიოტი და გულწრფელი რესპუბლიკელი. ფერრი იმ ოჯახობას ეკუთვნოდა, რომლის ჩამომავალნიც რევოლუციის შემდეგ ყველანი რესპუბლიკელები იყვნენ. 1856 წელს, როცა ფერრი 24 წლისა იყო, მამა მოუკვდა. ფერრის დიდი სიმდიდრე არ დარჩა, მაგრამ იმდენი შეძლება კი ჰქონდა, რომ უზრუნველად ეცხოვრა. ფერრი იურისტი იყო, თან ადვოკატობდა და თან პოლიტიკოსობას მიჰყო ხელი. 1857 წელს ფერრი ოპოზიციას მიემხრო და დაუმეგობრდა ერნესტ პიკარს, ფლოკეს და ემილ ოლივიეს. ფერრი ჟურნალ-გაზეთებშიაც მოღვაწეობდა. თანამშრომლობდა ჟირარდენის „Press"-სა და დიუვერნუას „Courrier de Paris"-ში. აგრეთვე სწერდა ნაპოლეონის მთავრობის წინააღმდეგ გაზეთ „Tems"-ში. 1869 წელს ფერრი პარიჟის მეექვსე ნაწილის დეპუტატად აირჩიეს. ამ დროს ფერრი ებრძოდა ოლივიეს სამინისტროს და თითქმის მუდამ იმარჯვებდა.

ასტყდა ომი. ფერრი ეხლაც ოპოზიციას მიემხრო, ცოტა ხნის შემდეგ ფერრი ამოირჩიეს პარიჟის მერად. მერე ამ თანამდებობას თავი დაანება და გაგზავნილ იქმნა ელჩად ათინაში. ტიერის გადაყენების შემდეგ ფერრი ისევ საფრანგეთში დაბრუნდა და 1879 წელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრევის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, საერო განათ-
ლების მინისტრად დაინიშნა.

აი სწორედ ამ დროს დაიწყო ფერრის სასარგებლო მოღვაწეობა. ის მუდამ სცდილობდა, რომ საფრანგეთში შემოღებულიყო უფასო სწავლა. როცა ვალინგტონმა კაბინეტს თავი დაანება, ფერრი მაინც საერო განათ-ლების მინისტრად დარჩა, რადგანაც სურდა თავისი საქმე დაებოლავებინა და 1880 წელს ფრეისინეს შემ-დეგ ფერრი დაინიშნა კაბინეტის პრეზიდენტად. 1881 წელს თავისი ადგილი გამბეტას დაუთმო, ხოლო ერ-თის წლის შემდეგ ისევ საერო განათლების მინისტრად დაინიშნა. ამგვარად, რამდენსამე წლის განმავლობაში ფერრი დაუღალავად შრომობდა საფრანგეთში სწავლა-განათლების საქმისთვის და სწორედ საკვირველია, რამდენი სარგებლობა მოუტანა ამ საქმეს. 1882 წელს ფერრიმ უკვე შესძლო ანგარიში მიეცა რესპუ-ბლიკისთვის, რამდენად წინ წასწია სწავლა-განათლება საფრანგეთში. აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ წლებში სა-ფრანგეთში ორთაშუა რიცხვით დღეში სამი სკოლა დაარსებულა.

სამის წლის განმავლობაში საერო განათლების სა-მინისტროს დაუხარჯავს სწავლა-განათლებისთვის 200 მილიონ ფრანკზედ მეტი. მაგრამ, ფერრის აზრით, ეს არ კმაროდა და მოსთხოვა საფრანგეთის მთავრობას, ამ ფულის გარდა, სწავლა-განათლებისთვის კიდევ 600-700 მილიონი უნდა დაიხარჯოსო. თუ ეს ფული გადაიდოვო, სთქვა მაშინ ფერრიმ, ჩვენ შევასრულებთ საფრანგეთისადმი წმინდა მოვალეობას, დავაბოლოვებთ სწავლა-განათლების რეფორმას, რომელიც საუკეთესო სოციალური რეფორმა იქნებაო. სკოლების დაარსების გარდა, ფერრიმ კიდევ დიდი სარგებლობა მოუტანა სა-ფრანგეთის სწავლა-განათლების საქმეს. შესცვალა სამოსწავლო უმაღლესი საბჭო. ამ საბჭოს წევრებად უწინ ეპისკოპოსები იყვნენ. ფერრიმ ეპისკოპოსები გან-დევნა და საბჭოს წევრებად აღმოარჩია საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენელნი. ფერრის მეცადინეობით საფრანგეთში დაარსდა დედათა საოსტატო სემინარია. ფერრიმ პირველად აღიარა, რომ სწავლა-განათლება ქალთათვის ისე საჭიროა, როგორც

მამაკაცთათვისო. „მე სრული იმედი მაქვსო, სთქვა ერთხელ ფერრიმ, რომ სწავლა-განათლება ამიერიდგან ერთი იქნება როგორც ქმრისათვის, ისე ცოლისათვის და მაშასადამე შვილებისთვისაც“.

ფერრი მუდამ მედგრად ებრძოდა კათოლიკეთა სამღვდელოების გავლენას საფრანგეთის სწავლა-განათლებაზედ და ყველასთვის აშკარა იყო, რომ ფერრის მეოხებით დაარსდა საფრანგეთის რესპუბლიკაში აწინდელი საერო სკოლები.

1889 წელს ფერრიმ ბულანჟელთა წინააღმდეგ ბრძოლაშიაც გამოიჩინა თავი და ამ უკანასკნელ დროს სრულიად მოულოდნელად დაინიშნა სენატის პრეზიდენტად. მეგობრები ამბობდნენ, ფერრი ახლად დააწყობს საფრანგეთისთვის სასარგებლო მოღვაწეობასო და ზოგი ოცნებობდა, იქნება ელისეის სასახლეში ცხოვრებაც ელირსოსო.

2

1887 წლის 10 დეკემბრამდე ჟიულ ფერრი ძლიერ ჯანსაღი იყო. შრომა, გრძნობათა ღელვა თითქმის არ ჰღალავდა ამ საკვირველის ჯანის პატრონს კაცს, რომელსაც ადვილად შეეძლო ყოველგვარ შრომისა და ჯაფის ატანა. მაგრამ ობერტენის განზრახვამ ძლიერ ავნო ფერრის ჯანმრთელობას. აი როგორ იყო საქმე. პალატის კრების დროს ფერრის ვილამაც დაუძახა. ფერრი გამოვიდა და ამ დროს ობერტენმა სამჯერ დამბაჩა დასცა, ფერრის მხოლოდ ორი ტყვია მოხვდა. ერთმა ტყვიამ გული გაუფხაჭნა. პირველად ყველას ეგონა, ფერრის არაფერი დაუშავდება თუ ადვილად გადარჩებაო. თვით ფერრი მეტად მხიარულად იყო, ხუმრობდა, იცინოდა. განვლო რამდენმამე თთვემ და დაჭრილი ფერრი გულში სრულებით არა ჰგრძნობდა ტკივილს. პირველად ფერრიმ გულში ტკივილი 1888 წელს იგრძნო, მკურნალებმა აღიარეს, რომ ამ ტკივილების მიზეზი ის იყო, რომ ტყვიამ გულის ნერვები დაუშავაო. მას შემდეგ ფერრის ჯანი გაუტყდა და თანდათან უძლურდებოდა, გახდა, დასუსტდა. მკურნალები ამბობდნენ, რომ ფერრის ავადმყოფობა ძლიერ

საშიშია. სენატის პრეზიდენტის არჩევის გამო მღელვარებამ უფრო მალე მოუსწრაფა სიკვდილი. სიკვდილის წინა დღეს ფერრი სენატში იყო და სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულ ჟამეტელის შესახებ. შინ რომ დაბრუნდა, ძლიერ ავად გახდა. მაგრამ მაინც უნდოდა სენატორ პუარესთან წასვლა. ცოლმა ძლივ დაითანხმა, შინ დარჩენილიყო. ფერრი წამოწვა, ჯერ გააცია, მაგრამ მერე ჩაეძინა და 1 $^1/_2$ საათამდე კარგად ეძინა. შემდეგ გულის ტკივილისაგან გამოეღვიძა და საშინლად იტანჯებოდა, სული ეხუთებოდა. შარლ ფლოკემ, რომელიც ფერრისთან ერთს სახლში იდგა, იმ წამსვე მკურნალი ვორმსი მიიწვია. შემდეგ სხვა მკურნალებიც მიიწვიეს. დილის ხუთ საათზედ ფერრი ცოტა უკედ გახდა, 9 საათზე მკურნალები ისევ შეგროვდნენ და წამლები მისცეს. ფერრი უფრო კარგად გახდა. ყველას იმედი მოეცა ფერრის მორჩენისა, თვით ავადმყოფის გარდა. ფერრი ყველას ეუბნებოდა, სიკვდილი მომიახლოვდა და ველარ მოვრჩებიო. 4 საათზედ ფერრი ძლიერ შეწუხდა. მკურნალებმა ბანგი მისცეს და ავადმყოფმა გრძნობა დაჰკარგა. 6 საათზედ ფერრი გონს მოვიდა. წამოდგა ლოგინიდგან, ხალათი ჩაიცვა, დაუძლურებული სავარძელზედ გადაესვენა და რამდენსამე წუთს შემდეგ სული განუტევა.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ახალი ხმოსნების არჩევნები>

ტფილისი, 14 მაისი.

ხვალ დანიშნულია არჩევანი ახალ ხმოსნებისა ჩვენის ქალაქის საბჭოსათვის. ქალაქი, ანუ, უკედ ვსთქვათ, სხვადასხვა გუნდი ამომრჩევლებისა დიდს მოძრაობაში არის. თვითეული გუნდი სცდილობს თავისის მხრით ურჩიოს ამომრჩევლებს, ვინ ამოირჩიონ ხმოსანთ და ამისათვის შეუდგენიათ ხმოსანთა სიები.

სხვათა შორის შეუდგენია სია ქართველთა გუნდსაცა და ამ სიაში მოქცეულია გვარტომობის გაურჩევლად ყოველივე იგი — ქართველია, სომეხია თუ რუსი, — რომელიც ამ გუნდს უცვნია, რომ ქალაქისათვის გამოსადეგი კაცი იქნება გულით, გონებით და მეცადინეობით. ჩვენთვის მით არის სასიამოვნო ეს ქართველთა სია, რომ იგი სია ცხადად გვიმტკიცებს შემადგენელთა წმინდა სურვილს: ქალაქს პატრონად და მზრუნველად შეურჩიონ იმისთანა კაცები, რომელთა სიკეთე თავდებია, რომ ქალაქის საქმეს გულმოდგინედ და უანგაროდ მოეკიდებიან და ქალაქის კეთილდღეობისათვის არ დაიშურებენ გარჯას.

ამგვარი კაცები, რა თქმა უნდა, მოიპოვება ყოველს ცალკე გვარტომში და სასიხარულო ის არის, რომ ქართველს გუნდს ამათში უპოვნია ღირსეულნი კაცნი, სიაში მოუქცევია და დღეს ქალაქის კეთილის მსურველთ ურჩევს იმ სიაში მოხსენებულნი კაცნი შეგზავნონ ქალაქის საბჭოში. ამისთანა სია ქართველთა გუნდისა ცხადი საბუთია მისი, რომ ქართველნი არავითარს განსაკუთრებულს ინტერესს არ ეძებენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ჰსურთ ქალაქს ჭეშმარიტი გულშემატკივარი და გულმოდგინე მოქალაქენი აუჩინონ პატრონად.

ეს სია ამტკიცებს ცხადად, რომ ქართველი გუნდი სამართლიანს აზრს დასდგომია: ოღონდ მოქალაქე იყოს, შემძლებელი ქალაქს უერთგულოს და რიგიანად ემსახუროს, და ჩვენი სასურველი ამისთანა კაცები არიანო. ჩვენ კაცს კაცურის ღირსებით და უვარგისობით ვიწონებთ და ვიწუნებთ, და არა მით, რომ სომეხია, რუსია, თუ ქართველიაო; ჩვენ ქალაქის გამოსადეგს კაცს ყოველ ამათში ვხედავთ და ჩვენ ჩვენის სიით გირჩევთ ამოირჩიოთო, თუ გსურთ ჩვენის დედაქალაქის შესაძლებელი კეთილდღეობა უპატრონოდ არ დასტოვოთ.

ამ ქართველთა გუნდის სიისა კარგი კიდევ ის არის, რომ მასში მოხსენებულნი არიან სომეხთა ყმაწვილკაცობისა და ინტელიგენციის, — ჯერ არ ყოფილი ხმოსნებათ, —წარმომადგენელნიც, რომელნიც ცნობილ არიან, როგორც ერთგულნი მოქალაქენი ჩვენის ქალაქისა და მისის სამსახურისათვის მზად მყოფნი.* ამათი შესვლა საბჭოში, ამათი ხმოსნებათ ყოფნა მეტად სასურველი უნდა იყოს ყოველ იმისათვის, ვისაც ხვალ ხელთ ექმნება არჩევანის კენჭი, და ვინც ქალაქის ავკარგიანობის ჭეშმარიტი გულშემატკივარია.

ამომრჩევლნო! ხვალინდელი დღე გიწვევთ თქვენ, რომ თქვენი მოქალაქური მოვალეობა გულწმინდად აასრულოთ. ხვალინდელ დღეს თქვენ უნდა აურჩიოთ თქვენს დედაქალაქს და მის კეთილდღეობას პატრონები, მზრუნველნი და გამძღოლნი ოთხის წლის ვადითა. ხვალინდელ დღეს თქვენი კენჭი გადასწყვეტს, ვის ანდობთ, ვის აბარებთ ოთხის წლით ჩვენის ქალაქის საქმეებს ერთობ და თქვენს საკუთარს სვეტბედს ცალკე. ეს დიდი საქმეა, დიდი მოვალეობაა და ამიტომაც დიდი წინდახედულობა, დიდი სიფრთხილე და განსჯა გმართებთ, ვიდრე თქვენი ხელი თქვენს კენჭს ან შავისაკენ გაისტუმრებს, ან თეთრისაკენ.

---

* ამისთანანი, ჩვენის ფიქრით, არიან შემდეგნი: ალ. მიხ. არლუთინსკი-დოლგორუკი, არ. სტეფ. ბულდანოვ-ბალდასაროვი, ალ. აირაპ. ყალანთარი, მ. ზ. ქანანოვი, სტ. სერ. მალხასიანცი, არ. მათეს ძე თათევოსიანცი, იაკ. ივ. თათევოსიანცი, არ. ივ. ტერ-გრიგორიანცი, ლევ. გერ. ელიაზაროვი, ფილ. იაკ. ვალთაზარიანცი.

თქვენი მოვალეობაა წინაშე ქალაქისა, თქვენის ოჯახ-ისა, თქვენის ცოლ-შვილისა ხვალ ერთიანად მიხვიდეთ არჩევანში და მარტო ხელით კი არა, გულით და განსჯით სამართლიანად ამოქმედოთ თქვენი კენჭი. თქვენ, თუ გსურთ არ უღალატოთ თქვენს მოქალაქურ მოვალეობას, ღირსება და ვარგისობა კაცისა უნდა წაიმძღვაროთ, როცა კაცს ირჩევთ, და სხვა ყოველი უარყოთ, როგორც უკადრისი რამ.

ეს იცოდეთ, რომ ყველა პატიოსანი კაცი, ყველა კაცური კაცი თქვენი ერთგული მოძმეა და ამისთანანი მოიპოვებიან რუსებშიაც, სომხებშიაც და ქართველებ-შიაც. ამას გიმტკიცებთ სხვათა შორის ქართველთა გუნდის სია ხმოსნებად ამოსარჩევებისა. თქვენი მოვალეობაა თქვენც უერთგულოთ ამისთანა კაცებს, რადგანაც წმინდა სურვილი ჩვენის დედაქალაქის კეთილად განწყობისა მარტო კარგ და ერთგულ კაცე-ბის მოღვაწეობით შესაძლებელია განხორციელდეს.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი არჩევანები

ხვალ ხელახლად უნდა მოხდეს ქალაქის საბჭოსათვის ხმოსნების არჩევანი, რადგანაც მთავრობამ გააუქმა 16 მაისის არჩევანი, ვითარცა უკანონოდ მომხდარი.

რაში და რითი იყო უკანონო მომხდარი არჩევანი — ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალთ და დღევანდელი ინტერესი არც ამაშია, სწორედ რომ ვსთქვათ. დღეს ჩვენ ჩვენი ყურადღება სხვა მხრით უნდა მივაქციოთ 16 მაისის არჩევანს, ქალაქის საჭიროების ზოგადის თვალით იგი უნდა გავსინჯოთ და განვიკითხოთ და, როგორ ჭკუის სასწავლი მაგალითი, გამოვიყენოთ ხვალისათვის.

თუ ამ თვალით შევხედავთ 16 მაისის არჩევანებს, თავლწინ აგვეტუზება ერთი აუცილებელი საკითხი: ამ 16 მაისის არჩევანმა თავისი წმინდა მოვალეობა შეასრულა თუ არა ტფილისის მცხოვრებთა? ვიდრე ამას პასუხს ვეტყოდეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ თვით ეს მოვალეობა არჩევანისა.

არჩევანს უნდა მოეწვია ქალაქის საბჭოსათვის ხმოსნები, ესე იგი, კაცები, რომელთაც შესაძლებელ სავსებით უნდა წარმოადგინონ სურვილი და საჭიროება მთელის ქალაქისა. ამაშია მთელი სული და გული იმ თვითმართველებისა, რომელიც კანონით მინიჭებული აქვს ქალაქსა. ამ სახით კანონით დანიშნული იქაურ საბჭოსათვის ოთხმოცთა ხმოსანთა კრებული ისე უნდა იქმნას შემდგარი, რომ ყოველს შესამჩნევს ნაწილს ქალაქის მცხოვრებლებისას თავის სურვილის და საჭიროების გამოსათქმელად ხმა და ადგილი ჰქონდეს. უამისოდ შეუძლებელია ქალაქის ანუ სხვა რისამე თვითმართველობა თავის დანიშნულებას მისწვდეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმართველობა თვითნებობად და ძალმომრეობად არ გადაიქცეს.

16 მაისის არჩევანებმა აშკარად დაგვანახვა, რომ ერთმა შეთქმულმა ნაწილმა ქალაქის მცხოვრებლებისამ პროგრამმად მიიღო: ჩვენ და არავინ სხვამ ფეხი არ უნდა შემოსდგას საბჭოშიო. ამ სახით ამ ერთმა ნაწილმა ცალმხრივ გაიწია, თვითონ იგდო ხელთ ბურთი და მოედანი არჩევანისა და ყოველი სხვა შესამჩნევი ნაწილი ქალაქის მკვიდრთა არარად მიიჩნია, გასწირა და გარიყა, თითქო არ არსებობენო და, თუ არსებობენ, ადამიანებად ჩასათვლელები არ არიანო.

ამ პროგრამმის ამყოლნი, მართალია, უფრო დიდს ნაწილს შეადგენენ ქალაქის მცხოვრებლებისას და მათი გამარჯვება 16 მაისს ამ მიზეზს უნდა მიეწეროს. საქმეც ის არის, რომ „ჩვენ და არავინ სხვა" მოქმედების საფუძვლად დასადები არ არის და ამისთანა ციხესიმაგრეზე დამყარებული უმრავლესობა არ არის იგი უმრავლესობა, რომელსაც ადამიანი პატივსა სცემს და რომელსაც უნდა თუ არა, ემორჩილება ვითარცა განაჩენს ერისას. ჩვენ გვესმის მნიშვნელობა და ძალა უმრავლესობისა მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამომეტყველია ზოგადის საჭიროებისა და ამ ზოგად საჭიროებისაგან არის წარმოდგენილი. თორემ რომ მოვიწადინოთ, — მოდით, ქალაქის საბჭოში ჩვენ შავთმიანებმა, ან ქერათმიანებმა სულ შავთმიანები, ანუ ქერათმიანები ამოვარჩიოთ და აღმოჩნდეს რომ შავთმიანები, ან ქერათმიანები ბევრნი არიან საარჩევნო კრებულში, ნუთუ ამათი გამარჯვებული განაჩენი განაჩენი იქნება იმ უმრავლესობისა, რომლის ხმაც სწამს ადამიანს, ვითარცა ხმა ერისა, და რომელსაც პატივისცემით ემორჩილება.

ამისთანა საფუძველზე დამყარებული უმრავლესობა მოკლებულია იმ პატივსადებს დედააზრს, რომლის ძალითაც უმრავლესობა უნდა უმრავლესობდეს. აი დიდი შეცდომა 16 მაისის არჩევანებისა რაში იყო.

განწირულ და გარიყულ ნაწილებმა ქალაქის მცხოვრებლებისამ 16 მაისს მოიწადინეს თავისი წარმომადგენელნი იყოლიონ ახალ საბჭოში და საარჩევნო კრებულს დაუსახელეს თავისი სასურველი კაცები ამო-

სარჩევად. ამ ნაწილებმა განა არ იცოდნენ, რომ თუ მარტო თავისკენ გაიწევდა ქალაქის მცხოვრებთა დიდი ცალმხრივი ნაწილი, ვერაფერს გახდებოდნენ. ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ სწამდათ, რომ საარჩევნო კრებულში ცალყბობა და ცალმხრობა კი არ დაადგენს განაჩენს, არამედ სამართლიანობა, წინდახედულობა და იგი შეუბღალავი და სავალდებულო მნიშვნელობა წარმომადგენლობისა, რომელიც თხოულობს, რომ ყოველმა ინტერესმა, ყოველმა საჭიროებამ ქალაქისამ რაც შეიძლება მეტის სავსებით იქონიოს თავისი ხმა და გზა გამოსათქმელად და გამოსარჩლელად.

ამ პატივსაცემს რწმენას უმტყუნა 16 მაისის არჩევანმა. ეს წმინდა და სასურველი იმედი 16 მაისის არჩევანმა ქარს მისცა და მტვრად აღგავა. ეს ბრალი მთელის თავის სიმძიმით უნდა კისრად იდვან, უნდა იტვირთონ მათ, ვინც წინ უძღოდნენ იმ ცალყბურ და ცალმხრულ უმრავლესობას საარჩევნო კრებულისას, ვინც ნიშანს აძლევდნენ, ასე თუ ისე მოიქეცითო და არა ისე, როგორც თქვენი საკუთარი სურვილი, რწმენა და სინდისი გამხელთო.

ხვალინდელმა კრებულმა, ხვალინდელმა არჩევანმა იგი უმადური წინდაუხედავი და, მეტს ვიტყვით, უგუნური შეცდომა 16 მაისის არჩევანისა უნდა გასწოროს და თვალწინ დაიყენოს, რომ ქალაქის საბჭო მარტო მაშინ იქმნება ღირსი თავის სახელისა, როცა ბჭედ და გამგედ ქალაქის საქმეებს ეყოლებათ ყველა ნაწილის კაცნი საკმაო სავსებით და რიცხვით. ჩვენ გვწამს კეთილგონიერება და წინდახედულობა ჩვენის ქალაქელებისა და იმედი გვაქვს, რომ იგი კეთილგონიერება ხვალ არჩევანში თავის შესაფერს ადგილს ღირსეულად დაიჭერს, შავს თეთრად არ აქცევს, თეთრს შავად, და არ აჰყვება იმ ზოგიერთა ფეხის ხმას, რომელთაც ოღონდ თავისი გაიყვანონ და არაფრად მიაჩნიათ მერმისისათვის მკვიდრთა შორის შულლისა და სამდურავის ჩამოგდება.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა



<სიტყვა, წარმოთქმული ლვინით ვაჭრობის წესდების განხილვისას>

შეერთებული ძალა თითქმის ყოვლად შემძლებელია, მოგეხსენებათ, რომ პატივცემულმა ტფილისის გუბერნატორმა, თავადმა შერვაშიძემ ამ შეერთებულ ძალას მიჰმართა გლეხთა ეკონომიურ გაუმჯობესებისათვის. ფრიად დიდსა და სასარგებლო აზრს ადგა ბ-ნი გუბერნატორი და სრული იმედიც აქვს, რომ ამ აზრს განახორციელებს.

ლღეს ტფილისის გუბერნიის გლეხობას აქვს 650.000 მანეთი. ეს თითქმის ორი წილია მილიონისა. ამას რომ რამდენჯერმე ამოდენა მიემატოს, ისეთი ძალა შეიქმნება, რომ რაც ლღეს შეუძლებელია, მაშინ ადვილად შესაძლები გახდება.

ამნაირად დაზოგვა ყველასათვის საჭიროა, ვისაც კი უნდა ფულის მონობიდამ გამოვიდეს, ვისაც არა აქვს სურვილი ეყმოს ამ ბატონს — ფულსა. ცხადია, ჩვენგან დაწყობილი ლონისძიება ჩვენსავე საგრძნობლად ვერ დაგვეხმარება, მაგრამ განა მარტო ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ქვეყანაზედ, განა ჩვენის შვილებისა და შვილისშვილებისათვის ზრუნვის მოვალეობა არა გვაქვს! განა იმათი მომავალი, კეთილად მოწყობილი, თვალითაც რომ ვერა ვნახოთ, ისე წარმოდგენით მაინც არ უნდა გვახარებდეს!

დროა, ბატონებო, მომავლისათვის ვიფიქროთ. ჩვენ მომავალს ხელით ვერ მივსწვდებით. სხვა საშვალება უნდა ვიღონოთ რამე. და, აი ეს საშვალებაც სხვისგან საკმარისად არის გამორკვეული. ჩვენც ყოველ წლობით ცოტა რამ პურად მაინც მოვიკლოდ, შევკრიბოთ, ფუ-

ლად ვაქციოთ, და ეს ფული ყოველწლივ ვზარდოთ, შევკრიბოთ, თან გაჭირებაშიაც ხელი მოვინაცვლოთ. წარმოიდგინეთ, ჩვენ მამა-პაპათ რომ დაეწყოთ ეს საქმე, დღეს რა აუარებელი სიმდიდრე გვექმნებოდა ხელში? ეგრე უძლურნი კი აღარ ვიქმნებოდით. მაშინ ქონებრივი ჩვენი ძლიერება ყველასათვის საგრძნობელი იქნებოდა. ამას ზედ გონებითი ძლიერებაც მოჰყვებოდა. თუ ჩვენ მამა-პაპას ეს შეუგნებლობით მოუვიდა, ჩვენ ხომ ვიცით, ჩვენ აღარ გვეპატიება.

მაშ, მოიფიქრეთ, შეადგინეთ ამისთვის წესდების პროექტი, წარვუდგინოთ დასამტკიცებლად მთავრობას და შევუდგეთ საქმეს.

[1893 წ.]

<ილიას პასუხი სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის შესახებ>

თელავის საზოგადოებამ და კახეთის მევენახეთა კრების მონაწილეებმა ილიას პატივსაცემად ნადიკვარზე გამართეს სადილი. საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა თავ. გ. მაყაშვილმა ასე მიმართა ი. ჭავჭავაძეს: „ნუ მიწყენთ უადგილო და უდროვო კითხვისათვის და გთხოვთ მიბრძანოთ, მართალია, ვითომც ბანკი მოგებასა და წაგებას შუა ტოკავს და ვითომ თქვენ გინდოდეთ სათავადაზნაურო სკოლის დაკეტვა?“

ილია პასუხობს: „ეგ ისეთი ჭორია, როგორც არა ერთხელ გაგიგონიათ; მაგრამ მავნებელი ჭორი კი არის, ჭორია ბანკის შეტოკებაზედაც და სკოლაზედაც. ბანკს თავი დავანებოთ, იმას თავისი ანგარიში აქვს, ვისაც სიმართლის შეტყობა უნდა, კიდეც შეიტყობს. მოგახსენებთ მხოლოდ სკოლის შესახებ. განა თქვენ ვერ ატყობთ, რომ ეგ ჭორია. განა შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იყოს ვინმე განვითარებული კი არა, სრულიად არაფრის მცოდნეც, რომ რომლისამე სკოლის დაკეტვა უნდოდეს.

ტფილისის სათავადაზნაურო სკოლისაგან, როცა დაარსდა, მომატებულს სარგებლობას ელოდნენ ვიდრე გამოცდილებამ დაგვანახვა. ახლა ცხადად ვხედავთ, რომ დიდძალი ფული იხარჯება ამ სკოლაზედ და სამაგიერო ცოტა რამ სარგებლობა მოაქვს. მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება, და ქართველობა ორს ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი ამბობს, რომ ჩვენ გვესაჭიროებიან უმაღლესად განათლებულნი კაცნი, არა გვყავს კარგი ტეხნიკები, ექიმები, ინჟინერები, მასწავლებლე-

ბიო. ამისათვის საჭიროა ჩვენს შვილებს გიმნაზიური განათლება მივსცეთ და უნივერსიტეტებში ვგზავნოთო. გიმნაზიაში შესასვლელად კი საჭიროა ჩვენის შვილების მომზადება, ამისათვის მოსამზადებელ სკოლად უნდა იყოს სათავადაზნაურო სკოლაო.

მეორე ნაწილი ამბობს: ჩვენ ჯერ პური არა გვაქვს საკმარისი ბელელში, ჯერ პური გავიმრავლოთ და მერე უნივერსიტეტების სწავლით აღვფრთოვანდეთო. ქვეყანამ ისწავლა მიწის შემუშავება, შეიმსუბუქა შრომა, ჩვენ კი ისეთს საშვალებას ვხმარობთ მიწის შესამუშავებლად, როგორსაც ხმარობდნენ 1000 წლის წინად. მიწას ძალ-ღონე გამოელია და ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, არაფერს ღონისძიებას არ ვხმარობთ. ყველამ შეიტყო, როგორ შეიძლება მცირე მიწიდგან, მცირე შრომით დიდის ნაყოფის მოღება და ჩვენკი ეს ვერ შევიგენით. ჩვენ არავითარი ცოდნა არა გვაქვს ამ მხრივ. ამისათვის საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომლებშიაც ასწავლიან ჩვენ შვილებს, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდის ნაყოფის მიღებაო. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგად აღარ აეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლა დამთავრებული.

რამდენი უნივერსიტეტელი ვიცით, რომ ოჯახის შესანახი გამხდარა. თვითონ მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდგან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები. რათა? იმიტომ რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი.

... ჩვენ რომ არ ვიცით რა, იმათ რას ვასწავლით. მართალია, ჩვენ ბევრი არავინა გვყავს მცოდნე მეურნეობისა, მაგრამ ფულით ყველაფერი შეიძლება. სათავადაზნაურო სკოლას, რაც დაარსებულა, ორმოცი ათასი თუმანი მოჰხმარებია თავადაზნაურობისა. ეს ნახევარმილიონის ოდენა ფული რომ სამეურნეო სკოლაზედ დაგვეხარჯნა, ეხლა ათასობით გვეყოლებოდნენ მეურნენი".

თავ. ნ. ჩოლოყაშვილის შეკითხვაზე, თუ საიდან იშოვნის მცოდნე ადამიანებს, ილია პასუხობს: „საიდამ

ვიშოვნით? ყოველ წელიწადს სათავადაზნაურო სკოლაზე იხარჯება სამიათას ხუთას თუმნამდინ. ამ ფულით მეცნიერს მოვიყვანთ საფრანგეთიდამ. მეც ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, ვიდრე ეხლანდელ სათავადაზნაურო სკოლას. რადგანაც ჩემს შეხედულობას არ ვმალავ, ვამბობ ყველგან, სადაც კი შევხვდები, და აი ამაზედ გამომიგონეს, ვითომ მე სკოლების დაკეტასა ვცდილობ.

საკვირველია, მშიერს კაცს ეუბნებიან, ეცადე ბოზბაში იშოვნოო. ბატონო, ჯერ პური იშოვნოს და მერე ბოზბაშზედაც იფიქრებს. თუ არა, მანამ ბოზბაშს იშოვნის, იმას ნაწლეები გაეწურება, თან გადაჰყვება, მერე ველარც ბოზბაში უშველის, ველარც ბოზართმა. ჩვენ ახლა ამ მშიერ კაცის მდგომარეობაში ვართ, გვინდა ჯერ სამეურნეო ცოდნით კუჭი მოვიმაგროთ, მიწაზედ მაგრა ფეხი მოვიკიდოთ და მერე უნივერსიტეტის ცოდნით დავსტკბეთ, მეცნიერი კაცები შევიძინოთ. ეს, რაც მე დღეს მოგახსენეთ, სკოლის დაკეტას ნიშნავს, თუ სკოლის გაღებას? ორში რომ უკეთესი ავირჩიოთ, რა გასაკვირველია. მე რომ მითხრან, სერთუკის მაგიერ ჩოხა ჩაიცვი, უფრო მოგიხდებაო. განა ეს ჩემს სიკვდილსა ჰნიშნავს? ეს ის იქმნება, რომ სხვა სახეს მივიღებ. აგრეთვე იქმნებოდა სკოლის საქმეცა“.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<გაზეთის კორესპონდენტის მოვალეობა>

ტფილისი, 1 ივლისს

ხშირად გვესმის საყვედური, რომ გაზეთები ზოგჯერ ისეთს ამბებს ბეჭდვენ, რომელიც ნამდვილი არ არისო. ხშირად ეს მართალი არის, მაგრამ, ამ შემთხვევაში, დამნაშავენი რედაქციები კი არ არიან, არამედ ის ვაჟბატონები, რომელნიც აწვდიან ამბებს და თვითონ რედაქციები კი იმედოვნებენ, რომ საზოგადო საქმეში მხოლოდ საზოგადო ინტერესებით ჰხელმძღვანელობს კორესპონდენტი, და არა თავის კერძო სიმპატიითა და ანგარიშებით.

არ არის ცას ქვეშ ისეთი გაზეთი, რომლის შეცდომაში შეყვანა არ შეიძლებოდეს. შეცდომა ყოველგან შესაძლებელია და ზოგჯერ მისატევებელი, მაგრამ, როდესაც მომწერნი ამბისა განგებ და განზრახ ტყუილს იწერებიან — ეს კი აღარ ვარგა! გაზეთებს, ვინ იცის, რამდენი ათი ათასი კაცი კითხულობს, და ამას რატომ არა ჰფიქრობენ ზოგიერთნი მოამბენი, რომ რიცხვმრავალ საზოგადოების განგებ შეცდომაში შეყვანა, შავის თეთრად ჩვენება და თეთრის გაშავება — უკიდურესი დანაშაულობაა?!!

გაზეთს, რასაკვირველია, არ შეუძლია, რომ თითოეული მოწერილი ამბავი შეასწოროს, შეამოწმოს, გამოიძიოს და ნოტარიუსისაგან დამტკიცებული დაჰბეჭდოს. ამგვარს ჯაფას უზომო ხარჯიც დასჭირდება და თითქმის შეუძლებელიც იქმნებოდა. ამას გარდა, მოწერილს ამბავს ზოგჯერ დროებითი, წუთიერი მნიშვნელობა აქვს და, თუ დაგვიანდა მისი დაბეჭდვა, მაშინ ერთ ბისტათაც აღარ ეღირება.

ამ შემთხვევაში გაზეთი მთლად თავის კორესპონ-
დენტის ანაბარად არის, იმის კეთილსინდისიერობაზეა
დამყარებული. ხოლო ისეთი კორესპონდენტი, რომელ-
საც დაუმტკიცდება, რომ განზრახ მოუწერია ტყუილი
და უმართლო ამბავი, სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს
გაზეთის თანამშრომლობას, რადგან რედაქცია ერთს
სტრიქონსაც ვეღარ დაჰბეჭდავს იმის მოწერილს.

ერთმა, მაგალითად, კორესპონდენტმა მოგვწერა,
რომ ესა და ეს კაცი გარდაიცვალა და დიდის ამბით
დაასაფლავესო, მაშინ, როდესაც ვიკითხეთ მიცვალე-
ბულის ახლობლებში და აღმოჩნდა, რომ იმ კაცს
ფრჩხილიც არ წამოსტკივებოდა არამც თუ გარ-
დაცვალებულიყო. მეორემ მოგვწერა, რომ ამასა და
ამას გზაში დაუხვდნენ ავაზაკები და დასჭრეს სასიკ-
ვდილოდაო. აღმოჩნდა, რომ ამ ამბის მომწერს ვაჟბა-
ტონს მტკნარი სიცრუვე მოეწერნა. მესამემ მოგვწერა,
რომ ესა და ეს ცნობილი კაცი ამჟამად აქა და აქ
იმყოფებაო და იკვლევს ასეთსა და ასეთს საგნებსაო.
კარგია კიდევ, რომ ჩვენ ხელი ვიცანით ამ შენიშვნის
ავტორისა და მივხვდით, რომ კორესპონდენტი განზრახ
ცდილობდა, შეცდომაში შეეყვანა რედაქცია, რომ იმ
ცნობილს კაცს ფიქრადაც არ მოსვლოდა იქ წასუ-
ლიყო, სადაც კორესპონდენტმა ის გაამგზავრა რალაც
თავის კერძო ანგარიშებისათვის.

ეგ რად გინდათ. ხშირად ზოგიერთს კორესპონ-
დენტს, არ ვიცით, რა ანგარიშით, უყვარს გაზვიადება
რომელისამე ამბისა, ქება ერთისა და ძაგება მეორესი
უსაბუთოდ, საქმის გამოუძიებლად. ამისთანა მოამბეს
ჰგონია, რომ გაზეთის საქმეა აქოს და ადიდოს ივანე,
„ვაშა" უძახოს პეტრეს, ფიანდაზად გაეშალოს პავლეს:
ან სამარცხვინო ბოძზე გააკრას მიკირტუმა, გაჰ-
ლანძღოს მარტირუზა და თავლაფი დაასხას გეურქას.
ეს შემცდარი აზრია. გაზეთს სახეში აქვს და უნდა
ჰქონდეს ყოველთვის საზოგადო ამბავი, საქვეყნო გარე-
მოება, საერთო ტკივილი, ზოგადი ბოროტება. გაზეთს
შეუძლიან აქოს და ადიდოს მხოლოდ საერთო კეთილი
საქმე, საქვეყნო კეთილი დაწყობილება, კეთილი მის-
წრაფებანი და ებრძოლოს საერთო ბოროტებას,
საერთო სენს, ქვეყნის მჭამელას, საზოგადოების გამაწ-

ბილებელ, გამრყვნელ და დამამხობელ ზოგადს ვითარებას. მწერლობასა და ლიტერატურას ივანე და პეტრე კი არა ჰყავს სახეში, — მთელი კრებული, მთელი საზოგადოება, მთელი ქვეყანა და მისი ავი და კარგი აქვს, ანუ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული და ყოვლის ძალითა და ღონით საერთო კეთილს ესარჩლებოდეს. ხოლო ბოროტს ებრძოდეს, უმკლავდებოდეს.

შიმშილობაა, გვწერდა ერთი კორესპონდენტი, საქართველოს ამა და ამ კუთხეშიო. შიმშილობა, დამშევა ქვეყნის თუნდ ერთის კუთხისა დიდი უბედურებაა, დიდი განსაცდელი, დიდი რისხვაა და ამისთანა ამბის მოსაწერად სიფრთხილეა საჭირო. აღმოჩნდა ბოლოს, რომ ეს ამბავი გაზვიადებული იყო, მეტად შავისა და ბნელის ფერადებით აწერილი და მოუსავლობა, პურის ცოტა თუ ბევრი ნაკლებობა — დამშევად დასახული. ამა და ამ კაცმა ცუდი და მავნებელი ფქვილი გაჰყიდაო, ამან კი კარგი ფქვილი მოიტანა და ისე გაჰყიდა, როგორც თვითონ დაუჯდაო. ამას მოჰყვა ქება და დიდება ერთისა და მეორისა, ძაგება და ავად ხსენება მესამესი და მეოთხესი. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ქებულმა კი არ გაჰყიდა კარგი ფქვილი, არამედ ძაგებული ჰყიდდა და ჰყიდდა იაფად, იმ ფასად, როგორც დასჯდომოდა თვითონ და ქებულს უვარგისის ფქვილის გაყიდვისათვის პოლიციის ბოქაულმა ოქმი შეუდგინა, სამაზრო მკურნალმა გამოიკვლია და ყოვლად მავნებელი აღმოჩნდა მისგან გაყიდული და ერთმა სოფლის საზოგადოებამ განაჩენი შეადგინა, რომ ქებულისაგან ნაყიდ ფქვილით ხალხი ავად დახდა და კინაღამ დაიხოცა.

კიდევ ვიმეორებთ, გაზეთის მოამბეობა მძიმე და ყოვლად საფრთხილო, პასუხსაგებელი მოვალეობაა და ის, ვინც ტყუილს, გაზვიადებულს განზრახ შეთხზულს ამბებს იწერება, დიდს დანაშაულს სჩადის მთელის საზოგადოების წინაშე. გაზეთი კერძო ანგარიშებისა და პირადის ინტერესების ასპარეზად ვერ გადიქცევა. ჯერ პირადის ანგარიშების აყოლა კერძო კაცისათვისაც კი საძრახისია და მავნებელი, მის ღირსების შემბღალველი, და გაზეთმა ხომ არასოდეს ახლო არ უნდა მიიკაროს ამისთანა ანგარიშები და პირადობა. გაზეთის

ყოველი თანამშრომელი, მათ შორის, კორესპონდენტიც, ვალდებულია ეცადოს, გაზეთს ნდობა მოუპოვოს. გაზეთს ამშვენებს და სახელს უხვევს, სხვათა შორის, კრებული ისეთ თანამშრომელთა და მოამბეთა, რომელნიც, უპირველეს ყოვლისა, გარეშე პირადობისა და კერძო ანგარიშებისა, ემსახურებიან საზოგადო სიმართლეს, ჭეშმარიტებასა და ქვეყნის საერთო სიკეთეს. ეს არ უნდა დაივიწყონ ზოგიერთმა ჩვენმა კორესპონდენტმა და მოამბეებმა.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ქუთაისიდგან
(რედაქციის მიმართ)

ქუთათურები ვერ დაიკვეხებენ, რომ მათი არჩევანები, საზოგადოდ, საბანკო იქნება იგი, საქალაქო თუ სათავადაზნაურო, ჯეროვანის სიმშვიდით და წესიერებით ხდებოდეს. იშვიათად მომხდარა, რომ საზოგადო კრება, რომელსამე კანდიდატის ასარჩევად შემდგარი, არ გაეტაცნოს პირადობას, არ დაყოფილიყოს დას-დასად, ანუ, როგორც ქუთაისში ამბობენ, პარტიებად და არ მიმხრობოდეს ან ერთს ან მეორე კანდიდატს იმნაირის მოსაზრებით და ხანდახან, ღმერთო შეგცოდე, იმ ანგარიშით, რომელსაც არავითარი ალაგი არ უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეში.

მხოლოდ ერთი ღირსშესანიშნავი დღე გვახსოვს ქუთაისის არჩევანებისა. ეს ის დღე იყო, როცა გუბერნიის წინამძღოლად ირჩევდნენ დაუვიწყარს განსვენებულს დ. ყიფიანს, მაშინ კი ცხადად ეტყობოდა, რომ მთელი კრება გამსჭვალული იყო ერთის მაღალის აზრით და გრძნობით. კრებამ მაშინ დააფასა და მადლობა გადუხადა უანგაროს და ქვეყნისათვის თავდადებულს მხცოვანს მოლვაწეს. მას შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენ არ შევსწრებივართ იმნაირ არჩევანებს. ნაცვლად ამისა მოწმედ გავხდით, ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მაინც, იმნაირის უწესო და ურიგო არჩევანებისა სათავადაზნაურო ბანკში, რომელნიც გულს უკლავენ ყოველს კეთილგონიერს ადამიანს და თითქმის იმედს სპობენ, რომ კარგი მომავალი იქნას ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენ მოგახსენებთ ბ-ნ ჩიკვაიძის ბანკის მმართველად არჩევაზე. ამ სამი წლის განმავლობაში ბ-ს ჩიკ-

ვაიძეს მეხუთედ უყრიან კენჭს (!!!) და მერე რა ამბით! შეჯახება, პარტიების უკიდურესად გამწვავება, და ბოლოს ამბოხება; მამა ძმას და მამა შვილს გადაჰკიდებია, ნათესავი ნათესავს და მაზრა მაზრას. ორჯელ კრება დაშლილ იქმნა ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან ამბოხებისათვის!

ვინ, ან რა არის ამის მიზეზი, ამის გამოკვლევას ეხლა არ შევუდგებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ ამნაირი არჩევანები დიდად მავნებელია ქვეყნისათვის. ყოველი კაცი, ვისაც გული შესტკივა ჩვენის ისედაც დაცემული ქვეყნისათვის, მოვალეა, ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ როგორმე ბოლო მოეღოს ამნაირ სამწუხარო მოვლენას. ყოველი კეთილგონიერი კაცი გრძნობს, რომ საზოგადოება, რომელიც ეხლა ორ ბანაკად არის გაყოფილი და სასტიკ ბრძოლისათვის გამზადებული, დაღალულია ამდენ დავიდარაბით. საერთო სურვილია, რომ, რაც შეიძლება მალე, მოეღოს ბოლო ამ უსიამოვნებას.

მკითხველთ უკვე უწყიან, რომ ნათესავთა და ნაცნობთა დიდის თხოვნის შემდეგ თავ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე დასთანხმდა კენჭი იყაროს ქუთაისის ბანკის თავმჯდომარის ადგილზე, თუ მართლა ამორჩეულ იქნა იგი ზემოხსენებულ თანამდებობაზედ, რისიც სრული იმედი გვაქვს, რადგანაც თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძეს ორივე ბანაკი ერთგვარად სცემს პატივს, მაშინ ეჭვი არ არის, ქუთაისის ბანკის საქმეებს მშვიდობიანობა ეღირსება.

თ. კ. ლორთქიფანიძე ეკუთვნის ჩვენ მოღვაწეთა იმ მოწინავე გუნდს, რომელიც აღიზარდა რუსეთის სამოცწლების ბრწყინვალე დროის იდიალებზედ. ამ გუნდმა შეისისხლხორცა იმ დროის საუკეთესო აზრები და გრძნობები და შემდეგ მედგრად მიჰყო ხელი ჩვენ მიძინებულ ქვეყნის ფეხზე წამოყენებას.

თ. ლორთქიფანიძე დიდხანს დარჩა პეტერბურგში, საცა სწავლობდა მას შემდეგაც, როცა მისი ამხანაგები დაბრუნდნენ სამშობლოში. იგი ხელს უწყობდა და გზას უჩვენებდა იქ ახალმისულ ჩვენს ახალგაზდობას. ჯერ კიდევ პეტერბურგშივე გამოსცა ჩვენი საუკეთესო მწერლების ლექსთა კონა — „ჩონგური", რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის სიამოვნებით მიიღო ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ. „ჩონგურში" დაბეჭდილი ზოგიერთი რუსულიდამ ნათარგმნი ლექსები ეკუთვნის თვით თავ. ლორთქიფანიძეს.

როცა ტფილისში დაბრუნდა, მიიღო მონაწილეობა ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეებში. ჯერ თთვიურს ქართულ გამოცემის „კრებულის" რედაქტორად იყო, მერე ცოტა ხნით „დროების" რედაქტორად და შემდეგ ქუთაისში დიდ მონაწილეობას იღებდა „შრომის" რედაქტორობაში. და ახლაც ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს! ბანკის ზედამხედველ კომიტეტში ერთ დროს წევრად იყო, თუმცა შემდეგ წევრობას თავისი ნებით დაანება თავი. ქალაქის საბჭოში რამდენჯერმე ხმოსნად იყო არჩეული; სააზნაურო სკოლის კომიტეტში დაარსებიდამ წევრად ითვლება და დიდ მზრუნველობას უწევს ამ სკოლას. აქაურ საურთიერთობო ნდობის საკრედიტო საზოგადოებაში დაარსებიდამ დღემდე მმართველობის წევრად არის, სადაც ყოველ არჩევანებზედ ერთხმად ირჩევენ. საზოგადოებაში მას აქვს მოხვეჭილი სახელი უანგარო და შრომის მოყვარეობის კაცისა და ბანკის საქმის მცოდნესი.

მგონი, მეტი არ იქნება აქ მოვიხსენიოთ ერთი თვისება თავ. კ. ლორთქიფანიძისა, მას არ უყვარს საზოგადო საქმეში გამოჩენილის ადგილის დაჭერა, იგი მეტს სიამოვნებას გრძნობს, საცა მას მოეთხოვება მეტი შრომა და გარჯა. ამას წინად, მაგალითებრ, როცა ქუთაისის საურთიერთობო ბანკის მართველის ალაგი დაიცალა, საზოგადოებამ მრავალგზის სთხოვა მას ეს ადგილი დაეჭირა, მაგრამ არ დასთანხმდა.

[1893 წ.]

<ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი>

ტფილისი, 17 ივლისი

ბევრმა მაგალითებმა წინადაც და ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანების ღირსსახსოვარმა ამბებმა თვალნათლად დაგვანახვა, რომ ცხოვრების მოედანზე ძლიერი ისა ყოფილა, ვინც მდიდარია, და მდიდარიც იგია, ვისაც ბევრი ფული ჰქონია. რა თქმა უნდა, მეცნიერებისაგან გამოკვლეული სიმდიდრე სულ სხვა არის, მაგრამ კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოდ მარტო ფულია და სხვა არა რა. დღეს ველარავინ იტყვის, რომ ამ კაცს ბევრი პური და ბევრი ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო გულში უსათუოდ ფულად განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი.

ხოლო გულში განაღდებული, გულში ფულად ქცეული ჯერ კიდევ შორს არის მართალ განაღდებაზე, მართალ ფულად ქცევაზე. სამწუხარო ის არის, რომ პურიდამ და ღვინიდამ ფულამდე დიდი და გასაჭირი მანძილია იმისთვის, ვისის ოფლითა და გარჯით მოპოებულია იგი პური, იგი ღვინო. იგი ფულის პატრონიც, რომელსაც პური უჭირს საჭმელად და არა გასასყიდად, ამავე დიდს მანძილზეა შორს პურის პატრონზე.

ეს გარემოება, ეს ერთმანეთზე დაშორება ცალკე პურის პატრონისა, რომელსაც ფული უჭირს და ცალკე ფულის პატრონისა, რომელსაც პური უჭირს, მიზეზია იმისი, რომ შუაკაცი სჩნდება და იგი ერთისაგან პურსა ჰყიდულობს, რომ მეორეს მიჰყიდოს. ამ

ყიდვა-გაყიდვაში იგი ერთსაც ახდევინებს გასამრჯელოს და მეორესაც.

კარგია, თუ ეს გასამრჯელო, ეს ფეხის ქირა, სინიდისიანია. ხოლო, რადგანაც ბუნება ვაჭრობისა, აღებმიცემობისა იმაშია, რომ რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და მეტად გაჰყიდოს, ამიტომაც ბოლოსდაბოლოს ასე გამოდის ხოლმე, რომ გამრჯელს შრომის ფასი ძლივ ეძლევა და პურის მსურველს ნამეტანობით ერთმევა, და ამ სახით დიდი ლუკმა სხვის ნაშრომ-ნაამაგარისა ჰრჩება იმას, ვისაც ხელიც არ გაუნძრევია საშრომ-საამაგოდ და მარტო შუამავლობა გაუწევია. ეს ლუკმა იმოდენად მეტია ხოლმე, რამოდენადაც გაჭირებულია ფულისათვის ერთის მხრით გამრჯელი, და პურისათვის მეორეს მხრით პირდაპირი მხარჯველი.

ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით, და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველ იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველდღეო ცხოვრებისათვის. როგორც გამსყიდველნიც ვზარალობთ, რომ უფულობა გვაიძულებს იეფად გავყიდოთ, და როგორც მსყიდველნიც, იმიტომ რომ სასყიდს ძვირად ვყიდულობთ, და იმოდენად ძვირად, რამოდენადაც სასყიდი საყოველდღეო ცხოვრებისათვის საჭიროა.

ამ სახით ვაჭრების ხელში იმ ყოფითა ვართ, რომ ერთს ტყავს ორგზით გვაძრობენ. ესეთი ყოფა ჩვენ ორგზით გვაკლებს და ჩვენს ვაჭრებს ორგზით ჰმატებს. ქართველობამ ამ ბოლოს ხანებში დააჯერა გული, რომ ამ ყოფით დგომა ცხოვრების მოედანზე შეუძლებელიღაა, რადგანაც მოასწავებს დედამიწის ზურგიდამ აგვას, თუ წამალი რამ არ დაიდვა და თუ ისე არ მოაწყო საქმე, რომ ამ გაჭირებიდამ თავი დაიხსნას.

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირებამ თვალი აუხილა ქართველობას თავის ყოფაცხოვრებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე

ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ.

ეს კახეთის რკინისგზა, ეს ღვინის საქმე კახელებისა, ეს ხშირი ლაპარაკი ჩვენში, რომ კახელების ღვინის საქმის მაგვარ უნდა მოეწყოს ქართლის პურის საქმეცა და იმერეთის სიმინდისაო, ეს არანაკლებ ხშირი მითქმა-მოთქმა, რომ საადგილმამულო კრედიტის გარდა, სხვა მოკლევადიანის კრედიტის დაარსებაც საჭიროა ჩვენთვისაო, ეს სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის საერთო ფულის შედგენა გლეხობისაგან, და ფიქრი და ლაპარაკი თავადაზნაურობაში, რომ ამისთანა რამ ამათაც შეადგინონ, — ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე დღეს ყოველს, თუნდ ცოტაოდნად მიხვედრილს და გაგებულს ქართველს, ენაზე აკერია, ყველგან ამაებზე ჰლაპარაკობენ და ჰბჭობენ და ზოგნი კიდეც შესდგომიან სიტყვა საქმედ აქციონ. ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და იმედია, რომ იგი ბოლოსაც გაატანს. რადგანაც სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა.

1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<მიწადმოქმედის ორგვარი გაჭირება>

ტფილისი, 2 აგვისტო

მიწადმოქმედს, ხვნა-თესვის, ვენახისა და სხვა ამისთანას მიმდევარს ორგვარი გაჭირება აქვს თავის საქმის კარგად მოწყობისა და წარმატებისათვის. ერთგვარი გაჭირება იმისთანა ბუნებურ თვისებისაა, რომ ხანგრძლივად ფულის დაბანდებას თხოულობს სახარჯოდ და ამასთან დახარჯული ფული ერთბამად კი აღარ უბრუნდება, არამედ ნაწილ-ნაწილ იმოდენა ხნის განმავლობაში, რომ ან ნაწილ-ნაწილობით მობრუნებულმა ფულმა თავნი და სარგებელი დახარჯულისა ააყენოს და მიწადმოქმედსაც თავისი მოგება რამ მისცეს. მაგალითებრ, მიწის განკარგებას, მის ნაყოფიერების და მომცემის ძალის გაძლიერებას, ახოს გამოღებას, ვენახის გაშენებას და სხვას ამისთანას კარგა ხარჯი უნდა და დიდი დრო, რომ ნამოქმედარმა თავნი და სარგებელი დაუბრუნოს მომქმედსა ნაწილ-ნაწილ მაინც.

ამგვარს სამუშაოსათვის მიწადმოქმედს ან თავისი საკუთარი ფული უნდა ჰქონდეს, ხანგრძლივად თავისუფალი და სხვა საჭიროებისაგან მოცლილი, ან სხვის ფული უნდა ისესხოს ხანგრძლივის ვადითა, ნაწილ-ნაწილ მოსაშორებელი.

ამგვარს სესხს იძლევა ერთგვარი კრედიტი, რომელსაც საადგილმამულო კრედიტს ეძახიან და რომელიც ისეა მოწყობილი, რომ ხანგრძლივიც არის და ნაწილ-ნაწილად მოსაშორებელიც. ამგვარი კრედიტი უკვე დიდი ხანია არსებობს რუსეთის იმპერიაში და ამ კრედიტის ბანკები საადგილმამულო ბანკები არიან. ამ

მხრით ერთგვარი გაჭირება მიწადმომქმედისა, ასე თუ ისე, იოლად მიდის რუსეთში.

ხოლო მეორეგვარი გაჭირება მიწადმომქმედისა, რომელიც დღემუდამ ფულსა თხოულობს საყოველდღეო რჩენისა და მუშაობისათვის და რომლის ხანაც მარტო მოსავლიდამ მოსავლამდეა, სრულიად უნუგეშოდ იყო დარჩენილი ამ ბოლოს დროებამდე. ამ მოსავლიდამ მოსავლამდე წარმოება მიწადმომქმედისა იმისთანაა, რომ ხარჯს თავის თავნ-სარგებლიანად და მოგებით ერთის წლის განმავლობაში უბრუნებს ერთიანად და არა ნაწილ-ნაწილ. ამიტომაც მიწადმომქმედს თვითონ მისი წლიური წარმოება ღონისძიებას აძლევს დახარჯული წლიურ წარმოებისათვის ფული ერთის წლის განმავლობაშივე თავის თავნ-სარგებლით და მოგებით დაიბრუნოს. თუ რამ განსაკუთრებული უბედურება არ ეწვია, მაგ. ცეცხლი, კალია, სეტყვა და მებრვე სხვა. ამგვარს გაჭირებაში ხელის გასამართავი მოკლევადიანი კრედიტია, რომლის თვისებაც ის არის, რომ მოკლე ხნობით იძლევა სესხად ფულს იმ პირობით, რომ ერთხანად და ერთბაშად ფულის პატრონს თავის ვადაზე დაუბრუნდეს.

ამისთანა კრედიტი ჰქონდათ დღეს აქამომდე ვაჭრებს, იმიტომ რომ ვაჭრობის საქრიალებელი ხანა მოკლევადიანია და ექვსისა თუ ცხრა თვის განმავლობაში თავნი და სარგებელი თავის მოგებით უკუვ ბრუნდება და ამით ვაჭარს ღონე ეძლევა ნასესხი ფული გაუჭირებლივ მოიშოროს თავის თავნითა და სარგებელით. ამისთანა კრედიტს აწარმოებენ ეგრედწოდებული საკომერციო ბანკები, ანუ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებანი. აქ ვადა სესხისა ან ექვსი თვეა, ან ცხრა, და იმ პირობით, რომ თავნი ვადაზე ერთბაშად გადასახდელია და არა ნაწილ-ნაწილ.

მეორეგვარი გაჭირება მიწადმომქმედისა ამისთანავეა, როგორც ვაჭრისა, ხოლო მიწადმომქმედს, როგორც ზემოდა ვთქვით, ამ გაჭირების შესაფერი კრედიტი ამ ბოლოს დრომდე არა ჰქონია. ვაჭარს შეეძლო და დღესაც შეუძლიან თავისი სავაჭრო საქონელი დაუგირავოს მოკლევადიანი კრედიტის ბანკს და ფულით ხელი გაიმართოს. მიწადმომქმედი კი, ბევრი პური,

ქერი და სხვა ამისთანა ნაამაგარიც რომ ჰქონდა, ვერც ერთს ბანკში ამაების დაგირავებით ხელს ვერ მოინაცვლებდა. ამ სახით პური, ქერი და სხვა ამისთანა ნაამაგარი მიწისმომქმედისა თითქო სავაჭრო საქონლად არ იყო ცნობილი, ვიდრე მიწადმომქმედის ხელში იყო, თითქო ბაზარში თვითვეულს ამასა თავისი ფასი და გასავალი არა აქვს. ეგრე უნუგეშოდ დარჩენილი ნაამაგარი მიწადმომქმედისა, ვიდრე გაიყიდებოდა, არაფრად გამოსადეგი იყო გაჭირებულ პატრონისათვის, რომელიც უფულობის გამო იძულებულ იყო ან ჩალის ფასად გაეყიდნა, ან მამასისხლად ფული სადმე ესესხნა, რადგანაც უფულობის გამო თავისი წლიური წარმოება უნდა შეეყენებინა, თუ ფულს საყოველდღეო სარჩენად და სამუშაოდ ვერ იშოვიდა.

როგორც ეტყობა, ამ უნუგეშობას მიწადმომქმედისას მთავრობამ ამ ბოლოს დროს ყური ათხოვა და მის აცილებას შესდგომია. 26 მკათათვეს დეპეშამ გვაცნობა, რომ უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო ბანკს ნება დართვია კერძო საკომერციო ბანკებს სესხად ფული აძლიოს პურზედ გასაცემად. კერძო ბანკები მოვალენი არიან აძლიონ სესხად ფული შესუქებულ სარგებლითა და ამისათვის უფრო დიდი ბაზრები პურის ვაჭრობისა ორ რიგად განყოფილ უნდა იყვნენ: პირველ რიგის საბაზრო ადგილას 5 $^1/_2$ სარგებელი უნდა ახდევინონ სესხის ამღებს და მეორე რიგისას 6%. იმ ადგილებში, სადაც პურის ვაჭრობა ეგრე დიდი არ არის, შესაძლოა მეტის სარგებლის ხდევინებაც სესხის ოპერაციისათვის სახარჯის მიხედვითა. სესხად უნდა ეძლეოდეს არანაკლებ იმ ფასის ნახევრისა, რამოდენადაც ადგილობრივ იყიდება მიწის ნამუშავარი. სესხის ვადა დანიშნულია ცხრა თთვეზე არა მეტი. გარდა ამისა, ბანკებს ნება დართვიათ გაუხსნან კრედიტი ვექსილებითაც მიწადმომქმედთ, მიწათმფლობელთ, მიწათმოიჯარადრეთ და ვაჭრებს იმ სახით, რა სახით იმართება ხოლმე განსაკუთრებული მომდინარე ანგარიში (специальный текущий счёт).

ამგვარი კრედიტი დიდი ნუგეშია მიწადმომქმედთა და მიწათმფლობელთათვის. ჩვენ არ ვიცით, ამ ახალს წესს კრედიტისას ჩვენშიაც მიეცემა ადგილი თუ არა.

სანატრელია, რომ ჩვენმა მარშლებმა იშუამდგომლონ, რომ ეს ფრიად საჭირო კრედიტი ჩვენშიაც მიღებულ იქმნას.

მარტო ამ მხრით არ არის ჩვენში ესგვარი კრედიტი მეტად სასურველი. ძირეული საფუძველი ამგვარის კრედიტისა იმედს გვაძლევს იმისას, რომ შესაძლოა ჩვენ თვითონ გავიმართოთ იმისთანა მოკლე-ვადიანი კრედიტის ბანკი, რომელიც ლონეს და სახსარს მოგვცემს ჩვენს უკრედიტობით გაჭირებას წამალი რამ დაედოს. თუ მთავრობამ საჭიროდ დაინახა, ფული აძლიოს სახელმწიფო ბანკიდამ კერძო საკომერციო ბანკებს პურზე გასაცემად, ჩვენ რატომ აღარ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მაგ წყალობას ჩვენზედაც მოიღებს, თუ ცალკე საკრედიტო დაწესებულებას რასმე მოვიხერხებთ და შევიფერებთ ამ ახალს წესს. დღეს აქამომდე, თუ გვაბრკოლებდა რამ ამ გზაზე — ეგ უფულობა იყო. ეხლა თუ მიწის ნამუშავარზედ გასაცე-მად სახელმწიფო ბანკი ფულს მოგვანდობს, ეგ უმძიმესი დაბრკოლება აცილებული იქნება.

დღეს ხშირი ლაპარაკია ჩვენში, რომ ერთი იმის-თანა საკრედიტო დაწესებულება ავირჩიოთ, რომელიც ზემოდ ხსენებულს მეორე გაჭირებას მიწადმომქმედისას როგორმე გაუძღვეს. ამას დიდი ფული უნდა ძირის ფულად, რომ მის თავდებობით სხვა თავისუფალი და წარმოებისაგან მოცლილი ფული მოიწვიოს კრედიტის სამოქმედოდ. ამ დიდს ფულს ჩვენ ძნელად სადმე ვიშოვიდით და ამიტომაც ყოველი ლაპარაკი მოკლე-ვადიან საკრედიტო დაწესებულების ასაჩენად ამ დაბრკოლებას უნუგეშოდ ზედ წააწყდებოდა და ვერასგზით გვერდს ვერ აუქცევდა ხოლმე. ეხლა კი, რაკი სახელმწიფო ბანკმა თავისი კარი გაულო ამგვარს გაჭირებას და ფულით ხელის გამართვა შესაძლოდ დაინახა, ადვილად საფიქრებელია, რომ ამ მხრით ჩვენც გზას გავიხსნით, თუ საკმაოდ ხერხს და ბეჯი-თობას გამოვიჩენთ.

ესეა, თუ ისე, ამ ახალს და ფრიად სანუგეშო გა-რემოებას კარგად ჩაფიქრება, ცოდნით და გონიერებით ხელის მიწვდენა უნდა ჩვენის მხრით და ჩვენ ესეც გვგონია, რომ ჩვენი სურვილი მოკლევადიან საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედიტო დაწესებულებისა ამ ახლად დადგენილ წესში მოიპოვებს თავის გზას განხორციელებისას. ამ მხრით ეს ახალი წესები დიდად საყურადღებონი არიან ყოველ იმათთვის, ვინც ჰფიქრობს და ჰზრუნავს მოკლევადიან კრედიტისათვის ჩვენში ჩვენდა გამოსაყენებლად.

[1893 წ. 2]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხთა კათალიკოზი მკრტიჩ I

დღეს ჩვენს ქალაქში მოელიან სომეხთა პატრიარქ-კათალიკოზს მკრტიჩ I-ს.

ახალს მწყემსთმთავარს, რომელსაც წინ უძღვის ავტორიტეტი მაღალის წოდებისა და მრავალი პირადი ღირსება, მოელის დიდი და ნაყოფიერი შრომა თავის სამწყსოსათვის.

დიდია და მძიმე ტვირთი კაცისა, რომელსაც მოიწვევს ერი უპირველესს და დიდხარისხოვან თანამდებობაზე არჩევითა და მიანდობს შუამდგომლობას წინაშე ღვთისა და კაცისა!

მაგრამ სომეხთა კათალიკოზს თამამად შეუძლიან იტვირთოს ასეთი მძიმე საქმე, რადგანაც მთელი ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ საპატიო გვამისა სავსეა მაგალითებით, რომ იგი დიდის გაგებითა, ცოდნითა და სიყვარულით მოუვლის თავის სამწყსოს, მოუვლის მისს სულსა და ხორცს.

1876 წელს მიჰმართა მამა ხრიმიანმა სომხის სამღვდელოებას დარიგებით, რომელშიც თავისებურის აღტაცებით და ძლიერებით უქადაგებდა ქრისტეს მცნებას და რაც ამ წმინდა მოძღვრებას ეწინააღმდეგებოდა, სცდილობდა აღეგვა და გაექარწყლა. ამ სიტყვაში პატივცემული მქადაგებელი მხნედ შეებრძოლა და უარჰყო ცხოვრების უსამართლობა და ცრუმორწმუნოება.

ეხლა ვნახოთ ისიც, თუ როგორ ესმის სომეხთა მწყემსთმთავარს, თავის საქალაქო მოვალეობაც. როდესაც სტამბოლელ სომეხთა 1868 წ. ჰაირიკ ხრიმიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აირჩიეს პატრიარქად; მაშინ ახალმა მოძღვარმა ამ სიტყვებით მიჰმართა შეკრებილს ხალხს:

„ვიცი, რომ მძიმე ტვირთი მიკისრია. კარგად ვიცი, რომ, როდესაც აშლილ საქმეების რიგზე მოყვანას დავიწყებ, ის ხალხი, რომელიც ეხლა მე „ოსანას" მეძახის, აუცილებლად ჩემზე ღაღადს დაიწყებს: „ჯვარს აცვით იგიო".

ახალმა პატრიარქმა ბრძანება მიუწერა ყველა ეპარქიის უფროსებს სახელმძღვანელოდ. ხალხის მიმართ ხრიმიანი ამ სიტყვებით მიიქცეოდა: „გამოფხიზლდი, კმარა, გამოდი სიზარმაციდამ, თუ გინდა საუკუნეებით შეჩვეულს უბედურებას თავი დააღწიო. მაგალითი აიღე მოწინავე ხალხისაგან და იმათ კვალზე მიდი. გარს მიმოიხედე და დაინახავ, რომ ყველანი დავრდომილობისაგან განკურნებულან და ახალს ცხოვრებას მისდევენ. მხოლოდ შენ დამჯდარხარ და მწარედ თვალცრემლიანი გაიძახი შემწეობასა. არ გექმნება ამ სოფლად შველა, ნუ მოელი ამას, ნურც თავს ინუგეშებ ტყუილის იმედებითა. შენ თვითონ უნდა შეიქმნე შენი თავის მშველელი. მაშ იმოქმედე!" სამღვდელოებას ამ სიტყვებით მიმართა: „მოუარეთ ხალხსა და მდიდრულ, ფუჭ ცხოვრებას მოაშორეთ. უქადაგეთ მოქალაქეებს, რომ ხელობა შეისწავლონ, შეადგინონ სამრეწველო საზოგადოება-ამხანაგობანი. გლეხებს უთხარით, რომ უყვარდეთ სამშობლო მიწა, ეკკლესია, სკოლა და განათლება".

აი, როგორ და მხნედ ასრულებს სომეხთა კათალიკოზი თავის მოვალეობას.

[1893.]

დროგადასრული სისტემა

ტფილისი, 25 სექტემბერი

ყოველის მხრით ისმის, რომ წლევანდელი მოსავალი პურისა თუ სიმინდისა მეტად ნაკლებიაო. როგორც ამიერ, ისეც იმიერ საქართველოში. თუ ეს ნაკლებობა მართალია, ჩვენებურთ მკვიდრთ გაუჭირდება თავისი თავი და ცოლ-შვილი გამოჰკვებოს და იქნება ამ გაჭირებამ ზოგიერთგან გამოიწვიოს შიმშილიც მთელის თავისი უბედურებითა.

ამისთანა ამბავმა არ შეიძლება ადამიანის გონება არ მიახედოს იმას თუ, რა გზა და ღონეა საჭირო, რომ ხალხს საშველი რამ გაუჩინოს და ამისთანა უბედურება, როგორც შიმშილობაა, რამოდენადაც შესაძლოა, თავიდამ ააცილოს და აატანინოს ხოლმე.

შიმშილობაში საშველი საქმე ხალხისა ერთი უმძიმესი საგანია სახელმწიფოს მართვისა და გამგეობისა და თუმცა ჩვენს სახელმწიფოშიაც დიდი ხანია შემოღებულია ერთგვარი წყობილება, რომელსაც საგნად აქვს შიმშილობაში შველა გაუწიოს ხალხსა, მაგრამ იგი საგანი, ჩვენის ფიქრით, ცალმხრივ არის დანახული და ამის გამო ცალმხრივათაც მიმართული. აწ მომქმედი კანონები ხსენებულის საქმისა მთლად მიმართულია იმაზე, რომ მაშინ მიაწოდოს ხალხს სესხად თუ სასყიდლად პური, როცა უკვე ეწვევა უბედურება შიმშილობისა, ესე იგი, უწამლოს მაშინ, როცა სატკივარი უკვე მოსულია და არასფერს თავს იდებენ, რომ თვით სატკივარს გზა გაჩენისა მოუსპონ, რამდენადაც ეგ ადამიანის ხელთ არის.

ამ უმძიმეს და დიდს საქმეს სახელმწიფო გამგეობის მზრუნველობისას რომ კაცმა მთელს მის სიგრძე-სიგანეზე თვალი გაუტაროს, დაინახავს, რომ ამ საქმეს ორი არსებითი მხარე აქვს, რომელთაც სულ სხვადასხვანაირი და ცალ-ცალკე ღონისძიება და საშუალება უნდა შეერჩიოს. შიმშილობა, როგორც მოგეხსენებათ, შედეგია მოუსავლობისა. პირველი ითხოვს ეგრედწოდებულს პალლიატივურ წამალს მოსპობისას (пресечения) და მეორე რადიკალურს წამალს წინსწრებისას (предупреждения).

ეხლანდელი სისტემა შიმშილობაში საშველ საქმისა მთელს მზრუნველობას და გარჯას სახელმწიფოსას და ერისას ზედ ალევს პირველგვარს წამალსა და იმითი იჩენს თავს, რომ აგროვებს და ინახავს ან ფულად, ან ხორბლად სათავნო, რომელიც უქმადა დევს იმ დრომდე, ვიდრე შიმშილობა არ ჩამოვარდება. ღონისძიებანი კი წინსწრებისა, ესე იგი იმისთანანი, რომელნიც ან სრულად ჰსპობენ, ან იშვიათად ჰხდიან თვით მოუსავლობას ამ ერთადერთს მიზეზს შიმშილობისას, სრულად უყურადღებოდ, შეუნიშვნელად და ხელშეუწყობლად დატოვებულნი არიან აწ არსებულის სისტემისაგან.

უფრო ძირეული წამალი კი, ჩვენის ფიქრით, ამ უკანასკნელ ღონისძიებაშია. შიმშილობა არ იქნება, თუ მოუსავლობა არ არის. მოუსავლობა კიდევ განიდევნება სრულად, ან გაიშვიათდება მაშინ, როცა მიწადმოქმედებას მოეშველება ცოდნა და ფული გასაძლიერებლად და დაყენებულ იქნება თავის შესაფერს გზაზედ. ერს ჯერ ხომ ძნელად მოევლინება მოუსავლობა და მერე, ქონებით გაღონიერდება, მოაგროვებს ქონებურს და ზნეობურს ძალ-ღონეს კაი წლების ნამეტანობისაგან და იმ იშვიათ შემთხვევისათვის, როცა გაჭირება მოუსავლობისა მაინცდამაინც ეწვევა, წელგამაგრებული დახვდება.

ეხლანდელ დროში უპურობა კი არ არის მიზეზი დამშევისა, სასყიდელის უქონლობაა. წარსულმა შიმშილმა რუსეთში ცხადად დაგვიმტკიცა, რომ იგი წარმოსდგა იმისაგან კი არა, ვითომც იმპერიაში პური არ ყოფილიყო, არც პურის მეტისმეტ სიძვირისაგან, რადგ-

ნაც თვით მოუსავლობით დაჩაგრულ გუბერნიებში ფუთი იყიდებოდა ექვს აბაზ უზალთუნიდამ შვიდ აბაზ უზალთუნამდე, არამედ იმისგან, რომ ერს არ ჰქონდა ილაჯი სყიდვისა, არა ჰქონდა შეძლება, ღარიბი იყო.

ეხლანდელ დროში, როცა კაცობრიობამ ამისთანა ადვილი მისასვლელ-მოსასვლელი გზები გაიკეთა, შორს დარჩა იგი უნუგეშო ყოფა, როცა შიმშილობა წარმოსდგებოდა ადგილზე პურის უქონლობისაგან, ან იმის გამო, რომ შეუძლებელ იყო დროზედ გამოტანა სხვა მოსავლიან ქვეყნებისაგან. ამ მიზეზით, რაც გინდ ძლიერი ღონე ჰქონებოდა ერს პურის სყიდვისათვის, იგი ეძლეოდა მთელს ტანჯვასა და წვალებას იმისთანა აუტანელ ჭირისას, როგორიც შიმშილია. ეხლა კი როცა უზარმაზარი საპალნეები გადააქვთ და გადმოაქვთ ადვილად, გაუჭირებლად და მალე, როცა თუ გინდ ამერიკიდამ სამ-ოთხ კვირაში მთელს ზღვას მოადენენ პურისას საქართველოში, მკვიდრთა სყიდვის ღონემ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიიღო ერის შიმშილობაში საშველ საქმეში.

ეხლანდელ დროში შიმშილმა შესაძლოა თავისი შემმუსვრელი ღონე გამოიჩინოს მარტო მაშინ, როცა პური არის და არ არის შეძლება სყიდვისა და არა მაშინ, როცა შეძლებაა სყიდვისა და თვით პური არ არის. ამ სახით ეხლანდელ დროს შიმშილი ვერ აიხსნება მით, რომ ადგილზე ნაკლებობაა პურისა, რადგანაც, თუ გაჭირდა, პურს საიდამაც გნებავთ მოიტანენ ხანდაუყოვნებლივ, არამედ მით, რომ ილაჯი არ არის სყიდვისა. ამიტომაც აწინდელი შიმშილობაში საშველ საქმის სისტემა, რომელიც აგებულია მასზე, რომ ადგილზე წინად მოგროვილი პური მზად იქონიოს მალაზიებში, ჰკარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას, განსაკუთრებულ და უმთავრეს საჭიროებისას.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<სასარგებლო საბანკო კრედიტისათვის>

ტფილისი, 28 სექტემბერი

გუშინ ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო, რომ თურქესტანის გაზეთი „Окраина" დიდს სიძვირეს კრედიტისას იწერება სათურქესტანოში და ითხოვს ან ტფილისის თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკმა, ან ქუთაისისამ თვისი მოქმედება ამ მხარეზედაც გადმოიტანოსო. ჩვენის ფიქრით, ურიგო არ იქნება ჩვენებურმა სათავადაზნაურო ბანკებმა ამ ამბავს თავისი ყურადღება მიაქციონ და შემდეგ საფუძვლიანად მოფიქრებისა და საქმის გამორკვევისა, იშუამდგომლონ, საცა ჯერ არს, რომ დართონ ნება თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროშიაც სესხი აძლიონ.

რა თქმა უნდა, ჯერ მინამდე საქმე აქამომდე მივა, დიდად საჭიროა იქაური ვითარება მამულის მფლობელობისა, სოფლად თუ ქალაქებში, კარგად გამოირკვას და იქავ ადგილას შესწავლულ იქმნას, ამასთანავე დიდადვე საჭიროა იქაური ეკონომიური ყოფაცხოვრება და მდგომარეობაც რიგიანად და საფუძვლიანად გამოკვლეულ იქმნას.

თუ ყოველივე ეს გამოსარკვევი და გამოსაკვლევი, ხელს შეუწყობს ჩვენს ან ერთს, ან მეორე ბანკს, სხვა ყოველი, ჩვენის ფიქრით, ადვილად მოსახერხებელია, გამგეობა, მაგალითებრ, იქაურ საქმეებისა შესაძლოა მიენდოს ერთერთს წევრს გამგეობისას, რომელიც მუდამ იქ უნდა იმყოფებოდეს, ამ გამგე-წევრთან ერთად უნდა იყოს ერთი, ან ორი დამფასებელი, იმის და მიხედვით ბევრი, თუ ცოტა საქმე იქნება; ესენი შეამზადებენ საქმეს, გამოუგზავნიან გამგეობას

ტფილისში, თუ ქუთაისში და აქ საქმე იგი მიიღებს დანარჩენ მსვლელობას. სახელდობრ, აქ განიხილება ღირებულობა დასაგირავებელ მამულისა, აქ დამტკიცდება ფასი, აქ გადაწყდება რაოდენობა სესხისა და გაიგზავნება საკრედიტო კანცელარიაში გირავნობის ფურცელთა დაბეჭდვის ნებადასართველად. ფულის გაგზავნა-გამოგზავნა შესაძლოა ბანკების შემწეობით, აგრეთვე ფოსტითაც.

ჩვენ ესე გაკვრით შევეხევით „Окраина"-ს მიერ დასახელებულ საქმეს და იქნება ზოგიერთს საგანს, რომელიც ჩვენ გვეადვილება აწ, რაიმე დაბრკოლება წინ შეხვდეს, როცა საჭირო ცნობები მოიკრიბება. ხოლო ჩვენ ამის თქმით გვინდოდა, რომ ტფილისისა, თუ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა უყურადღებოდ არ დასტოვოს ეს საგანი და მის ვითარების გამოძიებას შეუდგეს. ამისათვის, ჩვენის ფიქრით, მეტი არ იქნება ან გამგეობის წევრი, ან სხვა ვინმე სანდო და მცოდნე კაცი გავგზავნოთ თურქესტანის საგუბერნატოროს და მის მეცადინეობით შეაგროვონ საჭირო ცნობები ვრცლად და დაწვრილებით.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკითხული საზოგადო ფული

(თ. ი. მაჩაბლისა და ბროსსეს პრემიის გამო)

1

საკვირველი კაცია თ. ივ. მაჩაბელი! რაც გინდ ავი წაეკიდოს, რაც გინდ სად წაიბორძიკოს, რაც გინდ სად ფეხი გადაუბრუნდეს თავის წინდაუხედაობისა და უთაურობისაგან, არ შეიძლება მაინცდამაინც ან თავზე არ წამოიცვას გვირგვინი წამებულისა საზოგადო საქმისათვის, ან დიდგულოვნად დოინჯი არ შემოიყაროს ბუმბერაზობისა და ღვაწლმოსილობისა ქვეყნისათვის.

ეს კიდევ ასე თუ ისე შესაწყნარებელია ჯერ იმიტომ, რომ ბაქიობას დიდი მანძილი არა აქვს და მეორე იმიტომ რომ, დეე, გაიბეროს ხოლმე რამდენიც სურდეს. ამით არც თვითონ შეემატება რამ ტყუილ გაბერვის მეტი, არც არავის რა დააკლდება. განა ნათქვამი არ არის: დე ბალღებმა თავი შეიქციონ, ოღონ კი ნუ იტირებენო. ასეც იქნებოდა, თუ ამ საქებურ თვისებასთან ერთი სხვა ჩვეულებაც არ გასჯდომოდა სისხლსა და ხორცში.

საცა გინდა და არ გინდა, ასლად თუ უადგილოდ თ. მაჩაბელი წამოაკერებს ჩემს სახელსაც, თითქოს ღმერთს ილია ჭავჭავაძე თ. მაჩაბლის ბოლოთრიანად ან ნალოდ გაუჩენიაო. იგი ისე ექცევა ილია ჭავჭავაძეს, როგორც ჩვენებური ანდაზა ქათამსა: რასაცა დაჰკვლენ, ზედ წააკვლენ ხოლმე. თ. მაჩაბელიც თავის უხეირობას და ბედნაკლულობას წააკლავს ხოლმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენს უმორჩილეს მონას, ილია ჭავჭავაძეს, და ჰგონია, ასე არს წერილ წიგნსა შინა ბედიწერისაო.

აქ ნათქვამის უეჭველ საბუთს თვითონ თ. მაჩაბელი იძლევა თავის წერილში, რომელიც დაბეჭდილია „მწყემსის“ № 18-ში. იგი თავის გასამართლებლად იმაში, რომ ბროსეს პრემიის ფული აქამდე არ გადაუხდია, თავდაპირველ ამბავს მოგვითხრობს იმისას, თუ როგორ ჩაიგდო ხელში განსვენებული მესხისაგან „დროების“ რედაქტორობა, როგორ უმუხთლა ბედმა და ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის. იგი ამბობს, რომ სერგეი მესხმა „მე გადმომცაო გაზეთი „დროება“, რომელთან ერთად ექვსასი თუმანი ძველი ვალი გაზეთისა კისრად დამედოვო.“ მერე ხომ ამ ვალს თ. მაჩაბლის ხელში უბღარტნია და ცხრაას თუმნად გამხდარა, როგორც თვითონ მოგვითხრობს.

აქ სიტყვები „მე გადმომცა და ძველი ვალი გაზეთისა კისრად დამედოვო“ ცოტა არ იყოს მუქს წამალს ნამდვილ ვითარებისას აფერმკრთალებს, თუმცა თვით ეს გრძელი წერილიც უამისოდაც ბანზე სიტყვის აგდებას მოასწავებს და სხვას არაფერს. მოყვანილ სიტყვების ბინდბუნდიდან თითქმის ის გამოდის, რომ განსვენებულ მესხს გაზეთიც თავზე მოუხვევია თ. მაჩაბლისათვის და ექვსასი თუმანი ძველი გაზეთის ვალიცა. ჩვენ არ ვიცით თ. მაჩაბელს რად უნებებია ამისთანა მიდებ-მოდებული სიტყვებით შემოსვა იმ არართულ გარიგებისა, რომელსაც სყიდვა-გაყიდვა ჰქვიან და რომელსაც ერთადერთი ადგილი ჰქონდა ამ შემთხვევაში. ნილაბქვეშ დაყენება ამისთანა საქმისა მერე, როცა ცოტა თუ ბევრს ჩრდილს აყენებს უკვე განსვენებულ მოღვაწეს, ჩვენის ფიქრით, მოსარიდებელია ზნეობის თვალითა.

საქმე ის არის, რომ თავ. მაჩაბელმა განსვენებულ მესხისაგან იყიდა გაზეთი და გარიგებულ ფასში ზოგი წილი ნალდი ფული მისცა და უფრო ბევრისა პირობა

---

* მე, სწორედ მოგახსენოთ, არავითარი სურვილი არა მქონდა თ. ივ. მაჩაბელს გამოვლაპარაკებოდი, რადგანაც მწამდა, რომ ყბედს მუნჯი დააჩუმებს. მაგრამ, ხომ ხედავთ, საცა კი შემთხვევა ეძლევა, ეს ბატონი წამდაუწუმ მე ძომწვდება ხოლმე. ბევრჯელ გადმომწვდა ჩვენის ჟურნალ-გაზეთებითა და ცალკე წერილითაც. მე ხმა არ გამიცია აქამომდე, ან რა ხმის გასაცემი იყო, ეხლაც უამისოდ ვერ გასძლო და სხვა რა გზაა, რომ მეც ჩემი არა ვთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდო, ვალებს გაზეთისას მე გავისტუმრებო და ამ სახით გარიგებულ ფასში ვალები გაუბარა. აქ „გადმომცა“ და „დამედოვო“ კი არ არის სათქმელი გულმართალი კაცისაგან, არამედ „ვიყიდე“ და „დავიდე“. აშკარაა, ამ ორ წყობა სიტყვათა შორის უკანასკნელი სიტყვები სულ სხვა ფერსა სდებენ საქმესა, თ. მაჩაბლის წუწუნსაც სრულიად აბათილებს და განსვენებულ მესხსაც, თუნდ მცირეოდენი ჩრდილისაგანაც, თავისუფლად ხდის.

„მწყემსის“ № 18-ში დაბეჭდილი წერილი თ. მაჩაბლისა რომ წაიკითხოთ კი, გეგონებათ იგი მსხვერპლია ამ შემთხვევაში საზოგადო საქმისა, შეწირულიაო.

> „მე იმედი მქონდა, ამბობს იგი, რაკი გაზეთის მთხოვნელები (?) ხალხში თანდათან ვრცელდებოდა და უწინდელი ძნელი მდგომარეობა შეიცვალა, შეიძლება მომცემოდა ოთხ-ხუთს წელიწადში გამესტუმრებინა ეს ვალი და შემდეგ შემოსავალი გაზეთის გასაუმჯობესებლად მომეხმარაო“.

ეს გაზეთის გასაუმჯობესებლად გაძლიერებულის შემოსავლის მოხმარება ხომ სავინიცობო საქმეა და აღსრულდებოდა ეგ ქადილი, თუ არა ღმერთმა იცის, ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ თ. მაჩაბელმა ორის წლის განმავლობაში ერთი სამასიოდ თუმანიც, როგორც თვითონვე გვაუწყებს, სხვა ვალი დააკერა გაზეთს, მაგრამ ამით გაზეთი „დროება“ კი არ გაუმჯობესებია, უფრო დააქვევითა და ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ სულიც დაალევინა. მაშასადამე, ამისთანა ქადილებს, რომელსაც ასე უხვად ხარჯავს ხოლმე თ. მაჩაბელი საცა გინდა და არ გინდა, ჩალის ფასადაც ვერ ჩავაგდებთ, რადგანაც ეგ წყალში თევზის დაფასება იქნებოდა. ჩვენ ქვევითაც ვნახავთ თ. მაჩაბლის ქადილსა და დაპირებას რა საგზალიცა აქვს. ამ მოყვანილ თ. მაჩაბლის სიტყვებიდგან კი მარტო ის გამოდის, რომ ყიდვის დროს იმედები ჰქონია შეძლების მომატებისა და, მაშასადამე, ყოველივე ეს ანგარიშის საქმე ყოფილა და არა თავგანწირვა საზოგადო საქმისათვის, როგორც იგი გვარწმუნებს ამ სიტყვებით:

„მე მწადდა ამითი გაჭირვების დროს ნაკისრები მოვალეობა გახარების დროს გადამეხადა“ და მოკლე ხანში პირნათლად გამომეყვანა საზოგადოების წინაშე დამწყებნი და თანამგრძნობნი ამ საქვეყნო საქმისაო“.

აქ აშკარაა უთაურობა მთქმელისა და თაღლითობა აზრისა. მითამდა, აჰა, ნახეთო, ჩემ მიერ ხელში ჩაგდებას „დროების“ რედაქტორობისას ჩემი საკუთარი არავითარი ანგარიში არ აქვსო, თუ ვიწოდი და ვიდაგვოდი, სულ სხვის გულისთვისა, პირნათლად გამოყვანისათვის საზოგადოების წინაშე და საქვეყნო საქმისათვისაო.

აბა ერთი ეს სხვილ-სხვილი სიტყვები თ. მაჩაბლისა გაანიავეთ, გასცხრილეთ საქმის ნამდვილ ვითარების ნიჩბითა და ცხრილითა და ძირს დაგჩებათ ის, რომ აქ თ. მაჩაბელმა გაზეთი იყიდა იმისათვის, რისთვისაც ყველანი რასმე ყიდულობენ, ესე იგი, გამორჩენისათვის. რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც, ამას თვითონ მაჩაბელი გვიმტკიცებს თავის ყოფილს გაზეთის პირითა, საცა ამბობს, რომ „დროებას“, ნაქვრივალის სახელით ხსენებულს, სახარბიელო მზითევი ჰქონდაო და ამან მოსტაცა თვალი იმათ, ვინც ამ გაზეთს ჩემზე წინ ყიდულობდნენ მესხისგანაო.

თუ თ. მაჩაბელი იტყვის, რომ აქ მე თავი გავწირე, რადგანაც ქვეყანა, სერგეი მესხის უარის შემდეგ უგაზეთოდ რჩებოდაო, ესეც ტყუილი იქნება. სერგეი მესხმა რომ დააპირა გაზეთის გაყიდვა, მაშინ რამდენიმე კაცმა, თავ. მაჩაბლის გარდა, მოისურვა ყიდვა გაზეთისა და ფასში მორიგდნენ კიდეც მესხთან. საქმე გათავებული იყო, რედაქტორადაც დანიშნულ იქმნა ეხლანდელი გამგებელი სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა ბაქოში ბ-ნი ქანანოვი, კაცი კარგად განათლებული და მომზადებული და ამას გარდა ყოველსფრით ღირსეული, როგორც გვახსოვს, ეს ყოველი გამოცხადდა კიდეც.

ხოლო როგორც ყოველთვის, ისეც ამ შემთხვევაში თ. მაჩაბელი თავისებურად ზურგთ უკან გაძვრა-გამოძვრა, გათავებული საქმე ჩაშალა და თვითონ იყიდა გაზეთი. ამის მოწამენი არიან, სხვათა შორის, ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ქანანოვი და გ. ქართველიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი და ბევრი სხვანი. ან რად გვინდა სხვისი მოწმობა, როცა თვითონ თ. მაჩაბელს ავალაპარაკებთ მისის ყოფილის გაზეთის პირითა. როცა მესხი იძულებულ შეიქმნაო გაზეთისათვის თავი დაენებებინა, აი, რა თავმოწონებით განაგრძობს თ. მაჩაბელის გაზეთი:

„რასაკვირველია, ჩვენმა ყლაპიებმა (მითომ პირვანდელ მყიდველებმა) ′სუნი აიხსნეს და ცბიერის ღიმილით და ტანის რხევით გაუთამაშგამოუთამაშეს „დროებას“. ჩვენი დროების ახალი ს ა ნ ე ფ ო (ე. ი. ბ-ნი ქანანოვი) მე მეტად მახინჯ და ულირს ქმრად მეჩვენა ამ პატარძლისათვის (ესე იგი „დროებისათვის“) და მის მახლობელთანაც (?) და მოკეთეობა ვითაკილე და პატარძლის მშობლებსა ვთხოვე: ღვთის გულისათვის ამ ქალს („დროებას“) ნუ აუბედურებენ და სხვა უკეთესი საქრმო აერჩიათ (ვერაფერი ქართული კია). საქმროს ამ ნაქვრივალის ქალის მზითევმა თვალი მოსტაცა (სჩანს მზითევი ჰქონია) და კარი და ბანი კინალამ ზედ დაგვანგრია — ჩქარა ქალი მომეცითო. საქმე მთლად გაჩალხული იყო, მხოლოდ ჯვარისწერის დღე ჯერ არ დაენიშნათ, საქმრომაც სახლი მორთო, ნამცხვარი დაამზადა და გულისთ ძგერით ელოდა პირველ ღამეს, მაგრამ საბრალოს ამდენმა სამზადისმა ტყუილად ჩაუარა და მორთულობა წაუხდა. უეცრად საიდღამაც მიწის გველივით /როგორც ყოველთვის/ გამოტყვრა ერთი ჩათუქესანი ბიჭი (ესე იგი ივ. მაჩაბელი), პატარძალი თვალწინ მოსტაცა და თავისთვის წაიყვანა. ძველი საქმრო ეხლა შორიდამ პირდაღებული უყურებს“.*

ამ საუცხოვო ქება-დიდებას თავ. მაჩაბლის ჩათუქესნობისას და მიწის გველივით მოქმედებისას რომ თავი დავანებოთ, ვნახავთ, რომ „დროებას“, როგორც ზევითა ვთქვით, სახარბიელო მზითევიც ჰქონია, თორემ თავ. მაჩაბელი თავის გაზეთს რად ათქმევინებდა საქვეყნოდ: საქმროს ამ ნაქვრივალის ქალის, ესე იგი,

---

* იხ. „დროება“, 1883 წ., № 85.

„დროების“ მზითევმა თვალი მოსტაცაო. კიდევაც ვიტყვით: აი სად უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისი, რომ „ჩათუქესანმა“ თავ. მაჩაბელმა იყიდა „დროება“ და ეხლა კი წუწუნებს, ვაი, ვიწვი და ვიდაგვი საქვეყნო საქმისთვისო.

მაშინ, როცა ისეთი ლათაიები ათქმევინა თავ. მაჩაბელმა თავის გაზეთს ქებისა და დიდებისათვის, რად არ იცოდა, რომ სახტომს ჯერ გასინჯვა უნდა. თუ მაშინ ბუმბერაზობდა და თავს იწონებდა, მერე როცა სწვნია, რომ კაცს ბაქიობის გარდა სხვა უნარიც უნდა ჰქონდეს საქმეში სვის გატანისათვის, რად ჩამოჰყარა ყურები, რად იკატუნებს თავს და საზოგადოების კალთის ქვეშ რად ჰლამის თავის შეფარებას.

როცა ყიდულობდა გაზეთს, ანუ უკედ ვსთქვათ, სხვასა სტაცებდა „მიწის გველივით საიდლამაც გამომტყვრალიო“, — ვხმარობ მისის გაზეთისავე სიტყვებს, რატომ არ იფიქრა, რომ გაზეთს კაი გაძღოლაც უნდოდა. უნდოდა თაოსნობა, წინდახედულობა, მოხერხება, ზოგიერთ შემხუთავ გარემოებათა შორის უხიფათოდ გასვლა-გამოსვლა, განა, რომ ამას ყველაფერს ჭკუა და გონება უნდოდა!.. თუ მთელი 14 წელიწადი განსვენებულმა მესხმა ყოველს სეტყვასა და მეხს გადაარჩინა გაზეთი, რატომ ამისთანავე უნარი არ გამოიჩინა ქებადიდებით მოსილმა თავ. მაჩაბელმა, თუ მართლა საქებსადიდებელია და თუ მართლა მის წამდაუწუმად ქადილს ღონე რამ შესწევს... თვითონვე ამბობს „მწყემსში“ დაბეჭდილ წერილში /№ 18, გვ. 9/, რომ როცა მან „დროების“ რედაქტორობა ხელთ იგდო, გაზეთის საქმე უფრო კარგ მდგომარეობაში იყო, ვიდრე მესხის ხელშიო, — მაშ რას ნიშნავს ეს მისი სიტყვები: „რაკი გაზეთის მთხოვნელები ხალხში თანდათან ვრცელდებოდა და უწინდელი ძნელი მდგომარეობა შეიცვალაო“ ესა და ეს იმედი მქონდაო.

გამოდის, რომ ხელის მოწერა გაზეთზე გავრცელებული ყოფილა და უწინდელი ძნელი მდგომარეობაც უკეთესად შეცვლილა. თუ ესეა, მაშ რად დაალევინა სული გაზეთსა? როგორღა გამოდის და თავს მართლულობს? რაღა პირით გვეუბნება:

„მიმუხთლა ბედმა, ორი წელიწადი ძლივს დასცალდა ჩემს ხელში გაზეთს და 13 სექტემბერს 1885 წელს გაზეთი დაიხურაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ბედი რა შუაშია? ტყუილად კი არ არის ნათქვამი: რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო. მაინცდამაინც თავ. მაჩაბელს თითქო სისხლსა და ხორცში გამჯდარი აქვს თავისი ბრალი სხვას დაადოს კისერზე, სხვას გადაახდევინოს, თვითონ ყოველთვის წყლიდამ მშრალი გამოდის. აქ ბრალი ედება უთაურობას, წინდაუხედავობას, უთავბოლოობას და გარემოების უცოდინარობას, აუწონ-დაუწონლობას და სხვას არასფერს. ამ განაჩენს იმისთანა ფეხმარდი კაციც, როგორც თავ. მაჩაბელია, ვერსად წაუვა.

მართალია, ამისთანა მოულოდნელი ამბავი ყველას დაემართება, თუნდ კაცი ბრძენთა ბრძენი იყოს, მაგრამ იმას, რა მიზეზითაც თ. მაჩაბლის ხელში სული ამოხადეს გაზეთსა, ჩიტირეკიობის მეტი არა ეთქმის რა. თუ გაზეთი მართლა საქვეყნო საქმედ მიჩნეული იყო თ მაჩაბლისაგან, ეს დიდი საქმე არც უნდა ადვილად გაეწირა და ცალიერ ქარაფშუტობისათვის ენაცვალებინა. საქმე გასაწირავად უნდა ღირებულიყო, უამისოდ ყოველივე გაწირვა, უთაურობაა, სხვა რომ არა ვსთქვათ რა.

როგორც ყოველთვის, ისეც აქა, თავ. მაჩაბელი პტყელ-პტყელად ქადულობდა, სხვილ-სხვილ იმედებს იძლეოდა, რომ კარგა ვუპატრონებ „დროებასაო“. იგი ერთს თავის წერილში* აი, რას უქადიდა განსვენებულ მესხს:

„ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების** წინაშე მივცეთ პატიოსანი სიტყვა სერგეი მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულ გაზეთს დედინაცვლობას არ გავუწევთ და შეძლებისამებრ (დიალაც!) ჭირში აღზრდილს მაინც მხიარულებას ვაჩვენებთ“.

კაი მხიარულება აჩვენა! ორ წელიწადში სული გააფრთხობინა, ღმერთმანი, არ აუსრულდა

---

* „დროება“, 1883 წ., № 85, გვერდი მეორე, სვეტი მეოთხე.

** აკი მოგახსენეთ, სულ საზოგადოება აკერია ენაზედ.

„საზოგადოების წინაშე“ მოცემული პატიოსანი სიტყვა და!.. ორ წელიწადში გაზეთს ანდერძი აუგებინა, სული ამოახდევინებინა, გაზეთი მოაკვლევინა. აი რა საფასური აქვს თ. მაჩაბლის უთავბოლო ქადილსა და პატიოსან სიტყვას! აი ეს არის თ. მაჩაბლის ღვაწლი ქვეყნის წინაშე! ნუთუ ღირსი არ არის ამისთანა თავგანწირვისათვის წამებულის გვირგვინი დავადგათ თ. მაჩაბელს და ზედ დავაწეროთ: „წამხდარს საქმესა რას არგებს მერმეღა უქმად ჩხავილი“.

ახლა ამასაც იტყვით, რომ თ მაჩაბელმა „ჭირში ალზრდილს „დროებას“ მხიარულება არ აჩვენაო. საუკუნო განსვენება ხომ უთხრა. ამაზე მეტი მხიარულებაღა გნებავთ! აბა თუნდა ШОКЕНХАУЕРСА ჰკითხეთ და იგი გეტყვით, რომ ბედნიერებაა არყოფნაო, ესე იგი, იმისთანა დღეში ჩავარდნა, რომელშიაც თ. მაჩაბლის წყალობით, განსვენებული „დროება” დღეს სუფევს წიაღსა შინა აბრამისასა.

უთუოდ იმის საბუთად რომ მართლა საქვეყნო საქმისათვის გაიწირა თავი, თ. მაჩაბელს მოჰყავს ის ამბავი, რომ 50 (?) კაცი შეიყარა და ყველამ ერთხმად სთქვაო, რომ „დროების” ვალი საზოგადო ვალია და საზოგადოებამვე უნდა გადაიხადოსო.

თუ საზოგადო ვალია, საზოგადოების მინდობილობითვე უნდა ყოფილიყო აღებული. ეს აშკარაა. ვინ მიანდო თ. მაჩაბელს მაგ ვალის აღება? გაზეთი „დროება“, თუ სხვა რამ ამგვარი, კერძო საკუთრებაა პატრონისა და კერძო საკუთრებისათვის აღებული ვალი რად უნდა იხადოს საზოგადოებამ? ეგრე დაყენება საქმისა იმის თქმაა, ვითომც განსვენებული მესხი ისე დასთხოვნოდეს გაზეთს, რომ ვალების გადახდა არ ეფიქროს, არ ეზრუნოს. ამისთანა უმართებულობას არც იკადრებდა მესხი და არც უკადრნია. მან მიჰყიდა თ. მაჩაბელს გაზეთი და ნასყიდობის ფასში ვალები გაიბარა. ამ სახით, განსვენებული მესხი პირნათლად გამოვიდა თავის მოვალეობის წინაშე და ფიქრადაც არასოდეს მოსვლია შეჰბღავლოს საზოგადოებას: ჩემის გაზეთის ვალი შენი ვალია და გადაიხადეო! ან ფიქრად ვის მოუვა თ. მაჩაბლის მეტს, რომ რომელსამე გაზეთის ვალი მისმა პატრონმა აიღოს და თავზე სა-

ზოგადოებას მოახვიოს. ეს ხომ იმას ეგვანებოდა, რომ ყვავს ბახალა მოუკვდა, აიღო ბუს მიუგდო, შენ დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო.

კიდევ ვკითხავთ დიდსა და პატარას, — აქ საზოგადოებასთან ვის რა ხელი აქვს? თუ გაზეთი საზოგადოების საკუთრება იყო, საზოგადოებისაგან დაყენებული რედაქტორი უნდა ჰყოლოდა, შემოსავალ-გასავლის დავთარიც, აგრეთვე წაგება-მოგების ანგარიში თვით საზოგადოების ან მის ამორჩეულთა ხელთ უნდა ყოფილიყო. რომელმა საზოგადოებამ დააყენა რედაქტორად თ. მაჩაბელი, რომელიც თავის გაზეთის პირითვე გვარწმუნებს, „საიდღამაც მიწის გველივით გამოვტყვერიო“ — როდის და რომელს საზოგადოებას აძლია ანგარიში?

ვინ საზოგადოება, რა საზოგადოება? მართალია, საზოგადოებისათვის საჭიროა გაზეთი, მაგრამ ამით რაო? განა პური კი არ არის საჭირო, მაგრამ განა მხვნელ-მთესველი თავის ვალებს საზოგადოებას ახდევინებს? ეს იქნება ახალი საფინანსო პოლიტიკა იყოს თ. მაჩაბლისა, ეგ თვით იმან უწყოდეს და მისმა მომავლინებელმა.

თ. მაჩაბელი ბრძანებს, მე თანახმა არ გავუხდიო, რომ ჩემის გაზეთის ვალი საზოგადოებამ გადაიხადოსო. ქება და დიდება! უფრო ქება და დიდება ეკუთვნოდა, რომ ამ უარისათვის ის საბუთი და მიზეზი მოეყვანა, რომელიც მოსალოდნელია ჭკუადალაგებულ და თავის ღირსების დამცველ კაცისაგან. იგი იმას კი არ ამბობს, რომ ჩემის ვალის გადახდაში საზოგადოება რა შუაშიაო. ამას მართებულობა და გულმართლად გასინჯვა საქმისა მოითხოვდა. იგი მარტო იმას შეჰშინებია, რომ აქედამ არა გამოვარა, რადგანაც მგლის თავზე სახარების კითხვა ამაოაო. იგი ამბობს:

> „მე, რაკი ჩვენი საზოგადოების გულგრილობის ამბავი ვიცოდი (აკი მოგახსენეთ), გამოვაცხადე, გთხოვთ მაგ საგანზედ ლაპარაკს ნუ ინებებთ-მეთქი“.

მაშასადამე, ჩვენი საზოგადოების გულცხელობა რომ სცოდნოდა, ხომ ცხვირზევით არ აიცილებდა მისის ვალების გადახდას საზოგადოების მიერ და ორივე

ხელით დაებღაუჭებოდა საზოგადოებას, ჩემს ვალებს უჭირისუფლეო. ამ სახით სჩანს, რომ თ. მაჩაბელს უსამართლობად კი არ მიუჩნევია თავისი ბარგი და ჭირი საზოგადოებას აჰკიდოს, რუსები რომ იტყვიან здорово живёшь-ო ისე, და მარტო იმიტომ უთქვამს უარი, რომ ჩვენი საზოგადოება გულგრილია და მე, ქვეყნისათვის წამებულს, არ მომხედესო. ერთი ვკითხოთ: ან რად უნდა ყოფილიყო ჩვენი საზოგადოება გულცხელი თ. მაჩაბლის ვალებისათვის?

თუ მართლა ხსენებულმა თ. მაჩაბლის მიერ კრებულმა ისე დააყენა საქმე როგორც ეს ქვეყნისათვის წამებული ვაჟბატონი მოგვითხრობს, აქ მარტო რიდისა და თავაზიანობის იძულება უნდა ვიგულისხმოთ. აშკარაა, თ. მაჩაბელი, რომელიც, თუმცა თავისისავე უთაურობით და უანგარიშობით ჩავარდა გაჭირვებაში, მაინც ასე თუ ისე შესაბრალებელი იყო. რა თქმა უნდა, ეს ამბავი მის ამხანაგთა შორის გამოიწვევდა შემწეობის სურვილს და რომ ეს შემწეობა თ. მაჩაბელს არ ეთაკილნა, საზოგადოების სახელით აკურთხეს და უთავაზეს. ამის მეტი ხსენებულ კრებულის გადაწყვეტილებაში ვალების შესახებ ვერაფერს ვერ ვიგულისხმებთ და არც საგულისხმოა. სხვა ყოველი ულოღიკობა, უსამართლობა და დიდი კადნიერება იქმნებოდა ამ კერძო კრებულის მხრით საზოგადოების წინაშე, რომელიც სულაც არ ექვემდებარება ამისთანა კერძო კაცების გადაწყვეტილებას და რომელსაც ამ შემთხვევაში არავისათვის მიუნდვია ჩემის სახელით ჰსაჯეთ და ილაპარაკეთო. ან თვით იმ კრებულში დამსწრენი რად იკადრებდნენ ამისთანა სჯას და ლაპარაკსა საზოგადოების სახელითა მისდა დაუკითხავად.

თ. მაჩაბელი არა კმარობს საზოგადოების ჯიბიდამ ისტუმროს თავისი ვალები. იგი არ უარობს სხვა ცალკე კაციც მოვალედ გაჰხადოს და საკუთარი შემოსავალი მას მიართვას ხოლმე. იგი ამბობს:

> „აქ საჭიროა ერთი გარემოება გავიხსენოთ, არამც თუ არავის „დროების“ ვალი ჩემს გარდა ერთი მანეთიც არ გადაუხდია, ამ გაზეთს ბრმა შემთხვევის გამო მოაკლდა 1500 მანეთამდე შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი, რომელიც იმის კასაში შემოვიდოდა, თუ თვე, ან თვენახევარი კიდევ დასცალებოდა“.

ჯერ ერთი, ეს ვიკითხოთ: განა სხვას ვის უნდა გადაეხადნა თ. მაჩაბლის ვალები, თუ არ თვითონ თ. მაჩაბელს, რომ აგრე იმუნათება და ისაყვედურება? გაგონილა ამისთანა ახირება! გინდა თუ არა, ჩემი ვალები გადაიხადეთო, მერე, რომ „დასცალებოდაო“, რომელი სიტყვის ნაწილია? ამისთანა სასაცილო საბუთზე ვის აუგია თავისი ანგარიში როდისმე თ. მაჩაბლის მეტსა. ის არა სჯობია ეთქვა — როჩილდის ქონება რომ ჩემი ყოფილიყო, ამ ვაი-ვაგლახში არ ჩავარდებოდიო. ამ ნატვრას და თ. მაჩაბლის „რომ დასცალდებოდას“ შუა განა დიდი მანძილია? „если бы да как бы-ზე“ კაცმა რომ შემოსავლები აშენოს, სად წავა!

ერთმა დედაბერმაც ეხლახან შემომჩივლა, ჩემს ქმარს რომ ერთი-ორი წელიწადი კიდევ დასცალებოდა, ოთხასი თუმანი შემოგვივიდოდაო, რადგან წელიწადში ორასი თუმანი ჰქონდა ჯამაგირი უბედურსაო. რაკი ვნახე რომ საწყალი დედაბერი პატარა თხლად ყოფილა, ამის მეტი რა მეთქმოდა: თქვენ ძალიან ცოტაზედ დარდობთ მეთქი! ათი წელიწადი რომ კიდევ დასცალებოდა უფრო ბევრი შემოგვიდოდათ მეთქი. ვაცხონე მამაშენიო, — მიპასუხა სიხარულით დედაბერმა, თითქო მადანი იპოვაო. თ. მაჩაბელსაც ამასვე ვეტყვით.

ამისთანა ლათაიები რის მაქნისია იქ, საცა კითხულობენ: საზოგადო ფული რომ მიაბარე, რატომ აღარავის გაუხსენეო. „რო დასცალებოდაო“, დიალაც კარგი, მაგრამ აქ ვინ რა შუაშია? რატომ, თავის პატრონსან სიტყვებისამებს, არ უპატრონა გაზეთს, რომ ერთი, ორი და სამი თვე კი არა, ბევრი ათიოდე წელიწადიც სხვა დასცალებოდა. მაგრამ აქ, ბატონებო, სხვა ფიქრი ჰქრის: თ. მაჩაბელი ისე როგორ მოურჩება თავის ვაი-ვაგლახს, თავისი მტერ-მოყვარე ილია ჭავჭავაძეც შიგ არ ჩაითრიოს, თუ მე მომეცხება რამე, ერთი ორიოდ წინწკალიც იმასაც მოვახვედრო, მეტი არ იქნებაო. აი ამისათვის რა ლობე-ყორეს მოსდებია:

„მე მოგახსენებთ ბანკების განცხადების ფულზეო, ამბობს თ. მაჩაბელი, რაკი ქართული გა-

ზეთი აღარ იყო, ბანკებმა განცხადება ყოველთვიურ ჟურნალ „ივერიაში“ დააბეჭდვინეს და ფულიც „ივერიის“ რედაქტორს, ილია ჭავჭავაძეს, მიართვესო“.

მაშ ვისთვის უნდა „მიერთმიათ“ თუ არა რედაქტორისათვის, რომელსაც თავის ჟურნალსა თუ გაზეთში შეუკვეთეს განცხადება? აქაც თ. მაჩაბელს იმედი ჰქონია, რომ სხვის საკუთნოს აიღებენ და იმას მიართმევენ და, როცა ეს ახირებულად აშლილი საღერღელი ვერ მოიკლა, იმდურება და ბლავის საქვეყნოდ, რატომ მე არ მომართვესო. აკი მოგახსენეთ, თ. მაჩაბელს თავისი თავი რომად გამოუსახავს და რადგანაც ნათქვამია, რომ ყველა გზები რომში მიდისო, ჰკვირობს და წუწუნებს, რატომ ყველას საკუთნო მე არ მომდისო.

გაზეთი „ივერიაც“ სუფევდა და დღესაც სუფევს თ. მაჩაბლის ლოცვითა და კურთხევითა, მაგრამ ქუთაისის ბანკმა თავისი განცხადება საყოველკვირაო „კვალში“ დააბეჭდინა: იქნობამდე კი „ივერიაში“ იბეჭდებოდა, ფულიც „კვალის“ რედაქტორს „მიართვა“. ნუთუ დასაბეჭდის ფული „ივერიას“ უნდა მირთმევოდა და არა — „კვალისა“? თუ ესეა, ერთი თვითონ თ. მაჩაბელი მიგვეგზავნოს მოციქულად, რომ „კვალმა“ ჩვენს გაზეთს „მოართვას“ განცხადების ფული, თორემ თ მაჩაბლისამებრ, ჩვენს დავთარში ჩავწერთ, რომ ეგ ზარალი „კვალის“ საზღაურია და როცა გავკოტრდებით, მოვითხოვთ ისე, როგორც დღეს თ. მაჩაბელი ითხოვს ილია ჭავჭავაძისაგან. ესეც ახალი საფინანსო პოლიტიკაა თ. მაჩაბლისა. ღმერთო შენით!..

სხვის საკუთნოსაკენ ხელის წატაცება თითქო როგორღაც ეხერხება თუ ებედება თ. მაჩაბელს და ამაში თავის თავს ანგარიშს არ აძლევს. იქ ჰლამის საზოგადოებას გადაახდევინოს თავისი ვალი და თუ ამას უარობს მარტო იმისათვის, რომ გულგრილია და თავს არ შეიდებსო, აქ იმას ისაყვედურება, „ივერიის“ საკუთვნო ფული ბანკმა მე არ მომართვესო და ეს ოინები ძალიანა ჰგავს იმ „კაჭკაჭის“ ამბავს, რომელმაც „კვალის“ რედაქცია იძულებულ გაჰხადა საქვეყნოდ გამოეცხადებინა, რომ კასსის გასალები მოგვტაცა

და არ გვიბრუნებსო. თუ ეს მართალია, სჩანს ამ კა-
საში შენახული ფულიც საკვირველ „კაჭკაჭს“ თავისი
ჰგონებია, თორემ სხვის კასსის გასაღებთან რა ხელი
ჰქონდა!

ამ სახით „ვერ გაიგეთა“ ქართველნო, რომ თქვენ
ერთი თავ. მაჩაბელი გყოლიათ, და მარტო მისთვის
გაუჩენია ღმერთს თქვენი საზოგადოებაც, თქვენი ჟურ-
ნალ-გაზეთებიც და თვითვეული თქვენგანიცა: ყველა
იმას უნდა მიერთმეოდეს, ყველა იმას უნდა უგზავნიდეს
თავის ავლადიდებას, ყველა იმას უნდა შეეწირვებოდეს.
თ. მაჩაბელს რომ არ სცოდნოდა, რომ თქვენ გულ-
გრილნი ხართ, დიდი ხანია ამ თქვენს უწმინდაეს ყურ-
მოჭრილად ყმობას გამოუჯირითებდა ბუკითა და ნა-
ღარითა, მაგრამ რაკი დღეს ეს იცის, თავის მოწყალე-
ბურ გულის თმენითა ძალას არ გატანთ, მერე კი,
როცა გული გაგიცხელდებათ, თითონ იცის.

რა თქმა უნდა, სულ ჩვეულ გულმართლობით მოს-
დის თ. მაჩაბელს, რომ მის უთაურობით დალუპულ გა-
ზეთის შემდეგ მარტო თავის ზარალს ასე უცნაურად
ანგარიშობს და ერთის სიტყვითაც, საჭიროდ არა
ჰხედავს გაგგვიხსენოს ერთი „დრამის ჰწონა ვარდის
კონა“ ამბავი ცოტაოდენ ეკლიანი.

იქნებ მართლა „რომ დასცალებოდა“ „დროებას“
1500 მანეთი მირთმევოდა თ. მაჩაბელს, მაგრამ ეს
ბრალი, ცოტად თუ ბევრად, უნდა აღსდგომოდა თ. მა-
ჩაბელს იმ ფულიდამ, რომელიც უხარჯოდ დარჩა
ხელისმომწერთაგან სექტემბრიდამ იანვრამდე. რაკი გა-
ზეთი გაუქმდა, ეს ოთხისა თუ მეტ-ნაკლების თვის
ფული უკან უნდა დაებრუნებინა ხელის მომწერთათვის,
თუ მართებულებას დაეკითხებით, და თ. მაჩაბელმა კი
არ დაუბრუნა. ამ სახით, ჩვენმა მაღალ ზნეობაზე
მაღლა მყვირალმა ვაჟბატონმა შეიტყაპუნა ოთხის თვის
ხელისმომწერთა ფული მთლად და უხარჯოდ. ეს
ფული ისე ცოტა არ არის, რომ კაცმა არაფრად ჩააგ-
დოს და ზარალის ხსენებაზე მაინც ეს საზღაური არ
გაიხსენოს.

რომ თ. ილია ჭავჭავაძე უფრო მეტად ზედ წააკ-
ლას, შიგ ჩაითრიოს საკუთარ ვაი-ვაგლახში, თ. მაჩა-

ბელი, ასე შეჰბღავის ახლა მკითხველს, — წარმოიდგინეთ განცხადების ფული ბანკებმა მიართვეს.

> „იმ ჟურნალის რედაქტორს, რომელშიც ორ წელიწადზე მეტი მარტო მე (კიდევ „მე“ და „მე“) ვმუშაობდი, თუმცა სასყიდელს დაპირებულნი იყვნენ და ასე გასინჯეთ, ერთხელ იძულებული ვიყავი, პირიქით, ჩემის მოადგილისათვის ჩემი გაჭირებულის (მოდით და ცრემლები ნუ მოგივათ, თქვე გულგრილნო ქართველებო) ჯიბიდამ მიმეცაო“.

ვთქვათ, რომ ყველაფერი ეგრე იყო, აქედამ მაინც ის არ გამოდის, რომ ბანკებს თ. მაჩაბლისათვის უნდა მიერთმიათ იმ განცხადების ფული, რომელიც „ივერიას“ დააბეჭდვინეს 1885 წელს, ესე იგი, მაშინ, როცა თ. მაჩაბელი უკვე დიდი ხანია არავითარს მონაწილეობას არ იღებდა და „ივერიასთან“ არავითარი ურთიერთობა არა ჰქონია.

მთელი ორი წელიწადი უსასყიდლოდ ვმუშაობდიო, იყვედრება თ. მაჩაბელი, ჯერ ეს გავიხსენოთ, რომ ჩვენს სალიტერატურო ასპარეზზე ერთი და ორი მაგალითი არ არის, რომ უსასყიდლოდვე უმუშავიათ ათი, ოცი და ოცდაათი წელიწადიც, მაგრამ არავის მუნათი არ დაუდვია არავისთვის. აქაც ერთი საკითხი მოგვადგა ენაზე ჩვენდა უნებურად, თუ გაზეთი „დროება“, თ. მაჩაბლის სიტყვით, საქვეყნო საქმე იყო მის ხელში, ამიტომაც თავსა სდებდა უსასყიდლოდ სამსახურისათვის, როგორც თვითონ გვეფიცება, რატომ „ივერიაღა“ არ შეივრდომა და არ იცნა საქვეყნო საქმედ და რაღა „ივერიის“ დანახვაზედ აეშალა საღერღელი გამორჩენისა ამ ქადებულს უანგარო მოღვაწეს? ნუთუ მარტო იმიტომ, რომ „დროება“ თ. მაჩაბლის ხელში იყო და, რაც მის ხელშია, სულ ყველაფერი საქვეყნოა და „ივერია“ ილია ჭავჭავაძის ხელში იყო და ღმერთმა არ გაუჩინა ასეთი დიდება ილია ჭავჭავაძესაო.

ეს ერთი. ეხლა ეს ვიკითხოთ: იმ ხანებში, როცა თ. მაჩაბელი მუშაობდა „ივერიაში“, ჩვენში სასყიდელი ვის ეძლეოდა, რომ თითქმის ათ წელიწადს შემდეგ ეხლა თხოულობს თ. მაჩაბელი. აქამდე სად იყო? რატომ არ მოითხოვა, თუ საბუთი რამ ჰქონდა? ჩვენ აქ არც კა-

ნონიერ ხანგასულობას ვეფარებით უკან, არც ფორმალურს საბუთებს ვითხოვთ. თ. მაჩაბელმა წარმოგვიდგინოს დავთრები მაშინდელ „ივერიის“ შემოსავალ-გასავლისა და, რაც მოგება აღმოჩნდეს, მთლად მიირთოს ჩვენგან. სასყიდელს შ ე მ პ ი რ დ ნ ე ნ ო ამბობს. აქედამა სჩანს, რომ მარტო ილია ჭავჭავაძე არ შეჰპირებია, სხვანიც ყოფილან. ერთი იმათგანი დაგვისახელოს მაინც. ეს არ მაკმარა. ილია ჭავჭავაძეო, ამბობს თ. მაჩაბელი, დანიშნულ იყო იმ კომიტეტის თავმჯდომარეთ, რომელმაც ჩემი შველა განიზრახაო, მაგრამ აქედამაც არა გამოვიდა რაო. ეს ისე ითარგმენბა, ვითომც ილია ჭავჭავაძის ცნობილმა ზარმაცობამ დამმართა ეს საქმეო. ის კი არ აგონდება, რომ აქ თვითონ თ. მაჩაბლის ცნობილი სიფიცხეც ვერას იქმოდა, რადგანაც ყველამ, ვისაც კი მიჰმართეს, ეს პასუხი სთქვა: ჩვენ ჩვენი საკუთარი ვალებიც ვერ მოგვიშორებია და თ. მაჩაბლის ვალებიღა გვაკლიაო.

სხვათა ვალებთა შორის, რომლის მოშორებასაც შეჰპირებია სერგეი მესხს თ. მაჩაბელი, ყოფილა ბროსეს პრემიის ფულიც, როგორც გვაუწყებს თვით თ. მაჩაბელი. და ეს ფული აი ათ წელიწადზე მეტია არავის გახსენებია. საკვირველია თ. მაჩაბლის ამბავი და ამ ფულებისა. მინამ დანა ყელთ არ მიაბჯინეს, თ. მაჩაბელმა ამ ფულების გამო კრინტიც არ დასძრა. ეს მით უფრო საოცარია, რომ ამაზე ხმის ამოღება კაცს ენაზე მოადგებოდა თავისთავად, როცა „მწყემსმა“ რუსთაველისათვის მოგროვილ ფულზე დაიწყო ლაპარაკი და როცა ამის პასუხად თ. მაჩაბელმა წერილი დაჰბეჭდა „მწყემსშივე“ და სხვათა შორის მოკლედ ასე მოუჭრა „მწყემსის“ რედაქტორს:

> „თქვენს პატივცემულ გაზეთში დაბეჭდილი ყოფილა ცნობა (დახეთ! სადა სცემს დიდკაცობა! თვითონ არცკი უკადრნია წაკითხვა), ვითომც „დროება“ ფულს აგროვებდა რუსთაველის ძეგლის ასაგებად და ვითომც ამ საქმისათვის ორას თუმნამდე მოგროვებულ იყოს და თანაც კითხულობთ, ის ორასი თუმანი ან ამ ფულის გადახდის მოვალეობა ხომ არ მიკისრია მე როგორც უკანასკნელს რედაქტორს

„დროებისას“. საჭიროდ ვრაცხ შეგატყობინოთ, რომ როცა განსვენებულმა მესხმა მე „დროება“ გადმომცა, არც ერთი გროში არ მიმილია რუსთაველის ძეგლის ფული, არც მოვალეობა უკისრებია“ და სხვანი.

რაკი საქმე ამაზე მიდგა, ნუთუ ამის მთქმელს ენაზე არ უნდა მოსდგომოდა ამის თქმაცა: „ეს ხომ ესეა, მაგრამ საჭიროდვე ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემთან არის 532 მანეთი ბროსსეს პრმეიის ფული და იქნება „მწყემსს“ ამან მისცა მიზეზი საზოგადო ფულის მოკითხვისაო“. ჭეშმარიტი მართებულობა ამას ითხოვდა, რომ სხვა არ იყოს რა. ხოლო ეს არ ინება თ. მაჩაბელმა, ყური მოიყრუა, იქმნება ეს ამბავი არავის მოაგონდესო და მეკე რად დავატეხო ჩემს თავს ხათაბალებიო. ამ სახით მინამ „მწყემსმა“ მეორე წერილით არ მიუთითა და დანა ყელს არ დაუბჯინა, საჭიროდ დანახულ არ იქმნა ეს ამბავი ბროსსეს პრემიისა საფარავიდამ გარედ გამოსულიყო.

ეხლა კი, როცა მეტი გზა არ არის, ვინც ჯერ არს, იძულებულ იქმნა ამ საგანზე ეთქვა რამ და იმის მაგიერ, რომ მოკლედ მოეჭრა, მართალია ეგ ფული მე მაქვს და ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე, რომ აქამომდე ვერ გადავიხადეო, მოჰყოლია აბდაუბდას და მთელს სამს ნახევარ „მწყემსის“ სვეტზე რალაც ღობეყორეს ედება იმ ჩვეულ წადილითა, რომ ამისთანა მაინცდამაინც სათაკილო საქმისაგან ან წამებულის გვირგვინი მოიპოვოს, ან დევგმირობის აბჯრით შეიმოსოს და გზადაგზა არც მკვდარი დაინდოს გათელვისაგან და არც ცოცხალი.

დიალ, ასეა, ბატონებო: საზოგადოების სახელით ხშირად გულში ხელს იცემენ, ისე კი, რასაკვირველია, რომ არა იტკინონ რა, ბლავიან და ფარფაშობენ, ასე თავდადებულნი ვართ საზოგადოებისთვისაო და საზოგადოების კუთვნილებას კი ასე კადნიერად ექცევიან და მერე როგორ? შენი! ჩემთან მობარებული შენვე უნდა ზღოო, შენვე უნდა გადაიხადოო. ამ სასაცილობას, ამ ჩვრად გახდომას ჩვენსას ჩვენი თვალითვე გვაყურებინებენ, თითქო ყოველ გრძნობას საკუთარის ღირსებას მოკლებულნი ვიყვნეთ და იმოდენად გონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამახვილნი, რომ თავი და ბოლო ვერ გაუგოთ ამ წალმა-უკულმა ხტომას და მალაყებსა.

ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს თ. მაჩაბელს ის გვირგვინი წამებულისა, რომელსაც იგი თავის ხელითვე იწნავს ხოლმე და თავის ხელითვე თავზე იდგამს. ღმერთმა ხეირი აჩვენოს, რომ საცა გინდა და არ გინდა, როცა თავის თავს იხსენებს, იქ ილია ჭავჭავაძესაც არ ივიწყებს და ამით ქვეყანას აუწყებს, რომ თურმე დევგმირი თ. მაჩაბელია, და მის მაჩანჩალად ილია ჭავჭავაძე ყოფილა.

სხვისა არ ვიცით და თ. მაჩაბელმა რომ ეს საქებური თანამდებობა მაინც მაღირსა, ამისი მადლობელი უნდა ვიყო.

2

სხვის არ მკრძალავს რად ემდურის,
ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს?

მართლა და, თ. ივანე მაჩაბლისა არ იყოს, ბევრი რამ უცნაური ამბავი მომხდარა ჩვენს ლიტერატურაში. ერთი ამისთანა უცნაურთა უცნაური ამბავი ის გახლავთ, რომ კაცს მოჰკითხეს: — ბროსსეს პრემიის ფულები შენ მიიბარე და ამ ათს წელიწადში რატომ არავის გაუხსენეო და ის კი მოჰყოლია და იძახის: ილია ჭავჭავაძეს არც ლოლიკა აქვსო, არც ლიტერატურული სიტყვა-პასუხი, დღეს ერთს ამბობს, ხვალ სხვასა და სხვანი და სხვანი და სხვანი, როგორც მოგეხსენებათ ღვთისგან ჩვენდა მოვლენილი თ. ივანე მაჩაბლის ამბავი.

არ ვიცით, ამისთანა ლობე-ყორეს მოდებით რამოდენად გაუსწორდა თ. ივ. მაჩაბელს ბროსსეს პრემიის საქმე. ეს კი სარწმუნოდ მისაღებია, რომ თ. მაჩაბელი ღმერთს უნდა ჰმადლობდეს, რომ ამისთანა მარჯვე შემთხვევა იპოვა, ბანზე სიტყვა აეგდო. ხოხობმაც თურმე ასე იცის: როცა გაუჭირდება, მარტო თავს წაჰყოფს ხოლმე თოვლში და ჰგონია დავიმალეო.

მე დღეს სიტყვას აღარ გავუგრძელებ და რამოდენადაც შესაძლოა, მოკლედ მოვჭრი.

ყოვლად უწინარეს თ. მაჩაბელი, ეგ მართებული მოლაპარაკე და ზრდილობიანის სიტყვა-პასუხის კაცი, მიკიჟინებს უმართებულო სიტყვების ხმარებას. დიდი ხანია ნათქვამია, რომ ზოგი კაცი სხვის თვალში ბეწვსაც ჰხედავს და თავისაში კი ვერც ძელსაო. ის კაცი მიკიჟინებს, რომლის უზრდელს სიტყვას ბანკის კრებაში ბ-მა ხუდადოვმა პასუხიც არ აღირსა. ის კაცი მიკიჟინებს, რომელმაც თავის უმართებულო და ყოველ წრეს გადასულ სიტყვებმა თ. ჩერქეზიშვილის მიმართ გააცვიფრა და გააწბილა მთელი საზოგადოება ბანკის კრებისა და თვითონ თ. მაჩაბელი იძულებულ ჰყო ბოდიში მოეხადნა. ის კაცი გვიკიჟინებს, რომლის წინდაუხედავმა სიტყვაობამ ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა ბანკისა ერთმანერთს დააჯახა და სამედიატოროდ გახადა საქმე. ის კაცი გვიკიჟინებს, რომელმაც მთელნი კრებულნი ჩვენის საზოგადო დაწესებულებისანი „ბრბოდ“ აკურთხა ერთს იმისთანა წიგნაკში, საცა საჭიროდ დაინახა ხოხობსავით თავი თოვლში წაეყო და დასამალავად სხვანი და სხვანი.

თუ თ. მაჩაბელი ასე კანონიერად ექცევა თვითეულს ჩვენგანს ცალკე, მთელს საზოგადო კრებულებს ერთად, თვითონ რაღა ბძანდება, რომ ავს ავი არ დაარქვან, მისი ურიგო ურიგოდ არ მოიხსენიონ, ნუთუ ჰგონია, რომ კანონები მართებულობისა და ზრდილობისა მარტო სხვისთვის არის და მისთვის არა, ნუთუ ჰგონია, რომ თ. მაჩაბელს, როგორც ზეგარდმო ცხებულს, მარტო უფლებანი აქვს მიმადლებული და არავითარი მოვალეობა არ უკადრებიათ.

აქაც იმას ვხედავთ, რასაც ყოველთვის: თ. მაჩაბელს თავი მეტად მაღლა მოაქვს და ჰფიქრობს, რომ სხვანიც თვითვეულად და მთელი საზოგადოება ერთად ქვეყნაზე მის ფეხის მტვრად არიან გაჩენილნი და ამიტომ მისი ლანძღვა წყალობად უნდა მიიღონ და მას კი მადლობის მეტი, სხვა არაფერი არ შეჰკადრონ რა.

რომ მართლა ისე მოაქვს თავი, თითქოს მაგისთვის კანონები არ წერებულიყოს, აი ერთი მაგალითიც: იგი მიკიჟინებს, რომ ჩემდა პასუხად ასეთი გძელი ფელეტონი დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემაო, რომ თავისი გაზეთი ყელთამდე მოჰყარა და კინაღამ ამოარჩო. გეგონე-

ბათ, ამისი მთქმელი თვითონ ამისთანავე საქმეს არ ჩაიდენს. მაგრამ თვითონაც იმოდენა ფელეტონი გამოაცხო, რომ ჩემს გაზეთს არა ნაკლებ შეუხუთა სული, თუ წესი და რიგია, რომ ფელეტონმა ყელში არ წაუჭიროს გაზეთსა, ეს წესი და რიგი თ. მაჩაბლისათვის კი წესი და რიგი არ უნდა იყოს? მე ეს კადნიერება ცოტაოდენად მაინც მომეტევება, რადგანაც გაზეთი ჩემია, და თვითონ თ. მაჩაბელმა, რომ ასეთივე ჭირი დაჰმართა სხვის გაზეთს — ეგ კი არაფერიაო. არაფერია, იმიტომ, რომ ის თ. ივანე მაჩაბელია და თ. ივანე მაჩაბელს, როგორც მოგეხსენებათ, ყველა მოეტევება, რადგანაც ყველა უნდა ფიანდაზად ეშლებოდეს ფეხქვეშ, სხვა კი სხვაა.

„დროებიდან“ რომ თ. მაჩაბლის „ჩათუქესნობის“ ამბავი ამოვწერეთ, ამაზე იგი ამბობს, რომ ეგ ბ-მა კეზელმა დასწერა და მაშინ ჯერ კიდევ განსვენებული მესხი აწერდა ხელს გაზეთსაო. მართალია, მაგრამ საქმით კი რედაქტორობდა ჩვენი ეხლა ექსრედაქტორი, ესე იგი თვით სახელოვანი თ. მაჩაბელი. აქ ეს ვაჟბატონი ფორმას ამოეფარა, მაშინ, როცა საქმე სულ სხვას ჰღალადებს. გვიანლაა ასეთის აშის კვრა და მით უფრო განსაცვიფრებელი, რომ სწორედ იმავ ნომერში, საცა ამ ჩვენის დროების რაინდს „ჩათუქესნობას“ უქებენ, აი ამ საგანზე რა სწერია:*

> „დღეს მოსულმა გაზ. „შრომამ“ შეგვატყობინა, რომ „დროება“ ქანანოვისათვის გადაუციათო. ამ შეცდომას ჩვენი მხრით ბევრი გამტყუნება არ დასჭირდება, რადგანაც მკითხველები დღევანდელს „დროების“ ნომრიდამ დაინახავენ, რომ „დროება“ სულ სხვა ახალის რედაქციის ხელში გადავიდა“.

ესეთია თ. მაჩაბელი, მაგრამ ნათქვამია:

> საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს
> კარგისა მამაცისაგან

აქაც ხომ იგივე თოვლში ხოხბის თავის წაყოფა გამოდის.

---

* „დროება“, 1883 წ., № 85, გვ3, სვეტი3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თ. მაჩაბლის ამბავი რომ ვიცოდეთ, იქნება ამოწერილი სიტყვები თავისებურად გადააბრუნ-გადმოაბრუნოს და რაიმე სხვა კუდი გამოაბას. დავანებოთ ამ სიტყვებსაც თავი და ვიკითხოთ: ნუთუ საქვეყნოდ ხელმეორედ იტყვის თავ. მაჩაბელი, რომ ის ნომერი, საცა მისი „ჩათუქესნობა“ იყო ხსენებული, მისის რედაქტორობით არ არის გამოცემული?

ჭავჭავაძე ჰმალავსო, ამბობს თ. მაჩაბელი, იმ გარემოებას, თუ 6000 მანეთს 3000 მანეთი ვალი როგორ მოემატაო. დასამალავი თუ რამ არის აქ, ისევ თ. მაჩაბლის მხრით უნდა იყოს, მე რა მაქვს დასამალავი. ან საიდამ უნდა მცოდნოდა თ. მაჩაბელს როგორ ემატება ვალები. მე თ. მაჩაბლის ბულალტერად არასოდეს ვყოფილვარ, თორემ როცა გამიჭირდებოდა, მეც მისებრ ათ-თორმეტ წლის შემდეგ ვიტყოდი: გასამჯელოს დაპირებული იყავ, არ მომეცი, მიჩუქებია, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს მეთქი. ამბობენ, არიან იმისთანანი, რომელთაც იციან თურმე საიდამ მოჰმატებია ეს სამასი თუმანი ვალი და, თუ ჰსურს თ. მაჩაბელს, იმათ ათქმევინოს, მე კი შორს ამისთანა მბობისაგან.

თ. მაჩაბელი არ მეშვება და ჰსურს მაკისრებინოს, რომ მე ვითომც შევპირდი „ივერიაში“ იმუშავე და გასამჯელო მიიღე ჩემგან მეთქი. „მწყემსში“ დაბეჭდილ წერილში თ. მაჩაბელი ამბობდა, რომ შემპირდნენო. სჩანს, ჩემ გარდა სხვაც ვინმე ყოფილა შეპირებული, თუ შეპირებული არა, დამსწრე მაინც. ერთი ამისთანა კაცი დამისახელოს და თავისი გასამჯელო ჩემგან მიიღოს, თორემ ეგრე ალალბედად თქმას, დამპირდი და არ მომეციო, არ ვიცი რა უნდა დაერქვას. ამ ათ-თორმეტს წელიწადში ერთხელ მაინც როგორ არ გაიხსენა ეს ამბავი ჩემთან, თუ რაიმე საბუთი მიუძღოდა. ან ის 50 კაცი რომ შეიყარა და მის გაჭირებაზე ჰქონდათ ლაპარაკი, რა სირცხვილი იყო ან ჩემთვის, ან მისთვის გაეხსენებია, რომ აი ჭავჭავაძეს ჩემი ჰმართებს და ზოგს აქედამ გავისტუმრებთქო. თუ საბუთი რამ მიუძღოდა, მე მგონია, იმ გაჭირების დღეს არ დამინდობდა ეს ეთქვა, მაგრამ არსად უთქვამს და სჩანს, სათქმელი არა ჰქონია რა და ეხლა კი მოჰყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია და მამუნათებს, უსათუოდ იმ აზრით, იქნება როგორმე ამით მაინც ფონს გავიდე ბროსსეს პრემიის საქმეშიო. მე არ ვედავებიო, ამბობს თ. მაჩაბელი, ღმერთმა შვიდობაში მოგახმაროსო. მადლობელი ვარ ამ ჩუქებისათვის: მეც სამაგიეროდ ქალაქი მიჩუქებია, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს. ამით ხომ მე არა დამაკლდება რა და, არა მგონია, თვით თ. მაჩაბელსაც მიემატოს რამ.

თ. მაჩაბელმა, როცა ეგრე სახელოვანად ჰპატრონობდა „დროებას" ერთი რაღაც წინდაუხედავი ზღაპარი დაჰბეჭდა. იმ ზღაპარში ერთმა მოხელემ თავისი თავი იცნო, იჩივლა. სამართალმა მიიწვია საპასუხოდ თ. მაჩაბელი, როგორც რედაქტორი, სამოსამართლო პალატამ გაამართლა და ჩვენ ამის გამო განაჩენი პალატისა მოვიწონეთ და დედააზრად წარმოვსთქვით, რომ კანონმა არამც თუ არ უნდა დასაჯოს, არც კი უნდა მიიწვიოს საპასუხო რედაქტორი, ან ავტორი იმ მიზეზით, რომ ზღაპარსა თუ მოთხრობაში ვინმემ თავისი თავი იცნო, უპატიურად ხსენებული დაუსახელებლივ.

ამ დედააზრზე აშენებული ჩემი წერილი მოჰყავს თ. მაჩაბელს და იკითხება: ჭავჭავაძე ახლა რომ ასე ჰკიცხავს ჩემს რედაქტორობას „დროებისას" და მაშინ ასე აქებდაო, როდის იყო მართალიო? მაშინაც და ახლაც. იქ პალატის განჩინების ქებით და არა თ. მაჩაბლის რედაქტორობისა. ვთხოვ, ვისაც ჰსურს მართლის გამორკვევა, გადაიკითხონ თ. მაჩაბლისაგან ამოწერილი ჩემი მაშინდელი ნათქვამი თუ იქ ის იყო, რაც თ. მაჩაბელს მოსჩვენებია. კაცმა მარტო კითხვა კი არ უნდა იცოდეს, წაკითხულის გაგების უნარიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ნათქვამია:

ენისა დაუჭირავსა
ყური აქვს მოუსმენიო.

სწორედ ასეც მოსვლია თ. მაჩაბელს. პალატის ქება თავის რედაქტორობის ქებად მიუღია და ის კი დავიწყებია, რომ რედაქტორი, შესაძლოა, კანონის წინაშე გამართლებული იყოს და იმის გამო სამართალს ჭკვიანური განაჩენიც დაედგინოს და თვით ის ზღაპარი

ანუ მოთხრობა კი, რომელიც პასუხისგების მიზეზად შეიქმნა, მაინც რედაქტორის უუნარობას მოასწავებდეს.

თ. მაჩაბელი გვაუწყებს, რომ ჭავჭავაძე რამდენჯერმე გამოვიწვიე მედიატორთა სამართალში ბანკის საქმეთა შესახებ, მაგრამ არ ისურვა და თვითონაც იცის რა მიზეზითაო. რასაკვირველია, ვიცი და ვიტყვი კიდეც. მე თ. მაჩაბელთან არავითარი მოსარიგებელი საქმე არა მაქვს და ღვთით არც არასოდეს მექნება. თუნდაც ეგეც არ იყოს, ერთი ჰკითხეთ: ბანკის საქმეში სამედიატორო რა არის? ნუთუ ჰგონია, ბანკი ან მისი, ან ჩემი კუთვნილებაა და ვინ რამდენი წილი უნდა ჩაიდოს, ამას მედიატორები გამოარკვევენ? თუ ესეა, ეგეც ახალი საფინანსო პოლიტიკა თუა თ. მაჩაბლისა.

ჩვენი მედიატორები ჩვენი კრებაა ბანკისა. სამასოთხას კაცის სინდისი, ჭკუა და გონება მსაჯულად გვისხედან ხოლმე ყოველწლივ. თუ რამ სათქმელი აქვს თ. მაჩაბელს იქა სთქვას და, თუ მისი თქმული პასუხის ღირსი იქნება, პასუხს მიიღებს. ბანკის საქმეში, თუ ბანკი თ. მაჩაბელს თავის კუთვნილებად არ მიაჩნია, აზრი აზრს უნდა ეკამათებოდეს. ამისთანა კამათობასა და საბუთობაში ბურთი განა მედიატორებმა უნდა გაიტანონ მოედნიდამ და არა თვით აზრის პატრონებმა, თუ ან ერთისა, და ან მეორე აზრს რაიმე თავისი საკუთარი ძალ-ღონე აქვს?

ან როგორ იკადრებს თ. მაჩაბელი მსაჯულად გაიხადოს ჩვენი თავადაზნაურთა ბანკის კრება. იგი მისის აზრით, ხომ „ბრბოა“ და „ბრბომ“ რა იცის, ხურმა რა ხილია. ტყუილად კი არა ბრძანებს:

> „მე მოვიწადინე (მოდით და იმის მოწადინებულს თქვენ უარი გაუბედეთ!), მე მოვიწადინეო, რომ პირუთვნელ და საქმის მცოდნე პირთ გაერჩიათ ის დაუსრულებელი კამათობა ბანკის საქმეთა შესახებო“...

აშკარაა, თ. მაჩაბლის აზრით, ჩვენი თავადაზნაურთა კრება პირუთვნელობასაც მოკლებულია და საქმის ცოდნასაც, თორემ სხვაგან რად დაიწყებდა ამისთანა კაცების ძებნას. ეს, რასაკვირველია, გინება არ არის იმიტომ, რომ თ. მაჩაბლის გონება წყალობად უნდა მივიღოთ. ეგრე სწერია ქართველთა დაბადების წიგნსა

შინა. ამ ახალ წყალობისათვის, მეტი რა გზაა, ჩვენმა საზოგადოებამ მადლობა უნდა მოახსენოს. მე კი ერთს რასმეს ვაუწყებ ჩვენს საზოგადოებას და იქიდამ სცნობენ, თ. მაჩაბელი რას ეძებს ბანკის საქმეში და ან რა პროგრამმის კაცი ბრძანდება.

იგი ერთს სახელოვანს წიგნაკში ჰკიცხავს რა ჩვენის ბანკის გამგეობას და ხაკუთრივ მე, ბანკის საქმეთა საქებურ წარმოების მაგალითად გვიხატავს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას ამ სიტყვებით:

> ახალი ბანკის (ესე იგი ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა) გამგებელნი უფრო მუყაითად (აკი გამოჩდა კიდეც. შაბაშ საქმის ცოდნას!) ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს (დიალაც თავიანთს!), ხალხს თავაზიანად ეპყრობოდნენ და გულისა და გონების გამომშრობელს კანცელიარიზმს არ მისდევდნენ".

ბოლოს რა გამოვიდა თ. მაჩაბლის მოწონებულ „მუყაითობიდამ, თავაზიანობიდამ და არა – კანცელირიზმიდამ"? ისა, რომ თ. მაჩაბლისათვის სამაგალითო ბანკი სისხლის სამართლამდე მივიდა და მისი, თ მაჩაბლისაგანავე მოწონებულნი, გამგებელნი ციხეში ჩასვეს. ეს ჩვენი „დასასრულ საუკუნის" ფინანსისტი კი ჩვენს გამგეობას ერთობ და საკუთრად მე მკიცხავს, რატომ ეგრე არ იქცეოდითო. აი ბანკის საქმეში იგი პროგრამმა თ. მაჩაბლისა, რომელსაც ბანკის საქმე სისხლის სამართლამდე მიჰყავს და გამგებელთ ციხეში სხამს. ეს გზა თ. მაჩაბლისათვის დამილოცნია უმედიატოროდაც და მე კი ღმერთმა მაშოროს.

ამას რაღა მედიატორები უნდა, რაღა ლარი და ხაზი? განა აქ თავ. მაჩაბელი თავიდამ ფეხამდე არ იხატება მთელის თავის ცოდნითა, სიბრძნითა, წინდახედულობითა და გზადანახულობითა?

ამაზე ითქმის: მითხარ ვინ მოგწონს, გეტყვი ვინა ხარ.

დიალ, მე ვთაკილობ ამისთანა ბაშვურ კამათობას და გამოწვევას. დეე, ხელზე დაიხვიოს ეს ამბავი, ვისაც ჰსურდეს და რა კუდიც უნდა გამოაბას. მე ამისი არ მეფიქრება. როგორც ეტყობა, არც თვითონ თ. მაჩა-

ბელი იცილებს ცხვირზევით ამ კუდის გამობმასა, რადგნაც თავმოწონებით ამბობს, ჭავჭავაძემ „თითონ იცის, რა მიზეზით არ გამოდისო“, მითომდა ყველგან ძლევამოსილ თ. მაჩაბლის გამარჯვება მაშინებდეს. გული მოიცეს ამით და უფრო იმ იმედით, რომ ერთ-ორიოდ კაცს იპოვის, რომელთაც ამით თვალს აუხვევს. ამისთანა ოინებს ორის დღის მანძილი არა აქვს და ამიტომ არავისთვის საშიშარი არ არის. ეს წინადვე დოინჯის შემოყრა კი გამარჯვების ნიშნად, ეს წინასწარი ბაქიობა კი მეტისმეტია, მაგრამ, რას იზამ:

ენა უკლიტოდ მორბედი
ჭირია ულხინობელიო.

ვთქვათ ჭავჭავაძეს არც ლოლიკა აქვს, არც ცოდნა ბანკის საქმისა და არც არაფერი კეთილი; ვირწმუნოთ ისიცა, რომ თ. ივ. მაჩაბელი ყოველთვის სიბრძნით, ცოდნით და სიკეთით შემკულია, როგორც მის მიერ მიწვეული მედიატორები ოდესმე დაამტკიცებენ და თვითონ კი ყოველდღე გაიძახის, ხოლო მკითხველი კი მაინც ამას იკითხავს: თქვენ რო წაიკიდენით, ეს ბროსსეს პრემიის ამბავი შუაში რად გაიჭყლიტაო.

ეგ თ. მაჩაბელსა ჰკითხეთ?

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება>

ტფილისი, 4 ნოემბერი

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ რამდენმამე მიწისმოქმედმა ტფილისის გუბერნიისამ მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად პროექტი ამგვარის სახელწოდებით: „წესდება ტფილისის საურთიერთობო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა“.

ეჭვი არ არის, რომ ამისთანა საკრედიტო დაწესებულება ფრიად საჭიროა ჩვენში.

აწ არსებულნი საკრედიტო დაწესებულებანი — სახელმწიფო, თუ საზოგადოებისანი, — რომელთაც კი საგნათა აქვთ მოკლევადიან სესხით ხელი გაუმართონ ფულისთვის გაჭირებულთ და ამისათვის ვექსილის ჩამორთმევა, ანუ საქონლის გირაოდ მიღება იკმარონ, თითქმის მარტო იმათ ულებენ კარს კრედიტისას, ვინც ვაჭარია და ვინც სავაჭრო საქმეს და საქარხნო, თუ საფაბრიკო მრეწველობას მისდევს. ამ სახით ვაჭრობას დიდი და ფართო გზა აქვს მიცემული საჭირო ფული იშოვნოს თავის საქმეში სამოქმედოდ და საჭრიალებლად.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ ვაჭრობა, როგორც ერთი ძლიერი ღონე ერის ეკონომიურად წარმატებისა, ღირსი არ იყოს შემწეობისა და შველისა. ხოლო არ შეიძლება სახეში არ იქონიოს სახელმწიფომ, თუ საზოგადოებამ, რომ მარტო ვაჭრობა, რაც გინდ ბევრი ფული მოადინოთ, ულონოა სასურველ ზომამდე გაძლიერდეს. თუ მასთან ერთად არ აღორძინდება და არ წარიმატებს

სხვა მრეწველობაცა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს.

ერთი ამისთანა მრეწველობა არის მიწადმოქმედება, სასოფლო მრეწველობა, რომელზედაც დამყარებულია თითქმის მთელი მეურნეობა და ავლადიდება ერისა რუსეთში საერთოდ და ჩვენში საკუთრივ. აი სწორედ ესგვარი მრეწველობაა დატოვებული ამჟამად უკრედიტოდ. სწორედ სოფლის მეურნეობას არსადა აქვს გზა ფულით ხელი გაიმართოს, მოკლე ვადით, რომ მით გაიძლიეროს, მოიმატოს ღონე, წლიდამ წლამდე აწარმოვოს საქმე გაუჭირებლივ და საკმაო სიდიდითა.

გვეტყვიან, მაშ საადგილმამულო ბანკები რის მაქნისნი არიან, თუ მეურნეობას არა ჰშველიანო.

სოფლის მეურნეობა ერთი იმისთანა საქმეა, რომელსაც ორი დიდი გაჭირება აქვს თავის გაძლიერებისათვის. ერთია სამუდამოდ განკარგება მამულისა, რომელიც დიდხანს დაბანდებას ფულისას ჰთხოულობს და ამასთან დაბანდებულს ფულს წვრილწვრილად და თანდათანობით აბრუნებს უკან და არა ერთხანად და მთლად. ამ საჭიროებას იმისთანა კრედიტი უნდა, რომელიც ხანგრძლივია და წვრილწვრილად გადასახდელი. აი სწორედ ამისთანა კრედიტს იძლევა საადგილმამულო ბანკი.

ხოლო სოფლის მეურნეობას, მიწადმოქმედებას სხვა მოკლე ვადის საჭიროებაცა აქვს. მაგ., საჭიროების მანძილია მოკლე ხანა მოსავლიდამ მოსავლამდე. ამ მოკლე ხანში მეურნეობას ხშირად უჭირს ხოლმე ხარჯის გასაძღოლად ფული. ხან იმიტომ, რომ წინა წლის მოსავალი თავის დროზე და თავის ფასად ვერ გაუყიდნია, ხან იმიტომ, რომ წინა წლის მოსავალი ნაკლებია და არა სწვდება ხარჯსა. რა ჰქმნას ამ სოფლის მეურნემ? უნდა სადმე იშოვოს ფული ახალ მოსავლამდე, რადგანაც ამ მოსავლიდამ მოსავლამდე ხარჯს ახალი მოსავალი მთლად და ერთხანად უბრუნებს ხოლმე, ამიტომაც მეურნისათვის საშიშარი არ არის სესხის ვადად ახალი მოსავალი დაიდოს და პირობად ერთხანად და მთლად დაბრუნება ნასესხისა. აი ამ გაჭირებას უნდა სწორედ იმისთანა კრედიტი, რომელიც მოკლევადიანია და ერთხანად მოსაშორებელი.

საადგილმამულო კრედიტი ბუნებითად ხანგრძლივია, რთული, მრავალის აუცილებელ ფორმალობით დატვირთული, და კაცი, მინამ მის მოთხოვნილებას აასრულებს, მოსავლიდამ მოსავლამდე გაჭირებას ვერას უშველის. მოკლევადიანი და ერთხანად მოსაშორებელი კრედიტი კი სწრაფია და დაუყოვნებელი. მოსავლიდამ მოსავლამდეც ხომ იმისთანა ხანაა, რომ სწრაფს და დაუყოვნებელ მიშველებას თხოულობს. ამგვარი კრედიტი ემყარება მხოლოდ მსესხებელის ან კეთილსინდისიანობას და შეძლებას, ან მის მიერ წარდგენილს მოძრავს გირაოს.

აწ მომქმედნი ტფილისში საკრედიტონი, სახელდობრ, „ტფილისის საზოგადოება საურთიერთო კრედიტისა", „ტფილისის საკომერციო ბანკი" და აგრედვე „განყოფილება სახელმწიფო ბანკისა", რომელნიც ამგვარ მოკლევადიან კრედიტს აწარმოებენ ჩვენში, — მარტო სავაჭრო მრეწველობას ხელს უმართვენ და თითქმის მარტო იმათ ჰშველიან, ვინც ვაჭრობაშია.

ამ სახით კრედიტ გარედ დარჩენილ არიან მარტო ერთნი მიწადმომქმედნი. მარტო ესენი არიან მოკლებულნი იმ კეთილმომქმედ შემწეობას წესიერად დაყენებულ კრედიტისას, რომელსაც შეუძლიან აწვდიოს გაჭირვებულს შელავათიანი სესხი მოკლე ხნით, ერთის მოსავლიდამ მეორემდე.

დღევანდელი მოკლევადიან კრედიტის წესნი სხვაფრივადაც სჩაგვრენ მიწადმომქმედსა. თვითონ სოფლის მეურნეობის ნაამაგევი ჭირნახული, რაც გინდ ბევრი ჰქონდეს მიწადმომქმედს, მის ხელში უქმი განძია, ვიდრე გაჰყიდის და ფულად აქცევს. არც ერთი ზემოხსენებული საკრედიტო არ დაიგირავებს ხოლმე იმ ჭირნახულს და ამ გზითაც სესხით ხელს არ უმართავს მის პატრონს. ამის გამო იგი სიმდიდრე, რომელსაც ჭირნახული წარმოადგენს, უქმადა ჰდევს როგორც პატრონისათვის, ისეც თვით წარმოებისათვისაც მთელს დროს, მოსავლის დღიდამ გასყიდვამდე. ეს არამც თუ ზარალია ცალკე კაცისათვის, არამედ ქვეყნისათვისაც. ეს ამბავი მით უფრო შეუწყნარებელია, რომ იგივე ჭირნახული, რაკი მომქმედისაგან ვაჭრის ხელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავა, შესაძლოა გირავოდ მიღებულ იქმნას სესხის სათავდებოდ.

ესეთი უნუგეშობა მიწადმომქმედისა თვით მთავრობამაც ამ ბოლოს ხანებში დაინახა და საჭიროდ სცნა გაულოს კარი კრედიტისა მიწადმომქმედს, თუ იგი პურს წარუდგენს გირაოდა. 2-ს აგვისტოს ამ წლისას გამოვიდა ეგრედწოდებული „დროებითნი წესნი", რომელთ საგნადა აქვთ ხსენებულ გაჭირებას მიწადმომქმედისას უშველოს და გაჭირებულს ხელი შეუწყოს.

ჩვენებურნი მიწადმომქმედნი, რომელთაც ხსენებული წესდება წარუდგინეს მთავრობას, იმედოვნებენ, რომ მთავრობა მაგისთანავე სანუგეშო მზრუნველობას და ყურადღებას მიაქცევს ტფილისის გუბერნიის მიწადმომქმედსაც. ამ იმედით შეუდგენიათ წესდება იმისთანა კრედიტისა, რომელსაც საგნადა აქვს ანდონ სესხი ან ვექსილზე, თუ ვექსილის მომცემი კეთილსაიმედოა, ან იმისთანა საქონლის გირაოზე, რომელიც ნამოქმედარია სოფლის მეურნეობისა, მაგალითებრ, პურზე, ღვინოზე, სიმინდზე, ქერზე, მატყლზე, ბამბაზე და აბრეშუმზე.

თვითვეული აქ ჩამოთვლილ ქონებისა წარმოადგენს იმისთანა ღირებულ საგანს, რომელიც სესხის მოკლე ვადას გაუძლებს ისე, რომ არ წახდეს, და ამიტომ საკმაოდ უთავდებებს სესხსა მით უფრო, რომ სესხად მიეცემა მარტო ნახევარი ღირებულობისა. ეს ნაწილი ბანკის ოპერაციისა სულ ახალი საქმეა მოკლევადიან საკრედიტოსათვის, თუ არ ვცდებით, და ამიტომაც ბევრი ახალი მუხლი ჩაურთავთ წესდებაში, რაც სხვა წესდებაში არ იყო აქამდე, შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა შემოწმებულ იქმნას გირაოდ მისაღები საქონელი, როგორ, სად და ვისის პასუხისგების ქვეშ უნდა ინახებოდეს გირაო და სხვა ამისთანანი.

სასურველია, რომ მთავრობამ შეიწყნაროს და დაამტკიცოს წარდგენილი წესდება, თუმცა საფიქრებელია, დამტკიცება არ გაძნელდეს, რადგანაც ამ წესდებას შიგ ჩართული აქვს იმისთანა ოპერაცია მიწადმომქმედთა შემწეობისათვის, რომელიც არც ერთს მთავრობისაგან სამაგალითოდ ნაჩვენებ წესდებაში შეტანილი არ არის დღემდე.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>

ტფილისი, 21 ნოემბერს

ბ-ნი იზმაილოვი უკვე ამორჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად. ამით გათავდა ყოველივე ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა იმაზე თუ, ვინ დავსვათ მოურავად და ვინ არა. დაწყნარდა ამ საგანზედ მომხდარი განხეთქილება და ბ-ნ იზმაილოვის ქალაქის მოურავად გახდომა ყველამ უნდა იკისროს, ვითარცა დასრულებული საქმე.

აწ მარტო ისღა დარჩენია ქალაქის საზოგადოებას, გამოაკვიოს, რის იმედი უნდა ჰქონებოდათ ბ-ნ იზმაილოვის ამომრჩეველთ, როცა იგინი ირჩევდნენ. სადაც კი დღეს ბ-ნ იზმაილოვის ამორჩევაზე სადმე ლაპარაკია, სწორედ ეს საგანია მიზეზი.

რაკი ვიცით, დღევანდელი ხმოსანთა კრებული საიდამ და როგორ არის შემდგარი, რაკი ზოგიერთი პატივსადები საბუთია სთქვას კაცმა, რომ იგი უფროსერთში ნაყოფია ერთ ცალკერძოდ მიხრილის დასისა, და რაკი ესეც ვიცით, რომ უფროსერთობა საბჭოში, ვითარცა ხმოსანთა კრებულისა, უნდა იყოს გამომეტყველი თავის მომავლინებელთა ნება-სურვილისა, მაშ სათანადოა ვიფიქროთ, რომ ბ-ნი იზმაილოვი ამორჩეულია იმ იმედით, რომ იგი ამ ცალკერძოდ მიხრილს დასს ციხე-სიმაგრედ გაუხდება.

ამ იმედს საფუძვლად უნდა ედვას იგი ერთი არა მცირე ნაკლულოვანება ხასიათისა, რომელსაც ვითომ ამჩნევენ ბ-ნ იზმაილოვს. იგი ამყოლი კაციაო, ამბობენ, და, რა თქმა უნდა, რასაც ჩვენ ვეტყვით, იმას დაემორ-

ჩილბა ყოველის უარის უთქმელადაო. არა ერთი და ორი ამაში ჰპოულობენ მიზეზს ბ-ნ იზმაილოვის ამორჩევისას.

თუ ესეა, ეს ჩვენ მოგვაგონებს ერთს დიდის ხნის ამბავს. როდესაც რომის პაპი გრიგოლ XIII გარდაიცვალა, შეიყარნენ კარდინალები ახალის პაპის ამოსარჩევად. კარდინალთა კრებულში იყო ერთი ბერი, სახელად სიქსტი, კაცი სუსტი, წელში ულონობით მოხრილი, ულონობითვე ყავარჯენზე დაყრდნობილი, ფერმიხდილი და მიმკვდარი. ღირსთა მამათა იფიქრეს, თუ ამ სუსტს და დავდომილ კაცს ავირჩევთ პაპად, ეს, რასაკვირველია, ჩვენი ყურმოჭრილი ყმა იქნება და როგორც გვინდა, ხელში ისე ვატრიალებთ და რასაც გვინდა, იმას ჩავადენინებთო. ამ იმედით აირჩიეს ეს საბრალო ბერი იმ უწარჩინებულესს თანამდებობისათვის, ჩაბარეს პეტრე მოციქულის გასაღებები და უწოდეს სახელად პაპი სიქსტი მეხუთე.

გამოცხადდა თუ არა, რომ სიქსტი არჩეულ იქმნაო, ეს მიმკვდარი, ძლივ ცოცხალი, ტანში ულონობით მოხრილი ბერი გაიმართა წელში, ყავარჯენი იქით მიაგდო და Te Deum-ი ისეთის გრგვინვითა და ჭექითა სთქვა, რომ დარბაზის სარკმლის მინებმა ზრიალი დაიწყო. განცვიფრებული კარდინალები მიხვდნენ მაშინვე, რომ ამ კაცს ისინი თავის სურვილისამებრ ვერ ათამაშებენ და დარწმუნდნენ, რომ ანგარიშში შესცდნენ. ისტორიამ გაამართლა წინაგრძნობა ღირსთა მამათა და პაპი სიქსტი V მართლა რომ შესანიშნავი და დამოუკიდებელი კაცი შეიქნა.

განა შესაძლებელი არ არის, რომ აქაც იგივე მოხდეს?

ჩვენ დღეს მარტო ისლა დაგვრჩენია ვინატროთ, რომ ბ-ნმა იზმაილოვმაც იგი რიხი, მხნეობა, დამოუკიდებლობა და სიმაგრე ხასიათისა გამოიჩინოს, რაც საჭიროა მაგისთანა თანამდებობის კაცისათვის, და დაგვიმტკიცოს, რომ თუმცა აბჯარი ხისა აქვს, გული კი რკინისა ჰქონია.

მისი მშვენიერი სიტყვა აზრით, თუ მოკაზმულობით, წარმოთქმული არჩევანის შემდეგ, ცოტა არ იყოს, სიქსტის V Te Deum-სა ჰგავს. ჩაუკვირდით იმ მოკლე,

მაგრამ ფართო აზრიანს სიტყვას და დაინახავთ, რომ იგი ერთის ცალკერძ დასის აყოლას თავის პროგრამაში არავითარს წილს არ უდებს და ამბობს, იმათაც, ვისაც ჩემი ქალაქის მოურავობა არა ჰსურთ, ვეცდები ჩემის მოქმედებით ჩემზე აზრი შევუცვალოვო. ალთქმა ჩინებულია და ჩვენც ვისურვებთ, რომ მართლა და გულწრფელად ამ სასურველს ‘გზას დასდგომოდეს და ჩვენ კიდევ ეს გზა დაგველოცნოს.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ქუთაისის ბანკის შესახებ>

ტფილისი, 3 დეკემბერი

კვირას, 28 ნოემბერს, ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო მწვავე წერილი „ქუთათურისა", სადაც აღნიშნულია მართლა უცნაური ამბავი იმისა, რომ თავმჯდომარე ზედამხედველ კომიტეტისა 10 დეკემბრისათვის იწვევს თავადაზნაურობას საზოგადო კრებაში და რამდენიმე წევრი ზედამხედველ კომიტეტისა კი ამავე კრებას იწვევს მომავალ წლის 20 მარტისათვის. „ქუთათური" სამართლიანად ეკითხება: რომელს ერთს დავუჯეროთო და ან ვინ გაგვითამამდა ისეო, რომ ამისთანა ამბავიც საკითხი გაგვიხდაო.

მართლადა, ეს რა ამბავია? რად უნდა მომხდარიყო ამისთანა ჭკვადმოუსვლელი ამბავი იქ, საცა თუკი სიყვარული საზოგადო საქმისა არის, ამისთანა ამბავს ადგილი არ უნდა ჰქონებოდა და თვით ამ სიყვარულს საქმისას ადვილად უნდა მოერიგებინა ამ შემთხვევაში სხვადასხვაობა აზრისა. ვის რა დაუშავდებოდა იმით, რომ ან ერთსა, ან მეორეს დაეთმო თვისი აზრი და ერთი დრო და დღე დაენიშნათ კრებისათვის?

ჩვენ იმის გამოძიებაში ვერ შევალთ ვინ არის მიზეზი ამისთანა არევ-დარევისა, რადგანაც ხელთ არავითარი საბუთი ამისათვის არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ „ქუთათურთან" ერთად ვიკითხავთ გაოცებით: როგორ იშვნევენ ამისთანა ამბავს მთელი თავადაზნაურობა, მთელი წევრნი ქუთაისის ბანკისა? ვისაც გული შესტკივა ჩვენის ქვეყნისათვის, ყველა შეძრწუნებულია ამისთანა ამბით.

აშკარაა, აქ ორი ერთმანეთის წინააღმდეგი დასი მოქმედობს და ჩვენ გვიკვირს, — ნუთუ ამ დასში თვითვეულად ცალკე იმოდენად კეთილგონიერნი კაცნი არ მოიპოვებიან, იგრძნონ, რომ ამ გზით სვლა საზოგადო საქმისა შეუძლებელია; რომ ეს ამისთანა ამბები ბანკის საქმეს უფსკრულისკენ პირს უშვრება და დღესა თუ ხვალე თვით საქმეც დაიღუპება და თან გადაიტანს ცოდვილსაც და მართალსაც.

დასთა ბრძოლა ყველგან არის, მაგრამ ისე კი არა, რომ აქლემები წაიჩხუბნენ და კოზაკი შუაში გაიჭყლიტოს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთს დასშიაც და მეორეშიც ამისთანა კეთილგონიერნი კაცნი ბევრნი მოიპოვებიან, და ამათი უწმინდაესი მოვალეობაა ქვეყნის წინაშე ერთად შეიყარნენ, დაუკვირდნენ ამ ამბის ავკარგიანობას, გამოარკვიონ ვინ არის ყოველ ამ არევ-დარევაში დამნაშავე თავის უტყუარ და საბუთიან განაჩენით ყველას თავისი მიუწყონ და შეჰკრან სამართლიანი, მარტო საქმის სიყვარულით გამსჭვალული პირობა, რომ იხმარონ ყოველივე მართებული ღონისძიება ბანკის საქმე დაიხსნან განსაცდელისაგან, გზიდამ ჩამოაცალონ ისინი, ვინც თვით საქმეს ჯანაბაში ჰგზავნიან და წყალს ამღვრევენ მარტო იმისთვის, რომ მღვრიე წყალში ჰლამობენ ზუთხი ხელთ იგდონ, საკუთარს წადილს, ჟინს და ჭირვეულობას ანაცვალონ საზოგადო, საქვეყნო საქმე, ჩვენდა სასახელოდ დადგენილი და არა სამარცხვინოდ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილგონიერთა კაცთა ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოში. იმერეთში, როგორც ყოველგან სხვაგან არ იქნება ბევრ ჩხავანეებთან ერთად ბევრნი არ იყვნენ იმისთანანიც, რომელნიც დღეს ორ წყალ შუა დგანან და არ იციან, რა ჰქმნან, წყურვილი კი აქვთ, გაიგონ პირუთვნელი, მიუდგომელი, საბუთიანი და მართალი ხმა და ამ ხმას რწმენით და გულდადებით შეუწონონ თავისი მოქმედება საზოგადო საქმეში. ჩვენდა სანუგეშოდ უნდა ვირწმუნოთ და გვწამს კიდეც, რომ ამისთანანი იმერეთ-გურია-სამეგრელოს თავადაზნაურობაში ბევრნი არიან. ბევრნი არიან პირუთვნელად საქმის მოყვარენი, გულწრფელნი

მსურველნი საზოგადო, საქვეყნო საქმის კარგად წარ-
მართვისა. მაგრამ რადგანაც ცალკ-ცალკე, სიშორით,
თუ სხვა მიზეზით, არც დრო აქვთ, არც ღონე საქმის
გამოძიებისა, ზნეობითს წამებასა და წვალებაში არიან,
— რა ვქნათ, არ ვიცით სად არის ამ გაჭირებულ
მდგომარეობაში მართალი, რომ იმას მივემხროთ, გა-
მარჯვებით გავიტანოთ და ამით ჩვენი თავიც
დავიხსნათ სირცხვილისაგან და ჩვენი საერთო საქმეც
წაწყმედისაგანაო.

ამისთანა კაცთა შორის მართალი და საბუთიანი
სიტყვა თუ ხმა ისე სჭრის, როგორც ბასრი ხმალი, და
თვით ღონეც, ციხე-სიმაგრეც საზოგადო საქმისა,
სწორედ ამისთანა კაცთა ხელშია ყველგან და ჩვენშიაც
სწორედ ამათს მფარველობას უნდა მიენდოს. სხვაფრივ
ხსნრა საზოგადო საქმისა შეუძლებელია. დასთა
ბრძოლაში სწორე ლარი მარტო ამისთანა კაცებს
გააქვთ, როცა ერთად, კრებულად მოქმედობენ და არა
დაქსაქულად ცალ-ცალკე.

ყოველი გულშემატკივარი კაცი ჩვენის საზოგადო
საქმისათვის უუწმინდაეს ვალად უნდა ჰრაცხდეს ამის-
თანა გულწრფელ და პირუთვნელ მართლის მოყვარე
კაცთაგან შეადგინოს კრებული და მას მოაპოვებინოს
ადგილი საზოგადო საქმის სარბიელზე. აქ ძალა, ხერხი
და სხვადასხვა ოინები მანძილს ვერ გაივლის. აქ უნდა
მტკიცე რწმენა მართლისა მოქმედობდეს, რადგანაც
მარტო მართალია შემკვრელი და გამამტკიცებელი
ამგვარ კაცთა კრებულისა. ამათ წინ ჩხავანა მომხრე
დასისა ვერას იქმნას, ფონს ვერ გავა.

დაუმტკიცეთ სად არის მართალი და მტყუანი, და
გვერწმუნეთ მართალი იმოდენა მომხრეებს იშოვის,
რომ ბურჯად შეექმნას ყოველ საზოგადო საქმეს. ამისი
თავმდებია საზოგადოდ ადამიანის კეთილგონიერება,
პატიოსნება და გულწრფელი სიყვარული საქმისა, ესე
იგი, იგი საზოგადოებური და ადამიანური ღირსება,
რომელსაც ყოველს საზოგადოებაში თავისი მომხრე,
მიმდევარი და მცველი ჰყავს და ურომლისოდაც წარ-
მოუდგენელია თვით კაცთა საზოგადოებაც.

რა მიზეზია, რა საბუთია ვიფიქროთ, რომ ამას, ამ
ზოგად ღირსებას მოკლებული იყოს იმერეთის თა-

ვადაზნაურობა? ღმერთმა გვიხსნას ამისთანა ფიქრისაგან. ეს ასე რომ იყოს, მაშინ „ქუთათურის“ თქმისამებრ, გულხელი დავიკრიბოთ და წყალში ჩავცვივდეთ, ისა სჯობია.

მადლობა ღმერთს, ჯერ ამაზე ძალიან შორსა ვართ და დღეს მარტო საჭიროა, ჩვენის ფიქრით, კეთილგონიერებას და მართლმსაჯულობას იმერეთის თავადაზნაურობისას გზა და საშუალება მიეცეს თავის უტყუარის განაჩენის დადგენისა იმის თაობაზე, თუ ვინ არის ყოველ ამ არევდარევაში დამნაშავე, გზიდამ ჩამოიცალოს იგი და იმისთანა საზოგადო საქმეს, როგორც ბანკია, აწ სეირის საყურებელ მოედნად გადაქცეულს ეპატრონოს და მოუაროს.

ამ კეთილგონიერების და მართლმსაჯულების გამოწვევა უუწმინდაესი ვალია იმათი, ვისაც გულწრფელად უყვარს საქმე და თვით იმერეთის თავადაზნაურობაცა. კიდევ ვიტყვით: ჩვენ გვწამს, რომ როგორც ორსავ ერთმანეთთან დაჯახებულ დასში, ისეც ამ დასებ გარედ საკმაოდ მოიპოვებიან ამისთანა კაცები. ამათ და სწორედ ამათ უნდა ითავონ საქმის გამორკვევა და გამორკვეულის გამოცხადება საქვეყნოდ, რომ საზოგადოების მართლმსაჯულებას და კეთილგონიერებას მართალი საბუთი ჰქონდეს თავის მსჯავრის დადებისა.

[1893 წ.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

<სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი>

ტფილისი, 31 დეკემბერს

ჩვენ მოგვივიდა მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება სოფლის სამეურნეო ქალების სასწავლებლისა.

გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელ ხანში სხვადასხვა პროექტი მზადდება სამინისტროს მიერ ქალთა განათლების შესახებ, მთავრობას საჭიროდ დაუნახავს დედათა სქესს მეურნეობაშიც წილი დაედოს.

ასეთი განკარგულება, რასაკვირველია, დიდის თანაგრძნობით იქნება მიღებული, ნამეტურ ხალხის მიერ, რადგანაც გლეხთა ქალები მრავალგან თითქმის იმდენსა მუშაობენ მიწას, რამდენსაც თვით მამაკაცნი. ამ შემთხვევაში საგანგებო სამეურნეო წესდების ცოდნა და სწავლა ფრიად დაეხმარება გლეხის ოჯახობას, რომელმაც ხშირად სულ უბრალო დამაბრკოლებელის მიზეზის მოშორებაც კი არ იცის თავიდამ. მაგრამ იმ ახალის კანონის შემდეგ უნებურად ებადება კაცს ეს აზრი: დაბალ სამეურნეო სასწავლებელში კი ეძლევათ ქალთა უფლება შეისწავლონ მიწის მუშაობა, განვითარდნენ და დახელოვდნენ მამულის მოსავლელად, — მაგრამ ამნაირივე უფლება ენიჭებათ მათ უმაღლესი სამეურნეო განათლების მისაღებადაც, თუ არა?

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ დახშული აქვთ კარი ქალთა, და უმაღლესი სამეურნეო სკოლები დანიშნულია მხოლოდ მამაკაცთათვის.

რასაკვირველია, ქალთა სამეურნეო სასოფლო სკოლა ახალი საქმეა და, რომ დაბადებისთანავე ამ სკოლას არ დაჰყვა სამეურნეო აკადემიებში შესვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებაც, ეს გარემოება სრულად არ უნდა გვაეჭვებ-
დეს და გვისპობდეს იმედს იმის შესახებ, რომ შემდეგ-
შიც დავიწყებული იქნება ქალთა სამართლიანი სურ-
ვილი უმაღლეს სამეურნეო სკოლაში შესვლისა...

ადვილად შესაძლოა, რომ ჩვენი მოლოდინი გაცუდ-
დეს, და უმაღლესის სამეურნეო სასწავლებლის კარები
მომავალშიც დახშული იქნეს, ქალთათვის, მაგრამ
პირველი ნაბიჯი დედათა სქესის რომელისამე უფლების
მინიჭებისა მაინც მოსალოცავია და სასიამოვნო მისაგე-
ბებელი.

მაგიერად, სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება იქონია
ჩვენზედ განათლების სამინისტროს მეორე პროექტმა,
რომლის ძალითაც „ქალთა გიმნაზიებში" ექნებათ
ადგილი მხოლოდ უმაღლეს წოდების ყმაწვილებს.

ჩვენ კარგად ვერ გაგვიგია, რას ნიშნავს ამ
შემთხვევაში სიტყვა — უმაღლესი წოდება, რადგანაც
ის არევ-დარევა წოდებათა მნიშვნელობის შესახებ ეხ-
ლანდელს დროში, რომელიც ყოველგან არსებობს,
მრავალს იჭვსა და გაუგებარს გარემოებას გამოიწვევს.

ყოველს შემთხვევაში, უნდა აღვნიშნოთ, — პრო-
ექტის შემდგენელს დავიწყებია, რომ ასეთი განკერ-
ძოება წოდებათა, ასეთი განცალკევება ერთის ქვეყნის
შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა,
აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბ-
მული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა. ეს
შეცდომა დაჰგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკიცა,
რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს გა-
ნათლების და ხალხის დაწინაურების დამაბრკოლებელს
მიზეზებს.

უმთავრესი და, იქნება ერთადერთი გარემოება,
რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამი-
წის ზურგითგან მრავალნი ძლიერნი და სახელოვანნი
ერნი, — იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა
შორის!

თუმცა დიდი მოძღვარი ინდოელთა — ბუდდა და
შემდეგ მაცხოვარი ჩვენიც ერთსა და იმასვე ასწავლის
ქვეყანას — თანასწორობას და სიყვარულს, წოდებათა
განურჩეველათ, მაგრამ ეს სანატრელი და თაყვანის
საცემი მცნება დღესაც თეორიად რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებათა შორის უთანხმოებისა და სიძულილის წამოყენება, რასაკვირველია, ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას, მაგრამ ერთიასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძვრა ჩვენში!

ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს! მაგრამ ზოგიერთნი ძველნი და ახალნი მბლაჯვნელნი ამ მარტივს აზრს ჯერაც ვერ მიმხვდარან.

[1893 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენიშვნები

და კომენტარები

ტექსტისათვის

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის XII ტომში შესულია 1891-1893 წლებში გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილები (სულ 51 წერილია), რომელთაგან 35 პირველად იბეჭდება თხზულებათა ოცტომეულში. მათში განხილულია სამეურნეო, ეკონომიკური, ქალაქების — თბილისისა და ქუთაისის თვითმმართველობის და საქმიანობის საკითხები, სწავლა-აღზრდის პრობლემები, საერთაშორისო პოლიტიკური მიმოხილვები, ორი ნეკროლოგი, ერთი პოლემიკური წერილი, ორი „სიტყვა“ ღვინით ვაჭრობისა და სამეურნეო სკოლების დაარსების თაობაზე, ქალთა განათლების შესახებ და ა.შ.

ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში ბევრი წერილი იბეჭდება ხელმოუწერლად. ამ წერილების მოძიებას, მათ შესწავლასა და ავტორობის დადგენას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მკვლევარ ლ. ჭრელაშვილის ღვაწლი. დიდი შრომის ნაყოფია მის მიერ მოძიებული მასალები როგორც კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ისე გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ხელმოუწერელი წერილების ავტორობის დადგენაში. ამასთან დაკავშირებით ლ. ჭრელაშვილი წერს: „...ყოველი „მეთაური“ დოკუმენტურად ილიას სახელს დაუკავშირდა. ... დასამტკიცებელია ... რომელი მათგანი არ ეკუთვნის „ივერიის“ რედაქტორს ... ისინი ყველა როგორც დოკუმენტური ჩვენებით, ისე შინაარსობრივად თუ ენობრივ-სტილური ნიშნებით ილიას ნაწარმოებებია. მიგვაჩნია, რომ ილიას თხზულებანია

როგორც „ივერიაში“ დაბეჭდილი, ისე არქივებში დაცული ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი.[1]

ცხადია, ამ საქმეს ხელი შეუწყო წინა პერიოდის მკვლევარების (პ. ინგოროყვა, თ. მაჭავარიანი, პლ. კეშელავა, ალ. კალანდაძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ტაბიძე, ვ. ჟვანია) მიერ შესრულებულმა სამუშაომ. ყოველმხრივ შესწავლილ იქნა იმ წერილთა ავტორობის საკითხი, რომლებიც ხელმოუწერლად ან ფსევდონიმებით იბეჭდებოდა 1891-1893 წლებში გაზეთ „ივერიაში“.

დღემდე გამოცემულ თხზულებათა კრებულებში არ შესულა „ილია ჭავჭავაძის“ ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილი — „მოკითხული საზოგადო ფული“ („ივერია“, 1893 წ., №216 და №234), „რედაქტორის“ ხელმოწერით დაბეჭდილი „შენიშვნა“ („ივერია“, 1891 წ., №117), ასევე უყურადღებოდ იყო დარჩენილი ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში უკვე დადგენილი ილიას ფსევდონიმებით ხელმოწერილი და გამოქვეყნებული წერილები („ივერიელი“, „თქვენი თანამშრომელი“).

წერილების ტექსტები იბეჭდება პირველწყაროსთან შეჯერების შედეგად. გათვალისწინებულია ავტორის ბოლო ნება და აღდგენილია მწერლის მართლწერა. ჩასწორდა მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტთა დაწერილობა, დანარჩენი სიტყვათა ფორმები უცვლელად არის დატოვებული.

რაც შეეხება დასათაურებას, წინა გამომცემლების მსგავსად, ჩვენ არ დავშორებივართ „წერილების საერთო ტონს“[2] თითქმის ყველა სათაური აღებულია თვითონ წერილების ტექსტიდან. იშვიათ შემთხვევაში წერილებს ახლავს ავტორის მიერ მიცემული სათაური. უცვლელად დავტოვეთ წინა გამომცემლების მიერ მიცემული სათაურები, ჩვენ მიერ მიცემული ჩავსვით ისრისებრ ფრჩხილებში და დაწვრილებით ვუთითებთ ტექსტოლოგიურ პასპორტში.

---

[1] ლ. ჭრელაშვილი, „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები“, ჟურნ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1981 წ., გვ.53.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 510.

ავტორისეულ თარიღს, რა თქმა უნდა, ვტოვებთ ტექსტში. რაც შეეხება ჩვენ მიერ მიცემულ თარიღს, რომელიც ეყრდნობა პირველ პუბლიკაციას და ზოგჯერ კვლევა-ძიებითაა დაზუსტებული, ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში.

სადაც აზრის სიცხადე მოითხოვს, ტექსტს ერთვის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები გვერდისა და სტრიქონის (ზემოდან ქვემოთ) მითითებით.

ტომს ახლავს თემატური, პიროვნებათა, გეოგრაფიულ სახელთა და პერიოდულ გამოცემათა ანოტირებული საძიებლები.

იოსებ ლორთქიფანიძე, ლამარა შავგულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> (გვ. 11)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №24, 31 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად პირველად პ. ინგოროყვამ მიიჩნია და შეიტანა 1957 წელს გამოცემულ ი. ჭავჭავაძის ათტომეულის VIII ტომში (გვ. 55-58) ზემოთ დასახელებული სათაურით. იგი მიუთითებდა: „ამ წერილების ხელნაწერი დედნები არ შენახულა; ამასთან ამ წლების არც სარედაქციო კომპლექტები მოღწეულა გაზეთ „ივერიისა“. ამ წერილების ილიასადმი კუთვნილება დაგვიდასტურეს... „ივერიის“. ძველმა თანამშრომლებმა: არტემ ახნაზარმა, გიორგი ლასხიშვილმა, თედო სახოკიამ, ილია ზურაბიშვილმა“.[1]

თ სახოკიამ ეს წერილი ილიას მიაკუთვნა და შეიტანა „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“. წერილის ილიასადმი მიკუთვნებას მხარს უჭერს ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1963 წ., ტ.III, ნაკ.I, გვ. 348).

წინამდებარე ტომში ამ სათაურით ექვსი წერილია მოთავსებული. ისინი სხვადასხვა დროს (1891-1893 წ.წ.) გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ და ეხება ქალაქის (ტფილისის) გამგეობის მიმდინარე საქმეებს. აქედან 3 წერილი, დაბეჭდილი 1892 წლის 8, 16 და 19 იანვარს, გაერთიანებულია ერთ წერილად. მსგავს საკითხებს ეხება და ამავე სათაურით იბეჭდება წერილები მომდევნო ტომებში.

პ. ინგოროყვას ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულში (1957 წ., ტ.VIII) ისინი თემატური პრინციპით აქვს გაერთიანებული და ერთად იბეჭდება. ჩვენთან ეს წერილები ქრონოლოგიური პრინციპით დალაგდა.

გვ.14$_{10}$ „... საქმემ ჯერ ბევრი დამი უნდა იხადოს ...“ — აქ იგულისხმება, რომ ყოველ საქმეს, ვიდრე ის მიიღებს სასურველ სახეს, სჭირდება დამი, ანუ დიდი შრომა, ოფლისღვრა.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. VIII, თბ, 1957 წ., გვ. 359.

ეროვნული ბიბლიოთეკა

<დასაწყისი „სამთა კავშირის“ დასასრულისა> (გვ. 15)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №34, 13 თებერვალი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა: იგი თედო სახოკიას შეუტანია მის მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.*

წერილი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

გვ.15$_{4-5}$ „... ეგრედწოდებული „სამთა კავშირი“ ...“ — გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, სამთა კავშირი, ჩამოყალიბდა 1879-1882 წლებში. ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულების (1879წ.) დადების შემდეგ, გერმანიამ გამოიყენა იტალია-საფრანგეთის კონფლიქტის გამწვავება და იტალია დაითანხმა ხელი მოეწერა გერმანიასა და ავსტრია- უნგრეთთან საიდუმლო სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე 1882 წლის 20 მაისს ვენაში. ხელშეკრულება მიმართულ იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ.

გვ.17$_{17-20}$ „... გაზეთები ... ყოფნას ავსტრიის მემკვიდრისას რუსეთში ... საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ ...“ — იგულისხმება იმპერატორ ფრანც-იოზეფ I-ის ძე კარლოსი, (ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი 1916-1918 წ.წ.) რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის მეფის კარზე 1891 წელს.

გვ.17$_{37-38}$—18$_{1}$ „... საფრანგეთის აკადემიას იმპერატორმა ... მწუხარება გამოუცხადა სახელოვანი მხატვრის გარდაცვალების გამო ...“ — იგულისხმება ფრანგი ფერმწერისა და გრაფიკოსის, ნეოიმპრესიონიზმის ფუძემდებლისა და ლიდერის სერა ჟორჟ პიერის (1859-1891) გარდაცვალება.

სერას შემოქმედებამ დიდი ზეგავლენა იქონია XX ს. პირველი მეოთხედის მხატვრებზე.

---

* ჟურნ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981 წ., №2,გვ. 183.

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> (გვ. 19)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №50, 7 მარტი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1957 წელს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის VIII ტომში (გვ. 59-63) ზემოთ მითითებული სათაურით. ამის შესახებ იხ. შენიშვნა ჩვენი ტომის გვ. 256

წერილი ილიას კუთვნილებად მიიჩნია თ. სახოკიამ და შეიტანა იგი „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

გვ.19$_{7-9}$ „... ქალაქის თავმა ბ-ნმა მატინოვმა თავი დაანება თავის თანამდებობას, თუმცა ხელახლად ამორჩეული იყო ...“ — ა. მატინოვი 1879 წლიდან 1891 წლამდე იყო ქალაქის თავი (მერი). მეოთხე არჩევნებზე: „он прошёл в головы незначительным большинством и поэтому предпочёл совсем уйти“ (Г. Туманов, „Характеристики и воспоминания“, кн.1, 1915 г., стр. 49).

<მიხეილ ყიფიანი> (გვ. 24)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №53, 10 მარტი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

იგი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა 1945 წ. ხუთტომეულის II ტომში (გვ. 534-535) პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ, 1955 წელს მან ეს წერილი კვლავ შეიტანა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის IV ტომში (გვ. 248-250). წერილის სათაური ორივე შემთხვევაში მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ. იგი მოთავსებულია, აგრეთვე, თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

8 მარტს „ივერიამ“ გამოაქვეყნა ვრცელი ნეკროლოგი — „მიხეილი ზაალის ძე ყიფიანი“.

<რამდენი უნდა მიეცეს მუშაკაცს ცეცხლის გასაქრობად> (გვ. 27)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №94, 4 მაისი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა. წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

იგი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

გვ.27$_{21-24}$ „ფასის რაოდენობის აღრიცხვა მთავრობამ დაავალა ... საგლეხო პრისუტსტვიებს ...“ — „Присутствие“ — მეფის რუსეთის დროს ასე ერქვა დაწესებულებას; ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს ე. წ. „საგლეხო დაწესებულება“.

<რედაქტორის შენიშვნა> (გვ. 29)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №117, 5 ივნისი.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: რედაქტორი.

„რედაქტორის შენიშვნა“ — ჩვენ მიერ მიცემული სათაურია. წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“. ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ იგი არც ერთ წინა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა. დაბეჭდილია ივ. მაჩაბლის წერილის სქოლიოში.

წერილი რედაქციის მიმართ

„დიდის მოუთმენლობით მოველოდი ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის წრევანდელ კრებათა ანგარიშის დასრულებას თქვენს გაზეთში. მოველოდი იმიტომ, რომ მწადდა

სიმართლე ალმედგინა და შემესწორებინა ზოგიერთი შეცდომები, რომელიც მე შემეხებოდა: გუშინ დასრულდა ეს ანგარიში და, რა მთლად თვალი გადავავლე, დავრწმუნდი, რომ მართლაც, შეცდომებით სავსეა. იქნება ბრძანოთ, თუ შეცდომებია, რატომ ამ შეცდომებს პირდაპირ არ უჩვენებსო?

წინდაწინვე მოგახსენებთ, რომ თუ ფაქტების ჩვენებას და საზოგადოდ ბანკის მთელის დაჯიდარაბის გამორკვევას მოიწადინებთ, სრულის თქვენის ანგარიშის სივრცე პასუხი დამჭირდება. მე დიდის სიამოვნებით ვიკისრებ ამ შრომას შემდეგის პირობით: 1) შეუცვლელად დაბეჭდოთ, რაც გამოვგზავნო ბანკის საქმეებისა და იქ მომხდარი ბაასის შესახებ და 2) მომცეთ ნება პასუხის მოცემისა გაზეთითვე და თქვენის უკანასკნელის სიტყვით არ შესწყვიტოთ ბაასი, თუ საგანს სრულიად გამორკვეულად არ ჩავთვლი. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით ამ პირობაზედ და სრულის სიმართლის აღდგენის ნებას მომცემთ.

დავშთები თქვენი უმორჩილესი თ. ივ. გ. მაჩაბელი".

ამ წერილში მეორე პირობის ბოლოს რედაქციის მიერ გაკეთებულია სქოლიოს ნიშანი, რომლის გასწვრივ მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის „რედაქტორის შენიშვნა" — იხ. ტექსტის გვ.29

ივ. მაჩაბელი წერს, რომ „... მოუთმენლობით მოველოდი ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის ... კრებათა ანგარიშის დასრულებას თქვენს გაზეთში" — თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის 1890 წლის წლიური ანგარიში გამოქვეყნდა 1891 წლის გაზეთ „ივერიის" 101-114 ნომრებში. ანგარიშში სრულად არის წარმოდგენილი როგორც მოხსენება, ისე კამათში მონაწილეთა გამოსვლები.

დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (გვ. 30)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1891 წ., №120, 9 ივნისი, გვ. 2.

ნეკროლოგი დაიბეჭდა ზემოთ მითითებული სათაურით, ხელმოუწერლად. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

1891 წლის 8 ივნისს გაზ. „ივერიის“ №119-ში, სხვა დეპეშებთან ერთად, გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის სამძიმრის დეპეშა დ. ჩუბინაშვილის ქვრივისადმი.

გვ.30$_{21-23}$ „... ალწერა მისის ღვაწლისა ... იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი შარშან მაისში ...“ — ილიას მხედველობაში აქვს 1890 წელს გაზეთ „ივერიაში“ 9 და 10 მაისის №98-99-ში დაბეჭდილი ხელმოუწერელი წერილი „სამეცნიერო მოღვაწეობა დავით იესეს ძე ჩუბინაშვილისა“.

იქვე,31$_{1-3}$ „... ისეთს ... გარემოებაში აღიზარდა, ისეთს ოჯახში გაატარა თავისი ყმაწვილობა ...“ — იგულისხმება დავით ჩუბინაშვილის ოჯახი: მამამისი იესე დავითის ძე ჩუბინაშვილი (1780-1821), ქართველი გრამატიკოსი, ასწავლიდა ქართულ ენას თბილისის სასულიერო სემინარიაში.

გვ.31$_{15-18}$ „... სალექსიკოგრაფიო ნაშრომ-ნაღვაწი ... საგანძე ქართულის ენისა ...“ — ილიას მხედველობაში აქვს ის, რომ 1840 წ. დავით ჩუბინაშვილმა გამოსცა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი.

1841 წ. განხორციელებულ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას დაურთო ლექსიკონი; 1842 წ. გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური გამოკვლევა — „ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“.

1846 წ. დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც წაუძღვარა ქართული ენის გრამატიკის ნარკვევი. 1855 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „მოკლე ქართული გრამატიკა,“ რომელშიც მოცემულია ახალი ქართული ენის ანალიზი. 1887-1891 წ.წ. გამოსცა ქართულ-რუსული ლექსიკონი.

ნარკვევი (გვ. 32)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №173, 15 აგვისტო.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (ჟურნალ-გაზეთებიდგან).

დაიბეჭდა რუბრიკაში „ნარკვევი“ ხელმოუწერლად.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<პროფესორ დ. ი. ჩუბინაშვილის მემკვიდრეების კეთილი თაოსნობა> (გვ. 36)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №196, 14 სექტემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, ხელმოუწერლად და უსათაუროდ. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

ამ ხასიათის წერილების ატრიბუციის საკითხი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დროს დაისვა და დადგინდა, რომ გაზ. „ივერიის“ ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ტექსტისათვის“).

წერილი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

გვ.36$_{3-4}$ „... ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო... საყურადღებო და ... სასიამოვნო ამბავი“ — მხედველობაშია გაზ. „ივერიის“ 1891 წ. №192-ში გამოქვეყნებული ცნობა: „დიდად სასიამოვნო ამბავი მოვიდა პეტერბურგიდამ. იქიდან გვწერენ დეპეშით, რომ ამას წინად გარდაცვალებულის, დამსახურებული პროფესორის დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის ძვირფასი ბიბლიოთეკა ძველის ქართულის ხელნაწერებისა მისმა მემკვიდრეებმა შემოსწირეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაო“. შედგენა შემოწირულის ბიბლიოთეკის კატალოგისა უტვირთნია პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტისას ბ-ნს ალექსანდრე ცაგარელს“.

ალ. ცაგარელი, (1844-1929) რომელსაც ილია მოელაპარაკა 1891 წლის თებერვალში, რათა შეედგინა ბიბლიოთეკის კატალოგი, ვერ ჩაეტია დათქმულ ვადაში. ამიტომ ილია ჭავჭავაძეს მოლაპარაკება გაუმართავს პროფ. ალ. ხახანაშვილთან, რომელსაც თანხმობა განუცხადებია აღნიშნული სამუშაოს შესრულებაზე (იხ. ცსსა, ფონდი 481, საქმე 317, ფურც. 19). ი. ჭავჭავაძეს ალ. ხახანაშვილისათვის (1864-1912) გაუგზავნია ფული და ინსტრუქცია (იხ. იქვე, ფურც. 23-24).

ბიბლიოთეკის მცირე ნაწილი წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დ. ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ მიიღო მისი ვაჟისაგან (ნიკოსაგან), ხოლო დიდი ნაწილი (ხელნაწერები და წიგნები) 1922 წელს ჩამოი-

ტანეს საქართველოში შალვა ამირანაშვილმა და აკაკი შანიძემ.[1]

<ქალაქის გამგეობის მტკივნეული საკითხები> (გვ. 39)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №232, 1 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად უსათაუროდ და ხელმოუწერლად. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

ამ ხასიათის წერილების ატრიბუციის საკითხი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დროს დაისვა და დადგინდა, რომ გაზ. „ივერიის“ ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ტექსტისათვის“).

წერილი თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

დასათაურებულია ჩვენ მიერ.

ქალაქის თვითმმართველობაში პარტიათა ბრძოლებისა და შეჯახებების თაობაზე საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი გ. თუმანიშვილი (1854-1920) მოგვითხრობს თავის წიგნაკში „Заметки о городском самоуправлении на Кавказе“, Тифлис, 1903 г.

<ქალაქის ძველი გამგეობის მუშაობის შესახებ> (გვ. 44)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №234, 3 ნოემბერი.

---

[1] ვ. ჟვანია, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გადაცემის ზოგიერთი დეტალი“. გაზ. „სამშობლო“, 1972 წ., 24 მარტი, №6, გვ.3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

ამ ხასიათის წერილების ატრიბუციის საკითხი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დროს დაისვა და დადგინდა, რომ გაზ. „ივერიის" ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ტექსტისათვის").

წერილი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

<სიმინდის საქმე იმერეთში> (გვ. 47)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1891 წ., №240, 10 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და ზემოთ მითითებული სათაურით პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1927 წელს გამოცემულ ი. ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის ათტომეულის ტ. IX, გვ. 112-118; 1955 წელს პ. ინგოროყვას რედაქტორობით გამოსულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომეულში (ტ. IV, 1955წ., გვ. 162-165) და 1956 წ. პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულში (ტ. VII, გვ. 224-228). წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში". ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანიც მას აკუთვნებს ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", ტ. III, 1963 წ., ნაკვ. I, გვ.128).

წერილის დასათაურება პ. ინგოროყვას ეკუთვნის.

<ვინ ვისთვის ლესავს ხმალს ევროპაში>
(გვ. 52)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №242, 13 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

წერილი მოთავსებულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

იგი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

გვ.52$_{26-29}$–53$_{1-3}$ „გერმანია არც უიმისო იყო ... არ შეცდილიყო საფრანგეთთან ... მორიგებას. ... იმპერატორმა ვილჰელმა ... პატივი ... მიაგება საფრანგეთის წარმომადგენელს ... მუშათა კონგრესის დროს ბერლინში“ — იგულისხმება 1890 წლის მარტში ბერლინში მოწვეული საერთაშორისო მუშათა კონფერენცია, რომელმაც განიხილა მუშათა ერთიანი კანონმდებლობის საკითხი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. მის მუშაობაში, გერმანიის გარდა, მონაწილეობდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. ამ კონფერენციაზე კანონად მიიღეს ბავშვთა შრომის აკრძალვა 12 წლის ქვევით და ქალების მუშაობა მაღაროებში ღამის ცვლაში. შემოღებულ იქნა დასვენების დღე — კვირა. თ. ბისმარკი წერს, რომ კონფერენცია მოწვეული იყო მისი წინადადებით და რომ მას კამათი ჰქონია ვილჰელმ II-სთან მუშათა საკითხებზე. „კონფერენციის მოწვევა გადავწყვიტე იმისათვის, რათა შევპირისპირებოდი ცნობილ მოღვაწეთა მოსაზრებებს დილეტანტების საწინააღმდეგოდ, რომლებიც რჩევებს აძლევდნენ ვილჰელმ II-ს (იხ. Отто Бисмарк, Мысли и воспоминания, ტ. III, 1941, გვ. 54-60).

გვ.54$_{16-18}$ „... „სამთა კავშირი“ ამას წინად ხელახლად განაახლეს და ... ტრაქტატით შეიკვრნენ ...“ — გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, ანუ „სამთა კავშირი“ ოთხჯერ განახლდა: პირველად 1882 წ. დაიდო ხელშეკრულება შემდეგ — 1887, 1891 და 1902 წლებში.

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> (გვ. 56)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №245, 17 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1957 წ. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის VIII ტომში გვ. 64-66.

დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ.

წერილი, აგრეთვე, შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

<კომენტარი ბისმარკის პოზიციის გამო> (გვ. 59)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №251, 26 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“, იგი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

<დღევანდელი თავადაზნაურობის სატკივარი> (გვ. 63)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1891 წ., №273, 22 დეკემბერი, №274, 23 დეკემბერი, №275, 24 დეკემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილებად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. ეს სამი წერილი ერთმანეთის გაგრძელებაა.

პირველად ისინი ილია ჭავჭავაძეს მიაკუთვნა ბიბლიოგრაფმა თ. მაჭავარიანმა (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1963 წ., ტ. III ნაკვ.I გვ. 152).

წერილები შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“. დასათაურებულია ჩვენ მიერ.

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> (გვ. 76)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1892წ., №5, 9 იანვარი; №11, 17 იანვარი; №13, 19 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილებად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. აქ სამი წერილია გაერთიანებული, ისინი ერთმანეთის გაგრძელებაა.

სამივე ეს წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“. მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა 1957 წ. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულში (ტომი VIII, გვ. 67-70; 70-73; 73-76). სათაური პ. ინგოროყვას ეკუთვნის.

ამ წერილების ილიასადმი კუთვნილებას მხარს უჭერს ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1963 წ., ტ. III ნაკვ.I გვ. 349). თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

გვ.76$_{5-8}$ „... უმაგალითო ... უბედურება, რომელმაც ... დღესასწაული ნათლისღებისა ... ვაების დღედ გადაუქცია ჩვენის ქალაქის მკვიდრთა“ — 8 იანვარს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ნათლიღება დღეს ტფილისში ასამდე სომეხთა ოჯახს საბედნიერდღეო სიხარულის მაგიერ ტირილი მოუხდა სიკვდილის გამო ან მამისა, ან დედისა, ან შვილისა, ძმისა და სხვა... მეთორმეტე საათი იქნებოდა, როცა სომეხთა სამღვდელოების კრებულმა წყლის

კურთხევის წესი შეასრულა მადათოვის კუნძულის ბოლოს მტკვრის დიდ ტოტზე და უკან გაემართა ვანქის ტაძრისაკენ. ლიტანიამ გამოვლითაც ვანქის პირდაპირ საგანგებოდ ამ დღისთვის გაკეთებულს ხის ხიდზე გამოიარა და გავლითაც იმავე ხიდზე უნდა გაევლო. შედგნენ სამღვდელონი ხიდზე და ხალხიც უკან მიჰყვა, ჩვეულებისამებრ, ჭედვაჭყლეტით. როცა სამღვდელონი ვანქის ტაძრის გალავანში გადავიდნენ და ხალხი ზიმზიმებდა ხიდზე, უცებ ლაწანი მოიღო ხიდის ფიცარ-კოჭებმა, ზარბაზანივით დაიქუხა, კუნძულის მხრივ ჩატყდა, ოთხის საჟენის სიგრძეზე მოირღვა და 500-მდე კაცი, ქალი, ყმაწვილი და ხიდის ხარაჩოები ერთმანეთში აირია („ივერია", 1892 წ, №4).

საზოგადოებას ამ უბედურებაზე დაწვრილებით მოუთხრო „მ-ძემ" (ჟურნალისტმა არტემ ახნაზაროვმა) წერილში — „ნათლიღება დღეს მომხდარი უბედურება ტფილისში" („ივერია", 1892 წ, №5). გაზეთმა „ტიფლისკი ლისტოკ" (1892 წ, №4, 8 იანვარი) დასტამბა ისააკ ლალიანის, ამ ტრაგედიის უშუალო მონაწილის ნაამბობი, რომელიც „ივერიამ" გადაბეჭდა 10 იანვარს (№6).

გვ.82$_{9-10}$ „ცხენის რკინისგზის უსახელო საზოგადოება" — იგულისხმება ე. წ. „Бельгийское анонимное общество". თბილისში არსებობდა 70-იანი წლების დასასრულიდან. 1881 წლის 11 აპრილს ქალაქის თვითმმართველობასა და „ბელგიური ანონიმური საზოგადოების" წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს თბილისში ცხენის რკინიგზის მოწყობისა და ექსპლუატაციის თაობაზე (იხ. „Конно-железнодорожная конвенция," 1881 წ.").

1883 წლის მარტიდან თბილისში, ვაგზლის მოედნიდან დღევანდელი საარბრუკენის (ყოფილი ვორონცოვის, მერე მარქსის სახელობის) მოედნამდე გაიხსნა ცხენის რკინიგზა, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და იარსება 1910 წლამდე. იმავე საზოგადოებამ თბილისში აამოქმედა ელექტროდენით მოძრავი ტრამვაი.

<ქუთაისის არჩევნების გამო> (გვ. 86)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1892წ., №16, 23 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. გაზეთ „ივერიში" გამოქვეყნების შემდეგ

იგი არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა. წერილი მოთავსებულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენ მიერ.

<საზოგადო საქმეთა გამო> (გვ. 90)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1892წ., №21, 29 იანვარი; 1892 წ. №25, 1 თებერვალი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილებად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ეს ორი წერილი ერთმანეთის გაგრძელებაა. ისინი, როგორც ი. ჭავჭავაძის ნაწარმოები, თ. სახოკიას მიერ შეტანილია „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში.“

ამ წერილებს, აგრეთვე, ი. ჭავჭავაძეს მიაკუთვნებს ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1963 წ., ტ. III ნაკვ.I გვ. 124).

გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდვის შემდეგ, ისინი არც ერთ წინა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

გვ.90$_{3-4}$ „წლევანდელს „ივერიაში“ (№18, 19) დაბეჭდილი იყო ივრის ხეობიდამ მოწერილი ამბავი“ — იგულისხმება გაზეთ „ივერიის“ (№18 და №19) რუბრიკაში „დაბა და სოფელი“ დაბეჭდილი ექ. მიქელაძის კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა სოფლის გაძლიერების პერსპექტივებს (კერძოდ, საზოგადო ზვრების გაშენებას და გლეხების თხოვნას მთავრობისადმი ამ საქმეში დახმარებისა და გვერდში დგომის თაობაზე).

<ფიქრები გლეხკაცის გაღონიერებაზე> (გვ. 99)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1892 წ., №68, 29 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

წერილი, როგორც ილიას ნაწარმოები, თ სახოკიას შეტანილი აქვს „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში."

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენ მიერ.

<ქოლერის ეპიდემია ტფილისში> (გვ. 104)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1892 წ., №140, 5 ივლისი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში". დასათაურებულია ჩვენ მიერ. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

სხვა დასაბუთებასთან ერთად, ამ წერილის ილია ჭავჭავაძისადმი მიკუთვნებას ადასტურებს საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტი, დათარიღებული 1892 წლის ივლის-აგვისტოს თვეებით. იგი წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მიწერილობას თბილისის გუბერნატორისადმი (იმხანად ილია სანიტარულ მზრუნველად ყოფილა დანიშნული თბილისისა და დუშეთის მაზრებში). მიწერილობას დადებული აქვს გუბერნატორის რეზოლუცია, რომელშიც მითითებულია, რომ ამ მიწერილობის სათანადო ადგილები გამოყენებული ყოფილიყო საგაზეთო მასალად (ამის გამო მიწერილობაში ბევრი ადგილი გადახაზულია). ტექსტი დაწერილია რუსულ ენაზე და თარგმანში ასე იკითხება: „დაავადების სიმრავლემ, შედარებით პატარა სოფელში, ყურადღება მიიქცია და შევუდექი მიზეზების გამოძიებას. გამოირკვა, რომ ეს სოფელი, ისევე როგორც სხვა მახლობელი სოფლები, ადრევე მიღებული სანიტარული ღონისძიებების შედეგად, გაიწმინდა ნაგვისაგან. მაგრამ სოფელს არ ჰქონდა სასმელი წყალი, ვინაიდან ზემო სოფლებმა გვალვისაგან ისედაც ნაწილობრივ დამშრალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო თავიანთი ბალების მოსარწყავად გადაიყვანეს, რის გამოც სოფელ ჯილაურის მოსახლეობა იძულებული გახდა სასმელად გამოეყენებინა წყაროს კალაპოტში ჩამდგარი გუბეები, ანდა წყალი კასრებით ეზიდათ არაგვიდან. მივიჩნიე რა ეს გარემოება სოფლის უბედურების ძირითად მიზეზად, დავითანხმე ზედა სოფლების მკვიდრნი, შეეწყვიტათ ბალების მორწყვა, მოეწოდებინათ წყალი და ეხსნათ ჯილაურელები ქოლერით დალუპვისაგან. დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ ჩემს თხოვნას სოფელ ახატანში და გამოუშვეს წყაროს წყალი ჯილაურისაკენ. ყოველივე ამასთან ერთად აღსანიშნავია ექიმ გედევანოვის (დავით ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი—ი.ლ.) მიერ ძალზე ენერგიული ღონისძიებანი ქოლერის წინააღმდეგ. მთელი სოფელი, ცალკეული სახლი თუ ნაგებობა გულმოდგინედ იყო დეზინფიცირებული, ყველა ავადმყოფმა მიიღო დროული სამედიცინო დახმარება და სამართლიანობა მაიძულებს ვაღიარო, რომ ექიმმა გედევანოვმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეიძლება მოეთხოვოს ადამიანს, რომლისთვისაც წმიდათაწმიდაა თავისი მოვალეობა და თავდავიწყებული ერთგულებით ასრულებს მას. იმასაც შევსწრებივარ, როცა ავად გახდომის საშიშროების მიუხედავად, იგი პირნათლად ადგა თავზე და შველოდა მძიმე ავადმყოფს. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა 29 ივლისისათვის შეგვეწყვიტილიყო ქოლერის გავრცელება სოფელ ჯილაურში და გადაგვერჩინა მისი მოსახლეობა განადგურებისაგან.

საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ სასმელი წყლის სისუფთავე, ქოლერის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებათაგანია. მე ექიმის თანხლებით დავიარე ჩემდამი რწმუნებული სოფლები და ავუხსენი გლეხობას, რომ სასმელი წყაროების სისუფთავე ქოლერისაგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა. ზოგან ვაიძულებდი კიდეც ჩვენივე თანდასწრებით გაეწმინდათ წყაროების სათავეები და კალაპოტები, დაეყენებინათ დარაჯები მათი დაცვის მიზნით.

ერთობლივად განხორციელებული ღონისძიების შედეგად, ქოლერის ეპიდემია თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, რომ მოულოდნელად 1 აგვისტოს სოფელ ზაქაროში თავი იჩინა დაავადების ახალმა შემთხვევებმა, ერთ დღეში ქოლერით ავად გახდა 4 კაცი, ხოლო შემდეგ დღეებში უფრო და უფრო მატულობდა დაავადებულთა რიცხვი. ეს ფაქტი ძალზე გასაოცრად გვეჩვენა, რადგან ახლომდებარე სოფლებში დაავადების არც ერთი შემთხვევა არ იყო ცნობილი.

ექიმმა გედევანოვმა დროულად მიიღო ზომები. განხორციელდა ყოველგვარი სადეზინფექციო ღონისძიებანი, სოფელს მიამაგრეს ფერშალი. მე ყოველივე ამით მაინც არ დავკმაყოფილდი და ადგილობრივი პოლიციის ბოქაულთან ერთად გავემართე ამ ახალი დაავადების ადგილისაკენ იმ მიზნით, რომ გავცნობოდი სასმელი წყლით სოფლის მომარაგების მდგომარეობას. გამოირკვა, ამ სოფლის სასმელი წყარო სათავეს იღებდა დაჭაობებული ადგილებიდან, ხოლო დინების თითქმის სამი ვერსის მანძილზე ქმნიდა გუბეებს. დაუყოვნებლივ გავაწმენდინეთ წყარო და შედეგიც კეთილია — სოფელ ზაქაროში შეწყდა ქოლერით დაავადება.

ამრიგად, ჩემდამი რწმუნებულ უბანში 17 აგვისტოდან სრულიად არ არის დაავადების ახალი შემთხვევები და ეპიდემია შეწყვეტილია. ვერ ვბედავ ვამტკიცო, რომ სახელდობრ ეს ღონისძიებანი დაეხმარა საქმეს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მაზრაში ეპიდემია, რომელიც 10 ივლისს დაიწყო, დაავადებულთა რიცხვის მიხედვით 28 ივლისისათვის საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 17 აგვისტოს საერთოდ შეწყდა და დღეისათვის ჩემი სამოქმედო უბანი ერთ-ერთი კეთილსაიმედოა გუბერნიაში (სცსა, ფონდი, 504, ანაწერი I, საქმე 634, გვ. 32-39. იქვე (საქმე №567) დაცულია ილია ჭავჭავაძის დეპეშა რუსულ ენაზე, რომელიც გამოგზავნილია საგურამოდან თბილისში გუბერნატორის (გ. დ. შერვაშიძის—ი.ლ.) სახელზე 1892 წლის 12 ივლისს. „9 ივლისს შუადღისას ავად გახდა მუშა ზევნორიე თვარაძე და სალამოთი იგი ცოცხალმკვდარი მოიყვანეს მინდვრიდან საგურამოში. შემთხვევა საეჭვოა, ადგილობრივი მამასახლისი უმოქმედობს, ამბობენ, მაზრის ექიმიც ასევე. გთხოვთ მოავლინოთ ექიმი. ილია ჭავჭავაძე“ (დაწვრილებით, თ. ვაჩნაძე, ილიას ერთი დეპეშა, „დროშა“, 1982 წ., №3).

<ჩვენი დაქვეითება სწავლა-განათლების საქმეში> (გვ. 108)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1892 წ., №206, 26 სექტემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ამ ხასიათის წერილების ატრიბუციის საკითხი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დროს დაისვა და დადგინდა, რომ გაზ. „ივერიის“

ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ტექსტისათვის“).

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

<ჩვენი ღვინოების საბაზრო ქცევის საკითხი> (გვ. 111)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1892 წ., №240, 12 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. თხზულებათა კრებულში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომელში 1955 წ. ტ. IV, გვ. 133-135, ათტომეულში 1956 წელს ტ. VII, გვ. 186-189. სათაურიც მის მიერაა მიცემული. ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი მხარს უჭერს ამ მოწინავის ილიასადმი მიკუთვნებას (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1963 წ., ტ. III ნაკვ.I გვ. 124).

წერილი შესულია, აგრეთვე, თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> (გვ. 115)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1892 წ., №241, 13 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

თხზულებათა კრებულში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულში 1957 წ., ტ. VIII, გვ. 77-79. სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

რაც შეეხება წერილის ატრიბუციას, გარდა „ივერიის“ ძველი თანამშრომლების (ა. ახნაზარი, გ. ლასხიშვილი, თ.

სახოკია, ი. ზურაბიშვილი) დასტურისა, რომ წერილი ილიას ეკუთვნის, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ იმავე წლის, ანუ 1892 წ. გაზეთ „Новое Обозрение"-ს №3070-ში, 26 ნოემბერს ი. ჭავჭავაძის ხელმოწერით გამოქვეყნდა სტატია — „Газета „Кавказ" и её „Летучие заметки" о конверсии", ხოლო ასევე 1892 წლის გაზეთ „Новое Обозрение"-ს №3086-ში, 13 დეკემბერს, ილიასავე ხელმოწერით გამოქვეყნდა მეორე სტატია — „Так ли?" ამ ორივე სტატიაში ილია დასაბუთებულად იცავდა გაზეთ „ივერიის" №241-ში გამოქვეყნებული მეთაური წერილის დებულებებს და ამტკიცებდა თავისი პოზიციის მართებულებას.

ეს მეთაური წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში." წერილს ილია ჭავჭავაძეს თ. მაჭავარიანიც აკუთვნებს (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", 1963 წ., ტ. III ნაკვ.I გვ. 380).

<შინაური მიმოხილვა> (გვ. 120)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1893 წ., №1, 1 იანვარი.

წერილებისთვის, რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველთვიურ და წლიურ მიმოხილვებს, პ. ინგოროყვას ათტომეულის VII-ე ტომში (გამოიცა 1928 წელს) თითოეულისთვის მიუცია სათაური — „შინაური მიმოხილვა" და ცალკე დაუბეჭდავს, „როგორც გარკვეული სახის მქონე ციკლი" („ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული", 1928 წ., ტ. VII, გვ. 342). მკვლევარმა ასეთი ხასიათის წერილები გააერთიანა საერთო სახელწოდების — „საქართველოს მატიანე"-ს ქვეშ. ეს სახელწოდება თვით ილიას ეკუთვნის (იხ. ჟურნ. „ივერია", 1878 წ., №43).

წინამდებარე წერილი დაიბეჭდა 1893 წლის გაზეთ „ივერიის" პირველ ნომერში უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ამის შემდეგ იგი გამოქვეყნდა 1928 წელს პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის მიერ გამოცემულ ი. ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებულის VII ტომში. სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ. ჩვენ, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები დავალაგეთ არა თემატურად, არამედ ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით. ამდენად, ქრონოლოგიის მიხედვით, ეს წერ-

ილები უნდა დაიბეჭდოს 1892 წლის წერილებთან. მი-თუმეტეს, რომ ცენზურის ნებართვა მის დაბეჭდვაზე გაცე-მულია 1892 წლის 30 დეკემბერს.

პ. ინგოროყვამ იგი თხზულებათა კრებულში კვლავ 1945 წელს შეიტანა ი. ჭავჭავაძის ხუთტომეულის II ტომში (გვ.218-221); შემდეგ ი. ჭავჭავაძის ათტომეულში 1955 წ., ტ. V, გვ. 335-340. იგი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფი-აში". ილია ჭავჭავაძეს აკუთვნებს ამ წერილს ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანიც (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", 1965 წ., ტ. IV ნაკვ.I გვ. 162).

გვ.121_{38-39}—122_{1-8} „ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი: წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის ... ქართველთა წიგნთა გამომ-ცემელი ამხანაგობა... ძლიერდებიან და წინ მიდიან ... ყოველივე ეს მომხდარია ამ ოცს წელიწადში" — აქ იგულისხმება შემდეგი:

ტფილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი (ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ი. ჭავჭავაძე) დაარსდა 1875 წ., ხოლო **ქუთაისის** — 1876 წელს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა 1879 წ., თბილისში. პირველ თავმ-ჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, მის მოადგილედ ილია ჭავჭავაძე, ხოლო 1885 წლიდან საზოგადოებას უცვ-ლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. საზოგადოებამ 1927 წლამდე იარსება.

ქართული დრამატული საზოგადოება შეიქმნა თბილისში 1881 წ. საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარის ამხანაგად აკაკი წერეთელი, მდივნად კოტე ყიფიანი. საზოგადოებამ 1921 წლამდე იარსება.

„ღარიბ მოწაფეთა შემწე" ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება დაარსდა თბილისში, 1878 წელს.

„ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა" — დაარსდა თბილისში 1880 წ. (ქუთაისში — 1892 წ.). ამ საზოგადოების უპირველესი მიზანი იყო ქართული წიგნის გავრცელება, თანამედროვე და ძველი ქართველი მწერლების ნაწერების ბეჭდვა-გამრავლება. საზოგადოებამ შესძლო მოკლე დროში დიდი საქმის განხორციელება. გამოსცა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. ყაზბეგის და სხვათა თხზულებანი.

გვ.122_{30-32} „... შარშან შეადგინეს ... „სახლების ამშენე-ბელი ამხანაგობა..." — იგულისხმება თბილისში 1892 წელს

კერძო ინიციატივით დაარსებული საზოგადოება, რომელმაც დაიწყო ქალაქის გეგმიური გაშენება თანადროულობის მოთხოვნილების შესაბამისად, მისი გაშენებულია დღევანდელი შეროზიას და მისი პარალელური ქუჩები.

<ჩვენი სოფლის მეურნეობა, და შეკავშირების საჭიროება> (გვ. 126)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1893 წ., №4, 8 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში". იგი პირველად „ივერიაში" გამოქვეყნების შემდეგ პ. ინგოროყვამ 1955 წ. დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის ხუთტომეულის IV ტომში (გვ.26-29), აგრეთვე ათტომეულში 1956 წ., ტ. VII, გვ. 31-35.

წერილი დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ.

გაზეთი „Новое Обозрение" და კახეთის რკინისგზა (გვ. 131)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1893 წ., №10, 16 იანვარი, გვ. 1; №11, 17 იანვარი, გვ.1; №12, 19 იანვარი, გვ.1.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ივერიელი.

დაიბეჭდა მეთაურ წერილებად ზემოთ მითითებული სათაურით. იგი არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა. პ. ინგოროყვა აღნიშნავს: „ილიასადმი კუთვნილება... ფელეტონებისა ფსევდონიმით „ივერიელი" დადასტურებულია „ივერიის" თანამშრომელთა მიერ.*

---

* იხ. ილია ჭავჭავაძის ნაწერების კრებული, პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. IX (1928წ.), გვ. 397-399.

პლატონ კეშელავას ცნობით, წერილები ი. ჭავჭავაძისაა (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1965 წ., ტ. IV, გვ. 139).

სამივე წერილი ტომში ერთად მოვათავსეთ, წერილების დაყოფა (1,2,3) ჩვენ გვეკუთვნის.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

გვ.131$_{21-23}$ „... ყოველივე მოგება, რომელსაც კი მისცემს ოდესმე გზა თავადაზნაურობას, საზარალო იქნება კახეთის მკვიდრთათვის და მათ შორის თავადაზნაურთათვისაცაო“ — იგულისხმება გაზეთ „Новое Обозрение“-ში 1892 წლის 6 დეკემბერს დაბეჭდილ უსათაურო და ხელმოუწერელ მოწინავეზე „Тифлис, 5-го декабря“, რომელშიაც საუბარია კახეთის რკინიგზის ჯერ არდაწყებულ მშენებლობაზე.

გვ.137$_{30-35}$ „... ვაითუ, თავადაზნაურობამ კახეთის გზის გაყვანას მოჰკიდოს ხელი ... და ... დიდის ხნით გადასდოს ... ფრიად საჭირო საქმე ... დაბა-სოფლების მოწყობისა“ — იგულისხმება გაზეთ „Новое Обозрение“-ში 1892 წლის 10 დეკემბერს იმავე ავტორის უსათაურო და ხელმოუწერელი მოწინავე კახეთის რკინიგზის მომავალ მშენებლობაზე — „Тифлис, 9-го декабря“, რომელიც გაგრძელებაა იმავე გაზეთში დაბეჭდილი წერილის „Тифлис, 5-го декабря“.

<საკომლო მამულების ახალი კანონპროექტის გამო> (გვ. 140)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №14, 21 იანვარი, გვ.1-2.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. იგი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“. წერილის ილიასეულობა დადგენილია პლ. კეშელავას მიერ (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1965 წ., ტ. IV, გვ. 117).

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

<პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში>
(გვ. 144)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №17, 24 იანვარი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

მოვალეობა ჩვენის თავადაზნაურობისა
(გვ. 148)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №20, 28 იანვარი, გვ.1-2; №22, 30 იანვარი, გვ.1-2; №23, 31 იანვარი, გვ. 1-2.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (კიდევ „Новое Обозрение“-სა და კახეთის რკინისგზის გამო).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ივერიელი.

დაიბეჭდა მეთაურ წერილებად, სათაურით და ხელმოწერით. პლ. კეშელავას ცნობით, წერილები ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1964 წ., ტ. IV, გვ. 139). ფსევდონიმზე „ივერიელი“ (იხ. შენიშვნა გვ.278). გაზეთის სამივე ნომერში სათაური და ქვესათაური იგივეა, ხელმოწერაც იგივე. ტომში სამივე წერილი შევაერთეთ და ერთმანეთისაგან გამოვყავით არაბული ციფრებით.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ (გვ. 156)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №24, 2 თებერვალი.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (წერილი რედაქციის მიმართ).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: თქვენი თანამშრომელი.

დაიბეჭდა ზემოთ მითითებული სათაურით და ქვესათაურით, ხელმოწერით.

ფსევდონიმი „თქვენი თანამშრომელი“ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ათ ტომად, 1958 წ., ტ. III, გვ. 502). ეს ფსევდონიმი მას პირველად ჟურნალ „ივერიაში“ გამოუყენებია 1879 წ. №2-ში, როდესაც დაუბეჭდავს „სხარტულა“ („ივერიის“ რედაქციას).

წერილის ილიასეულობას პლ. კეშელავაც ადასტურებს. იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (გაზ. „ივერია“ 1893-1896 წ.წ.), 1964 წ., ტ. IV, გვ. 349. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

გვ.157$_{11-13}$ „... გვეგონა ... ასეც მოიქცეოდა ... რედაქცია ... ახალის გაზეთისა „კვალი“ — ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი „კვალი“ პირველად 1893 წელს გამოვიდა.

იქვე, სტრ.$_{39}$ „სწავლის საქმე ჩვენში“ — წერილი, რომელიც ხელმოუწერლად დაიბეჭდა „კვალში“, 1893 წ., №2, გვ.7-10.

<პოლიტიკური ვითარება ევროპაში> (გვ. 165)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №27, 9 თებერვალი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

ამ ხასიათის წერილების ატრიბუციის საკითხი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის (იგულისხმება ოცტომეული) დროს დაისვა და დადგინდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გაზ. „ივერიის“ ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ტექსტისათვის“). იგი ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა. სათაური მიცემულია ჩვენ მიერ. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

გვ.165$_{3-4}$ „... მემკვიდრე ცესარევიჩი ეწვია ... იმპერატორს ვილჰელმს ბერლინში“ — იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III-ის ძე ნიკოლოზის (მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ II (1894-1917) ვიზიტი ბერლინში ვილჰელმ II-ის კარზე 1893 წელს.

გვ.166$_{21-22}$ „... საფრანგეთს ... იმისთანა სატკივარი აუჩნდა, როგორც პანამის საქმე“ — იგულისხმება პანამის არხის მშენებლობა, რომელიც ქ. ბალბოასთან აერთებს წყნარ ოკეანეს ატლანტის ოკეანესთან და ერთმანეთისაგან ყოფს სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას.

XIX საუკუნის შუა წლებში, სანამ დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები ერთმანეთს ეცილებოდნენ არხის აშენებაში, საფრანგეთმა იხელთა დრო და 1879 წ. აქციონერულმა კომპანიამ დაიწყო არხის მშენებლობა, რომელიც 1888 წელს კომპანიის კრახით დამთავრდა. მრავალმხრივი მაქინაციების შედეგად შექმნილი ფინანსური კრიზისის დასაძლევად, კომპანიის გამგეობამ მოისყიდა ფრანგი მინისტრები, სენატორები, დეპუტატები და გაზეთების რედაქტორები, მაგრამ კომპანიის მარცხმა გამოიწვია ათიათასობით წვრილაქციათა მფლობელების გაკოტრება.

<ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე>
(გვ. 168)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №28, 14 თებერვალი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ 1945 წელს გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულში ხუთ ტომად. 1955 წელი (ტ. IV, გვ. 183-186), აგრეთვე, 1956 წ. მის მიერ გამოცემულ ათტომეულის VII ტომში (გვ. 249-256).

ამ წერილის ილიასადმი კუთვნილება დაადასტურა ბიბ-
ლიოგრაფმა თ. მაჭავარიანმა (იხ. ქართული გაზეთების
ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", 1964 წ., ტ. IV, გვ. 139).
სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

<სამეურნეო მცენარეთა დაზღვევა> (გვ. 174)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1893 წ., №44, 2 მარტი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ, არც ერთ წინა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში".

ამ ხასიათის წერილების ატრიბუციის საკითხი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დროს დაისვა და დადგინდა, რომ ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ტექსტისათვის").

წერილი წინამდებარე ტომში პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

გვ.174$_{24}$ „... ოლდენბურგის მთავრობა" — XII-ე საუკუნიდან საგრაფო ჩრდილოეთ გერმანიაში (მთავარი ქალაქი ოლდენბურგი), 1667-1777 წლებში იმყოფებოდა დანიის სამეფოს გამგებლობაში. 1777 წლიდან — საჰერცოგო, 1815-1918 წლებში — დიდი საჰერცოგო, რომელსაც საკუთარი ხელისუფლება განაგებდა. სწორედ ოლდენბურგის ხელისუფლებამ მიიღო პირველი კანონი მესაქონლეობის დაზღვევის თაობაზე.

ჟიულ ფერრი (გვ. 178)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია", 1893 წ., 18 მარტი, №57, გვ.3-4; 20 მარტი, №59, გვ. 3.

1893 წლის 18 მარტს წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" სათაურით „ჟიულ ფერრი", ამის გაგრძელებაა

20 მარტს გამოქვეყნებული მეორე წერილი — „ჟიულ ფერრის სიკვდილი“. ორივე წერილი ხელმოუწერელია.

ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ ისინი არც ერთ გამოცემაში არ შესულა. ორივე წერილი შევაერთეთ და ერთმანეთისაგან გამოვყავით არაბული ციფრებით. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

1891 წლის გაზეთ „ივერიის“, №34-ში, ილია წერილში „დასაწყისი „სამთა კავშირის“ დასასრულისა“ (გვ.15) დიდ დაინტერესებას იჩენს ჟიულ ფერრის მიმართ და მაღალშეფასებას აძლევს მის მოღვაწეობას.

გვ.179$_{30-31}$ „ნაპოლეონის მთავრობა“ — იგულისხმება ნაპოლეონ III-ე — შარლ ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი (1808-1873), საფრანგეთის იმპერატორი 1852-1870 წლებში. მფარველობდა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს და ამავე დროს ელაციცებოდა მშრომელთა მასებს.

იქვე,35 „ასტყდა ომი“ — იგულისხმება 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომი.

გვ.181$_{10-11}$ „...ფერრიმ ბულანჟელთა წინააღმდეგ ბრძოლაშიაც გამოიჩინა თავი“ — იგულისხმება ბულანჟიზმი, შოვინისტური მოძრაობის წარმომადგენლები საფრანგეთში, სამხედრო გენერალ ჟორჟ ბულანჟეს (1837-1891წ.წ.) მეთაურობით. ბულანჟიზმი აღმოცენდა XIX საუკუნის 80-იან წლებში საფრანგეთში, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში. ბულანჟისტების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ მონარქისტები, რომლებიც ოცნებობდნენ გერმანიის წინააღმდეგ რევანშისტულ ომზე. 1889 წლიდან ეს მოძრაობა თანდათან დაიშალა.

გვ.181$_{15}$ „ელისეის სასახლე“ — სწორია ელისეს სასახლე — იგულისხმება საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენცია პარიზში.

<ახალი ხმოსნების არჩევნები> (გვ. 183)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №100, 15 მაისი, გვ. 1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ, იგი არც ერთ გამოცემაში არ შესულა.

წერილის ილიასადმი მიკუთვნება დადგენილია თ. მაჭავარიანის მიერ (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. IV, 1964 წ.,).

წერილი თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. იგი დასათაურებულია ჩვენ მიერ.

ახალი არჩევანები (გვ. 186)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №110, 29 მაისი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ზემოთ მითითებული სათაურით, ხელმოუწერლად. ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ იგი არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი ამ წერილს ი.ჭავჭავაძეს აკუთვნებს (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. IV, 1965 წ., გვ. 262).
თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<სიტყვა, წარმოთქმული ღვინით ვაჭრობის წესდების განხილვისას> (გვ. 189)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №127, 18 ივნისი, გვ. 2-3.

ეს „სიტყვა“, როგორც ბიბლიოგრაფიული ერთეული, პირველად 1987 წელს „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეში“ შეიტანეს ი. გორგაძემ და ნ. გურგენიძემ. არც ერთ სხვა თხზულებათა კრებულში არ გამოქვეყნებულა. წინამდებარე გამოცემაში პირველად იბეჭდება. დასათაურებულია ჩვენ მიერ.
გაზეთ „ივერიის“ 1892 წლის 11 ნოემბრის „მოწინავეში“ ილია ჭავჭავაძე ქართული ღვინის ბაზარზე გატანასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ცხადია საჭიროება იმისი, რომ ჩვენმა ღვინომ ბაზარი იშოვოს რუსეთში და სხვა ქვეყნებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წლის 13 ნოემბრის გაზეთ „ივერიაში“ (№245) ქვეყნდება ცნობა, რომ თელავის მაზრის თავადაზნაურთა კრებაზე, რომელიც ღვინით ვაჭრობის ამხანაგობის შესადგენად მოიწვიეს, გამოთქვეს აზრი — წესდების შემდგენ კომისიაში შეეყვანათ ილია ჭავჭავაძე.

1893 წლის თებერვალში, როგორც ამას გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№3141) იუწყება, თელავში მევენახეთა კრებაზე, ილია ჭავჭავაძე აირჩიეს ამხანაგობის წესდების შემმუშავებელ კომისიაში.

1893 წლის ივლისის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ნადიკვრელის (ი. ზარაფიშვილი) წერილი სათაურით „სათავადაზნაურო თანხა“, რომელიც გვატყობინებს, რომ ღვინით ვაჭრობის წესდების განსახილველად თელავის თეატრში გაიმართა კახეთის მევენახეთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. ამ კრებაზე ილიას მონაწილეობით განხილულ იქნა ამხანაგობის წესდების პროექტი.

კრებაზე ილიამ ზემოთ დასახელებული სიტყვა წარმოსთქვა.

<ILIAS PASUXI SAMEURNEO SKOLIS MNISVNELOBIS SESAXEB> (GV. 191)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №127, 18 ივნისი, გვ. 2-3.

სათაური ჩვენ მიერ არის მიცემული. ილიას ეს სიტყვა არც ერთ წინა თხზულებათა კრებულში არ შესულა. იგი პირველად ჩვენს გამოცემაში იბეჭდება.

ჟურნალისტი ი. ზარაფიშვილი (ნადიკვრელი) ესწრებოდა კახეთის მევენახეთა კრებას, რომელიც ჩატარდა თელავში. მან ამ ღონისძიებას მიუძღვნა კორესპონდენცია — „წერილი კახეთიდან“, რომელშიც მოტანილია ილია ჭავჭავაძის ზემოთ მითითებული სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

<გაზეთის კორესპონდენტის მოვალეობა> (გვ. 194)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №138, 2 ივლისი, გვ.1.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. წერილი ჩვენ დავასათაურეთ. წერილის ილიასეულობა დადგენილია პლ. კეშელავას მიერ (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1965 წ., ტ. IV, გვ. 499).

წერილი ქუთაისიდგან (გვ. 198)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №142, 7 ივლისი.

ქ ვ ე ს ა თ ა უ რ ი: (რედაქციის მიმართ).

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, ზემოთ მითითებული სათაურით და ხელმოუწერლად. ავტორისდროინდელი ნაბეჭდის შემდეგ, იგი არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა. თხზულებათა კრებულში (იგულისხმება წინამდებარე გამოცემა) პირველად იბეჭდება.

ამ ხასიათის წერილების ატრიბუციის საკითხი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის დროს დაისვა და დადგინდა, რომ გაზ. „ივერიის“ ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს (იხ. „ტექსტისათვის“).

გვ.199$_{34-39}$ „თ. ლორთქიფანიძე ... ხელს უწყობდა ... ჩვენს ახალგაზდობას ... პეტერბურგშივე გამოსცა ჩვენი საუკეთესი მწერლების ლექსთა კონა „ჩონგური“ — იგულისხმება კირილე ლორთქიფანიძის მიერ 1864 წ. გამოცემული კრებული „ჩონგური“, რომლის მოკლე ანოტაციაში წერია: „ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. პეტერბურღი, 1864“.

ამ გამოცემასთან დაკავშირებით კ. ლორთქიფანიძესა და ი. ჭავჭავაძეს შორის გაიმართა მიმოწერა (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად, ტ. X, 1961 წ. გვ. 25-26).

1864 წლის 24 აგვისტოს ილია ქუთაისიდან პეტერ-ბურგში კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „მაგ შენგან დაპირებულის ლექსების წიგნის სახელი არ მომწონს: სჯობს „ქართული ლექსების კონა“ დაარქვა. „კრება“ სხვარიგად ესმის ქართველსა და რუსულიდამ თარგმნულსა ჰგავს.“

მოგვიანებით, თითქმის 30 წლის შემდეგ, 1893 წელს დაწერილ წერილშიც ილია ამ კრებულს კვლავ „ლექსთა კონად“ იხსენიებს.

ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ „წერილი ქუთაისიდამ“ ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

<ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი> (გვ. 201)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №152, 18 ივლისი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად 1955 წ. პ. ინგოროყვამ შეიტანა მის მიერ გამოცემულ ხუთტომეულის V-ე ტომში (გვ. 9-10), შემდეგ 1956 წ. აგრეთვე პ. ინგოროყვას მიერ მომზადებულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის VII ტომში (გვ. 7-9). წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ი. ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

<მიწადმოძმედის ორგვარი გაჭირება> (გვ. 204)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №164, 3 აგვისტო, გვ.1

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ, იგი არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილის ილიასადმი კუთვნილებას ადასტურებს თ. სახოკიას მიერ შედგენილი „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია“. ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანი წერილს ი. ჭავჭავაძეს აკუთვნებს (იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, 1965 წ., ტ. IV, გვ. 108).

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

სომეხთა კათალიკოზი მკრტიჩ I (გვ. 209)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №185, 29 აგვისტო.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად ზემოთ მითითებული სათაურით, ხელმოუწერლად.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

გვ.209$_{27}$ „... ჰაირიკ ხრიმიანი“ — „ჰაირიკ“ სომხურად ნიშნავს „მამას“, ასე უწოდებდნენ ცნობილ სასულიერო პირს — მკრტიჩ ხრიმიანს (1820-1907), რომელმაც უბრალო ბერიდან უმაღლეს მღვდელმთავრამდე ცხოვრების გრძელი გზა განვლო. 1892 წელს, ხალხის სურვილის გათვალისწინებით, ჰაირიკ ხრიმიანი სრულიად სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქად აირჩიეს (იხ. ა. ღულაძე, „მკრტიჩ I პატრიარქ-კათალიკოსი სრულიად სომეხ-გრიგორიანთა“, ტფილისი, 1893 წ.). მან პატრიარქ-კათალიკოსად დაჰყო გარდაცვალებამდე (1907 წლამდე).

ფართოდ აშუქებდა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქის ტფილისში ყოფნას გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (1893 წ., №3329; №3333).

დროგადასრული სისტემა (გვ. 211)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №206, 26 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ მეთაურ წერილად ზემოთ მითითებული სათაურით, ხელმოუწერლად.

არც ერთ წინა გამოცემაში არ შესულა. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

გვ212$_{7-8}$ „... ითხოვს ... პალლიატივურ წამალს ...“ — აქ იგულისხმება რაიმე რთული ვითარების დროს გამოყენებული ნაწილობრივი ღონისძიება, რომელიც იწვევს მხოლოდ დროებით შემსუბუქებას, მაგრამ სავსებით ვერ ძლევს სირთულეს.

<სასარგებლო საბანკო კრედიტისათვის> (გვ. 214)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №208, 29 სექტემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნების შემდეგ, იგი არც ერთ წინა გამოცემაში არ დაბეჭდილა.

თემატურად და სტილის მიხედვით, მკვლევარი ლ. ჭრელაშვილი წერილს ი. ჭავჭავაძეს აკუთვნებს.[1]

გვ.214$_{12-13}$ თურქესტანის საგენერალ-გუბერნატორო — 1867 წელს დასავლეთის ანუ რუსეთის თურქესტანში, რომელიც მოიცავდა ახლანდელ შუა აზიასა და ყაზახეთის სამხრეთ ნაწილს, დაარსდა საგენერალგუბერნატორო.

მოკითხული საზოგადო ფული (გვ. 216)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №216, 9 ოქტომბერი, გვ.1-4. №234, 31 ოქტომბერი, გვ.1-3.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ილია ჭავჭავაძე.

---

[1] იხ. ჟურნ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1981 წ., №2, გვ. 52.

ორივე წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ განყოფილება „ფელეტონში“, ხელმოწერით. მეორე წერილი პირველის გაგრძელებაა.

პირველი წერილი დაიბეჭდა ზემოთ მითითებული სათაურით, მეორე უსათაუროდ, მას ეპიგრაფად უძღვის ორი სტრიქონი დავით გურამიშვილის პოემიდან „დავითიანი“.

ტომში წერილები შევაერთეთ, ხოლო ერთი მეორისაგან გამოვყავით არაბული ციფრებით. წერილი პირველად იბეჭდება ჩვენ მიერ მომზადებულ ტომში.

ამ წერილის დაწერას საბაბი მისცა ჟურნალ „მწყემსის“ №14-ში (1893 წ.) გამოქვეყნებულმა „ახალმა ამბავმა“,[1] რომელშიც სხვათა შორის, მოკითხული იყო, თუ რა დაემართა იმ თანხას, რომელიც შეგროვდა რუსთაველის ძეგლის ასაგებად 1880-1883 წლებში. ამ ცნობამ გამოიწვია ილია ჭყონიას „წერილი რედაქტორთან“ („მწყემსი“ №17, გვ. 12-13) და „მცირე შენიშვნა“ (იქვე, №19, გვ. 7-8). ილია ჭყონია მიუთითებდა, რომ შეგროვილი თანხა იყო არა რუსთაველის ძეგლის ასაგებად, არამედ ისტორიკოსისა და ქართველოლოგის მ. ბროსეს პრემიის დასაწესებლად. ეს თაოსნობა „დროების“ რედაქციამ წამოიწყო. ილია ჭყონიას საპასუხოდ, ივანე მაჩაბელმა გამოაქვეყნა ორი „წერილი რედაქციის მიმართ“ („მწყემსი“, 1893 წ. №17, გვ. 12 და №18, გვ. 9-10), რომლებშიც ავტორი ცდილობდა გაებათილებინა ი. ჭყონიას ინფორმაცია. ი. მაჩაბელი არ მალავდა, რომ ს. მესხის დროს მოგროვდა 532 მანეთი ბროსეს პრემიის დასაწესებლად, იგი წერდა: „ფული ჯერაც არსად არ მიხმარია“-ო. ეხება რა მის მიერ „დროების“ შესყიდვის ისტორიას, ეკამათება ილია ჭავჭავაძეს. ი. მაჩაბლის წერილებმა გამოიწვიეს ეს პასუხი.

„ივერიის“ რედაქტორმა თავისი გაზეთის ოთხივე სარდაფი დაუთმო ი. მაჩაბლის საკამათო წერილს — „უკანასკნელი პასუხი“ („ივერია“, 1893 წ., №241).

<ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება> (გვ. 240)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №237, 4 ნოემბერი.

---

[1] „ახალი ამბავი“, ჩანს, ემყარება „კვალში“ (1893, №33) გამოქვეყნებულ ალ. ჭყონიას (1855-1907) ცნობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად. წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში.“ პირველად თხზულებათა კრებულში პ. ინგოროყვამ შეიტანა 1955 წ. გამოცემულ ხუთტომეულის IV ტომში, გვ. 366-368, შემდეგ მის მიერვე 1956 წ. გამოცემულ ათტომეულის VII-ე ტომში, გვ. 485-489.

დასათაურებულია პ. ინგოროყვას მიერ.

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> (გვ. 244)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №252, 21 ნოემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში.“
პირველად თხზულებათა კრებულში პ. ინგოროყვამ შეიტანა მის მიერ გამოცემულ ათტომეულის VIII-ე ტომში გვ. 80-81.
ამ წერილის ილიასადმი კუთვნილება დაადასტურეს აგრეთვე გაზ. „ივერიის“ ძველმა თანამშრომლებმა: არტ. ახნაზარმა, გიორგი ლასხიშვილმა, თედო სახოკიამ, ილია ზურაბიშვილმა.

გვ.245$_{14-16}$ „... აირჩიეს ... ჩააბარეს პეტრე მოციქულის გასაღებები ...“ — იგულისხმება პეტრე მოციქული, ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგან ერთ-ერთი უსაყვარლესი, რომელსაც, სახარების მიხედვით, ქრისტემ გადასცა გასაღები და აუწყა: „და მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს, და რასაც შეკრავ მიწაზე, შეკრული იქნება ცაშიც, ხოლო რასაც დაიხსნი მიწაზე დახსნილი იქნება ცაშიც“. მათე, 16,19.

„Te Deum“ („შენ, უფალო, გადიდებთ“) — კათოლიკური მადლიერების ლოცვის დასაწყისი.

<ქუთაისის ბანკის შესახებ> (გვ. 247)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №262, 3 დეკემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნია და ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ მწერლის თხზულებათა ხუთტომეულში, ტ. IV, 1955 წ., გვ. 369-371. ათტომეულის VII-ე ტომში, 1956 წ. გვ. 490-493.

წერილი, აგრეთვე, შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში.“

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

გვ.247$_{3-4}$ „... გაზეთში დაბეჭდილი იყო მწვავე წერილი „ქუთათურისა“ — იგულისხმება წერილი „ხმა ქუთაისისა“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1893 წლის 28 ნოემბერს (№258).

<სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი> (გვ. 251)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1893 წ., №283, 31 დეკემბერი.

დაიბეჭდა გაზეთის მეთაურ წერილად, უსათაუროდ და ხელმოუწერლად.

წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ნაწერების სრულ კრებულში პირველად შეიტანეს პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1928 წელს, ტ. VII, გვ. 265-267; 1945 წელს გამოცემულ ხუთტომეულის II-ე ტომში, გვ. 611-612; შემდეგ, 1951 წ. გამოცემულ ათტომეულში ტ. IV-ე, 1955 წ., გვ. 375-377.

წერილი შეტანილია, აგრეთვე, თ. სახოკიას მიერ შედგენილ „ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში“ და ბიბლიოგრაფი თ. მაჭავარიანიც მას ი. ჭავჭავაძეს აკუთვნებს

(იხ. „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. IV, 1965 წ., გვ. 315).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საძიებლები

ა) პირთა საძიებელი

ა

ალექსი, 157
ანტონ კათალიკოზი (კათალიკოსი) — ანტონ I, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788) — ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კათალიკოსი, მწერალი, მეცნიერი, 30, 31.
არლუთინსკი — დოლგორუკი ალ. მიხ. — ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 184.
ასათიანი ლუკა ნიკოლოზის ძე — ქუთაისის ქალაქის თავი 1883-93 წლებში, 89.

ბ

ბარაზდინი (ბოროზდინი) ალექსანდრე კორნელის ძე (1863 —?) მწერალი. 1889-94 წლებში მონაწილეობდა კავკასიის ხალხთა ყოფაცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ კრებულის მომზადებაში, 32, 33, 34.
ბაქრაძე, 97.
ბეკმანი ლეოპოლდ (1847-1899) — გერმანელი ეკონომისტი, 174.
ბენი (1818-1903) — შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და პედაგოგი, 157.
ბისმარკი — ოტო-ედუარდ-ლეოპოლდ (1815-1898) — გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი 1871-1890 წლებში. იყო „სამთა კავშირის" (1882) ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, რეპრესიების გზით ცდილობდა ჩაეხშო მუშათა მოძრაობა, 15, 17, 52, 59, 60, 61, 165.
ბროსე მარი ფელისიტე (1802-1880) — ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. მან გაამდიდრა ქართული ისტორიაგრაფია, წინ წასწია ქართული ნუმიზმატიკის, ეპიგრაფიკისა და სხვა დამხმარე დარგების შესწავლა. მისი მემკვიდრეობა მტკიცედ შევიდა ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში, 216, 217, 230, 231, 232, 236, 239.
ბუდა (სანსკ. — გასხივოსნებული), სახელი, რომელიც მიანიჭეს მსოფლიოს სამი რელიგიათაგან ერთ-ერთის,

ბუდიზმის ფუძემდებელს სიდხარტხა გაუტამას (623-544 ჩვ. წ. აღ-,მდე), 252.
ბულანჟე (1837-1891) — ფრანგი გენერალი, 1887-1889 წლებში მეთაურობდა შოვინისტურ მოძრაობას — ბულანჟიზმს, 181.
ბურგერშტეინი ლ. — მეცნიერი, პედაგოგი. მან ა. ნეტოლიცკისთან ერთად გამოსცა ნაშრომი ორ ნაწილად, სახელწოდებით—,,სასკოლო ჰიგიენის სახელმძღვანელო", 157.
ბურცანაძე — საგარეჯოელი გლეხი, 97.
ბულდანოვ — ბალდასაროვი არ. სტეფ. — ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 184.

გ

გამბეტა ლეონ (1838-1882) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 1870-71 წლებში შინაგან საქმეთა მინისტრი, 1881-82 წლებში პრემიერ-მინისტრი, 180.
გლადსტონი უილიამ იუარტ (1809-1898) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. 1845-47 წლებში კოლონიების მინისტრი. 1852-55 და 1855-66 წლებში ფინანსთა მინისტრი, 1864-74 წლებში პრემიერ-მინისტრი. სასტიკად ახშობდა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1894 წლიდან საბოლოოდ ჩამოსცილდა პოლიტიკას, 145.
გოგებაშვილი **იაკობ** სიმონიეს ძე (1840-1912) — 219.
გრევი (1807-1891) — ფრანგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი 1879-1885 წლებში, 178, 180.
გრიგოლ XIII (1502-1585) — რომის პაპი, 245.

დ

დი რუდინი ანტონიო სტარაბა (1839-1908) — მარკიზი, იტალიის პრემიერ-მინისტრი 1891-92 და 1896-98 წ.წ., 16, 54.
დიუფორი ჟიულ-არმან-სტანისლავი (1798-1881) — ფრანგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ტიერის მთავრობაში ეკავა იუსტიციის მინისტრის პოსტი, 1877 წლიდან მეთაურობდა მთავრობას, 178.
დიუვერნუა **კლემანი** (1836-1879) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი, 1869 წ. ვაჭრობისა და მიწათმოქმედების მინისტრი, 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე

ერმოლოვი ალექსანდრე პეტრეს ძე (1777-1861) — რუსი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, გენერალი, 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის მონაწილე. 1816-1827 წლებში ცალკე ქართული (შემდეგში კავკასიის) კორპუსის მეთაური, მთავარსარდალი კავკასიაში, 32.
ეფრემოვი — რუსი ჯარისკაცი, 33.
ელიაზაროვი ლევ. გერ. — ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 184.

ვ

ვალთაზარიანცი ფილ. იაკ. — ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 184.
ვალინგტონი (1831-1897) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 180.
ვახტანგ სჯულმდებელი, იგივე ვახტანგ VI (1675-1737) — ქართლის მეფე 1716-24 წლებში. შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო 1724 წ. თავისი ამალით იძულებული იყო რუსეთში წასულიყო. ცნობილი პოეტი და განმანათლებელი. 1709 წელს დააარსა სტამბა, ხოლო 1712 წელს პირველად დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ითვლება ასევე პირველ მეცნიერულ გამოცემად. მისი თაოსნობით შეიქმნა კანონთა კრებული, რომლის გამოც მას ეწოდა „სჯულმდებელი", 30.
ვახუშტი, ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757), ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი. ცნობილი გეოგრაფი, რომლის თხზულება — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" წარმოგვიდგენს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XVIII ს. პირველ ნახევრამდე, 30.
„ვეტერანი" — გაზ. „ნოვოე ობეზრენიეს" კორესპონდენტი,
ვილჰელმ II (1859-1941) — გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1888-1918 წლებში, 45.
ვირენიუსი (Вирениус) ალექსანდრე სამუელის ძე (1832-1910) — რუსი ჰიგიენისტი, სასკოლო ჰიგიენის ფუძემდებელი.
ვოლტერი (მარი ფრანსუა არუე) (1694-1778) — ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, 24.
ვორმსი — ფრანგი ექიმი, 182.

ზ

ზუბალაშვილი ნ.დ. — 82, 84, 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ

თათევოსიანცი არ. მათეს ძე — ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 184.
თათევოსიანცი იაკ. ივ. — ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 184.
თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი), გიორგი XII-ის ძე (1782-1846) — ცნობილი მწერალი და მეცნიერი. იყო პეტერბურგის საიმპერ. მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო საზოგადოებისა და კოპენჰაგენის ანტიკვართა საზოგადოების წევრი, 30.

ი

იზმაილოვი პ. ა. (1852-1905) — მსახურობდა ქალაქის თვითმმართველობაში, 1893-97 წლებში იყო ქალაქის თავი. თანამშრომლობდა რუსულ-სომხურ-ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ერთხანს რედაქტორობდა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკ"-ს, 19, 22, 23, 56, 57, 58.

კ

კაპრივი ლეო ფონ (1831-1899) — გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი, გენერალი. 1890-94 წლებში რაიხსკანცლერი (შეცვალა ო. ბისმარკი) და ამავე დროს (1890-92) პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი, 59.
კარპენტერი მარია (1807-1877) — ინგლისელი პედაგოგი, სახელოსნო სასწავლებლების სპეციალისტი, 157.
კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887) — რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი, გაზ. „მოსკოვსკიე ვედომოსტი"-ს რედაქტორი (1850-1855; 1886-1887 წ.წ), 32.
კეზელი დავით ივანეს ძე (1854-1907) — ქართველი საზოგადო მოღვაწე, წერდა „ზოილისა" და „დავით სოსლანის" ფსევდონიმით. 234.
კრისპი ფრანჩესკო (1818-1901) — იტალიის სახელმწიფო მოღვაწე. 1887-1891 და 1893-1896 წლებში იტალიის პრემიერ-მინისტრი. ატარებდა ანტიდემოკრატიულ საშინაო და ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას, 15, 16.

ლ

ლვოვი ევგენი, 71, 72.
ლორთქიფანიძე კირილე ბეჟანის ძე (1839-1919) — ერთ-ერთი თერგდალეულთაგანი, პუბლიცისტი, საზოგადო

მოღვაწე, ქართველ მწერალთა ნაწერების გამომცემელი. ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დირექტორი 1893-1918 წლებში, 199, 200.

მ

მაზილოვი — 71.
მალხასიანცი სტ. სერ. — 184.
მატინოვი ა. ს. (1843-1900) — ქალაქის თვითმმართველობის წევრი. 1879-1891 წლის მარტამდე ქალაქის თავი, 19, 20, 21, 22.
მაჩაბელი ივანე გიორგის ძე (1854-1898) — ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1882-84 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ „ივერიას", 1883-85 წლებში იყო გაზ. „დროების" რედაქტორი, 29, 216 — 239.
„მეთვალყურე" — 32, 34.
მესხი სერგეი სიმონიეს ძე (1845-1883) — ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. 1869-73 წლის ივლისამდე და 1874 წ. ოქტომბრიდან 1883 წლამდე რედაქტორობდა გაზეთ „დროებას", ხოლო 1880-1881 წლებში ი. ჭავჭავაძესთან ერთად, 217, 219, 220, 221, 223, 234.
მიქელაძე დავით ალექსანდრეს ძე (1843-1918) — ქართველი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მთარგმნელი. 1910-16 წლებში საადგილმამულო ბანკის დირექტორია, 80, 81, 83.
მკრტიჩ I — სომეხთა კათალიკოს პატრიარქი, 209
მურავიოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — რუსი ინფანტერიის გენერალი, 1854 წელს დაინიშნა კავკასიაში მეფისნაცვლად და კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდლად, 32, 33.

ნ

ნაზაროვი — ხმოსანთა არჩევნების გამგებელი, 86, 87.

ო

ობერტენი შარლ (1829-1908) — ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 181.
ოლივიე ემილ (1825-1913) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. 1870 წელს გახდა პრემიერ-მინისტრი, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე წელს გადადგა თანამდებობიდან, 1870 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრი, 179.

პ

პეტრე მოციქული (ნამდვილი სახელია სიმონი) — იესო ქრისტეს უახლოესი მოწაფე, მეთევზე. მატეს სახარების მიხედვით, პეტრემ პირველმა აღიარა იესო ქრისტე მესიად, რის გამოც მან იესო ქრისტესაგან მიიღო ზედწოდება „კლდე“ (Petros), 195, 196, 245.
პიკარი ლუდვიგ ჟოსეფ ერნსტი (1821-1877) ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, პროფესიით ადვოკატი. 1870 წელს ფინანსთა მინისტრია, 1871 წელს — შინაგან საქმეთა მინისტრი, 1876 წელს — სენატეს დეპუტატი, 179.
პუარე ანრი (1831-1901) — ფრანგი სენატორი, 182.

ჟ

ჟამეტელი ფრანსუა (1827-1899) — ფრანგი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, 182.
ჟირარდენი ემილ (1806-1884) — ფრანგი ჟურნალისტი, კატეგორიულად მოითხოვდა პრესის თავისუფლებას. 1874 წელს აირჩიეს პარლამენტის დეპუტატად, 179.

რ

როშერი ვილჰელმ გეორგ ფრიდრიხი (1817-1894) — გერმანელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გეტინგენისა და ლაიპციგის უნივერსიტეტების პროფესორი, 174,244.
როჩილდი (როტშილდი) — როტშილდების ფინანსურ დინასტიას დასაბამი მისცა XVIII საუკუნეში მაინის ფრანკფურტელმა ბანკირმა მაიერ ამშელ როტშილდმა. ყველაზე მეტ ძლიერებასა და გავლენას როტშილდებმა მიაღწიეს XIX საუკუნის I ნახევარში, როდესაც მათ ფინანსურ დამოკიდებულებაში მოექცა ევროპის ბევრი ქვეყანა, 226.
რუსთველი შოთა, 230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს

სიქსტე V (1521-1590) — რომის პაპი 1585-1590 წლებში, 245.
სპენსერი ჰერბერტ (1820-1903) — ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი; ეკუთნის ნაშრომები პედაგოგიკის დარგში, რომლებშიც იგი მოითხოვს სწავლების უშუალო კავშირს მეურნეობასთან, 157.
სტახეევი — 72, 74.

ტ

ტერ-გრიგორიანცი არ. ივ., 184.
ტიერი ადოლფ (1797-1877) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი. პარიზის კომუნის ჯალათი. 1830-40 წლებში რამდენჯერმე ეკავა მინისტრის თანამდებობა, 179.
ტილლი ჰუგო (1839-1903) — სოფლის მეურნეობის გამოჩენილი სპეციალისტი, ბონისა და მიუნჰენის უნივერსიტეტების პროფესორი, 1873 წლიდან მუშაობდა გერმანიის სოფლის მეურნეობის სამინისტროში. მრავალი ფუდამენტური შრომის ავტორი, 49.

ფ

ფერრი (ფერი) ჟიულ (1832-1893) საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ადვოკატი, პუბლიცისტი. 1870 წ. პარიზის მერი, 1879-83 წ.წ. დროდადრო განათლების მინისტრი, 1883-85 წ.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი. 1880-81 და 1883-85 წ.წ. პრემიერ-მინისტრი, 18, 178, 179, 180, 181, 182.
ფლოკე შარლ თომას (1828-1896) ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 1872-76 წ.წ. პარიზის მერი, 1888 წელს პრემიერ-მინისტრი, 179, 182.
ფრეისინე შარლ ლუი (1828-1923) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის აკადემიის წევრი 1891 წლიდან. ეკავა სხვადასხვა უწყებებში მინისტრის პოსტები. 1879-80, 1882, 1886, 1890-92 წლებში იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, 180.

ქ

ქანანოვი მ.ზ — 184.

ქანანოვი ნიკოლოზ დავითის ძე (1851-1912) — ჟურნალისტი და მრეწველი, წერდა ნ. დავითაშვილის ფსევდონიმით. ახლად დაარსებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველმა კრებამ იგი აირჩია თავის წევრად, 184, 219, 220, 234.
ქართველიშვილი გიორგი (1827-1901) — ქართველი ქველმოქმედი, მეცენატი, საზოგადო მოღვაწე. მან დააფინანსა „ვეფხისტყაოსნის" მდიდრული გამოცემა მ. ზიჩის ილუსტრაციებით, მისი ხარჯით გამოიცა 1885 წელს ვახუშტის „საქართველოს ისტორია", 1883-85 წლებში იყო გაზეთ „დროების" გამომცემელი, 219.
ქრისტე იესო, 209.
„ქუთათური", 247, 250.

ყ

ყალანთარი ალ. აირაპ. — ქალაქის საბჭოს ხმოსანი, 184.
ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887) — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური. წერდა „ბაქარ ქართლელის" ფსევდონიმით. მოკლეს მეფის აგენტებმა სტავროპოლში გადასახლების დროს, 198.
ყიფიანი მიხეილ ზაალის ძე (1833-1891) — ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, პედაგოგი, 24, 25.

შ

შერვაშიძე, შარვაშიძე გიორგი დიმიტრის ძე — ტფილისის გუბერნატორი 1889 წლიდან, მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამეფო კარის კამერგერი, 189.
შოპენჰაუერი არტურ (1788-1860) — გერმანელი ფილოსოფოსი, 223.

ჩ

ჩერქეზიშვილი ლევან — კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრი, 233.
ჩიკვაიძე კალისტრატე ნიკოლოზის ძე (1855-1934) — ქუთაისელი ვექილი, რომელიც 90-იან წლებში ოპოზიციაში ჩაუდგა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის

ხელმძღვანელობას და ხელში ჩაიგდო თავმჯდომარის თანამდებობა, 86, 87, 89, 198.
ჩუბინაშვილი დავით იესეს ძე (1814-1891) — ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურისმცოდნე. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, 30, 31, 36.

ც

ცხვედაძე ნიკო ზებედეს ძე (1845-1911) — ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, 219.

ჭ

ჭავჭავაძე ილია (1837 — 1907), 162, 191, 216, 217, 226 — 230, 232, 233 — 237, 239.

ხ

ხოსროევი ევგრაფ იაგორის ძე (1847-1911) — ქალაქის თვითმმართველობის წევრი 1880 წლიდან, შემდეგ მთავარი მრჩეველი, 22.
ხრიმიანი ჰაირიკ, 209, 210.
ხუდადოვი ნიკოლოზ ალექსის ძე (1850-1907) — ექიმი და-ზოგადო მოღვაწე, 233.

ჯ

ჯანდიერი ლევან გიორგის ძე — თიანეთის მაზრის უფროსი, 90, 91, 92, 94, 95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ათინა (ათენი), 179.
ავსტრია, 17, 53, 54, 55, 61.
ავსტრი-ვენგრია (ავსტრია-უნგრეთი), 15, 17, 61.
აზია, 104.
ამერიკა, 48, 49, 50, 134, 213.
ამერიკა (ჩრდილო ამერიკა), 48, 49.
ამიერკავკასია, 32, 33, 34, 135.

ბ

ბალკანეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძული, 53, 146.
ბაქო, 104, 107, 219.
ბალტიის ზღვა, 177.
ბერლინი, 17, 18, 49, 53, 60, 61, 165.
ბოლგარია (ბულგარეთი) 146.
ბრაუნშვეინგი (ბრაუნშვაიგი), ქალაქი გერმანიაში, ქვემო საქსონიაში, 175.
ბრაუნშვეიგი (ბრაუნშვაიგი), მიწები ჩრდ.-დასავლეთ გერმანიაში, მე-13-ე საუკუნიდან 1918 წლამდე — საგრაფო. 1871 წელს შევიდა გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში, 175.

გ

გერმანია, 15, 16, 17, 18, 48, 49, 50, 52, 53, 54, 59, 60, 61, 146, 147, 165, 166, 167, 175.
გურია, 248.

დ

დედოფლის წყარო, ყოფილი წითელწყარო, ქალაქი აღმ. საქართველოში. მდებარეობს შირაქის ვაკეზე, 32.

ე

ეგვიპტე, 166.
ერევანი, 32, 33.
ევროპა, 16, 17, 36, 47, 52, 54, 59, 144, 145, 146, 147, 150, 151, 157, 160, 165, 166, 167.

ელზას-ლორენი (ელზას-ლოთარინგია), ისტორიული პროვინციები აღმოსავლეთ საფრანგეთში, რომლებიც სხვადასხვა დროს საფრანგეთსა და გერმანიას შორის პოლიტიკური დავის საგანს წარმოადგენდა, ამჟამად საფრანგეთის შემადგენლობაშია, 17, 52.

ვ

ვანქის ხიდი, ხიდი მდ. მტკვარზე ვანქისუბანში. მდებარეობდა მადათოვის კუნძულთან, 77.
ვენგრია (უნგრეთი), 49.
ვოლგა, 177.

თ

თურქესტანი, ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი XIX-XX საუკუნეების I-ლ მეოთხედში, რომელიც გულისხმობდა ვრცელ ტერიტორიას შუა და ცენტრალურ აზიაში. დასავლეთი ანუ რუსეთის თურქესტანი, მოიცავდა ეხლანდელ შუა აზიასა და ყაზახეთის სამხრეთ ნაწილს, აღმოსავლეთის თურქესტანი შედიოდა ჩინეთის შემადგენლობაში, ხოლო ავღანეთის თურქესტანი, ჩრდილო ავღანეთში, 214, 215.
თურქესტანი — ქალაქი ყაზახეთში, ჩიმკენტის ოლქში. ცნობილია X-ე საუკუნიდან. ძველად შუა აზიის სავაჭრო და რელიგიური ცენტრი იყო, 214, 215.

ი

ივრის ხეობა, მდ. იორის სანაპირო ზოლი, 90.
იმერეთი, 47, 203, 248, 249, 250.
ინგლისი, 144 — 147, 149, 150, 166, 167.
იტალია, 15, 16, 17, 49, 54, 55, 166.

კ

კავკასია, 32 — 34.
კახეთი, 92, 123, 131, 132, 133, 137, 138, 139, 148, 154, 168 — 172, 191, 203.
კრონშტატი (კრონშტადტი) ქალაქი და ნაცსადგური რუსეთის ფედერაციაში, პეტერბურგის ოლქში,
კულაში, დაბა (1961 წ-დან) სამტრედიის რაიონში, მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, 52 — 54.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ

მადათოვის კუნძული (სხვა სახელები: ორბელიანის კუნძული, სარდარა) იყო მტკვრის ორ ტოტს შორის. ახლა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაა. სარდალმა დავით ორბელიანმა გააღრმავა მტკვრის კალაპოტი თავისი სასახლის წინ (ახლა საარბრუკენის ხიდი) და ეწოდა ორბელიანის კუნძული.

XIX-ს. 20-იან წლებში ორბელიანებმა კუნძული დაუთმეს მეგობარ გენერალს, მირზაჯან მადათოვს.

1933 წ. მტკვრის მარჯვენა ტოტი მთავარ კალაპოტს შეუერთდა და შეიქმნა ახალი დასახლებული ადგილი (ახლა კუნძული აღარ არის), 77.

მანგლისი, დაბა თეთრიწყაროს რაიონში. სამთო-კლიმატური კურორტი, 32.

მეკლენბურგი — სათავადო (1348 წლიდან — საჰერცოგო) შუა საუკუნეების გერმანიაში. 1815 წლიდან ორ დიდ საჰერცოგოდ გაიყო. 1919-დან 1934 წლამდე ეს გერმანიის ორი მიწაა. ამჟამად ერთიანი გერმანიის ნაწილია, 175.

მოხისი, სოფელი ქარელის რაიონში, 161.

ო

ოლდენბურგი, XII-ე საუკუნეში საგრაფო ჩრდილოეთ გერმანიაში (მთავარი ქალაქი ოლდენბურგი) 1815-1918 წლებში — დიდი საჰერცოგო, რომელსაც განაგებდა საკუთარი ხელისუფლება, 174.

ოლდენბურგი, ქალაქი გერმანიაში, ქვემო საქსონიის მხარეში, მდ. ჰუნტეს (ვეზერის შენაკადი) ნაპირზე, 174.

პ

პანამა, სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში, 166.
პარიჟი (პარიზი), 179.
პეტერბურგი, 36, 161, 199.
პრუსია, 54.

რ

რომი, 245.
რუმინია (რუმინეთი), 49

რუსეთი, 15, 17, 27, 34, 47, 48, 50 – 54, 61, 63, 69, 71, 73, 92, 113, 137, 141, 144, 157, 160, 161, 165, 166, 167, 177, 199, 204, 205, 212, 241.

ს

საფრანგეთი, 15 – 18, 52 – 55, 144, 145, 146, 149, 166, 167, 175, 177 – 181, 193.
საქართველო, 27, 30, 31, 36 – 38, 49, 112, 126, 196, 211, 213.
საჩხერე, ქალაქი (1964 წლიდან) დას. საქართველოში. მდებარეობს მდ. ყვირილის ნაპირებზე, 110.
სტამბოლი, 209.
სტეფანწმინდა, ყოფილი დაბა ყაზბეგი. მდებარეობს მდ. თერგის ნაპირებზე, 25.

ტ

ტფილისი, 11, 12, 13, 15, 19, 24, 25, 27, 28, 32, 39, 44, 47, 52, 56, 59, 63, 66, 70, 76, 77, 79, 83, 86, 90, 94, 99, 102, 104, 108, 111, 113, 115, 120, 124, 126, 128, 140, 144, 163, 165, 168, 169, 174, 183, 186, 189, 191, 194, 200, 201, 204, 211, 214, 215, 240, 242, 243, 244, 247, 251.
ტფილისის გუბერნია, რუსეთის იმპერიაში შემავალი ადმინისტრ. – ტერ. ერთეული, შეიქმნა 1846 წ., 102, 124, 128, 169, 189, 240, 243.

ქ

ქართლ-კახეთი, 131.
ქარელი, 110.
ქართლი, 203.
ქუთაისი, 34, 86, 89, 126, 129, 198, 199, 200, 214, 215, 227, 247.
ქუთაისის გუბერნია – ადმინისტერ. – ტერ. ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1846 წელს, 34, 129.

ღ

ღრუბლიანი ალბიონი – ბრიტანეთის კუნძულების უძველესი სახელწოდება. ბრიტანეთის პოეტურ სინონიმად იხმარება, 145.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყ

ყარსის ოლქი — ტერიტორია ჩრდ.-აღმ. თურქეთში, 34.

შ

შავი ზღვა, 34, 177.
შოტლანდია, 175.

ცხინვალის ხეობა, 69.

ხ

ხმელთაშუა ზღვა, 144, 145, 166.

გ) ქართული და უცხოური პერიოდული გამოცემების და სტატიების საძიებელი

„დროება“ — ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1866-1885 წლებში. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი, ი. მაჩაბელი, 200, 217–220 — 223, 225, 228, 229, 230, 231, 234, 236.

„ივერია“ — (1877-1906) — ქართული პოლიტიკურ-ლიტერატურული გამოცემა. (1877-1878 — ყოველკვირეული გაზეთი, 1879-1885 წლებში — ჟურნალი, 1886 წლიდან — ყოველდღიური გაზეთი). დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, 70, 90, 227, 229, 230, 235.

„კავკასიის კალენდარი“, 34.

„კვალი“ — ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა 1893-1904 წლებში თბილისში.

რედაქტორ-გამომცემლები: ა. თუმანიშვილი-წერეთლისა (ფაქტობრივი რადაქტორი — გ. წერეთელი), ნ. ალექსი-მესხიშვილი, 157, 158, 159, 161, 162, 227.

„კრებული“ — ქართული ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა 1871-73 წლებში, თბილისში. რედაქტორი — გ. წერეთელი, 200.

„მწყემსი“ (1883-1910 წ.წ.), პოპულარული სასულიერო ორკვირეული გაზეთი. რადაქცია იმყოფებოდა დაბა შორაპანში, შემდეგ ყვირილაში (ზესტაფონში). რედაქტორ-გამომცემელი დავით ღამბაშიძე, 217, 218, 221, 230, 231, 235.

„შრომა“ — ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა 1881-83 წლებში ქუთაისში. რედაქტორი — დ. დადიანი, 234.

„ჩონგური“ — პირველი ქართული ლიტერატურული ალმანახი. გამოვიდა პეტერბურგში 1864 წელს. შემდგენელი — კირილე ლორთქიფანიძე, 199, 200.

„Новое Обозрение“ („ნოვოე ობოზრენიე“) — ყოველდღიური რუსული გაზეთი (1884-1906), გამოდიოდა თბილისში. გამოცემას სათავეში ედგა ნ. ნიკოლაძე, 32, 42, 45, 131, 132, 133, 136 — 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავკაზი“ („Кавказ“) — ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1846-1918 წლებში, რუსულ ენაზე, 28.

„Окраина“ — თურქესტანის გაზეთი, 214, 215.

„Русский Вестник“ — ყოველთვიური ლიტერატ.-პოლიტ. ჟურნალი. გამოდიოდა მოსკოვში 1808-24; 1841-44; 1856; 1862; 1887-1906 წლებში. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ: ს. ნ. გლინკა, ნ. ი. გრეჩი და ნ. ა. პოლევოი, მ. კატკოვი, 32.

Courier de Paris, 179.

„La Presse“, ფრანგული გაზეთი, 179.

„Tems“, ფრანგული გაზეთი, 179.

დ) სტატიები

Бороздин, **„Переселенцы в Закавказьи“,** 32.

Вирениус, **„Переутомление у учащихся в средних учебных зав. Германии“,** 157

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემატური საძიებელი

I. პოლიტიკა

დასაწყისი „სამთა კავშირის“ დასასრულისა:

ა) ბისმარკის დამოკიდებულება რუსეთისადმი, 15, 52
ბ) იტალიის საშინაო მდგომარეობა, 15
გ) იტალიის დამოკიდებულება საფრანგეთისადმი, 16
დ) იტალიის დამოკიდებულება გერმანიისადმი, 16
ე)ავსტრია-უნგრეთის დამოკიდებულება გერმანიისადმი, 16
ვ) გერმანიის დამოკიდებულება საფრანგეთისადმი, 17,18, 52

რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა, 32–35
საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება, 52
გერმანიის მილიტარისტული ზრახვები, 54, 55
ბისმარკის პოზიცია, 59
ბისმარკისა და იმპერატორ ვილჰელმ II-ის ურთიერთდამოკიდებულება, 59–62
ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა, 144–147; 165–167
ჟიულ ფერრის როლი საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, 178–182

II. ეკონომიკა

ქართული ღვინის რეალიზაციის საკითხი, 111–114
საბანკო სესხის კონვერსიის შესახებ, 115–117
სოფლის ეკონომიკის საჭირბოროტო საკითხები, 126–130
კახეთის რკინიგზის მშენებლობის შესახებ, 131–139; 148–155; 168–173
ღვინით ვაჭრობის შესახებ, 189, 190
ქვეყნის ეკონომიკის აქტუალური საკითხები, 201–203
საბანკო კრედიტის მოქმედების არეალის გაფართოების თაობაზე, 214, 215
საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება, 240–243
ქუთაისის ბანკის შესახებ, 198–200; 247–250

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. რელიგია

სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I, 209, 210

IV. სახელმწიფო, ეთიკა და სამართალი

საკომლო მამულების ახალი კანონპროექტის გამო, 140–143
საზოგადოებრივი ფულის ხარჯვის კანონიერების შესახებ, 216–239

V. ადმინისტრაცია, ადგილობრივი მმართველობა

ქალაქის ხმოსნების არჩევნები, 11–14; 183–185; 186–188
ქალაქის თავის არჩევნები, 11–14; 19–23; 244–246
ქალაქის გამგეობის მუშაობის შესახებ, 39–43; 44–46
ტრაგიკული შემთხვევა, 76–85
არჩევნები ქუთაისში, 86–89; 198–200

VI. აღზრდა, განათლება, კულტურა

დავით ჩუბინაშვილის მემკვიდრეობის შესახებ, 36–38
სწავლა-განათლების მდგომარეობა, 108–110
სამეურნეო სკოლის მნიშვნელობა, 191–193
ქალთა განათლების საკითხები, 251–253

VII. მედიცინა

ქოლერის ეპიდემია თბილისში, 104–107

VIII. სოფლის ყოფა და სოფლის მეურნეობა

რამდენი უნდა მიეცეს მუშაკაცს ცეცხლის ჩასაქრობად, 27, 28
სიმინდის კულტურის შესახებ, 47–51
თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობა, 63–74
საზოგადო ზვრების გაშენების საკითხი, 90–98
ფიქრები გლეხკაცის გაღონიერებაზე, 99–103

სამეურნეო დაზღვევის საკითხები, 174–177
საბანკო სესხის მნიშვნელობა მიწათმოქმედების განვითარებისათვის, 204–208
სოფლად ეკონომიკური კრიზისის მოგვარების გზები, 211–213

IX. ბეჭდვითი საქმე, პრესა

რედაქტორის შენიშვნა, 29
გაზეთის კორესპონდენტის მოვალეობა, 194–197

X. სხვადასხვა საკითხები

მიხეილ ყიფიანი (ნეკროლოგი), 24–26
დავით ჩუბინაშვილი (ნეკროლოგი), 30, 31
1892 წლის წარმატებების შესახებ, 120–125

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

1891 წელი

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>..... 11 / 260
<დასაწყისი „სამთა კავშირის“ დასასრულისა>.. 15 / 261
<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ>..... 19 / 262
<მიხეილ ყიფიანი> ..... 24 / 262
<რამდენი უნდა მიეცეს მუშაკაცს ცეცხლის გასაქრობად> ..... 27 / 263
<რედაქტორის შენიშვნა> ..... 29 / 263
დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი ..... 30 / 264
ნარკვევი (ჟურნალ გაზეთებიდგან) ..... 32 / 265
<პროფესორ დ. ი. ჩუბინაშვილის მემკვიდრეების კეთილი თაოსნობა> ..... 36 / 266
<ქალაქის გამგეობის მტკივნეული საკითხები> 39 / 267
<ქალაქის ძველი გამგეობის მუშაობის შესახებ> 44 / 267
<სიმინდის საქმე იმერეთში> ..... 47 / 268
<ვინ ვისთვის ლესავს ხმალს ევროპაში>..... 52 / 269
<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> ..... 56 / 270
<კომენტარი ბისმარკის პოზიციის გამო> ..... 59 / 270
<დღევანდელი თავადაზნაურობის სატკივარი>... 63 / 270

1892 წელი

<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> ..... 76 / 271

<ქუთაისის არჩევნების გამო> ..... 86 / 272
<საზოგადო საქმეთა გამო> ..... 90 / 273
<ფიქრები გლეხკაცის გაღონიერებაზე> ..... 99 / 273
<ქოლერის ეპიდემია ტფილისში> ..... 104 / 274
<ჩვენი დაქვეითება სწავლა-განათლების საქმეში> 108 / 276
<ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი> 111 / 277
<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> ..... 115 / 277

1893 წელი

<შინაური მიმოხილვა> ..... 120 / 278
<ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება> ..... 126 / 280
გაზეთი „Новое Обозрение“ და კახეთის რკინისგზა ..... 131 / 280
<საკომლო მამულების ახალი კანონპროექტის გამო> ..... 140 / 281
<პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში> ..... 144 / 282
მოვალეობა ჩვენის თავადაზნაურობისა (კიდევ „Новое Обозрение“—სა და კახეთის რკინისგზის გამო) ..... 148 / 282
ჩვენი აზრი სწავლა-აღზრდის სისტემის შესახებ (წერილი რედაქციის მიმართ) ..... 156 / 283
<პოლიტიკური ვითარება ევროპაში ..... 165 / 283
<ისევ კახეთის რკინისგზის საკითხზე> ..... 168 / 284
<სამეურნეო მცენარეთა დაზღვევა> ..... 174 / 285
ჟიულ ფერრი ..... 178 / 285
<ახალი ხმოსნების არჩევნები> ..... 183 / 286
ახალი არჩევანები ..... 186 / 287

<სიტყვა, წარმოთქმული ღვინით ვაჭრობის წესდების განხილვისას> ..... 189 / 287
<ილიას პასუხი სამეურნეო სკოლის მნიშვნელობის შესახებ> ..... 191 / 288
<გაზეთის კორესპონდენტის მოვალეობა> ..... 194 / 288
წერილი ქუთაისიდგან (რედაქციის მიმართ) .... 198 / 289
<ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი> ..... 201 / 290
<მიწადმომქმედის ორგვარი გაჭირება> ..... 204 / 290
სომეხთა კათალიკოზი მკრტიჩ I ..... 209 / 291
დროგადასრული სისტემა ..... 211 / 291
<სასარგებლო საბანკო კრედიტისათვის> ..... 214 / 292
მოკითხული საზოგადო ფული (თ. ი. მაჩაბლისა და ბროსსეს პრემიის გამო) ..... 216 / 292
<ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება> ..... 240 / 293
<საგაზეთო შენიშვნები ტფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზედ> ..... 244 / 294
<ქუთაისის ბანკის შესახებ> ..... 247 / 294
<სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი> 251 / 295
შენიშვნები და კომენტარები 255
ტექსტისათვის 257
საძიებლები 296
პირთა საძიებელი 296
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 305
ქართული და უცხოური პერიოდული გამოცემების და სტატიების საძიებელი..... 310
თემატური საძიებელი 312

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИЛЬЯ ГРИГОРЬЕВИЧ ЧАВЧАВАДЗЕ

ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧЕНЕНИЙ

В 20-ти ТОМАХ

ТОМ XII

(На Грузинском языке)

ТБИЛИСИ

"ИЛИАС ФОНДИ"

2007

კორექტორი: ელენე ბედუკაძე
ტექსტი ააწყო: ნინო ბერიშვილმა
დააკაბადონა: ლაშა ბერიშვილმა

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

F 118.82.9
3